საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

24 თებერ... №8 (634) * ფასი 1,50 ლარი



გვ. 18

**როგორ დააწყებინა ზაზა მარჯანიშვილს ახალი ცხოვრება მეოთხე ცოლმა და როგორ შექმნა მან თბილისში „ახალი ორლეანი“**

გვ. 78

**ვინ ატკინა გული ქეთა თოფურიას და რატომ არასდროს არ იქნება ის საქართველოს მოღალატე**

გვ. 82

**როგორ დაიწყო ლიკა ყაზბეგის სიყვარულის ისტორია რუსთავის ციხის პატიმართან და ვინ შეაპარა მან თავის ქორწილში**



გვ. 16

**რაზე სწყდება გული ირაკლი ალასანიას სიდედრს და რის გამო აკრიტიკებს ის შვილებს**



გვ. 50

**რატომ აგინა გურამ გუგენიშვილმა მოწინააღმდეგეს რინგზე და რატომ ვერ უძლებენ მას 2 წუთზე მეტხანს მეტოქეები**



გვ. 38

**რატომ ურთულდება ანა სანაიას ცხოვრებაში ყველაფერი და რატომ უნდა მას რევოლუციური ტალღის სათავეებთან დგომა**



**რომელი ავტომანქანით ადიოდა სოსო ჯაჭვლიანი ხეებზე და როგორია მისი პოლიტიკური და არაპოლიტიკური ცხოვრება**

გვ. 19

**რატომ გაშორდა ცოლი თემურ თათარაშვილს და როგორ გაიცნო მისი მეორე ცოლი ყოფილმა ცოლმა**



გვ. 22



გვ. 42

**რას არ მალავს სალომე ქათამაძე, რის გამო აკრიტიკებენ მას და რას არ მოეშვება ის არასდროს**


ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 8.50 + ჟურნალი 1.50 = 10 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 15 ლარი

მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




I ტომი


# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი




რა დახმარებას მიიღებენ გლეხები მცირე ფერმერთა ხელშეწყობის საგაზაფხულო პროგრამით და როგორ უნდა გაანაღდონ სასოფლო-სამეურნეო ბარათები ....... 8

რატომ ლაპარაკობს საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო შეხვედრებზე მხოლოდ ინგლისურად და რატომ რჩება საქართველოს პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქედ ........ 10

ვინ არის ქართველი ადვოკატი, რომელიც 4 000 ადვოკატს შორის „კაზანოვას" ტიტულის მფლობელი გახდა .................... 11



გაუფუჭდება თუ არა საქართველოს ურთიერთობა თურქეთთან და აზერბაიჯანთან რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სანაცვლოდ............12

რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტის გადადგომის საიდუმლო და რა წესით აირჩევა რომის პაპი კონკლავის კრებაზე ............. 14

რაზე სწყდება გული ირაკლი ალასანიას სიდედრს და რის გამო აკრიტიკებს ის შვილებს ............................................. 16

ადვოკატი გირჩევთ ........................................ 17

როგორ დაანყებინა ზაზა მარჯანიშვილს ახალი ცხოვრება მეოთხე ცოლმა და როგორ შექმნა მან თბილისში „ახალი ორლეანი" ................................................. 18

რომელი ავტომანქანით ადიოდა სოსო ჯაჭვლიანი ხეებზე და როგორია მისი პოლიტიკური და არაპოლიტიკური ცხოვრება ................................................. 19

როდის არის შეუვარებული ქალი მარტოსული და რატომ არ უნდა აჰყვეს ის ილუზიებს ........................................... 20

როგორ იპოვეს საქართველოში მცხოვრებმა ნათესავებმა ბიძის ცხედარი ესტონეთში ............................................... 21

რატომ გაშორდა ცოლი თემურ თათარაშვილს და როგორ გაიცნო მისი მეორე ცოლი ყოფილმა ცოლმა ................ 22

ვის ჰყავდა პირველი ავტომობილი ტფილისში და რა ისტორია აქვს მადამ ბოზარჯიანცის სახელით ცნობილ სახლს ................................................. 23



აუცილებელია თუ არა ქრისტიანის მიერ ეკლესიისთვის შესაწირავის გაკეთება და როგორ უნდა იქცეოდეს ის საკუთარი ცხონებისთვის ... 24

ამერიკის საკალათბურთო ლიგის ახალი ვარსკვლავები .. 26

რისი გახსენება არ უნდა ნიკუშა შენგელაიას და როგორ დაშორდა ის ცოლებს ................................ 30

გადადის თუ არა ბედისწერა და წინაპართა ცოდვები გენეტიკურად შთამომავლებზე და როგორ გამოვიჩინოთ ამ მხრივ სიფრთხილე .............................................. 32

რომელი სექსუალური სკანდალით გაითქვა სახელი კიმ კარდაშიანმა და რომელი ერის გენოციდის აღიარებას მოუწოდებს ის ამერიკელებს ................................................ 34

როგორ გახდა სალომე ჩიგოგიძე საერთაშორისო მასშტაბის მსაჯი და რატომ ვერ მოირგო მან მწვრთნელის პროფესია .... 35

ინტიმური საუბრები ...................................... 36

რატომ ურთულდება ანა სანაიას ცხოვრებაში ყველაფერი და რატომ უნდა მას რევოლუციური ტალღის სათავეებთან დგომა ............................................... 38

რას უწუნებს ვანიკო თარხნიშვილი თავის თანაწამყვანს და როგორია შორენა ბეგაშვილისთვის მასთან მუშაობა ........... 39

რას არ მალავს სალომე ქათამაძე, რის გამო აკრიტიკებენ მას და რას არ მოეშვება ის არასდროს .......................................... 42

როგორი იყო ეთერ ბერიაშვილის უცნაური გზა სიღნაღიდან მოსკოვის ყველაზე პოპულარულ მიუზიკლ „მამა მიამდე" ..... 47

რატომ აგინა გურამ გუგენიშვილმა მოწინააღმდეგეს რინგზე და რატომ ვერ უძლებენ მას 2 წუთზე მეტხანს მეტოქეები ............................................. 50

როგორ ითამაშა ანი კალანდაძემ ბოლივუდის ცნობილ ფილმებში ქართველი გოგონების როლები და რატომ მიიღო მან შოკი ინდოეთში .......................................... 51

თბილისის რომელ ისტორიულ შენობას უწოდებენ „მოჩვენებების სასახლეს" და სად აღმოაჩინეს სტალინის ქართულ ენაზე ხელმოწერილი ფოტოსურათი .................... 52

რა ასაკშია რეკომენდებული ბავშვის დაინტერესება ჰობით და რატომ უნდა გაიხსენოთ შვილთან ხშირად საკუთარი ბავშვობა .................................................. 54

კოსმეტოლოგის რჩევები ........................... 55

როგორ იძია შური ყოფილმა რეციდივისტმა ძალოვნებზე საკუთარი ცოლ-შვილის გამო ..................................................... 56

რატომ მოკლა 60 წლის ქალმა საკუთარი და და რა ვერ გაიყვეს მათ ....................... 58



რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს......59

ვეტერინარის რჩევები..........64

ფლორის სამყაროში.....64

ვის საფლავზე აიტანა ნოდარ დუმბაძემ „წაგებული" ორი ბოთლი კონიაკი და რატომ დაარქვა მან თავის რომანს „ნუ გეშინია, დედა" ..................... 65

მე – დაქირავებული მკვლელი ................. 66

როგორი მეუღლე იყო სტალინი ................ 70

მკვდარი ვერსია ........................................... 74

ვინ ატკინა გული ქეთა თოფურიას და რატომ არასდროს არ იქნება ის საქართველოს მოღალატე ......................... 78

რა სიურპრიზი მოუწყო დილის 6 საათზე მოსკოვში აგნესას ქმრომ და ვინ აყრიდა თავზე მას ვარდის ფურცლებს ................. 79

შეკითხვა ასტროლოგს ............................... 80

რა უნდა ვიცოდეთ წინასწარ, რომ თავი ავარიდოთ სკანდალებს, განქორწინებებს, გაუგებრობებსა და სიძულვილს საკუთარი შვილებისა და ახლობელი, საყვარელი ადამიანების მხრიდან ................................. 80

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ........... 81

როგორ დაიწყო ლიკა ყაზბეგის სიყვარულის ისტორია რუსთავის ციხის პატიმართან და ვინ შეაპარა მან ქორწილში ................................................ 82



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**
პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ქღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14
სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის" უკან)

ტელ: 233-42-24;
599 10-15-20
221-31-12

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61; 221-31-34

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge
tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# შეკრებილები

## მკვლელი თუ მომპარავი

მოქმედი კანონმდებლობით, **სასჯელის შეკრებითობის პრინციპი მოქმედებს**, რის წყალობითაც, **ისეც ხდება, რომ განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის ჩამდენიც კი იმაზე ნაკლებ სასჯელს იღებს,** ვიდრე, მაგალითად, **ექვსი საზურავის მომპარავი** (იმიტომ რომ ექვსი საზურავის მოპარვა, თურმე, **სამი ქურდობის ფაქტია, რაკი ქურდი ორხელაა და ერთ გამოტანაზე ხელებში ორზე მეტ საზურავს ვერ დაიტევდა**).

**რაკი ნორმა შეუიარაღებელი თვალითაც კი მეტად მახინჯი და არაადეკვატურია,** სავსებით **ბუნებრივია, რომ ის უქმდება**. კერძოდ, შესაბამისი ცვლილებაა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“. კანონპროექტის



მიხედვით, **დაბრუნდება ძველი ნორმა, რის მიხედვითაც დანაშაულის ერთობლიობისას, საბოლოო სასჯელის გამოტანის დროს, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს**. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ან/და ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები. ამასთან, **რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ გადააჭარბებს 30 წელს.**

კანონპროექტის ინიციატორები განმარტავენ, რომ სასჯელთა შეკრებითობა არა მხოლოდ წრეგადასულად მკაცრი და არაადეკვატურია, არამედ, **უსამართლობის განცდასაც ამკვიდრებს,** იმას გარდა, რომ **ზრდის გრძელვადიანი პატიმრების რიცხვს და იწვევს სასჯელაღსრულების სისტემის გადატვირთვას.**

მართალია, **ცვლილებების ინიციატორი მთავრობაა**, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **მთავრობას პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს**, უკვე **ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებები კანონად იქცევა**. თუმცა, სამართლიანობის გამო, უპრიანი იქნებოდა, **სასჯელის შეკრებითობა მათთვის, ვინც ეს პრინციპი შექმნა**, მას **ემხრობოდა** და **მოსწონდა, ძალაში დარჩეს**, ბუნებრივია, **იმ შემთხვევისთვის, თუკი გისოსებს მიღმა მოუწევთ აღმოჩენა.**

# „შელოცვა რადიოთი“

## ანუ, გველების მომთვინიერებლები

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ყველას თავისი სამრეკლო აქვს,** ინდური მედიის ცნობით, **რამდენიმე ათას ინდოელ შემლოცველს გველის წლის სათავისოდ გამოყენება განუზრახავს.**



მოვლენები კი შემდეგნაირად ვითარდებოდა: **გველების შემლოცველებმა საპროტესტო აქცია ჩაატარეს და 18 წლის წინანდელი იმ კანონის შეცვლა მოითხოვეს, რომელიც მათ ქუჩაში გველებით სეირნობას უკრძალავს.**

თუმცა, საპროტესტო აქცია მეტად პოეტური იყო: ამ ეგზოტიკური პროფესიის წარმომადგენლებმა **ფლეიტების თანხლებით ჩაიარეს ქალაქ კალკუტის ქუჩებში.**

რაც მთავარია, **ინდოეთის გველების ფედერაციის ხელმძღვანელობა მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც ფიქრობს**, ამიტომ, არც იმის განმარტება დავიწყებიათ, რომ, **როდესაც მათ რეპტილიების თანხლებით ქუჩებში სიარულის უფლებას მიანიჭებენ**, ქვეყნის ყველა კუთხეში **გველის შხამის მიმღები პუნქტებიც უნდა გაიხსნას**, რომ **გველის შხამი სამედიცინო მიზნებითაც გამოიყენონ.**

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, **რა შედეგს გამოიღებს გველების შემლოცველების პროტესტი**, თუმცა, თუ ჩვენთან ბოლო დროს დატრიალებულ მოვლენებს გავიხსენებთ, **გველების შე**-



**უზღუდავად სისინ-სრიალზე რა მოგახსენოთ,** მაგრამ, **გველების შემლოცველების დეფიციტი აშკარაა!**

# მუშტის ნაციონალური მადლი

## ცხვირიდან – ლოყამდე

სამწუხაროდ თუ **ბოლოდროინდელ მოვლენათა ლოგიკისთვის ბუნებრივად**, გასულ კვირას **პოლიტიკური ოპონენტები ერ**-



**თმანეთს ხელით შეეხნენ**. ბ-ნმა სერგო **რატიანმა** უმრავლესოელი კოლეგის პასუხად, თავდაპირველად, **მაგიდაზე ჭიქა დაამსხვრია** (სხვათა შორის, იმ მაგიდასთან ქ-ნი სიჭინავაც იჯდა), შემდეგ **მასთან მიჭრილ ბ-ნ დავითაშვილს სახეში უთავაზა**. ცხადია, **ხურდამაც არ დაახანა**, რის შედეგადაც ბ-ნმა **რატიანმა წაიფორხილა** (ესეც **სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან, ეს ორი ბ-ნი აშკარად განსხვავებულ წონით კატეგორიებს მიეკუთვნებიან).**



მომხდარი **უმალ დაგმეს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა** და **განგაშის ზარებიც დაარისხეს სახელდახელოდ მოწყობილ ბრიფინგზე,** პათოსით, **აი, ეს არის მოძალადე ხელისუფლების სახეო (**თუმცა ისიცაა, რომ **ამ პათოსის პათოსია, ჩემი შენ გითხარიო**).

რაც შეეხება **მეორე მხარეს, შეფასებებში ისიც გაიყო**. კერძოდ, **„ოცნების“ რესპუბლიკური ფრთა თითქმის გაემიჯნა თანაგუნდელს**, თუმცა, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი ქ-ნი **ბესელია ფიქრობს, კობა დავითაშვილის ლოყაც და ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიც თანაბრად სათუთად დასაცველია** (სამწუხაროდ, თეა სიჭინავას ფაქტორი არც ერთ მხარეს არ გახსენებია).

ყველაფერი კი ასე იწყებოდა: ბ-ნმა **დავითაშვილმა** (რომელმაც, უდავოდ, არაკორექტულად მიმართა ბ-ნ რატიანს, რამაც ეს უკანასკნელი ჭიქაზე ჯავრის ამოყრის იშტაზე მოიყვანა) **კოლეგა რატიანს შეახსენა, რომ ის სამჯერ კინაღამ მოკლეს**, 2007 წელს კი ელიავას ბაზრობის ტერიტორიიდან **გაიტაცეს, სცემეს და რამდენიმე დღე გადამალული ჰყავდათ**, რაზეც პასუხად მიიღო, რომ **ამას არც მნიშვნელობა აქვს და არც სალაპარაკოდ ღირს**.

თუ ბ-ნი **რატიანის ამ პოზიციას დავუმატებთ** ქ-ნი **ჩიორა თაქთაქიშვილისთვის ხელის შეხების ფაქტის გამო „ნაციონალურ“ აღშფოთებას**, მეორე მხრივ კი, გავიხსენებთ **იმ ძალადობის მორევს, რაც ბოლო 8 წლის განმავლობაში ხდებოდა**, ჩნდება **გონივრული ეჭვი, რომ „ნაციონალური“ მუშტი ღვთის წყალობაა, ყველა დანარჩენის – კრიმინალი**.

# კეთილებით შეწუხებული

## ანუ, ვის ძმარავს



**რაკი ორივენიცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები ვართ**, თუ **ხარისხი წესრიგშია, რფ-ს მაინც მოუწევდა ქართული პროდუქციის მიღება საკუთარ წიაღში** (ხოლო, თუ დაიწუნებს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაც აქვეა საჩივლელად). დიდი ალბათობით, სწორედ **ამან გადააწყვეტინა გაკეთილება რუსეთის მთავარ სანიტარსაც** და **არანაკლებ – პრეზიდენტ** ვლ. **პუტინსაც, თუმცა, ჩვეულება მაინც ვერ მოაშლევინა.**

**ავანსცენაზე ახლა უკვე პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი გამოჩნდა** და თავისი სიტყვაც შეგვაწია: **მისი აზრით, ქართული ღვინის დაბრუნება ხელს არ შეუშლის ადგილობრივი წარმოების განვითარებას**. არ შეუშლის, ვინაიდან, **„ღვინის მწარმოებელი რეგიონები დახურული იქნება საექსპორტო ღვინისთვის“.**

შესაბამისად, **პატ. დიმიტრი ვარაუდობს,** რომ **რეგიონების ხელმძღვანელები უახლოეს პერიოდში მიმართავენ პრეზიდენტს წინადადებით**, მათი გადასაწყვეტი გახდეს, **შეუშვან თუ არა ქართული ღვინო თავიანთ ტერიტორიებზე**.

ასეთ რეგიონებად კი მოიაზრება: **კრასნოდარი, სტავროპოლი, დაღესტანი, ჩეჩნეთი და,** რა თქმა უნდა, **სოჭი**. რაც მთავარია, ამ **ჩამონათვალში აფხაზეთიც მოხვედრილა.**

**ნაპრეზიდენტალის რწმენით, ყველა ეს რეგიონი დაზარალდება, თუ ადრე აკრძალული პროდუქცია მასობრივად განთავსდება დახლებზე**. სამაგიეროდ, **ფართოდ გვიხსნის კარს** რფ-ის იმ რეგიონებში, სადაც ღვინის წარმოება შეუძლებელია, სახელდობრ, **ჩუკოტკა-იაკუტიაში**. იქვე კი დასძენს, რომ იქ **„ქართულ საექსპორტო ღვინოს თავისუფლად შეიტანენ, რადგან, ალტერნატიული და იაფფასიანი ალკოჰოლური სასმელი კარგად გაიყიდება** (აშკარაა, **პატ. დიმიტრის მოძველებული ინფორმაცია აქვს**, ვინაიდან, **ჩვენი ღვინო კარგა ხანია, შეთამაშებულია ევროსტანდარტებს**)“.

ერთი სიტყვით, **რფ-ის პრემიერ-მინისტრმა გაგვაფრთხილა, ბევრს ელოდით, მაგრამ, ვერ მოგართვითო** („სავარაუდოდ, ქართული



მხარე მეტს მოელოდა, ვიდრე ჩვენ ვთავაზობთ მათ, მაგრამ, **ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს სამშობლოს საჭიროებები“).**

თუ გავიხსენებთ, რომ **რფ-ის ბაზარზე უამრავი ქვეყნის ღვინო იყიდება** და, **გამორიცხულია, რეგიონებში მათი გაყიდვა იზღუდებოდეს**, ჩნდება ეჭვი, რომ **პატ. დიმიტრის,** ცოტა არ იყოს, **ძმარავს,** თუმცა, მეორე მხრივ, **კარგ სამსახურსაც გვიწევს**: გულითაც რომ გსურდეს, **არ დაგავიწყებს, რომ მისი ნდობა დამღუპველია.**

# ფარული მეტრფე

## „ლაივის“ მოყვარულები

ჯერჯერობით საქართველოს მთავარი **პროკურატურის საქმიანობა იმით ამოიწურება, რომ ყოფილ და მოქმედ ბობოლ-ბოლოოლა ჩინოვნიკებს დასაკითხად იბარებენ**. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ **მოქმედები** (ბ-ნები უგულავა, საყვარელიძე, ღვინიაშვილი) **მიპატიჟებაზე წიხლს უკრავენ**, აშკარაა, რომ **„ნაციონალური მოძრაობის“ მსხვილ-მსხვილი წარმომადგენლები პროკურატურას „სოვსემ ნე უვაჟაიუტ“.** რასაც **ვერ დავწამებთ,** მაგალითად, ბ-ნ **მერაბიშვილს**.



ეს უკანასკნელი **დაკითხვაზე მესამედაც გამოცხადდა** და **არც მხარდამჭერების მობილიზაცია გასჭირვებია** (ან კი **რა გაუჭირვებდა, როდესაც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტ-კოორდინატორებით ყოფილა სავსე დასუფთავების სამსახური რაა,** ისიც კი) და დაკითხვაზე შესვლამდე **არც პოლიტიკური განცხადებები დაუმადლებია** (თუ როგორ დარჩნენ პირველ ოქტომბრამდე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები დაუსაქმებლად, და მერე რა, რომ ამ ჩვენს ქვეყანაში, სტატისტიკური მონაცემებით, დაქირავებით დასაქმებული სტაბილურად 600 000-ადამიანია).

მეტიც, საკუთარი **განცდებიც გაგვიზიარა** (მოვიხმობ ციტატას მეტი ხატოვნებისთვის): **„არ დამეზარება, შევალ და დავათვალიერებ ჩვენ მიერ აშენებულ ამ მშვენიერ შენობებს, სადაც ახალი ხელისუფლების ნათესავები და ოჯახის წევრები არიან დასაქმებულნი** (თუმცა არა მხოლოდ პროკურატურის, ციხეებიც მათ მიერაა აშენებული).“

მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო უწყებებში, ძირითადად, **აქამომდეც** (და არც ახლაა უამისობა) **ხელისუფლების ნათესავები და ოჯახის წევრები საქმიანობდნენ** (კონკურსები გულუბრყვილო საზოგადოების არანაკლებ გულუბრყვილო თვალისთვის წყლის დასალევინებლად იყო გამიზნული), **წესით, არც უნდა გაჰკვირვებოდა**.

ბუნებრივია, **არაფერი ვუწყი პროკურატურის ტაქტიკის შესახებ** (დაკითხვებზე უთავბოლოდ დაბარება-გამოშვებებს ვგულისხმობ), თუმცა, **თუ გავიხსენებთ,** რომ, მაგალითად, ბ-ნი **მერაბიშვილი აგერ უკვე მესამედ დაიბარეს**, არც ის არის გამორიცხული, **ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და თავის დროზე შეუცვლელ შს მინისტრს პროკურატურაში ფარული მეტრფეც ჰყავდეს** და მისი „ლაივში“ ნახვა უხაროდეს.

# „მზეთუნახავთა“ დაბრუნება

## საზოგადოებასთან არურთიერთობის მავნებლობა

ისე მოხდა, რომ ჩვენს სამშობლოში **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ძირითად ფუნქციად ჩინოვნიკთა საზოგადოებასთან არურთიერთობა იქცა**. ეს **მავნე ტრადიცია პირველი ოქტომბრის შემდეგაც გრძელდება** (მიუხედავად **მინისტრებისა და ამ სამსახურების ხელმძღვანელების გვარ-სახელების შეცვლისა**).

მაგალითად, **ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი** ქ-ნი ბოდოკია **აცხადებს, რომ დაზღვევის საკითხზე** (რასაც თითქმის მთელი საქართველო ელის, ვინაიდან, უწამლობითა და უექიმობით სიცოცხლე უმოკლდება) **მხოლოდ მინისტრმა უნდა ისაუბროს** (ასე გადავწყვიტეთო), **მასთან შეხვედრა კი მხოლოდ ბრიფინგზე შეიძლება,** სადაც, მოგეხსენებათ, **ჰა და ჰა, ორი კითხვა დასვა**, იმიტომ რომ, კითხვები სხვებსაც აქვთ, **რაც, თავისთავად, გამორიცხავს ამომწურავი ინფორმაციის მიღებას** (აქვე უნდა ითქვას, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრი ის გამონაკლისია, რომელიც თვით პოსტრევოლუციურ საქართველოშიც კი გამონაკლისი იყო და სოფლის მეურნეობის სამინისტროც მოწადინებულია ინფორმაციის გასაცემად).

ამის პარალელურად, **არც დანარჩენი უწყებების მინისტრები არიან ხელმისაწვდომ დისტანციაზე**: მათი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელები **ერთხმად** (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა) **იმეორებენ, რომ გადაწყვიტეს, მინისტრები და მოადგილეები ჟურნალისტებს რაღაც პერიოდის განმავლობაში არ შეახვედრონ** (ხოლო, თუ კარგად მოიქცევით, ბრიფინგებზე შეგახედებთო).

რაც მთავარია, **ტელეფონიც გამორთული აქვთ – ხან სადილობენ, ხანაც გითიშავენ** (ბუნებრივია, **მოგვიანებით დარეკვის ჩვევა არ გააჩნიათ**, რაც კიდევ უფრო **აძლიერებს ეჭვს, რომ მათი მისია საზოგადოებისა და უწყებების ნებისმიერ ფასად დაშორებაა**).

თუ გავითვალისწინებთ, რომ **ხსენებულ სახელმწიფო მოხელეებს ჩვენი ჯიბიდან ვაფინანსებთ** (სხვათა შორის, **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები მრავალშტატიანია** და, **თუ მისი ხელმძღვანელი მოუცლელია, ეს მისივე არაეფექტიანი მენეჯმენტის ბრალია**, ესე იგი, **საქმეს ჯეროვნად ვერ უძღვება**), ისევე, როგორც **მათ მინისტრებს** (ზედაც, დავამატებთ, რომ **არც პრემიებს იკლებენ**), აშკარაა, რომ **თანამდებობისთვის შეუფერებლად იქცევიან.** თუმცა **შეუცვლელი არავინაა.**

მით უფრო, რომ **„მზეთუნახავ“ მინისტრებს**, თავის **საზოგადოებასთან არურთიერთობის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი თანამშრომლების გარემოცვაში**, ბოლო **9 წელი თვალმოუშორებლად ვუცქერდით!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია


Apifito PHARM

# ბალზამი პრომიოდი

100% ნატურალური პროდუქტი !



როცა
თვით
ბუნება კურნავს...

## ბალზამი „პრომიოდი“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით მოცული კარპატის მთები, რომელსაც უმღერიან ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არამხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. კარპატის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.

ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში. მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა – ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის. და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ კარპატებში. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომიოდი“. იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.

ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია თავისთავად.

მის შემადგენლობაში შედის: თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი. პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს“.

მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაპატენტებულიტექნოლოგიით ურთულესი დამუშავების გავლისშემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაოგნებელ შედეგებს იძლევა დაალადგენს ჩვენს ორგანიზმს. ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს თავიანთ დაავადებებთან გამკლავებაში. მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმების დროს.




ბალზამი „პრომიოდი“ ხელ ს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორიცაა იშემია, არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის ხტომების დროს. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავის ტკივილს, ასტაბილირებს წნევას, შველის სახსრებში ტეხვისას, და მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპრატის მრავლობითი დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტი, მალებშორისი თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომიოდი“ არბილებს სისხლძარღვთა კედლებს, ხდის მათ უფრო ელასტიურს, და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომიოდი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის თავის ტრამვის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ. კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), შაქრიანი დიაბეტი.

„პრომიოდი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრიპი, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰაიმორიტი, პაროდონტოზი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი, და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასთმა, ბრონქიტი, პნევმონია, პროსტატიტი და ა.შ.)

Apifito PHARM

# ზეთი ჟივიცა

100% ნატურალური პროდუქტი!

## ზეთი „ჟივიცა“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

გვსურს გაგაცნოთ ორგანიზმის გაწმენდა-გაჯანსაღების უნიკალური სრულყოფილი სისტემა, სახელწოდებით „ციმბირული განწმენდა“, რომელიც სათავეს იღებს ჯანსაღი სულის მქონე რუსული ტაიგიდან. სისტემა საუკუნეების მანძილზე შემოწმებულია ციმბირის ტაიგის მცხოვრებთა მიერ, რომლებიც ყოველთვის სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი დევგმირული ჯანღონით.დღეს ლეგენდარული „ციმბირული ჯანმრთელობა“ ხელმისაწვდომია ნებისმიერისათვის, ვისაც სურს აღადგინოს და გაიკაჟოს ორგანიზმი, გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა და ზრუნავს საკუთარ თავზე და თავის ახლობლებზე.„ციმბირული განწმენდა“ მეტად მარტივია, მისი ჩატარება არ ახდენს სტრესულ გავლენას ორგანიზმზე, თუმცა რბილად და ქმედითად რთავს წმენდა-გაჯანსაღების პროცესს უჯრედულ დონეზე. შედეგი არის ორგანიზმის თითოეული უჯრედის გენეტიკური ჯანმრთელობის აღდგენა. გამოყენების დასაწყისშივე აღინიშნება მწვავე სიმპტომებისა და ტკივილის გაქრობა. „ჟივიცას“ შემადგენლობაში, კედარის ფისით გამდიდრებული კედარის ზეთის გარდა, შედის დინდგელი და ქაცვის ზეთი. „ჟივიცა პლუსის“ თითოეული მდგენელი თავისთავად მარგებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, და ამასთან ერთად ჰარმონიულად შერჩეულ სხვა კომპონენტთან ერთად აძლიერებს (ან, როგორც ექიმები იტყვიან, პოტენცირებს) მის მოქმედებას.ამ კომპონეტთა მარგებელი თვისებების მხოლოდ ჩამოთვლა დაიკავებდა მთელ საგაზეთო გვერდს. მათ საფუძველზე შექმნილ ზეთს შეიძლება უნივერსალური ეწოდოს ადამიანის ორგანიზმზე თერაპიული ზემოქმედების კუთხით.„ჟივიცა“ ღირებულ დახმარებას უწევს დასუსტებულ გულის კუნთს - მისი გამოყენება მიზანშეწონილია როგორც პროფილაქტიკის საშუალება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, ასევე კომპლექსური თერაპიისას არითმიის, იშემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის დროს. ზეთი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აღადგენს კაპილარების ელასტიკურობას, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანოებისა და ქსოვილების სიღრმისეული სისხლით მომარაგება. შედეგად უმჯობესდება სისხლის მიკროცირკულაცია მთელ ორგანიზმში, მცირდება ინფარქტებისადა ინსულტების რისკი, მსუბუქდება მდგომარეობა ვარიკოზებისა და თრომბოფლებიტების დროს.წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ანემიისას, ღვიძლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების დროს.ზეთის ერთჯერადი გამოყენება გვაშორებს გულძმარვის მსუბუქ ფორმას, მუდმივი - კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს.




„ჟივიცას“ სამიზნეა დისბაქტერიოზი, ქრონიკული კოლიტი, პანკრეატიტი, ჰეპატიტი, შარდკენჭოვანი დაავადება, ცისტიტი, ბუასილი.„ჟივიცას“ გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული თვისებები და ნაჩვენებია მიკოზების (სოკოვანი დაავადებების), ჰერპესის, დერმატიტების, ფსორიაზის, ნეიროდერმიტის, ეგზემის, დამწვრობების, ჭრილობების, მოყინვის მკურნალობისას. საშუალების ადგილობრივი გამოყენება უზრუნველყოფს ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს, და ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს „ჟივიცა“ ასევე საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის აღმოფხვრისას, ქუსლის დეზით დაწყებული და ართროზებით, ართრიტებით, რადიკულიტითა და ხერხემლის თიაქარით დამთავრებული.„ჟივიცა“ ახდენს ზოგადგამაკაჟებელ მოქმედებას, აწესრიგებს წნევას, ამცირებს მეტეოდამოკიდებულებას, შესაძლებელია მხედველობის გაუმჯობესება, მათ შორის გლაუკომის დროს.მიღებულია კარგი შედეგები ბალზამის ჩართვისას ენდოკრინული დაავადებების, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიისა და შაქრიანი დიაბეტის კომპლექსურ თერაპიაში.ზეთი აწესრიგებს რეპროდუქციული სისტემის მუშაობას. მამაკაცებმა უნდა გამოსცადონ მისი მარგებელი ძალა პროსტატიტის, ადენომის, პოტენციის დაქვეითების დროს.პრეპარატები უძველესი რეცეპტების საფუძველზე უმჯობესდებოდა, და არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს პოპულარობა ექიმებს, მკურნალებსა და ავადმყოფებს შორის. აი „ჟივიცაც“ ათწლეულზე ნაკლებ ხანში იქცა ლეგენდად, ათასობით ადამიანს დაეხმარა სნეულების დაძლევასა და ახალგაზრდობის

დიდი მადლობა "ქივიცას" ზეთისათვის, ბალზამ "პრომიოდისთვის" რომელიც უბრუნებს ჯანმრთელობას დედაჩემს. იგი 84 წლისაა, აქვს ბევრი დაავადება. ყველაზე დიდი პრობლემა იყო ვენების ვარიკოზული გაგანიერება და სველი ეგზემა ფეხებზე. ფეხები ჰქონდა გალურჯებული, წყლულები ძალიან ცუდად უხორცდებოდა. გარდა ამისა, აწუხებდა ბუასილი და ხშირი ყაბზობა. მან უკვე მიიღო 3 ქილა "ქივიცას" ზეთი, სვამდა და ისვამდა ფეხებზე. ერთ თვეში დედამ იგრძნო შვება, ბუასილი მოურჩა, წყლულები შეუხორცდა, კანი უფრო ღია ფერის გაუხდა, კუჭის მოქმედება მოუწესრიგდა, საერთო მდგომარეობა უკეთესია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!

ლობჟანიძე თამარის შვილი. ქ. თბილისი



გადატანილი მაქვს სამი ინფარქტი, მაწუხებდა სტენოკარდია, გულის იშემიური დაავადება. აღმართშიცვერ ავდიოდი, სტენოკარდია მახრჩობდა, ძალიან ცუდი მდგომარეობა მქონდა - და ეს ყველაფერი ნერვების გამო, მე ხომ ცოლი დავასაფლავე. ახლა კი გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს „ქივიცას" ზეთის და ბალზამ "პრომიოდის"წყალობით. შემიძლია მშვიდად აღმართზე ავიდე კი არა, ფეხითაც გავისეირნო დიდ მანძილზე. გული აღარ მაწუხებს, აღარც სტენოკარდია მახრჩობს, ქოშინმაც გამიარა. ძალიან კმაყოფილი ვარ, ამიტომაც ისევ მოგაკითხეთ. დიდი მადლობა!

გიორგაძე გიორგი. 65წ. თბილისი.



გამარჯობა, ჩემო გადამრჩენელებო! "ქივიცას" ზეთის და მალზამ "პრომიოდის" წყალობით მოვიშორე ფსორიაზი და პოლიართრიტი. ხელის თითები გასიებული მქონდა, მტანჯავდა ძლიერი ტკივილები. ვისვამდი მალამოებს, ვიკეთებდი საფენებს, მაგრამ დიდად არ მშველოდა. "ქივიცას" ზეთის მიღებით დამიამდა ტკივილები და ნელ-ნელა გამიარა ფსორიაზმა. ზეთს ვიღებ რეგულარულად და მხნედ ვგრძნობ თავს, არაფერი მაწუხებს. დიდი მადლობა თქვენ!

ანთაძე ლია 74წ. ქ. ბათუმი

ასაკოვანი კაცი ვარ და მაწუხებდა პროსტატიტი. ოპერაციაზე უარი ვთქვი. ვწვალობდი, ხშირად ვდგებოდი ღამით. თანაც მაქვს სახსრების ართროზი, მოძრაობის დროს ძლიერ მტკიოდა მუხლები. მქონდა პრობლემები საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე, ძლიერი ყაბზობა. დავიწყე "ქივიცას" ზეთის და ბალზამ "პრომიოდის" მიღება. პროსტატიტი გაცილებითნაკლებად მაწუხებს, ღამე კარგად მძინავს და აღარ ვდგები. გამიქრა სახსრების შესიება და ძლიერი ტკივილი. კარგად მუშაობს კუჭ-ნაწლავი. გამოვიყენე ზეთის 3 კურსი და გავაგრძელებ მის მიღებას. მადლობა!



სიჭინავა გიორგი. 58წ. ქ. თბილისი

მაქვს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. მუდმივად მაწუხებდა ღამის და „მშიერი" ტკივილი, რომლის დროსაც უნდა რამე მეჭამა ამ ჯოჯოხეთური ტანჯვის შესამსუბუქებლად. ერთ-ერთი ხშირი სიმპტომი, რაც მაწუხებდა, იყო გულმმარვა, რომელიც ჩვეულებრივ მეწყებოდა ჭამიდან 2-3 საათში, გულისრევა, ღებინება, „მჟავე" ბოყინი, მეკრულობა. 80-იან წლებში მოვახერხე ამ წყლულის მოშუშება მაჩვის ქონის მეშვეობით, თუმცა საპენსიო ასაკთან მიახლოებისას წყლული კვლავ გამეხსნა და ისევ ტკივილს მაყენებდა. წამლები, რომლებსაც ვიღებდი, არ მაძლევდა შედეგს და მხოლოდ ამძიმებდა ჩემს მდგომარეობას. „ქივიცას" ზეთის და ბალზამ "პრომიოდის" მდიდარმა შემადგენლობამ წარმოუდგენელი მოქმედება მოახდინა ჩემს სნეულებაზე. ახლა ვჭამ ბევრ პროდუქტს, რომლებიც ადრე მქონდა მკაცრად აკრძალული, არ მაწუხებს ტკივილები მუცლის ღრუს არეში, ვცხოვრობ სავსე ცხოვრებით და არ ვფიქრობ ავადმყოფობაზე!

ებრაელიძეძე მარინა. 50 ქ.თბილისი.

ახლახანს გადავიტანე ინფარქტი. მქონდა ჩხვლეტა და ტკივილი გულმკერდში, მიჭირდა სუნთქვა, ვერ ვიძინებდი. ყოველდღე მიწევდა წნევა, ვსვამდი ბევრ წამალს, არ მქონდა მადა. ჩემმა შვილმა მიყიდა "ქივიცას" ზეთი. ორი კურსის (6 ქილა) შემდეგ გამიქრა გულმკერდის ტკივილები და მომატებული წნევა, აღმიდგა ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობა, დამიამდა ტკივილი, გამიქრა სიმძიმე და გულისრევა, გამიჩნდა კარგი მადა. მომემატა ენერგია, ბევრს ვმოძრაობ, ვმუშაობ აგარაკზე. მადლობას მოგახსენებთ!

მაისურადზე გიორგი. 53წ. ქ. თბილისი

წლობით მაწუხებდა გული, მომივიდა 2 ინფარქტი, მაქვს ინვალიდობის II ჯგუფი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე. მქონდა არითმია, ქოშინი, მაღალი წნევა. ვსვამდი უამრავ წამალს. ორი თვის წინ გაზეთში წავიკითხე "ქივიცას"და "პრომიოდის" შესახებ. ეს თითქოს ჩემთვის იყო შექმნილი. იმის შემდეგ ვიღებ ამ ზეთს. მომიწესრიგდა წნევა, ამეწყო საჭმლის მონელება, მომივიდა ძალა და ენერგია. შედეგები მეტად მახარებს.

მარინე კოკოძე. 63 წ. ქ. ქუთაისი


## „პრომიოდი"-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

**ქ. თბილისი,** ბაქტრიონის 22
19,20,21,22,23,24,25 თებერვალი 5,6,7,8,9,10,11 მარტი 15:00-დან 17:00-მდე

**ქ. თბილისი,** ვარკეთილი -3,2- მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოსსესილია თაყაიშვილის 1. (167 მარშუტკის ბოლო გაჩერება, ავერსის აფთიქის თავზე)
**ყოველდღე** 10.00-20.00 საათამდე

**ქ. თელავი,** 26 მაისის ქ. 5, ჭადრაკის სახლი, ვეტერანთა სასახლე
23 თებერვალი 9 მარტი 11:00-დან 12:00-მდე

**ქ. რუსთავი,** ჟ. შარტავას 13, მი. ტერიტორია, სადღ. ცენტრი "ბაო"
24 თებერვალი 10 მარტი 12:00-დან 13:00-მდე

**ქ. მარნეული,** შ. რუსთაველის 24, რესტორანი "თეთრი სახლი"
25 თებერვალი 11 მარტი 12:00-დან 13:00-მდე

**ქ. ბათუმი,** ზუბალაშვილის 18,ძველი პალინინის ქ. სასტუმრო "თიკო"
26 თებერვალი 12 მარტი 11:00-დან 12:00-მდე

**ქ. ფოთი,** 9 აპრილის ხეივანი 10 სადღესასწაულო ცანტრი "ბალუ"
26 თებერვალი 12 მარტი 14:00-დან 15:00-მდე

**ქ. ზუგდიდი,** გამსახურდიას (კ/თ "ატრიუმი")
26 თებერვალი 12 მარტი 17:00-დან 18:00-მდე

**ქ. ქუთაისი,** კოსტავას ქ. 25, სასტუმრო "ლია"
27 თებერვალი 13 მარტი 11:00-დან 12:00-მდე

**ქ. გორი,** სტალინის გამზ. 26 სასტუმრო "გეორგია"(სტალინის სახ. მუზ. წინ)
27 თებერვალი 13 მარტი 16:00-დან 17:00-მდე

**ქ. ახალციხე,** კოსტავას 4/24 ბარი "სტუმრად ნუკისთან"(თ. მეფის ძეგლის უკან ეკლესიასთან)
28 თებერვალი 14 მარტი 12:00-დან 13:00-მდე

**ქ. ბორჯომი,** შ. რუსტაველის 101ა სასტუმრო"ოლიმპი"(სტადიონთან)
28 თებერვალი 14 მარტი 14:00-დან 15:00-მდე

**ქ. ხაშური,** კოსტავას 6, აფთიაქის ძველი კინოთეატრის წინ
28 თებერვალი 14 მარტი 14:00-დან 15:00-მდე

ბალზამი "პრომიოდი" ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა - 2 შეფუთვა
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

ზეთი "ქივიცა" ერთი შეფუთვის ფასი: 31.60 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 28.60 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მიღების კურსი - 3 შეფუთვა.
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

საინფორმაციო:
www. apifito.net
571 22 98 98

**ულმობელი სტატისტიკაა, რომ სოფლად საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტია დასაქმებული და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტამდე ძლივს აღწევს. მეტიც, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი სამჯერ აღემატება ექსპორტს. ამ ვითარების გამოსასწორებლად წინასწარვე იყო ცნობილი, რომ მილიარდიანი ფონდი შეიქმნებოდა. როგორც ამბობენ, ის უკვე შეიქმნა და პირველ შედეგებს გლეხები გაზაფხულიდანვე იგრძნობენ. კონკრეტულად როგორ აისახება ქვეყანასა და მოსახლეობაზე ფონდის მუშაობა და სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ქცევა, – თემას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, შალვა ფიფია განგვიმარტავს.**

# რა დახმარებას მიიღებენ გლეხები მცირე ფერმერთა ხელშეწყობის საგაზაფხულო პროგრამით და როგორ უნდა გაანაღდონ სასოფლო-სამეურნეო ბარათები



**შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი მარტიდან დაიწყება: საწარმოები მიიღებენ საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს საბრუნავი კაპიტალისთვის, საშუალოდ 3-პროცენტიანს**

**– თანხის ოდენობა შთამბეჭდავია, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა, კონკრეტულად, რას მოხმარდება ეს თანხა?**

– წელს სოფლის მეურნეობაში, საერთო ჯამში, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო თანხებიდან 700 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება და ამ თანხებს მხოლოდ 2013 წელს ავითვისებთ.

**– თანხების ხარჯვის სტრუქტურა როგორია?**

– ამ 700 მილიონი ლარიდან განხორციელდება არასაბიუჯუტო და საბიუჯეტო პროექტები. გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება: მათ შორის, ირიგაციისა და დრენაჟის, რადგან კატასტროფული სიტუაცია დაგვხვდა დარგში, როდესაც მოვედით. პოტენციალური 280 ათასი ჰექტრიდან, რომელიც შეიძლება თვითდინებით მოირწყას, მხოლოდ 24 ათასი ჰექტარი ირწყვებოდა. პრობლემა იყო ის, რომ გარკვეული თანხა იხარჯებოდა არაფუნქციონირებადი არხების რეაბილიტაციაში, მაშინ, როდესაც მოქმედი არხების ექსპლუატაცია-რეაბილიტაციისთვის თანხა თითქმის არ იხარჯებოდა. მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ირიგაციასა და მელიორაციაზე 64 მილიონი ლარი მიიმართება, თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება არხების რეაბილიტაციას. ამას გარდა, ველით 50 მილიონი დოლარის კრედიტს მსოფლიო ბანკიდან და ეს თანხებიც ირიგაციასა და დრენაჟისკენ მიიმართება.

**– მიუხედავად 700 მილიონი ლარისა, მაინც გახდა მსოფლიო ბანკისგან სესხის აღება აუცილებელი?**

– ეს არის მიზნობრივი და შეღავათიანი სესხი: 40-წლიანი, 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდით და ნამდვილად ღირდა მისი აღება. ამას გარდა, ვმუშაობთ ჰოლანდიის მთავრობასთან და არის იმედი, რომ ისინი, დაახლოებით, 50 მილიონის საგრანტო თანხებს გამოყოფენ, რაც, ასევე, ირიგაციასა და დრენაჟს მოხმარდება. ამას გარდა: დამატებით შევიძენთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

**– ის ტრაქტორები სად არის, რომელთა ფონზეც გამოდიოდა ხოლმე პრეზიდენტი? არსებობს რეალურად?**

– ეს ტრაქტორები არსებობს, დაგვხვდა მემკვიდრეობად. მიუხედავად იმისა, არ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო აგროსერვისის მიმწოდებელი, ასეთია რეალობა, რაც დაგვხვდა. თუმცა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენი სურვილია, ეს ტექნიკა გადავიდეს კერძო საწარმოების ხელში, იმიტომ რომ კერძო სექტორის საქმეა აგროტექნიკით სასოფლო-სამეურნეო დარგის მომსახურება.

**– კერძო სექტორისთვის ხელის შეწყობას როგორ აპირებთ: თქვენ შეიძენთ, მათ დაურიგებთ თუ?**

– გვაქვს მიზანი, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა კერძო სექტორში გადავიდეს, თუმცა არ მგონია, რომ დავარიგოთ. ვმუშაობთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შექმნის მიმართულებით და ამ ტექნიკის გადაცემის ერთ-ერთი მექანიზმი იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მათი შეღავათიანი ლიზინგით გადაცემა. დღეს, სახელმწიფო შპს „მექანიზატორის“ გარდა, დაახლოებით, 30-მდე კერძო კომერციული ცენტრი არსებობს, რომლებიც დაფინანსებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ეს ცენტრები აგრძელებენ მუშაობას და ჩვენი სურვილია, ასეთი ცენტრების რაოდენობა გაიზარდოს. დაახლოებით, 150-მდე ასეთი ცენტრი სჭირდება ქვეყანას და მათ შეიძლება, ასევე, ლიზინგის წესით გადაეცეს ეს ტექნიკა, რომ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ.

**– ცნობილია, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ არ ჩატარებულა ნიადაგების აღწერა, თუმცა ვიცით, რომ დედამიწაზე არსებული 52 ნიადაგის ტიპიდან, 49 გვაქვს, მაგრამ ვიცით, რა მდგომარეობაშია ჩვენი ნიადაგები?**

– ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვაქვს პრობლემა მიწის საკუთრებაზე. როგორც კი მოვედით, ვცადეთ, მოგვეძიებინა ინფორმაცია მიწის მესაკუთრეებზე და აღმოჩნდა, რომ ჩვენი გლეხების, მაქსიმუმ, 30-პროცენტს თუ აქვს რეგისტრაციაში გატარებული თავისი მიწა, დანარჩენებს საბუთი, რომელიც მიწაზე მათ საკუთრებას განსაზღვრავს, უბრალოდ, არ გააჩნიათ.

**– აბა, მიწის გადასახადს როგორ იხდიდნენ?**

– ვისაც 2004 წლამდე 5 ჰექტარზე ნაკლები მიწა ჰქონდა, მიწის გადასახადს არ იხდიდა. შესაბამისად, მოგვიწია კარდაკარის პრინციპით მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწათმფლობელებზე ინფორმაციის მოგროვება, რომ არ დავხმარებოდით მხოლოდ მათ, ვისაც აქვს მიწაზე საკუთრების უფლება, რადგან ასეთი უფლება გლეხების მხოლოდ მეოთხედს თუ ექნება. კარდაკარის პრინციპით ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მოვაგროვეთ და შევქმენით საინფორმაციო ბაზა, რის მიხედვითაც დავეხმარებით მათ.

**– ნიადაგების მდგომარეობაზე გკითხეთ: ვიცით, რა გვაქვს და რაც გვაქვს, იმაზე რა მოსავალს უნდა ველოდოთ?**

– სამწუხაროდ, ძალიან მცირე რაოდენობის მიწა მუშავდებოდა. შარშან მხოლოდ 250 000-260 000 ჰექტარი მიწა დამუშავდა, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, დაახლოებით, მეოთხედია. იგეგმება მიწის ანალიზების ჩატარება, პროექტი შემუშავების პროცესშია.

**– რამდენი დაიხვნება წელს?**




## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

**ამზადებს სხვადასხვა პროფილის კადრებს:**

1. ტურიზმი, გიდი (I, II, III, IV საფეხური); 2. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) (II, III, IV, V საფეხური); 3. კორესპონდენტი (III საფეხური); 4. მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური).

**მიღების მოთხოვნები:**

ოთხივე სპეციალობისთვის აუცილებელია საბაზო, საშუალო ან არაფორმალური განათლების აღიარება, გასაუბრება უცხოურ ენაში; წინა საფეხურის დიპლომი.

ყოველ საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

სწავლა ახალი ნაკადისათვის დაიწყება ა/წ 20 თებერვალს.

**დირექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

საბუთების მიღება ყოველდღე 10.00-17.00 საათამდე.

**საჭირო საბუთები:**

1. ატესტატი (დედანი); 2. ოთხი ფოტოსურათი 3/4; 3. პირადობის მოწმობა.

## თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი

*აცხადებს ლიცენზირებულ დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიღებას (მობილობის წესით), შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა;
5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი (ინფორმატიკა).

**ორივე სასწავლებლის შესახებ ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა # 47. ტელ: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24.**

– ჩვენი ხელშეწყობის ძირითადი ჯგუფი არის ფერმერები, რომლებსაც აქვთ 0,25-ჰექტრიდან 1,25-ჰექტრამდე მიწა, თუმცა დახმარებას მიიღებენ როგორც 0,25 ჰექტარზე ცოტა, ისე მეტი მიწის მფლობელებიც. ისინი კი რომელთა მფლობელობაში 5 ჰექტარზე მეტი მიწაა, კომერციული ფერმერები არიან და მათ არ შეეხება საგაზაფხულო მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა.

**– გვითხარით, კონკრეტულად რა დახმარებას მიიღებენ 5 ჰექტრამდე მიწის მფლობელები მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამით?**

– გაიცემა ორი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ბარათი. ერთი – სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის, ხვნისა და გაფხვიერებისთვის. ეს არის ორი უნივერსალური სამუშაო, რომელიც ნებისმიერი კულტურის მომყვან ფერმერს სჭირდება. 0,25-დან 1,25 ჰექტრამდე მიწის მლობელები მიიღებენ ბარათს, რომელიც შეეძლებათ, გაანაღდონ როგორც შპს „მექანიზატორში", ისე კერძო ცენტრებში. ჩვენი მიზანი არ არის, რომ სახელმწიფო მივიდეს გლეხთან, ჩაუტაროს მომსახურება ან მისცეს რამე ნედლეული, ჩვენი მიზანია, ამ ადამიანებს მივცეთ ინსტრუმენტი, რომ მათ საკუთარი არჩევნით იყიდონ ნედლეული და მომსახურება ბაზარზე. ორშაბათიდან დაიწყება ამ ბარათების დარიგება, ხოლო მარტიდან დავარიგებთ ნედლეულის ბარათებს: პროპორციით, 1 ჰექტარზე 300 ლარის ოდენობით. ლაპარაკია სასუქის, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და თესლის შეძენაზე.

0,25 ჰექტარზე ნაკლები მიწის მფლობელები მიიღებენ უნიფიცირებულ სასოფლო-სამეურნეო ბარათს. 0,25-ზე მცირე მიწის ფართობზე არ არის მიზანშეწონილი ტექნიკის შესვლა, ამიტომ ისინი მიიღებენ 100 ლარის ღირებულების ბარათს. 1,25-დან 5 ჰექტრამდე მიწის მფლობელებიც მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლის ღირებულებაც 640 ლარი იქნება. ამ პროგრამების ფარგლებში ველით, რომ დამუშავდება 250 000 ჰექტარი მიწა.

**– ერთია, რომ დაეხმარებით გლეხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში, მაგრამ, თუ არსებობს კვლევა, სად რომელი კულტურა უნდა მოვიყვანოთ და შემდეგ, რასაც მოვიყვანთ, როგორ გავასაღოთ: მხოლოდ შიდა ბაზარი აითვისებს თუ რა გარე ბაზრების ათვისების პერსპექტივა გვაქვს?**

– სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში საქართველოს ყველა რაიონში ვქმნით საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს. ამდენად, თითოეულ რაიონში იქნება 4-6 კვალიფიციური აგრონომი, მათ „იუსადის" დახმარებით ჩავუტარეთ სპეციალური ტრენინგი და ამ ადამიანების პირდაპირი მოვალეობა იქნება, ერთი – ინფორმაციის ჩვენთვის მოწოდება, თუ რა და რამდენი დაითესა.

**– ანუ ჩვენ წინასწარ არ ვიცით, რა დაითესება?**

– გადაწყვეტილებას იღებს გლეხი. მას აქვს ინსტრუმენტი სასოფლო-სამეურნეო ცენტრის სახით, რომელიც გაუწევს კონსულტაციას.

**– ამას გეკითხებით, რა მონაცემებზე დაყრდნობით გაუწევს კონსულტაციას?**

– საქართველოში არსებობს აგრარული გამოცდილება და ფერმერებმაც ძალიან კარგად იციან, სად რა უნდა მოიყვანონ.

**– როდესაც ამბობთ, რომ ამ პროგრამის ფარგლებში დაიხვნება 250 000 ჰექტარი, სად ვარაუდობთ მოყვანილი პროდუქციის გასაღებას?**

– დღეს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო იმპორტი ექსპორტს 3-ჯერ აჭარბებს და სავსებით შესაძლებელია, რომ ამ დახმარების საფუძველზე ფერმერმა, რომელსაც უმცირდება საკუთარი წარმოების ხარჯი, ჩაანაცვლოს იმპორტული პროდუქცია თავის მიერ წარმოებული საკმაოდ ხარისხიანი პროდუქტით. მეორე მხრივ, ამ პროექტის პარალელურად, ვმუშაობთ საკრედიტო პროგრამაზე, რომელშიც მოიაზრება იმ სამუშაოების დაფინანსება, რაც მოსდევს მოსავლის აღებას: დაფასოება, დახარისხება, შენახვა, მაცივრები, მცირე და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

**– ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელი, მართლაც, ტრაგიკულია, მაგრამ იმპორტული იაფია, ჩვენი მოსახლეობა კი, თუმცა პირის გემო არ დაუკარგავს, ღარიბია და ამიტომაც ყიდულობს იმპორტულ პროდუქციას.**

**ისინი, რომელთა მფლობელობაში 5 ჰექტარზე მეტი მიწაა, კომერციული ფერმერები არიან და მათ არ შეეხება საგაზაფხულო მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა**

– როდესაც სახელმწიფო ფერმერს ფონდის მეშვეობით დაეხმარება, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს საწარმოო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს.

**– ანუ თქვენ ელით, რომ, რადგან რესურსს დებს სახელმწიფო, გლეხი პროდუქციის თვითღირებულების დათვლისას ამ კომპონენტს გამოაკლებს და ეს გააიაფებს ადგილობრივ პროდუქციას?**

– რა თქმა უნდა და შემდეგ ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ფასებს. ამას გარდა, ვმუშაობთ ხარისხის კონტროლის მიმართულებით, რომ უხარისხო პროდუქცია არ შემოვიდეს და ესეც შეუწყობს ხელს ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

ამას ემატება შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა, რითაც დავეხმარებით მცირე ფერმერებს, თუ მათ დამატებითი ნედლეული დასჭირდებათ.

**– კონკრეტულად?**

– გლეხს, თუ დამატებითი ნედლეული დასჭირდა, შეუძლია, მიიღოს კრედიტი, რომლის ეფექტური პროცენტი იქნება ნული. მაგალითად, თუ დამატებითი ნედლეულის საცალო ღირებულებაა 100 ლარი, ვთქვათ, პესტიციდების, იქნება ორი ოფცია: ერთი, რომ გლეხმა გადაიხადოს ეს 100 ლარი და იყიდოს და, მეორე, თუ ახლა არ აქვს ეს 100 ლარი, საკრედიტო ოფიცერთან დადოს ხელშეკრულება, აიღოს 100-ლარიანი პაკეტის პესტიციდი და შემოდგომაზე გადაიხადოს ისევ 100 ლარი. ანუ მისთვის პროცენტი არის ნული.

**– მოსავლის აღების შემდგომი პროცესის დასახმარებლად რას გეგმავთ?**

– შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი მარტიდან დაიწყება: საწარმოები მიიღებენ საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს საბრუნავი კაპიტალისთვის. საცავების, მაცივრებისა თუ დამფასოებელი საწარმოების მფლობელებს ექნებათ საშუალება, აიღონ შეღავათიანი და მოქნილი კრედიტი, საშუალოდ 3-პროცენტიანი, ხოლო ფერმერებისთვის საბრუნავი კაპიტალის გაზრდისთვის გამოყოფილი მცირეხნიანი კრედიტების მაქსიმალური პროცენტი იქნება 7. ვცდილობთ, მაქსიმალურად მოვიცვათ ყველა სეგმენტი.

**– ეს კრედიტებიც იმ 700 მილიონიდან გაიცემა?**

– არა, სახელმწიფოს საქმე არ არის კრედიტების ადმინისტრირება, თუმცა ჩვენ გვაქვს ამის ცუდი გამოცდილება. კრედიტების გაცემის გადაწყვეტილებას მიიღებენ კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებთანაც ჩვენ ვმუშაობთ. უბრალოდ, ფონდი ბანკებთან ერთად გადაინაწილებს რისკებს.

**– ანუ ფონდი უზრუნველყოფს კრედიტებს?**

– უზრუნველყოფს იმას, რომ კრედიტი იყოს შეღავათიანი. კომპლექსური სქემაა. მთავარია, ისე დავარეგულირებთ ამ ურთიერთობას ბანკებთან, რომ მათ შეეძლებათ ამ ფასში კრედიტების გაცემა.

**– კრედიტის უზრუნველყოფა რით მოხდება, მიწით?**

– უზრუნველყოფის საკითხი ბანკს ეხება, თუმცა ბანკს თავისთავად ექნება მოთხოვნა, რომ ფერმერის მხრიდანაც იყოს უზრუნველყოფილი კრედიტი. ისიც ფაქტია, რომ ჩვენთან ბანკები მიწას არ იგირავებენ, როგორც აქტივს და, სამწუხაროდ, პრობლემაა, რომ ამ ქვეყანაში მიწა ვერ ფორმირდა, როგორც აქტივი.

**– ტარანა თვლითაა, შესაბამისად, გექნებათ, ალბათ, დათვლილი, რას მოუტანს პერსპექტივაში ქვეყანას ამ 700 მილიონის დახარჯვა, იმას გარდა, რომ მე ხარისხიან პომიდორს და ატამს მივირთმევ?**

– 600 000-მდე ადამიანი მიიღებს საშუალებას, რომ ღირსეულად იცხოვროს და თავი იგრძნოს საზოგადოების ღირსეულ წევრად, მიიღოს შემოსავალი და ყოველდღიურ საფიქრელად არ ჰქონდეს, როგორ გამოკვებოს ოჯახი. მეორე, ეს არის კომპლექსური დახმარება, რომელსაც ვუწევთ ყველა სეგმენტს, სხვადასხვა პროდუქტით. ასევე, ვმუშაობთ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თემაზე, რაც ხელს შეუწყობს მიწების გამსხვილებას. ბევრმა ქვეყანამ გაიარა ეს ეტაპი და არც ჩვენ ვიგონებთ ველოსიპედს.

**– მთლიან შიდა პროდუქტში 10 პროცენტსაც ვერ აწარმოებს საქართველოს სოფლად დასაქმებული მოსახლეობა, რაც საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია. ეს 700 მილიონი რამდენით შეცვლის ამ მაჩვენებელს?**

– ამაზე უფრო სავალალო ის მაჩვენებელია, რომ ამ მონაცემში სამჯერ ნაკლები უჭირავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას. ესეც უნდა შეიცვალოს. შარშან, როგორც გითხარით, დამუშავდა 260 000 ჰექტარი, წელს კი, მხოლოდ ამ პროგრამით, 250 ათასი ჰექტრის დამუშავების იმედი გვაქვს. ასე რომ, ზრდა იქნება.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094

დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან



ზარი ფასიანია

**ბუნებრივად მოხდა, რომ „ოცნების“ ხელისუფლების პირველი სამი თვეც გავიდა და განვლილი პერიოდის შეჯამების დროც დადგა. მეორე მხრივ, ეს არა მხოლოდ „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პირველი 100 დღეა, არამედ „ნაცმოძრაობის“ ოპოზიციაში ყოფნის, ასევე, პირველი 100 დღე. როგორ აჩვენეს თავი ხსენებულმა პოლიტძალებმა თავ-თავიანთ ახალ როლებში, – ამ საკითხზე თავის მოსაზრებას მამუკა გიორგაძე გაგვიზიარებს.**

# რატომ ლაპარაკობს საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო შეხვედრებზე მხოლოდ ინგლისურად და რატომ რჩება საქართველოს პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქედ



**მთავრობა არ არის დაჯერებული თავის თავში და იქმნება შთაბეჭდილება, რომ არ ელოდებოდა ამ გამარჯვებას, იმიტომ რომ, თუ გამარჯვებას ელოდები, დაახლოებით მაინც იცი, რას გააკეთებ**

– პირველ ოქტომბრამდე ობიექტური სურათი იმდენად მძიმე იყო საქართველოსთვის, რომ მნიშვნელოვან გამოსწორებაზე საუბარი არათუ ასი დღის შემდეგ, 2 წლის შემდეგაც შეუძლებელი იქნება. ამიტომ მოლოდინი იმისა, რომ ვითარება სწრაფად შეიცვლება, არ უნდა არსებობდეს. ამდენად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ გააჩინა „ოცნებამ“ ილუზია, რომ მყისიერად მოგვარდებოდა ეს პრობლემები. სწრაფი გამოსწორების მოლოდინი არ უნდა გვქონოდა, მაგრამ ამ 100 დღეში ტენდენციები უნდა გამოკვეთილიყო და ჩვენ ტენდენციად ვერ მივიჩნევთ მხოლოდ და მხოლოდ დენის გაიაფებას ან გაზის მოსალოდნელ გაიაფებას. ობიექტურად ძალიან რთული იყო ვითარების სწრაფად გამოსწორება და ამიტომ ცოტა გაგებით უნდა მოვეკიდოთ ამას, თუმცა სიტყვა გაგებამ ცოტა ირონიული დატვირთვა შეიძინა ბოლო დროს.

**– თუმცა შეგვიძლია, არ მოვეკიდოთ გაგებით, აგერ არის ოპოზიციური ძალა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით და დენიც დაუბრუნდება თავის ძველ ნიშნულს და გაზიც.**

– ამიტომ, ამ კუთხით, ბუნებრივია, დადებითად უნდა შევაფასოთ ხელისუფლების 100 დღე, მაგრამ დგება მეორე საკითხი: ამ 100 დღეში უნდა გამოკვეთილიყო ფუნდამენტური საკითხების მოგვარების ტენდენციები, რაც არ მოხდა. დღესაც გრძელდება პრაქტიკა, რაც შევარდნაძე-სააკაშვილის პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი: გადაწყვეტილება მიიღება დახურულად, ამის შემდეგ უხსნიან საზოგადოებას და არცთუ დამაჯერებლად. სამწუხაროდ, არ ჩანს სურვილი, რომ საზოგადოების ფართო ფენები იყოს ჩართული გადაწყვეტილების მომზადებაში: როგორც მაშინ მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფები და კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციებია წარმოჩინებული. ფაქტობრივად, ვერ ნახავთ ახალ სახეს, უფრო ზუსტად, ისეთ სახეს, ვინც მანამდე არ ჩანდა. სამწუხაროდ, ეს ტენდენციები, დღეს თუ არა ხვალ, პრობლემას შექმნის, იქიდან გამომდინარე, რომ მთავრობას ასეთ მძიმე ვითარებაში მოუწევს არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება. ამდენად, ასეთი ჩაკეტილობა ხელისუფლებას, რომელიც საზოგადოების მართლაც უპრეცედენტო მხარდაჭერის ფონზე მოვიდა, საზოგადოებისგან გარიყავს.

**– ადრე არ ყოფილა და ეს მართლაც სიახლეა, მინისტრები ყოველკვირეულად მართავენ ბრიფინგებს, მაგრამ, ფაქტობრივად, შეუძლებელია პირისპირ გაესაუბრო მინისტრს ან მის მოადგილეს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალ ხელმძღვანელებს გამზადებული აქვთ პასუხი: ჩვენ გადავწყვიტეთ, ჯერჯერობით ინდივიდუალურად არ შევხვდეთ ჟურნალისტებს.**

– ფაქტობრივად, სახელისუფლო შტოები დეზორგანიზებული არიან, იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე არ იყო ჩამოყალიბებული და საზოგადოებისთვის მიწოდებული პროგრამები. ამიტომ პარალელურ რეჟიმში მიდის მიმდინარე საკითხების მოგვარება, პროგრამების წარმოჩინება, ფუნდამენტური და კონკრეტული თემების დამუშავება და ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია, ღიად თქვას ამ პრობლემების შესახებ, პრობლემებს ჩქმალავს, არადა, დღეს საზოგადოება მის მხარესაა.

ერთადერთი ახსნა ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, იმ სტრატეგიის ფარგლებში გააგრძელოს ცხოვრება, რა სტრატეგიაც მანამდე დაუსახა „ნაცმოძრაობამ“ ქვეყანას. არ ცდილობს, რომ ეს სტრატეგია ამხილოს, გამოიტანოს საზოგადოების სამსჯავროზე და მასში კორექტივები შეიტანოს.

**– ამისთვის, სულ მცირე, აუცილებელია, გქონდეს სხვაგვარი ხედვა. მინისტრების კანდიდატებთან მიმართებაში გაჩენილმა პრობლემამ დაბადა ეჭვი, რომ „ოცნება“ არ ელოდა გამარჯვებას და იმას, რომ მოუწევდა აღმასრულებელი შტოს დაკომპლექტება.**

– ჩნდება ასეთი ეჭვი. მთავრობა არ არის დაჯერებული თავის თავში და იქმნება შთაბეჭდილება, რომ არ ელოდებოდა ამ გამარჯვებას, იმიტომ რომ, თუ გამარჯვებას ელოდები, დაახლოებით მაინც იცი, რას გააკეთებ. „ოცნებას“ გარკვეულწილად აკლია თვითდაჯერებულობა. მაგალითად, ავიღოთ სამართლიანობის აღდგენა: თუ საქართველოში 200 პოლიტპატიმარია, მინიმუმ 200 პროკურორი, მოსამართლე თუ მოწმე ხომ არის დამნაშავე? ვაღიარეთ მათი პოლიტპატიმრობა, მაგრამ დამნაშავეები არ ჩანს. შეიძლება, ვინმემ მითხრას, რომ მხოლოდ სამი თვეა გასული, მაგრამ ამ სამ თვეში გარკვეული კონცეპტუალური პროგრამა მითხარი, როგორ აპირებ ამ პრობლემის მოგვარებას. მეორე საკითხი: ბუნებრივია, საზოგადოება ელოდება სამართლიანობის აღდგენას იმ კუთხითაც, რომ პასუხი მივიღოთ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ უკანონობებზე. აქაც კვლავ არათვითდაჯერებულ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე, რომელიც არცთუ მნიშვნელოვან დანაშაულებებზე იბარებს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს და, ფაქტობრივად, უკვე ლამის მარაზმში გადავიდა ეს დაბარება-გამოშვებები.

> **ვიღებთ სურათს, როდესაც ერთ თემაზე გველაპარაკება პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, ხელისუფლება, ჟურნალისტი, მაგრამ დოკუმენტურად სულ სხვა საკითხებზე იბარებენ ამ ადამიანებს**

**– არის კიდევ ერთი მომენტი: მაგალითად, ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ვერ მიაკვლიეს კაფეს ანაკლიაში, რომლის აგებაზეც ბიუჯეტიდან 12 მილიონი დაიხარჯა და საზოგადოების რეაქცია თითქმის ნულია. გაირკვა, რომ „ნაცმოძრაობის“ ყოფილი პარლამენტარები თუ მინისტრები და მოადგილეები დასაქმებულნი არიან მერიის სამსახურების სამეთვალყურეო საბჭოებში და იღებენ 5 000-7000 ლარს, საზოგადოება ისევ დუმს. იმის თქმა მინდა, ჩვენც, საზოგადოებასაც, ხომ არ გვაქვს პრობლემა?**

– უპირველეს ყოვლისა, ეს ჩვენი პრობლემაა. თან ეს არ არის მხოლოდ საზოგადოების პრობლემა, ეს არის თითოეული ინდივიდის პრობლემა, რომელიც დღესაც ვერ გავთავისუფლდით საბჭოთა ადამიანის ფსიქოტიპისგან.

**– ჰომოსოვეტიკუსი კვლავ ცოცხალია ჩვენში?**

– დავრჩით ჰომოსოვეტიკუსებად. ჩვენ არ ვართ მზად იმისთვის, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა ავიღოთ ამ ყველაფერზე და ვაკეთებთ იმას, რაც გარდაქმნის პერიოდიდან შემოგვთავაზა საბჭოთა კავშირმა, ვილაპარაკოთ ყველაფერზე, მაგრამ არ ავიღოთ ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა, იმიტომ რომ ამას უკვე თავისუფალი ადამიანი სჭირდება. დღეს ყველა ეთერიდან ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებიან „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებზე, მაგრამ ამის რეალიზება საბრალდებო დასკვნად არ ხდება. ვანო მერაბიშვილის ბიძა დააკავეს საბუღალტრო დოკუმენტებში შეუსაბამობის გამო, არადა, სატელევიზიო პროპაგანდა გვეუბნებოდა, რომ ეს არის კაცი, რომელმაც გაჩეხა საქართველოს ტყეები, რომელიც ატერორებდა რეგიონს, რომლის მითითებითაც პოლიცია იტაცებდა ხალხს და ასე შემდეგ. იგივე ჩოჩელი, რომელიც დაკითხვაზე დაიბარეს იმის გამო, რომ გაურკვეველ ვითარებაში მოედანი, რომელიც საჯარო სივრცეში უნდა განთავსებულიყო, მისი მეუღლის აგარაკზე აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ვიღებთ სურათს, როდესაც ერთ თემაზე გველაპარაკება პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, ხელისუფლება, ჟურნალისტი, მაგრამ დოკუმენტურად სულ სხვა საკითხებზე იბარებენ ამ ადამიანებს. მესმის, შეიძლება, არსებობდეს ტაქტიკა, მოდი, ნელ-ნელა შემოვიტყუოთ, თუ ითანამშრომლებს, ხოლო, თუ არ ითანამშრომლებს, მაშინ დავუმძიმებთ ბრალს.

**– ჯოკერს ინახავენ, რომ მოჯოკრონ, ან ქვეშ ამოუდონ?**

– დიახ და ამ ყოველივეს შედეგად მივიღეთ ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის სასამართლო პროცესიც უნდა იმართებოდეს და მის აკრძალვაზე უნდა ვსაუბრობდეთ, ჩამოყალიბდა ერთადერთ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალად, ერთადერთ იდეოლოგიის მატარებელ პოლიტიკურ ძალად, ეროვნულ პროდასავლურ ძალად, რომელიც, თურმე, მედგრად იცავს საქართველოს ინტერესებს და ამაში მას ხელისუფლებამ შეუწყო ხელი. და მე დღეს „ოცნება“ მეუბნება, რომ ერთადერთი პოლიტიკური ოპოზიციური ძალა არის „ნაცმოძრაობა“ და ჩემი ქვეყნის მშვიდობა დამოკიდებულია მათ ერთმანეთთან თანამშრომლობაზე, ესე იგი, დანაშაულებრივ ძალასთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მშვიდი ცხოვრება და მდგრადი საზოგადოებრივი გარემო. აი, ამას ვერ მივიღებ და ეს 100 დღე სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ თავის ადგილზე დაგვეყენებინა და რადგანაც ეს არ ხდება, ბუნებრივია, გვიჩნდება შეკითხვები: ეს შეცდომით, არაპროფესიონალიზმ-

# ვინ არის ქართველი ადვოკატი, რომელიც 4 000 ადვოკატს შორის „კაზანოვას“ ტიტულის მფლობელი გახდა

*ადვოკატ გრიგოლ გაგნიძეს საკუთარ საქმეზე შეყვარებულ და მაღალი კომპეტენციის „დიპლომატ“ ადვოკატად იცნობენ. 12 წლის განმავლობაში მის პროფესიულ ანგარიშზე ათობით წარმატებული საქმეა, თუმცა, ქართველ ადვოკატთა ასოციაციამ კოლეგისთვის კიდევ ერთი ტიტული არ დაინანა – ცოტა ხნის წინ გრიგოლ გაგნიძეს „კაზანოვას“ სტატუსი მიანიჭეს, რასაც თავად ადვოკატი, ჩვეული იუმორის წყალობით, საკმაოდ ხალისიანად შეხვდა.*

**გრიგოლ გაგნიძე**: ათ წელზე მეტია, რაც საადვოკატო საქმიანობაში ვარ ჩართული. ადვოკატთა ასოციაციის და ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი გახლავართ, რომელსაც ბატონი ზაზა ხატიაშვილი ხელმძღვანელობს. ჩვენი კომისიის დასკვნებით მოხვდნენ პოლიტპატიმართა სიაში ადვოკატები – გიორგი ექვთიმიშვილი და ტარიელ მურმანიშვილი, რომლებიც დღეს თავისუფლები არიან. ერთი წლის წინ ჩემს კოლეგებთან ერთად დავაფუძნე და ვხელმძღვანელობ არასამთავრობო ორგანიზაციას – „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიას”, რომელიც, ფრანგ პარტნიორებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად, ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავს. ჩვენი პრიორიტეტი არის ადამიანის უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტის ნორმებით. ჩვენი ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის დიდი ძალისხმევისა და ფრანგი პარტნიორების აქტიური ჩარევით, ჩვენ იურიდიული დახმარება აღმოვუჩინეთ ათეულობით ადამიანს.

**– მხოლოდ ადვოკატების უფლებებს იცავთ?**

– არა, რა თქმა უნდა. მე ვმუშაობ, საერთო სპეციალიზაციით, ძირითადად კი სისხლის სამართლის საქმეებზე. საერთოდ, ვფიქრობ, რომ, იმ სფეროში, რომელშიც მუშაობ, მთელი გული და მონდომება უნდა ჩადო. მე ძალიან მიყვარს და მთელი აზარტით ვაკეთებ ჩემს საქმეს.

**– 12 წელია, ადვოკატი ხართ, დღეს ერთ-ერთი ცნობილი და პოპულარული. არის საქმეები, რომლებიც განსაკუთრებულად გახსოვთ?**

– რა თქმა უნდა, ასეთი ბევრი იყო. მათ შესახებ ქართულ პრესაშიც დაწერილა, თუმცა, ჟურნალისტებს რომ გიყვართ „გატელევიზორებული” სკანდალები, ჩემი რაჭული ხასიათისა და სიდინჯის წყალობით, ასეთებში არ მოვხვედრილვარ ***(იცინის).*** ორი წლის წინ ვმონაწილეობდი სატელევიზიო პროექტში, ვაზაგაშვილის გახმაურებული საქმის სახალხო სასამართლოზე. საპრეზენტაციო საქმეს მოსამართლე მინდია უგრეხელიძე უძღვებოდა. სასამართლო პროცესზე ჩემი მოწინააღმდეგეები იყვნენ: ეკა ბესელია, გელა ნიკოლეიშვილი, მალხაზ ჯანგირაშვილი – არტილერისტები ადვოკატურაში. ისინი გარდაცვლილის ინტერესებს იცავდნენ, მეორე მხარე უნდა დაგვეცვა მე და ჩემს ძმას, ვ. გაგნიძეს, რომელიც, ასევე, ადვოკატია, მაგრამ ისე მოხდა, რომ მე მარტოს მომიწია გამოსვლა და ასეთი მაღალწონიანი ადვოკატების იერიშების მოგერიება. ძალიან საინტერესო პროექტი გამოვიდა. ლაშა ჩხარტიშვილმა ამ პროცესის შემდეგ „ეშმაკის ადვოკატიც” კი შემარქვა. სიმართლე გითხრათ, შინაგანი ტრანსფორმაცია ძალიან გამიჭირდა, რადგან, მე, რა თქმა უნდა, ვერ გამოვდგებოდი სააკაშვილის რეჟიმისა და დანაშაულის დამცველად ჩემი რეალური მრწამსის გამო, მაგრამ, ადვოკატის პროფესია ამის კანონიერ უფლებას გვაძლევს.



**– ახლა ერთ ამბავზე უნდა მიამბოთ: გავიგე, ქართველმა ადვოკატებმა „კაზანოვას“ ტიტული მოგანიჭეს.**

– ამ სახალისო ტიტულს ნამდვილად არ ველოდი. როდესაც ადვოკატთა შეხვედრისა და დაჯილდოების ცერემონიალზე ამერიკული „ფლეიბოის“ კადრებთან ერთად ჩემი ფოტოებიც დავინახე, თავიდან ვიფიქრე, რომ მეჩვენებოდა. ეს ტიტული ჩემთვისაც მოულოდნელობა იყო, თუმცა, ჩემი კოლეგების ამ „აღიარებაზე” მძაფრი რეაქცია არ მქონია. ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის, როგორი რეპუტაციის მამაკაცი ვარ, ის გარეგნული ელემენტები კი, რომელთა გამოც მე ეს სტატუსი მომანიჭეს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ჯენტლმენური დამოკიდებულების დამსახურებაა ქალბატონების მიმართ. ქალბატონს ისე არ დავემშვიდობები, ხელზე რომ არ ვეამბორო.

**– თქვენზე ამბობენ, თავის კლიენტს შეუყვარდაო.**

– ამ ისტორიას დაწვრილებით ვერ მოგიყვებით, რადგან, უხერხულია სხვის პირად განცდებზე საუბარი. მე მომიწია 24 წლის ახალგაზრდა ქალის ინტერესების დაცვა, რომელსაც მძიმე ფსიქოემოციური მდგომარეობა ჰქონდა. ჩვენი შეხვედრების დროს ყველანაირად ვცდილობდი, მისთვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა შემემსუბუქებინა, ვაძლევდი იმედს და რწმენას ვუბრუნებდი. ისე მოხდა, რომ ამ გოგონას ჩემ მიმართ გრძნობები გაუჩნდა. მას შემდეგ, რაც ის გათავისუფლდა, სიყვარულშიც გამომიტყდა და თავისი დაწერილი ლექსიც წამიკითხა, რომლის ადრესატი მე ვიყავი. „კაზანოვას“ ტიტული კი მომანიჭეს, მაგრამ, მთლად ასეც არაა საქმე, მაქვს ოჯახი, მყავს შვილები და ადამიანს თავგზას როგორ ავუბნევდი. ამიტომაც, კიდევ ერთხელ მოვირგე ფსიქოლოგის როლი და ჩვენ კარგ მეგობრებად დავრჩით ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

ით არის გამოწვეული თუ შეგნებული ნაბიჯებია.

**– შეთანხმების შედეგი?**

– კიდევ შეიძლებოდა, რომ არჩევნებამდე მოცემულობაში შუა გაკრეფილიყო, თუმცა ჩემთვის მაშინაც გაუგებარი იყო, მაგრამ დღეს რატომ უნდა გაიკრიფოს შუა?!

**– თუმცა შუაც უწყობს ხელს საკუთარ გაკრეფას.**

– მთელი უბედურება ისაა, რომ ამ შუაში გარკვეული ნაწილი სატელიტური ორგანიზაციებია, მაგრამ დღეს რატომ უწყობს ხელს „ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ იმაში, რომ მარტო დარჩეს ოპოზიციურ სივრცეში? ჩემთვის ეს ბადებს მნიშვნელოვან შეკითხვებს. რატომ უნდა გაიკრიფოს შუა და მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი ორგანიზაციები ჩანდნენ სამოქალაქო სიაში?! რატომ უნდა იყვნენ საკონსტიტუციო კომისიაში მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები წინა პლანზე წამოწეული?! რატომ უნდა ავყვეთ „რუსთავი 2-ის“ ტაქტიკას, რომელსაც ერთ მხარედ „ნაცმოძრაობა“ მიაჩნია და მეორე მხარედ – „ოცნება“, რატომ ჰყვება ამას „მეცხრე არხი“, „მაესტრო“, სხვა ტელევიზიები?! ეს აჩენს გარკვეულ კითხვებს და ნათელყოფს, რომ „ოცნებას“ გარკვეული არასრულფასოვნების კომპლექსი სტანჯავს. ის კომფორტულად გრძნობს თავს „ნაცმოძრაობასთან“, რადგან თავიანთ გარკვეულ ნაბიჯებზე პასუხისმგებლობა შეიძლება მოიხსნან იმით, რომ „ნაცმოძრაობას“ დანაშაულებები აქვს ჩადენილი.

**– კონკურენტუნარიანი გარემო არ იქმნება არსად: დანიშვნები ხდება ნაცნობობით, ისევ გრძელდება ფორმალური კონკურსები და არავინ იცის, კადრების დანიშვნისას „ოცნების“ თუ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი იღებს გადაწყვეტილებას.**

– დიახ, მთავარ ნაწილებში გრძელდება მონოპოლიზებული გარემოს შექმნა. მე ეს მიკვირს იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი ობიექტურადაა მაღალი. რატომ არ იხსნება ჯანსაღი სივრცე? თუ მივდივართ ევროპისკენ, დემოკრატიული სამყაროსკენ, აუცილებელია, რომ ჩვენი ცხოვრება ემყარებოდეს რეალურ პოლიტიკურ ძალთა ბალანსს და არა ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ წონასწორობას! დღეს ეს ხომ ხელოვნური წონასწორობაა?! სამწუხაროდ, „ოცნებაც“ მონოპოლიზებულ გარემოს ქმნის და მხოლოდ და მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ აღიარებს, რაც ხვალ სახელმწიფოებრივად სერიოზული პრობლემებს გამოიწვევს, ისეთს, რაც მოხდა 8 თებერვალს, რაც მოხდა გასულ კვირას, ვგულისხმობ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრას.

**– თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ 9 წლის განმავლობაში პირველად ვნახეთ, რომ აქამდე მონოლოგის რეჟიმში მოსაუბრე პირველ პირს სიტყვა შეუბრუნეს.**

– თუმცა ამაზე მეტადაც შეიძლებოდა, მაგრამ ამაზეც მადლობელი ვართ, მაგრამ ეს რა ვითარებაში?! გვიხარია, სიტყვის შებრუნება, როდესაც ის, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, საქართველოში დღეს არ უნდა არსებობდეს. მთელი აჟიოტაჟი იყო კანონიერების აღდგენის საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ.

**– ლამის დახოცეს ერთმანეთი ხელისუფლებამ და ოპოზიციამ, ვინ იქნებოდა ამ კომისიის თავმჯდომარე.**

– დიახ, ჩვენ ვუყურეთ დაპირისპირებას თავმჯდომარეობაზე, მაგრამ საერთოდ ვერ ვნახეთ კომისია. ასევე, საინტერესო დეტალია, რომ დღეს საქართველოს ჰყავს პრემიერ-მინისტრი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე. არადა, ყველანაირი მექანიზმი არსებობს და უმრავლესობას შეუძლია, კანონი შეცვალოს. მაგრამ, როგორც ჩანს, დღეს დღის წესრიგიდან მოხსნილია ეს თემა. ამას ჩვენ არ ვაქცევთ ყურადღებას, მაგრამ რატომ უნდა იყოს ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქე?!

**– ჩვენი პრეზიდენტი პროტოკოლის დარღვევით მუდმივად ლაპარაკობს მხოლოდ ინგლისურად, ჩვენი პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქეა. ამ ფონზე, ვინ გამოდის საქართველოს მოქალაქე?**

– მე, როგორც საქართველოს მოქალაქე პასუხისმგებელი ვარ ქართული კანონების წინაშე, მაგრამ ჩემი პრემიერ-მინისტრი არ არის პასუხისმგებელი ქართული კანონების წინაშე.

**– თუმცა ჩვენ გვქონდა ასეთი რეალობაც: ჩვენი თავდაცვის მინისტრი რუსეთთან ომის დროსაც კი რუსეთის მოქალაქე იყო.**

– ბუნებრივია, როგორი შეცდომებიც უნდა ჰქონდეს „ოცნებას“, „ნაცმოძრაობის“ გვერდით არ დგები, მაგრამ ეჭვები მიჩნდება. ავიღოთ 8 თებერვლის ინციდენტი: როგორ შეიძლება, რომ ქალს დაარტყა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეეჭვება, ამის გამო ვინმე დადგეს „ნაცმოძრაობის“ გვერდით. რა მდგომარეობამდე მიიყვანა ხალხი „ნაცმოძრაობამ“, რომ ქალის გალახვის მიუხედავადაც, შინაგანად არ გინდა, რომ ის დაიცვა. ამაზე მეტი დაცემა რაღა უნდა იყოს?! აი, ამ დონეზე დავიდა „ნაცმოძრაობა“ და ნუ შევუწყობთ ჩვენ ხელს იმას, რომ ხვალ-ზეგ, ვინმემ სოლიდარულად შეხედოს „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედებას. არადა, შეიძლება, ეს პერიოდი დადგეს, იმიტომ რომ მთავრობას ობიექტურად მძიმე გადაწყვეტილებების მიღება მოუწევს. ამიტომ ჩემთვის ხელისუფლების ყველაზე დიდი მინუსი არის ის, რომ, ჯერ ერთი, მან არ მიუჩინა თავისი ადგილი „ნაცმოძრაობას“, როგორც ცნობილ ფილმშია, „ვოზლე პარაში“ და არ შექმნა ის ჯანსაღი მოედანი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მრავალაზრობრივი განხილვა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური თემების და საზოგადოების კონსენსუსის მიღწევა.

**ნინო ხაჩიძე**

**მართალია, ჩვენ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე ვართ კონცენტრირებული და ჩვენი პოლიტიკური ძალებიც ლამის ისევ წინასაარჩევნო რეჟიმში მოქმედებენ, თუმცა სამყარო თავისი პრობლემების მორევშია, რომლებიც, გვინდა თუ არა, გვითრევს და გვეხება. ვიდრე შიდა საქმეებს ვარჩევთ, ძალას იკრებს მოსაზრება, რომ საქართველოს მცდელობამ, ცივილიზებული ურთიერთობისმაგვარი დაამყაროს რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც, იმას გარდა, რომ უზარმაზარი ჩრდილოელი მეზობელია, მას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებიც აქვს ოკუპირებული, შესაძლოა, აზერბაიჯან-თურქეთთან ურთიერთობა დაგვიძაბოს. მართლაც ცვლის თუ არა სააკაშვილის ივანიშვილით ჩანაცვლება ინტერესთა ბალანსს სამხრეთ კავკასიაში? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ხათუნა ლაგაზიძის დახმარებით შევეცდებით.**

# გაუფუჭდება თუ არა საქართველოს ურთიერთობა თურქეთთან და აზერბაიჯანთან რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სანაცვლოდ

**– ჩანს თუ არა თურქეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაფუჭების საფრთხე იმ მოცემულობაში, რაც გვაქვს?**

– პირველი ოქტომბრის შემდეგ მოგვეცა საშუალება, მოგვეხდინა საგარეო პოლიტიკური აქტივობების დივერსიფიკაცია. აქ საუბარია იმაზე, რომ ვინარჩუნებთ კურსს და ახალი ხელისუფლება მზადაცაა, რომ კონსტიტუციით გაამყაროს საქართველოს ევროპული ორიენტაცია. ამას, თავისთავად, არაფერი ემუქრება, საუბარია მიდგომებზე. ასე დავსვათ საკითხი: ჰქონდა თუ არა საქართველოს სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური დამოუკიდებლობა? როგორი იყო საქართველოს ინტერესების წილი იმ საგარეო პოლიტიკურ თამაშებში, რასაც წინა ხელისუფლება ეწეოდა? გასაგებია, რომ არათუ ჩვენი ტიპის, უმსხვილესი ქვეყნებიც კი პარტნიორების ინტერესების გათვალისწინების გარეშე საკუთარ პოლიტიკას ვერ წარმართავენ.

**– ლაპარაკია, რა დოზითაა საქართველოში სახელდობრ ქართული ინტერესი და რა დოზით ჩვენი პარტნიორების?**

– წინა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი ეფუძნებოდა ორ რამეს: უპირატესად პარტნიორების ინტერესების უპირობო გათვალისწინებას და, თუ რამე პირობა იდებოდა, ის იყო ერთადერთი: წინა ხელისუფლების ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება. აშკარად რომ დავარქვათ მოვლენებს თავისი სახელი: არსებობდა უთქვი, იქნებ სიტყვიერი შეთანხმებაც წინა ხელისუფლებასა და ჩვენი პარტნიორების ნაწილს შორის, თქვენ ყველაფერზე თვალი დახუჭეთ და ამის სანაცვლოდ საქართველო იქნება უტყვი პარტნიორი, რომელიც პროტესტის გარეშე შეასრულებს თქვენს ყველა სურვილს. რასაც მე ვამბობ, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ დღეს ჩვენი პოლიტიკა ჩვენი პარტნიორებისადმი პრეტენზიებს უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ აქამდე არ ყოფილა იმის მცდელობა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის ინტერესები ყოფილიყო გათვალისწინებული. დარწმუნებული ვარ, ჩვენ რომ უფრო მეტად დაგვეცვა ჩვენი ინტერესები იმავე ჩვენს პარტნიორებთან ურთიერთობაში, ისინი გაცილებით ბევრ ბენეფიტს მისცემდნენ საქართველოს. რადგან საქართველოს ხელისუფლება ამას არ ითხოვდა, ისინი აძლევდნენ ამ ბენეფიტებს იმ დოზით, რაც საქართველოში „ნაციონალური“ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იყო საჭირო. დახმარებები მოდიოდა, როგორც პროექტ საქართველოში და არა პარტნიორ ქვეყანა საქართველოში.



**როდესაც თურქეთი ამბობს, რომ ჩემი ორიენტირი არ არის ევროკავშირი და ორიენტაციის აღებას აპირებს შანხაის თუ სხვა მსხვილი ორგანიზაციისკენ, ეს ევროპელებში მნიშვნელოვან შფოთს იწვევს**

პირველი ოქტომბრის შემდეგ საქართველოში ხელისუფლების შეცვლამ, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ტენდენციების გამოჩენამ, მოგვცა იმის საშუალება, რომ ცოტა უფრო მომთხოვნები ვიყოთ ჩვენს საგარეო პოლიტიკაში, ჩვენს პარტნიორებთან თუ მეზობლებთან ურთიერთობაში. ამ თვალსაზრისით, ბიძინა ივანიშვილმა გარკვეული შფოთი შეიტანა ჩვენი პარტნიორების ბანაკში, ოღონდ ეს შფოთი არ ეფუძნება კურსის ცვლილებას. ბიძინა ივანიშვილის ტიპის მაქსიმალურად პრაგმატული ადამიანისთვის, წაგებაზე აგებული ურთიერთობები მიუღებელია. საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანია ევროპული მიმართულებით სვლა, ამიტომ ეს ეჭვქვეშ არ დგება.

**– თავად ევროპისთვის არის მომგებიანი საქართველოს ახალი ამპლუა?**

– ამ ტიპის საგარეო-პოლიტიკურ ტენდენციებს ვამჩნევ და არა მხოლოდ ევროპის მიმართულებით. იგივე ხდება ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობაში: ისინი მიჩვეულები იყვნენ, ამჯერად

კერძო სტრუქტურებზე მაქვს საუბარი, რომ ინვესტიციების განხორციელებისას საქართველოს მთავრობის ცალკეული წარმომადგენლები პრიორიტეტს ანიჭებდნენ მათ კერძო ინტერესს, ვიდრე სახელმწიფო ინტერესს. ამიტომაც არის, რომ ბევრი პროექტი, რომელიც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკურად, ეკონომიკურად, სულ მცირე, კითხვებს აჩენს. იგივე ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა.

**– დიახ, ის ეკონომიკურად წამგებიანია ჩვენთვის, თუმცა პოლიტიკურად უალტერნატივოდ მომგებიანია.**

– არადა, შეიძლებოდა, ეკონომიკურადაც არ ყოფილიყო წამგებიანი. ხომ შეიძლებოდა, როდესაც ეს ხელშეკრულება განიხილებოდა, დასმულიყო ეს საკითხი?! აქ ამაზეა საუბარი და არა იმაზე, რომ ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის პროექტები დგება ეჭვქვეშ. თუ მსგავსი გლობალური პროექტები დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, აქ ზოგადად შეიძლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს თავად ახალი ხელისუფლების არსებობა. ამდენად, თავად ხელისუფლებისთვის იქნება მსგავსი გადაწყვეტილებები საფრთხის შემცველი. ამიტომ სისულელეა იმის თქმა, რომ ახალი ხელისუფლება იბრძვის ყარსი-ახალქალაქის და მსგავსი ტიპის პროექტების წინააღმდეგ. გამორიცხულია, ივანიშვილის მსგავსი პრაგმატული ადამიანი მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდეს.

**– აქვს მას თავისუფლად მოქმედების საშუალება?**

– ძალიან საინტერესოა ის კონფიგურაციები, რაც გარშემო ხდება და რაც აძლევს მას საშუალებას, რომ შედარებით თავისუფლად იმოქმედოს. ახალი ხელისუფლების სტრატეგია საშუალებას აძლევს მას, უფრო მომთხოვნი იყოს თავის პარტნიორებთან ურთიერთობაში და ამას ხელს უწყობს არა მხოლოდ სურვილი, არამედ ზოგადი გეოპოლიტიკური ვითარება. ამერიკულ პოლიტიკური ელიტაში იკიდებს ფეხს მიდგომა, რომ ამერიკა პირდაპირ არ უნდა ჩაერიოს მსოფლიოს მწვავე წერტილებში. ხელი უნდა შეუწყონ რეგიონული ლიდერი ქვეყნების აღმოცენებას და გაძლიერებას, რომელთა მეშვეობითაც შემდეგ გაატარებენ საკუთარ ინტერესებს რეგიონში. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს, პარტნიორებთან ურთიერთობაში ცოტა უფრო თამამები ვიყოთ. ძალიან საინტერესოა, რომ თურქეთის უმაღლესი სახელისუფლო ელიტა როგორც პრემიერ-მინისტრის, ისე საგარეო საქმეთა მინისტრის პირით აცხადებს, რომ თურქეთისთვის ევროკავშირი არ არის პანაცეა.

**– სხვა გზაც არ აქვს თურქეთს, არ უშვებენ ამ ევროკავშირში და, აბა, რა ქნას?**

– ეს გასაგებია, მაგრამ, როდესაც თურქეთი ამბობს, რომ ჩემი ორიენტირი არ არის ევროკავშირი და ორიენტაციის აღებას აპირებს შანხაის თუ სხვა მსხვილი ორგანიზაციისკენ, რომლებიც ეკონომიკურად სულ უფრო და უფრო მეტ ეკონომიკურ პოტენციალს ამჟღავნებენ კრიზისში ჩაფლულ ევროპასთან შედარებით, ეს ევროპელებში მნიშვნელოვან შფოთს იწვევს. მაგრამ, თავისთავად, ამ ტიპის თურქეთი დროის რაღაც მომენტში შეიძლება, უხერხული პარტნიორი გახდეს ევროპისა და, თუნდაც, „ნატოსთვის“.

**– მაგრამ ეს ხომ გვმატებს ჩვენ წონას იმავე ევროპისა თუ „ნატოსთვის“?**

– რა თქმა უნდა, ეს ჩვენს წონას ერთიორად ზრდის. სულ ახლახან მითხრეს, რომ ობამამ გააკეთა განცხადება, რუსეთი ჩვენი პარტნიორიაო. ამაში გასაკვირი არაფერია, მით უმეტეს, რომ ავღანეთში რუსეთისა და ამერიკის ინტერესები თანხვდება. არ ვიცი, რამდენად შეიძენს საბოლოო კონტურებს, მაგრამ ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთი, როგორც სამშვიდობო ძალა, შევიდეს სირიაში გაეროს ეგიდით. ეს რეგიონში ძალთა ბალანსის ძალიან საინტერესო ნიმუში იქნება და გარკვეულწილად ამით იმ კითხვასაც გაეცემა პასუხი, როგორ ჩავიარეთ ასე უმტკივნეულოდ პირველი ოქტომბერი.

**– თუ სირიაში მოახერხა რუსეთმა სამშვიდობო ძალის სახით შესვლა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენს მოყვარე აშშ-სა და ჩვენს მტერ რუსეთს არ ვჭირდებით, როგორც დაპირისპირების პოლიგონი?**

– დიახ და ისიც ძალიან საინტერესოა, რომ უმრავლესობის მიერ უმცირესობისთვის შეთავაზებულ 14-პუნქტიან გეგმაში „ნაციონალები“ უარს ამბობენ პუნქტზე, რომელიც ამბობს, რომ საქართველო არ უნდა იქცეს უცხო ქვეყნების დაპირისპირების პოლიგონად. ამითაც ჩანს, რომ „ნაციონალები“ არად აგდებენ შიდა ამომრჩეველს და გამოდის, რომ ისინი საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ან თუ თავიანთი პოლიტიკური მომავლისთვის მზად არიან, ქვეყანა აქციონ საჯიჯგნ პოლიგონად.

**– თუმცა ისიც აშკარაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, დაიკავოს მკვეთრად პროდასავლური ძალის ნიშა. ერთგვარად დასავლური იდეალებისთვის წამებულის ნიშა.**

– თუ ამოვალთ იქიდან, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები სრულიად სხვა რაკურსში გადადის, ახლომხედველური პოლიტიკაა საუბარი იმაზე, რომ დღეს საქართველო, მაინცდამაინც, დაპირისპირების პოლიგონად სჭირდებათ რუსეთსა და ამერიკას. რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ იმავე ამერიკასა თუ ევროპაში არ არის ისეთი ძალები, რომლებიც საქართველოს აქტიურად განიხილავენ რუსეთისკენ მიმართული იარაღის როლში, მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს არჩევნის საშუალ-

# „ქარვა“ ბრუნდება!

## ნატურალური ქართული ზეთი ქართველი მომხმარებლისთვის

*ქართულ ბაზარზე ჭეშმარიტად ქართული პროდუქტი ბრუნდება! პირველი ქართული წარმოების ზეთი „ქარვა“, რომელიც 2005 წლიდან გაიცნო და შეიყვარა ქართველმა მომხმარებელმა, კვლავ იწყებს ბაზრის ათვისებას. ის, რომ ბაზარზე მასზე მოთხოვნა დღესაც არსებობს, ზეთი „ქარვას“ ასპროცენტიანი ნატურალური შემადგენლობით აიხსნება. დედოფლისწყაროში არსებული მზესუმზირის ზეთის მწარმოებელი ქარხანა სულ ახლახან გადაიარაღდა და თანამედროვე ევროპული ტიპის დანადგარებით აღიჭურვა. საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია „ქარვა“ ზრუნავს მომხმარებლის ჯანსაღ კვებაზე და, მალე, არარაფინირებული ზეთი „ქარვა სუფთა კახურთან“ ერთად, რაფინირებულ ზეთ „ქარვას“ გაყიდვაში ისევ დააბრუნებს. დედოფლისწყაროს რაიონში ასეთი სიმძლავრის მქონე საწარმოს გახსნას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს: ადგილობრივი ნედლეული, გლეხებისთვის რენტაბელური შემსყიდველი, ევროპული ხარისხის დანადგარები, დასაქმებულთათვის ხელსაყრელი პირობები და ჭეშმარიტად ქართული პროდუქტი.*



**ნათია ბუკია** *(ჰოლდინგის ფინანსური დირექტორი):* „ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვიმუშაოთ ქართულ ნედლეულზე. კომპანიის ინტერესში შედის ის, რომ სამომავლოდ საქართველოს მასშტაბით მიწის ნაკვეთები შევისყიდოთ. ჩვენ დღეისთვის ადგილობრივი მოსახლეობის ნედლეულზე ვმუშაობთ. ეს ადგილობრივი მწარმოებლის ინტერესშიც შედის, რადგან, უფრო რენტაბელურია მისთვის ამ ნედლეულის ჩვენ მიერ შესყიდვა, ვიდრე ბაზარზე საცალო პრინციპით გაყიდვა. შესაბამისად, დედოფლისწყაროს რაიონში ზეთის ქარხნის ამუშავება მომგებიანია ადგილობრივი მეურნეებისთვისაც. ჩვენს ქარხანაში სულ ახლახან მოხდა მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღება, შევიძინეთ უახლესი სტანდარტების დამფასოებელი დანადგარები, რომლებიც უცხოელი სპეციალისტების მიერ დამონტაჟდა; ასევე, მთლიანად მოხდა ტექნიკური დანადგარების გადაირაღება და უახლესი ტიპის სპეციალიზირებული ტექნიკით აღჭურვა. ბაზარზე „ქარვა“ სრული დატვირთვით მარტის დასაწყისში დაბრუნდება. ჩვენ დაახლოებით თვეში 100 000 ტონის ჩამოსხმას ვვარაუდობთ. საწარმოში ამჟამად 200-მდე ადამიანია დასაქმებული და მათთვის მაღალი სტანდარტის სამუშაო პირობებია შექმნილი. რაც შეეხება თვითონ ზეთს, „ქარვას” ბაზარზე წარდგენა არც სჭირდება, რადგან, ის გახლავთ ქართული ნედლეულითა და ნატურალური წესით დამზადებული ქართული ზეთი.”



**დავით კირვალიძე** *(სოფლის მეურნეობის მინისტრი):* „მივესალმებით ასეთი მასშტაბის მქონე საწარმოს სრული დატვირთვით ამუშავებას. ვფიქრობ, განსაკუთრებით ამ რეგიონისთვის, ეს ქარხანა მნიშვნელოვან დატვირთვას შეიძენს. ასევე, გაჩნდა საინტერესო ინიციატივაც, რომ აღნიშნულმა საწარმომ ადგილობრივ მიწათმოქმედებსა და გლეხებს თავად მიანიშნოს, თუ რა ჯიშის მზესუმზირის დათესვაა უპრიანი.”



**დავით ნარმანია** *(საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი):* „საქართველოში რეგიონული განვითარებისთვის სწორედ ასეთი ტიპის საწარმოების ამუშავებაა აუცილებელი. ეს ქარხანა, იმ საერთო რეგიონული განვითარების რგოლშია ჩაბმული, რაც ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. ჩვენი სამინისტრო მზადაა, მსგავსი ტიპის ბიზნესინვესტიციების მხარდასაჭერად მაქსიმალურად შეუწყოს ხელი რაიონის ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და გზების კეთილმოწყობას.“

---

ება?! ხომ შეგვიძლია, უფრო ინტენსიური ურთიერთობა გვქონდეს იმ ძალებთან, რომლებიც საქართველოს პოლიგონად არ განიხილავენ და პარტნიორობისკენ ისწრაფვიან?!

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ თვითდამშვიდების საფუძველი აქვს, იმიტომ რომ ის საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებსაც ზედმიწევნით ფლობენ „ნაციონალები“ ძალიან უარყოფით ფონს ქმნიან. „რუსთავი-2-ის“ რამდენიმე საინფორმაციო გადაცემას ვუყურე: ეს უკვე აღარ არის შავი ფიარი, ეს არის აპოკალიფსური ფიარი. ამას რომ უცხო დამკვირვებელმა უყუროს, რომელმაც არ იცის, რეალურად რა ხდება ქვეყნის შიგნით, იფიქრებს, რომ ეს ქვეყანა გამალებული სამოქალაქო დაპირისპირებისთვის მიექანება.

**– ამიტომაც ნაცვლად იმისა, რომ კანცელარიის თანამშრომლებმა 10 000-იანი პრემიები გამოიწერონ და მოგვამადლონ, შაბათ-კვირას ვმუშაობდი და მეკუთვნისო, დასახონ სტრატეგია, ამას მოახმარონ ფული, დაიქირაონ ლობისტები და შეუკვეთონ სტატიები წამყვან დასავლურ გამოცემებში?**

– ალბათ, ახალი ხელისუფლება ამ მუშაობას დაწყებს და ის საინფორმაციო ვაკუუმი, რომელშიც დასავლეთი იყო ხელისუფლების მხრიდან მოქცეული, გაირღვევა. რაც შეეხება ფიარს: სახელისუფლო ფიარი, თუ არ გაქვს ღია პროპაგანდის საშუალებები, როგორიც ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, რთული საკეთებელია.

**– ინფორმაციის გავრცელებას არ სჭირდება პროპაგანდის საშუალებების ფლობა, ამას სჭირდება ის, რომ სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელებმა შეუფერხებლად შეახვედრონ მაღალი რანგის ჩინოვნიკები ჟურნალისტებს, მათ შორის, პირად თემებზე სასაუბროდაც.**

– ამ საქმის კურსში მე ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ ინფორმაციის სიმწირე რომ არის, ფაქტია. როდესაც ასეთი გაცხარებული საინფორმაციო შტურმია, მე ვერ გეტყვით, რატომ ამბობენ უარს შეხვედრაზე. მით უმეტეს, ისედაც ძნელია პოზიტივით სკანდალის გადაფარვა. ისიც თემაა, რომ სააკაშვილს არ აქვს სიტუაციის აჭრის რესურსი. მან 8 თებერვალს პირველად აღიარა, რომ ის უკვე ზოგადად პრობლემაა ქვეყნისთვის.

**– რას გულისხმობთ?**

– როდესაც მან თქვა, იმდენი კი ვიცი პოლიტიკურ კონიუნქტურაში, რომ არ დავშალო პარლამენტი და არ გავუშვა მთავრობაო. მაგრამ ამით გულდამშვიდებაც არ შეიძლება. ვნახოთ, როგორც ააწყვეს სქემა: სააკაშვილმა გადაწყვიტა,

> **აქამდე არ ყოფილა იმის მცდელობა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის ინტერესები ყოფილიყო გათვალისწინებული**

იაროს ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ მას ოდესმე რეიტინგი მოემატება და ეს არც კეთდება მისი პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის. ეს კეთდება იმისთვის, რომ როგორმე დაანგრიოს დღევანდელი ხელისუფლების რეიტინგი. მეორე მხრივ, გავიხსენოთ, ცესკოს ინიციატივა, 1-პროცენტიანი ბარიერის შემოღების შესახებ. სხვა საქმეა, რომ ხელისუფლება ამას არ დასთანხმდება, მაგრამ მათი ტაქტიკა ასეთია: თვითონ შევიდნენ რამდენიმე ჯგუფად პარლამენტში და, გარდა ამისა, ეს არის კოალიციის გახლეჩვისკენ მიმართული მცდელობა. თუ ბარიერი ერთი პროცენტია, ყველას გაუჩნდება ამბიცია, ამას ჩვენითაც გადავლახავთო. პარალელურად წამოსწია უპერსპექტივო პარტიები და ის რეიტინგი, რომელსაც ის წაართმევს ხელისუფლებას, ჰაერში გამოეკიდება და „ნაციონალური მოძრაობაც“ მონახავს თავის მიმართულებას. საკმაოდ რთული პროცესები მიდის და ამის იგნორირება ხელისუფლებას უბრალოდ არ ეპატიება.

**– აპრილამდეა მოსალოდნელი შიდა ტემპერატურის ზრდა, როდესაც პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის და მთავრობის გადაყენების თეორიული შესაძლებლობაც არ ექნება, შემდეგ კი სურათი დაიწმინდება?**

– აპრილამდე ტემპერატურის აწევას შეეცდებიან, მაგრამ თავად ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლიდან დღემდე წაუგებელ თამაშს თამაშობს. მან შეიცვალა სტილი და, თუ არჩევნები მოიგო იმით, რომ „ნაციონალებს“ აცალა აგრესიის გადმოფრქვევა, არჩევნების შემდეგ თვითონ გადავიდა შეტევაზე. ამდენად, ძალიან კარგად იცის მოწინააღმდეგის ფასი და ისიც, რომ მასთან ჭიდილი იოლი არ არის. ვიმეორებ, „ნაციონალებმა“ კარგად იციან დასავლეთთან საკომუნიკაციო ენა და ლამის ყოველდღე ახალი არასამთავრობო იხსნება, სადაც არიან ყოფილი მაღალჩინოსანი „ნაციონალები“. რადგან თეორიულად კონსტიტუციაში ჩადებულია კონსტიტუციური დიქტატურის რისკი, სანამ ეს ალბათობა არ გადაივლის, ტემპერატურა იქნება მაღალი, თუმცა აპრილის შემდეგ „ნაციონალების“ საცეცები არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, საკუთარი ქვეყნის ძალიან ცუდი პრეზენტატორები იქნებიან. მაგრამ, ერთი მხრივ, ეს კარგია. რადგანაც იმედია, ხელისუფლება მიხვდება, რა რეჟიმში უნდა ჰქონდეს ურთიერთობა მათთანაც და დასავლეთთანაც, მუდმივი კრიტიკის ქარცეცხლში იქნებიან და მოდუნების საშუალება არ ექნებათ. ქვეყნის მომავალი სტაბილურობა გადის საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოებაზე, ეს არის დღეს უმნიშვნელოვანესი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

**ნინო ხაჩიძე**

# რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტის გადადგომის საიდუმლო და რა წესით აირჩევა რომის პაპი კონკლავის კრებაზე

*რომის პაპმა ბენედიქტე მეთექვსმეტემ კათოლიკური სამყაროსთვის და ალბათ, მთლიანად მსოფლიოსთვის, მოულოდნელი განცხადება გააკეთა – 28 თებერვალს ის ოფიციალურად დატოვებს რომის პაპის ტახტს და საცხოვრებლად ვატიკანის ბორცვზე მდებარე ქალთა მონასტერში გადავა. ტახტიდან გადადგომა ბენედიქტე მეთექვსმეტემ ასაკის გამო გადაწყვიტა. 16 აპრილს მოქმედ პონტიფიკოსს 86 წელი შეუსრულდება და უკვე ცნობილია, რომ ახალი, ანუ რიგით 266-ე რომის პაპის არჩევა მარტის ბოლომდე მოხდება. მანამდე კი წმიდა კონკლავი შეიკრიბება და კანდიდატურებზე იმსჯელებს. ცნობისთვის, უკანასკნელი 600 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა, როცა რომის პაპი საკუთარი სურვილით ტახტს ტოვებს. უკანასკნელად რომის პაპობიდან 1415 წელს გრიგორი მეთორმეტე გადადგა. სულ კი საკუთარი სურვილით რომის პაპობიდან გადადგომის ეს მეოთხე შემთხვევაა კათოლიკური ეკლესიის არსებობის ისტორიაში. 537 წელს პაპი სილვერიუსი გადადგა, ხოლო 1294 წელს – პაპი წმიდა სელესტინ მეხუთე.*



## ბენედიქტე მეთექვსმეტე

გადადგომის გზაზე მდგარი ბენედიქტე მეთექვსმეტე ერისკაცობაში იოზეფ ალოის რატცინგერი 1927 წლის 16 აპრილს ბავარიაში, ჟანდარმერიის კომისრის ოჯახში დაიბადა. 14 წლის ასაკიდან ჰიტლერიუგენდის წევრი იყო, მსახურობდა ვერმახტში და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში 1944 წლამდე ავსტრიის ლეგიონის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბატალიონში იმყოფებოდა. 1945 წელს რატცინგერი გაიქცა ჯარიდან და საოკუპაციო ჯარებს ჩაჰბარდა. მან რამდენიმე თვე გაატარა ტყვეთა ბანაკში. 1946-1951 წლებში მომავალი რომის პაპი თეოლოგიას შეისწავლიდა მიუნჰენის უნივერსიტეტში და 24 წლის ასაკში მიუნჰენის და ფრაიზინგის კარდინალის, მიხაელ ფონ ფაულბაჰერის მიერ მღვდლად ეკურთხა. მას შემდგომ იოზეფ რატცინგერი გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო თეოლოგად ითვლება. 1977 წლის 27 მარტს რომის პაპის პავლე მეექვსის მიერ იოზეფ რატცინგერი მიუნჰენისა და ფრაიზინგის არქიეპისკოპოსად დაინიშნა. 1981 წლიდან კარდინალი იოზეფ რატცინგერი რომში დასახლდა და რომის პაპ იოანე პავლე მეორის მარჯვენა ხელი გახდა. 2005 წლის 17 აპრილს, იოანე პავლე მეორის გარდაცვალებიდან მე-17 დღეს იოზეფ რატცინგერი გახდა პირველი ეპისკოპოს-კარდინალი მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ და პირველი – მეთექვსმეტე საუკუნიდან, კარდინალთა კოლეგიის დეკანი, ვინც კათოლიკური ეკლესიის მეთაურად აირჩიეს. გარდა ამისა, იოზეფ რატცინგერი უკანასკნელი 1000 წლის განმავლობაში პირველი გერმანული წარმომავლობის რომის პაპი გახდა. რომის პაპის ტახტზე ასვლის მომენტში იოზეფ რატცინგერმა, როგორც წესია საეკლესიო სახელი – ბენედიქტე მეთექვსმეტე დაირქვა. ფეხბურთის, ბეთჰოვენისა და ათი ენის მცოდნე ბენედიქტე მეთექვსმეტე პირველი რომის პაპია, რომელმაც „ტვიტერში" დაიწყო მსოფლიოს რვა ენაზე ჩანაწერების დატოვება. ცნობისთვის, იოზეფ რატცინგერი რომის პაპად არჩევის მომენტში 78 წლის იყო და ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი კარდინალი გახლდათ, რომელიც ტახტზე ავიდა.

## კონკლავი

მარტში, მას შემდეგ, რაც ბენედიქტე მეთექვსმეტე ოფიციალურად დატოვებს პაპის ტახტს, საზოგადოებისგან იზოლირებულ გარემოში შეიკრიბება კარდინალთა კრება – კონკლავი, რომელიც ახალი პაპის კანდიდატურაზე იმსჯელებს. ახალი პონტიფიკოსის არჩევა დახურულ რეჟიმში მანამდე გაგრძელდება, სანამ ერთი კონკრეტული კანდიდატი ხმათა 2/3-ს არ მიიღებს. ამის შემდგომ სიქსტის კაპელადას საკვამურიდან ამოვა თეთრი კვამლი, რაც იმას მიანიშნებს, რომ კონკლავმა ახალი პაპი აირჩია. ცნობისთვის, თეთრი კვამლი საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური საღებავის დამატებით წარმოიქმნება და ეს წესი, ჯერ კიდევ 1274 წელს ლიონის მეორე კრებაზე დამტკიცდა. თეთრი კვამლი სიმართლისა და გამჭვირვალობის სიმბოლოდ დასახელდა. საინტერესოა, რომ რომის პაპად შესაძლოა აირჩეს ნებისმიერი კათოლიკე მამაკაცი. თუმცა, 1378 წლიდან არჩევანი მხოლოდ კარდინალებს შორის კეთდება.

## ბენედიქტე მეთექვსმეტის გადადგომის არაოფიციალური ვერსია

მას შემდგომ, რაც ბენედიქტე მეთექვსმეტემ გადადგომის თაობაზე განცხადება გააკეთა, მსოფლიო პრესაში რამდენიმე არაოფიციალური ვერსია გაჩნდა, თუ რატომ გადაწყვიტა გადადგომა რომის პაპმა. ერთ-ერთი ვერსიით, რომის პაპის გადაყენება გავლენიანი ამერიკული ოჯახების, როტშილდებისა და როკფელერების ერთობლივი ძალებით მოხერხდა. უცხოური პრესის ვერსიით, 2012 წელს პაპის საიდუმლო დოკუმენტაციის და მიმოწერის გატაცებაში ბრალდებული პირადი მდივანი, კამერდინერი პაოლო გაბრიელე დაკავშირებული იყო როკფელერებისა და როტშილდების კლანთან. თავის მხრივ ეს კლანი კი ვლადიმირ პუტინთან დაახლოებული ბიზნესმენების პარტნიორები არიან და არსებობს ეჭვი, რომ რომის პაპის გადადგომა კარგად დაგეგმილი ოპერაცია იყო, რომელიც წარმატებით შეასრულა უცნობმა მასონურმა ორგანიზაციამ. მოკლედ, რომის პაპის გადადგომა ძალიან ბევრ კითხვას პასუხგაუცემელს ტოვებს.

## რომის პაპობის ყველაზე რეალური კანდიდატი

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ბენედიქტე მეთექვსმეტის გადადგომის თაობაზე, ბუკმეკერებმა დაიწყეს ფსონების მიღება შესაძლო კანდიდატებზე პაპის ტახტზე და ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად, აფრიკის წარმომადგენელი, განელი კარდინალი შავკანიანი პიტერ ტარკსონი სახელდება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ არჩევის შემთხვევაში, ის არ იქნება პირველი აფრიკელი რომის პაპი. პირველი აფრიკელი რომის პაპი ლიბიელი ვიქტორ პირველი იყო, რომის იმპერიის მიერ დაპყრობილ ლიბიის ტერიტორიიდან, მეორე აფრიკელი პაპი – მალტიადი, რომელიც ტახტზე 311 წელს ავიდა და ბოლო აფრიკელი რომის პაპი კი გელასი გახლდათ, რომელიც ბერბერების ტომს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ სამივე აფრიკელი პაპი თეთრკანიანი გახლდათ და ამგვარად პიტერ ტარკსონი არჩევის შემთხვევაში, პირველი შავკანიანი რომის პაპი გახდება. შესაძლო კანდიდატებს შორის ასევე განიხილებიან: კარდინალი მარკ უელე – ეპისკოპოსთა საკითხებში კონგრეგაციის პრეფექტი და ფრენსის არინზე – იოანე პავლე მეორის ყოფილი მრჩეველი.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# კომპანია „ნატახტარი“ 2008 წლიდან ახალი შრომის კოდექსის პრინციპების გათვალისწინებით მუშაობს

**შრომის კოდექსში ცვლილებების პაკეტით, სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში 41 საათი იქნება, ზეგანაკვეთურად ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო. დამსაქმებელს დასაქმებულის დაუსაბუთებლად გათავისუფლება არ შეეძლება და ვალდებული იქნება, 30 დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წერილობით. საქართველოს შრომის კოდექსში შესატან აღნიშნულ ცვლილებებსა და მის მნიშვნელობაზე გვესაუბრება კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი – ხათუნა ჩხაიძე.**

**– რამდენად მნიშვნელოვანია შრომის კოდექსში არსებული ცვლილებები და დაცულია თუ არა ამ ცვლილებების ფონზე დამსაქმებლის ინტერესები?**

– ჩემი პოზიციაა, რომ შრომის სამართლიანი კანონმდებლობა, ანუ, კანონმდებლობა, რომელიც არ ამძიმებს არც დამსაქმებელთა და არც დაქირავებულთა პირობებს, მომგებიანია ორივე მხარისთვის. როგორც დამსაქმებლის, ჩვენი კომპანიის მიდგომაა – შევუქმნათ თანამშრომლებს საუკეთესო პირობები, რადგან, კმაყოფილი თანამშრომელი არის უფრო ერთგული, ნაყოფიერი და მოტივირებული. ერთგვარი სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ კომპანია „ნატახტარი“ 2008 წლიდან არის გადასული მუშაობის იმ პრინციპებზე, რასაც დღეს ითვალისწინებს შრომის კოდექსი. ამის მიზეზი არის ის, რომ, სწორედ 2008 წლიდან, ჩვენ გავხდით „ეფესის“ ლუდსახარშების საერთაშორისო ჯგუფის წევრები და ამან გამოიწვია დაქირავებულზე მეტად ორიენტირებული სამუშაო პირობების შექმნა. ინტენსიური ტრენინგი თანამშრომელთა განვითარებისთვის, სამედიცინო დაზღვევა, სესხი, ავანსი, მეცამეტე ხელფასი, უფასო კვება, ყოველთვიური სასაჩუქრე პროდუქცია (ლუდი და ლიმონათი), თანამშრომელთა ტრანსპორტირება, ექიმი – ეს ყველაფერი კომპანიაში ახალი არ არის.

**– ახალი კანონპროექტის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, წერილობით გააფრთხილოს დასაქმებული გათავისუფლების შესახებ. დამსაქმებელს დასაქმებულის არგუმენტაციის გარეშე გათავისუფლება აღარ შეეძლება. ასეთ ცვლილებას იღებს ბიზნესი?**

**ყველა თანამშრომელი იღებს ზეგანაკვეთურს, როგორც კი ნამუშევარი საათები 41 საათს გადასცდება. ამას ჩვენ ბიუჯეტის შედგენისას ვითვალისწინებთ**

– მაგალითად, კომპანია „ნატახტარს“ აქვს საკუთარი დისციპლინური პოლიტიკა – ქცევის კოდექსი, რომელიც გაწერილია დონეებად და ცნობილია თითოეული თანამშრომლისთვის. ამიტომ,



ხათუნა ჩხაიძე

თითოეულმა იცის, კონკრეტულად რა სახის დარღვევა რა შედეგს გამოიწვევს. თუმცა, იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შეცდომებს ის არ უშვებს, ვინც არ მუშაობს და, ამიტომ, მთელ რიგ შეცდომებს გაგებით ვეკიდებით. მაგალითად, ჩვენს კომპანიაში ცნობილია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მუშაობა კატეგორიულად დაუშვებელია. ალკოტესტის ჩატარების შემთხვევაში, ყველა მზადაა მოსალოდნელი შედეგისთვის. ზოგადად, „ნატახტარში“ ძალიან დაბალია თანამშრომლების გათავისუფლების მაჩვენებელი. მაგრამ, თუ აუცილებელია შტატის შემცირება გარკვეული მიზეზების გამო, ის თანამშრომელი ამ შეტყობინებას იღებს ერთი თვით ადრე და მას ეძლევა შესაბამისი კომპენსაციაც. ერთ მაგალითსაც მოვიყვან: დეკრეტული შვებულების პერიოდში თანამშრომელს გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილი და სრული ანაზღაურება.

**– კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო და ყველა დამატებით საათზე განისაზღვრება გარკვეული ზეგანაკვეთური გადასახადი. დამსაქმებლის გადმოსახედიდან, ეს რა პრობლემებს შექმნის თუნდაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მხრივ, როგორ იყო ეს კოდექსში სიახლეების შეტანამდე კომპანია „ნატახტარში“?**

– ყველა თანამშრომელი იღებს ზეგანაკვეთურს, როგორც კი ნამუშევარი საათები 41 საათს გადასცდება – ამას ჩვენ ბიუჯეტის შედგენისას ვითვალისწინებთ. რადგან ლუდის ჩამოსხმა უწყვეტი პროცესია, ქარხანაში არის ღამის ცვლა, ღამის ცვლაში ჩვენი კოეფიციენტია 1.2, ხოლო სადღესასწაულო დღეებზე თანამშრომელს ორმაგს ვუხდით. ეს ყველაფერი ჩვენს კომპანიაში 2008 წლიდან არის დამტკიცებული.

**– აღნიშნული ცვლილებები შრომის კოდექსში თუ დაიცავს დასაქმებულს?**

– შრომის კოდექსში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომლიც მიზნად ისახავს მის გაუმჯობესებას, ნამდვილად მისასალმებელია. რა თქმა უნდა, ამ ცვლილებების შედეგად, დასაქმებულები უფრო დაცულად იგრძნობენ თავს სამუშაო ადგილებზე.

**დალი ფანჯიკიძე – ცნობილი გერმანისტი და მთარგმნელი, გურამ ფანჯიკიძის მეუღლეა. ის საზოგადოებისთვის კიდევ იმით არის საინტერესო, რომ ირაკლი ალასანიას მეუღლის, ნათიას და მინისტრ მაია ფანჯიკიძის დედაა.**

# რაზე სწყდება გული ირაკლი ალასანიას სიდედრს და რის გამო აკრიტიკებს ის შვილებს



**ლაშა ხელოვანია, მოქანდაკე, თუმცა ძალიან ცუდ დროს მოუწია საქმიანობა და პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, თავისი პროფესიით არასდროს უმუშავია, თუმცა საკმაოდ ნიჭიერია. ისე მოხდა, რომ ქალიშვილები უფრო რეალიზებულები აღმოჩნდნენ**

**– ქალბატონო დალი, ოჯახში ორი მინისტრი გყავთ, ცნობილი ადამიანის მეუღლე ბრძანდებით, თავადაც ცნობილი ქალბატონი, წარმატებული შვილების დედა. როგორები იყვნენ ნათია და მაია ბავშვობაში, მკაცრი დედა იყავით?**

– განსაკუთრებით მკაცრი დედა არასდროს ვყოფილვარ. ჩემი მეუღლე კი, მით უმეტეს, საკმაოდ ლიბერალი იყო – მათ შორის შვილებთან მიმართებაში. უბრალოდ, ყურადღებიანი ვიყავი სულ და ძირითადად, მათ ინტერესებს მე წარვმართავდი. ჩემი მითითებები და ჩანერგილი ჩვევები მეტ-ნაკლებად გამოადგათ ცხოვრებაში და დღეს ძალიან წარმატებულები არიან, რაც მახარებს. თუმცა, რომ გითხრათ, მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა და ტოლებივით ვიყავით მეთქი, ასე ნამდვილად არ ყოფილა. ვერ ვიტყვი, რომ თავიანთ საიდუმლოებებს მიყვებოდნენ. არ მიყვარს მშობელი და შვილი ასაკით გაიგივებულები რომ არიან. უხეშად არასდროს ჩავრეულვარ ჩემი შვილების ცხოვრებაში და არჩევანში. ისეთი გარემო იყო ჩვენთან, ამდენი წიგნი ირგვლივ – მშობლების პროფესია იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, თითქოს გეზის მიცემა აღარც იყო საჭირო.

**– სადამსჯელო ფუნქციებს რომელი ითავსებდით, თქვენ თუ თქვენი მეუღლე?**

– ***(იცინის).*** ეგრეთ წოდებული „დამსმენი დედა" არასდროს ვყოფილვარ. შემეძლო თავად მომეთხოვა და მეგებინებინა პასუხი შვილებისთვის და ამის გამო მეუღლე არ შემეწუხებინა. თუმცა, ვერ ვიტყოდი, რომ განსაკუთრებით დასჭირვებოდათ ეს, ცოტათი უფრო ნათიას. ამის გამო ერთხელ სიმწარეც იწვნია – გარაჟების სახურავებზე დარბოდა, ფეხქვეშ თუნუქი ჩაუტყდა და კარგადაც დაშავდა. „გესტაპოელი" მშობლები არ ვყოფილვართ, თუმცა ყოველთვის ვიცოდი, სად იყვნენ ჩემი შვილები და რას აკეთებდნენ. მაია და ნათია გარეგნულადაც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ხასიათითაც ხომ საერთოდ არ ჰგვანან. მაიას ნამდვილი გერმანული ხასიათი აქვს, ნახევრად გერმანულმა აღზრდამ მაინც მოახდინა გავლენა, ყოველთვის ძალიან ორგანიზებული, მოწესრიგებული და პუნქტუალური იყო. ნათია უფრო ხელოვანის ტიპი, თავისუფალი და ლაღი... შემაწუხებელი ბავშვი არც ერთი არ ყოფილა. ასაკში სხვაობა მათ შორის 11 წელია, მაია რომ სტუდენტი გახდა, ნათია დაწყებით კლასებში სწავლობდა. არ მახსოვს, კონფლიქტი და ხელჩართული ბრძოლა ჰქონოდათ, როგორც ხშირად დებს აქვთ ხოლმე.

**– მაია როგორი უფროსი და იყო, ახლოს იყვნენ დები ერთმანეთთან?**

– მაინცდამაინც ახლოს არ ყოფილან. იცით, ორივეს თავისი სამყარო, ინტერესები და სამეგობრო წრე ჰყავდა. ერთმანეთის საქმეში არ ერეოდნენ.

**– ცხოვრების რომელიმე ეტაპზე ჩარეულხართ შვილების ცხოვრებაში?**

– არც პირად და არც პროფესიულ არჩევანში უხეშად არ ჩავრეულვართ. მაიამ განათლება გერმანიაში მიიღო, ჩემი გზა აირჩია და გერმანისტიკაზე ჩააბარა, იმ დროს საუკეთესო სტუდენტებს არჩევდნენ და სტაჟირებაზე გერმანიაში აგზავნიდნენ. მაიაც შეარჩიეს და გადაწყდა მისი იენის უნივერსიტეტში გაგზავნა. რა თქმა უნდა, აღფრთოვანებით შევხვდი ამ ამბავს, მაგრამ აი, მამა ცოტა წინააღმდეგი იყო ***(იცინის).*** იმის მიუხედავად, რომ გურამი ძალიან პროგრესულად მოაზროვნე იყო და ასეთ რაღაცეებს თავისუფლად ეკიდებოდა, მაინც განიცდიდა, არ უნდოდა მაიას გაშვება. ბუზღუნებდა, ამ სიშორეზე შვილის გაგზავნა არ უნდოდა, თან ამბობდა, გათხოვება დაუგვიანდებაო. მაგრამ ქალებმა მაინც ჩვენი გავიტანეთ. ძნელი იყო ამდენი წელი შვილის გარეშე, შორს გვყავდა და სულ ვფიქრობდით, მაგრამ, მაია არ იყო ისეთი, რომ მასში ეჭვი შეგვპარვოდა. მიმაჩნია, რომ კარგი სკოლა გაიარა გერმანიაში, ამან მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. რა თქმა უნდა, რთული იყო, სტუდენტი გოგონა მარტო... სამოგზაუროდ კი იყო სკოლის პერიოდში ნამყოფი ევროპაში, მაგრამ მარტო პირველად წავიდა.

**– არ უშვებდით იმის შესაძლებლობას, რომ მაიას გერმანიაში შეექმნა ოჯახი?**

– იცით რა, შეიძლება ჩემი მეუღლე სწორედ მაგასაც უფრთხოდა, თუმცა ახლა რომ არის ასე გაიოლებული უცხოელებთან ქორწინებები, მაშინ არ იყო. თავში აზრადაც არ მოგვსვლია ასეთი რამ, არ გვიფიქრია, რომ გერმანელს გაჰყოლოდა მაია.

**ასაკში სხვაობა მათ შორის 11 წელია, მაია რომ სტუდენტი გახდა, ნათია დაწყებით კლასებში სწავლობდა. არ მახსოვს, კონფლიქტი და ხელჩართული ბრძოლა ჰქონოდათ, როგორც დებს აქვთ ხოლმე ხშირად**

**– თქვენი შვილები საჯარო პირები არიან, ერთი მინისტრია, მეორე – მინისტრის მეუღლე. კრიტიკული ხართ მათ მიმართ?**

– საკმაოდ კრიტიკული ვარ, მაგრამ ობიექტური. ყველაფერს არ ვუწონებ – ეკრანზე რომ ვხედავ „შენ გენაცვალოს დედა, რა მყავხარ-მეთქი," არ ვფიქრობ. ვნერვიულობ, სულ განვიცდი, ყურადღების ცენტრში რომ არიან თავიანთი საქმიანობის გამო. მინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს. შვილებით აღფრთოვანებული, ენამოჩლექილი, ტრადიციული დედა არ ვარ. თუ თვითონ გამიზიარებენ საფიქრალს და რჩევას მკითხავენ, მივცემ რჩევას. შენიშვნებსაც ვაძლევ – ის ასე უნდა გეთქვა და გაგეკეთებინა-მეთქი.

**– ელოდით, რომ თქვენი შვილები პოლიტიკაში წავიდოდნენ?**

– კი, მაია მაინც 16 წელი მუშაობდა დიპლომატის რანგში – ჯერ გერმანიაში, შემდეგ ჰოლანდიაში. ბუნებრივად მოხდა მისი პოლიტიკაში წასვლა. დამოუკიდებლობის მოპოვების მერე გერმანია იყო პირველი ქვეყანა, სადაც საქართველოს საელჩო გაიხსნა. ელჩად დაინიშნა კოტე გაბაშვილი და მან როგორც გერმანულის კარგ მცოდნეს, მაიას შესთავაზა თანამშრომლობა. საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ, მხარში ედგნენ ერთმანეთს. თუმცა, არ ვარ სენტიმენტალური ადამიანი, მაგრამ თავისებურად რთულია მაინც, როცა ნათიაც და მაიაც ისეთი დატვირთულები არიან, ფიზიკურად დრო არ რჩებათ და საკუთარ შვილებს ხშირად ვერ ვხედავ, რაზეც ვწუხვარ და გული მწყდება.

**– გარდა საჯარო ცხოვრებისა, რა ჰობი, გატაცება აქვთ კიდევ თქვენს ქალიშვილებს?**

– ნათიაც და მაიაც სერიოზულად გატაცებულები არიან მებაღეობით, გაშენებული აქვთ ბაღნარი და საკუთარი ხელით უვლიან მცენარეებს. არიან ძალიან კარგი კულინარები. მაიას დრო ნაკლებად აქვს, თორემ კულინარია ძალიან უყვარს. ხშირად უცხოური რეცეპტებით ჩემთვისაც საგანგებოდ ამზადებს.

**– თქვენ მესამე შვილიც გყავთ, ლაშა, მასზეც გვიამბეთ.**

– ლაშა ხელოვანია, მოქანდაკე, თუმცა ძალიან ცუდ დროს მოუწია საქმიანობა და პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, თავისი პროფესიით არასდროს უმუშავია, თუმცა საკმაოდ ნიჭიერია. ისე მოხდა, რომ ქალიშვილები უფრო რეალიზებულები აღმოჩნდნენ.

**– რა ინტენსივობით ახერხებთ შვილების ნახვას?**

– შედარებით იშვიათად, სხვათა შორის, დღეს დამირეკეს და აპირებენ მოსვლას. მე ჩემს ვაჟთან ერთად ვცხოვრობ. ოჯახური შეკრებები გვაქვს ხოლმე და როცა სცალიათ მაიას და ნათიას, ერთად მოდიან.

**– პოლიტიკაზე თუ საუბრობთ?**

– არა, ნამდვილად არა ***(იცინის).*** პოლიტიკა ისეთი დოზით არის ისედაც შემოჭრილი ჩვენს ოჯახსა და ყოველდღიურობაში... რა თქმა უნდა, მაინტერესებს ქვეყანაში რა ხდება და ვუყურებ საინფორმაციო გამოშვებებს, მაგრამ დიდი დოზით პოლიტიკა მოსაბეზრებელია. ტელევიზორში არ ვარ შემძვრალი. ჩემი შვილების გამოსვლებს ყოველთვის ვუყურებ და მერე შენიშვნებსაც ვაძლევ. მიუხედავად ყველაფრისა, პოლიტიკა ყოველთვის შორს იყო ჩემგან – მე ვარ მეცნიერი და შემოქმედი, მთარგმნელი. თარგმნილი მაქვს: თომას მანის სამი რომანი – „ბუდენბროკები", „ჯადოსნური მთა" და „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება," ასევე, მაქს ფრიშის – „ჰომო ფაბერი" და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი", რაინერ მარია რილკეს – წერილები, ჰერმან ჰესეს – მცირე პროზა.

**– სამოსთან დაკავშირებით თუ აძლევთ ხოლმე რჩევებს?**

– აქეთ მაძლევენ ეგეთ რჩევებს ***(იცინის).*** თვითონაც არ ვარ ისეთი, რომ ასაკის შეუფერებლად ჩავიცვა. ასე რომ, იშვიათად ვიმსახურებ შენიშვნებს. არც მე და არც ჩემი შვილები ჩაცმა-დახურვაზე გადარეულები არასოდეს ვყოფილვართ – ყველაფერი ზომიერების ფარგლებში. სხვათა შორის, ეს შარფი ახლა რომ მიკეთია, ჩემი სიძის, ირაკლის ნაჩუქარია და ძალიან მიყვარს. ჩვენს ოჯახში არ არის აუცილებლობა, მაინცდამაინც დაბადების დღეზე, ან სხვა დღესასწაულზე გავუკეთოთ ერთმანეთს საჩუქარი. ნათიამ და მაიამ იციან ჩემი გემოვნება და ყოველთვის იმას მჩუქნიან, რაც მომწონს. არა მარტო იმას, რაც მე მომწონს, რაც თვითონ უნდათ რომ მეცვას, იმასაც ***(იცინის).*** მაია თავიდანვე უფრო კლასიკურად და მკაცრად იცვამდა, მანამდეც, ვიდრე მინისტრი გახდებოდა. ნათია უფრო თავისუფალ სტილს ამჯობინებს, უყვარს ფრი-

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **მაინტერესებს, როგორ არის მოწესრიგებული საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ურთიერთობა. რა უფლებამოსილებით სარგებლობს ეკლესია სახელმწიფოსთან მიმართებაში?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენად კანონიერია, რომ საქართველოს მოქალაქეს სასჯელთან ერთად ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა ან უღირსი საქციელისთვის აეკრძალოს ქვეყანაში ცხოვრება?**



**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს მოქალაქისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია. ასევე, დაუშვებელია, საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა ბრალდებულს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით, მოიპოვოს თავის გამამართლებელი მტკიცებულებები და აქვს თუ არა ამგვარი წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს გამოძიების მტკიცებულებების თანაბარი ძალა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ანდა ადვოკატის დახმარებით, მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ამასთან თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, ის უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია, ყველა ზომა მიიღოს, რათა ბრალდების მხარისთვის არ გახდეს ცნობილი დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

**კითხვა**: **მაინტერესებს, შეუძლია თუ არა გარეშე პირს, რომელსაც არავითარი ახლო ურთიერთობა არ აქვს კონკრეტულ საქმეზე ბრალდებულთან, პროკურორის ან გამომძიებლის რეკომენდაციით, მისთვის უცნობ ბრალდებულ პირს ადვოკატი აუყვანოს.**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ზოგადად, ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული, ან ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი. ასევე, ადვოკატის აყვანა შეუძლია სხვა პირსაც. რაც შეეხება გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, მათ უფლება არ აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე კონკრეტულ ადვოკატს. ბრალდებული, მისი ახლო ნათესავი, ან სხვა ადვოკატის ამყვანი პირი და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.

**კითხვა**: **მაინტერესებს, რა შემთხვევაში არ აქვს უფლება ადვოკატს, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ: ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი; იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს; ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

**კითხვა**: **მაინტერესებს, რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული დაცვის სპეციალური ღონისძიება სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული მოწმის მიმართ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ: განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას; პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას; პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე; პროცესის მონაწილის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას რეალური საფრთხე ემუქრება.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვისთვის რა სპეციალური ღონისძიებებია გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებებია: საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება; პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო დოკუმენტების გასაიდუმლოება; ფსევდონიმის მინიჭება; უსაფრთხოების ზომების მიღება; გარეგნობის შეცვლა და საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა.

---

ალა კაბები. ეგრეთ წოდებულ შოპინგებზე არ დავდივართ ხოლმე. თუ უცხოეთში მიდიან, იქიდან ჩამოაქვთ ხოლმე საჩუქრები.

– **ესე იგი, სიძეც გიკეთებთ საჩუქრებს.**

– დროდადრო. კარგი გემოვნება აქვს.

– **ნათიამ, როგორც ვიცი, საკმაოდ ადრეულ ასაკში შექმნა ოჯახი. თქვენ როგორ შეხვდით უმცროსი ქალიშვილის ამ გადაწყვეტილებას?**

– ძალიან ჩვეულებრივად. 20 წლის ქალის გათხოვება არ მიმაჩნია ნაადრევად, სავსებით ნორმალურია. ვერ ვიტყვი, რომ ირაკლის დიდხანს ვიცნობდი მანამდე, საკმაოდ ხანმოკლე რომანის შემდეგ გადაწყვიტეს დაქორწინება და მშობლებიც საკმაოდ ადრეულ ასაკში გახდნენ. ცერემონიით და ოფიციალურად ქალიშვილის ხელი არ უთხოვია ირაკლის – მძიმე პერიოდს დაემთხვა მათი შეუღლება, 90-იანი წლები, გაჭირვება... არც ქორწილი ჰქონიათ. საკმაოდ სადად და უბრალოდ მოხდა ყველაფერი.

– **ესე იგი, სასიძო მოგწონდათ.**

– კი, რა თქმა უნდა. თუმცა ახლა სიძეზე საუბარი და მისი ქება ულამაზოდ მიმაჩნია.

– **ირაკლი და ნათია თუ ახერხებენ ხშირად თქვენთან მოსვლას?**

– ჩემი სახლი თავშეყრის ადგილია. ვცდილობ, რაც ირაკლის უყვარს, ის მოვუმზადო. თუმცა, მიზეზიანი და პრეტენზიული არ არის. ძალიან სადა და ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს ორივე სიძესთან. როგორც სიდედრი, თავს ზევრის უფლებას არ ვაძლევ, არ ვერევი მათ ცხოვრებაში და ეს მომწონს.

– **შვილი რომელი გგავთ ხასიათით?**

– ვერ ვიტყოდი, რომ მაინცდამაინც მგავს რომელიმე. თუმცა, მე საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებული ვარ. ჩემი შვილებიც ასეთები არიან.

– **შვილიშვილებზეც გვითხარით ორიოდ სიტყვით.**

– მყავს 6 შვილიშვილი, მათ შორის ერთი უკვე დაოჯახებულია და 3 შვილი ჰყავს, 3 ულამაზესი შვილთაშვილი მყავს. ასე რომ, ამ მხრივაც მოხდილი მაქვს ვალი. ერთი შვილიშვილი გერმანიაში სწავლობს.

– **თქვენი შვილები თუ არიან მკაცრები თავიანთ შვილებთან?**

– მაიაც და ნათიაც საკმაოდ თავისუფლად ზრდიან შვილებს.

– **ქვეყნიდან სამუდამოდ წასვლაზე თუ გიფიქრიათ ოდესმე, ქალბატონო დალი?**

– არა, არასოდეს გვიფიქრია. ისიც კი არ დაგვიშვია, რომ მაია შეიძლება, გერმანიაში დარჩენილიყო სამუდამოდ.

**ქეთი დიდებულიძე**

**მას შემდეგ, რაც ამერიკიდან თბილისში დაბრუნებულმა ნიჭიერმა მუსიკოსმა ზაზა მარჯანიშვილმა ცხოვრება მარინა სალუქვაძეს დაუკავშირა, მის ცხოვრებაში სხვა ეტაპი დაიწყო. ახალ, საინტერესო შემოთავაზებებს ამერიკული კლუბის – „ზაზანოვას" გახსნაც მოჰყვა, სადაც ზაზა მუსიკას უძღვება, მარინა კი, რომელიც მუსიკოსის აზრით, ბედის საჩუქარი აღმოჩნდა – კლუბის კომერციულ მხარეს.**

# როგორ დააწყებინა ზაზა მარჯანიშვილს ახალი ცხოვრება მეოთხე ცოლმა და როგორ შექმნა მან თბილისში „ახალი ორლეანი“

**ზაზა**: ცხოვრების ძალიან საინტერესო პერიოდი მაქვს, მიმიწვიეს რამდენიმე ტელეპროექტში. თბილისში წელიწად-ნახევრის წინ ჩამოვედი ამერიკიდან, სადაც 18 წელი ვცხოვრობდი. მე, ფაქტობრივად, თავიდან მომიწია ქართული ცხოვრების სტილის შესწავლა. მეგობრები დღემდე ხუმრობენ ჩემზე – ეს ისევ ამერიკაშია ჩარჩენილიო. საკუთარ თავს ვატყობ, რომ ხშირად ამერიკულად ვაზროვნებ, რადგან, ჯერ კიდევ გაურკვეველია ბევრი „ჩვენებური საკითხი". ჩვენთან ურთიერთობის კანონებიც სხვანაირია, ბევრი ჩახლართული ისტორია უკავშირდება ერთმანეთს. მარტივ მაგალითს გეტყვით, ტაქსი რომ გააჩერო რუსთაველზე და უთხრა: აქედან ვაკემდე რამდენად წამიყვან, ისიც კი არ გეუბნება სათქმელს პირდაპირ და, რამდენსაც მომცემო – „გთავაზობს".

**– ამასაც აქვს თავისი ხიბლი. თქვენ მართლაც ამერიკულ სტანდარტებზე დარჩენილხართ მორგებული.**

– ეს არაა სტანდარტი, ჩემი წასვლის შემდეგ აქ ბევრი რამ შეცვლილა. ვგიჟდები ამერიკაზე, სულ მენატრება იქაურობა – ქალაქი, სადაც ვცხოვრობდი; ამერიკელი მეზობლებიც კი მენატრებიან ხოლმე. თქვენ გგონიათ, მეზობლობა მარტო ქართველებმა ვიცით? არა, რა თქმა უნდა. ნიუ-იორკსა და ნიუ-ორლეანს შორის, რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა, ისევე, როგორც განსხვავება იქნება თბილისსა და ტალინს შორის. ნიუ-ორლეანელები, როგორც სამხრეთელები, ჩვენ ძალიან გვგვანან. ტორტს რომ გამოაცხობს რომელიმე ზანგი მეზობელი, აუცილებლად მოგიკითხავს და ჩვენც იმავეს ვაკეთებდით. ქართულ სოფლებში დღემდეა შემორჩენილი ძველი ტრადიცია, რომ აბსოლუტურად უცნობ ადამიანს უნდა მიესალმო და ოჯახი მოუკითხო. ახალ ორლეანშიც არის ასეთი წესი: ადამიანი რომ შეგხვდება, აუცილებლად გკითხავს: დედა როგორ არის?



**მარინა: „ზაზაზე ბევრი ქალი გიჟდებოდა, მაგრამ, ტენდერში მე გავიმარჯვე“**

**– ნიუ-ორლეანში მეზობლებთან გქონდათ ურთიერთობა?**

– მქონდა რომელია! იქ ყველა იცნობს ერთმანეთს. მე, როგორც აქ, იქაც ვიცავდი კანონებს და 11 საათის შემდეგ ყურსასმენებით ვმუშაობდი. თუ დღესასწაული იყო, ყველა მეზობელს ჩავუგდებდი ხოლმე წერილს საფოსტო ყუთში: „მაპატიეთ, დღეს სტუმრები გვყავს და, შეიძლება, გვიანობამდე შეგაწუხოთ". იმავეს აკეთებდნენ ისინიც.

**– ცოტა ხნის წინ თბილისში გააკეთეთ პოპულარული კლუბი – „ზაზანოვა". ბიზნესს როგორ უძღვებით, აღმოგაჩნდათ კომერციის ნიჭი?**

– კომერციის რა მოგახსენოთ, მაგრამ, ღმერთის მადლით, აქ არის საშუალება, რაც შეიძლება მეტი მუსიკოსი ეზიაროს სცენას. კვირაში შვიდი დღე გვაქვს ცოცხალი მუსიკა. კლუბში ჩემი „ნიუ-ორლეანი“ მაქვს: ფერები, სამზარეულო, სერვისი, განწყობა... ამიტომაც, ბევრი ამერიკელი მოდის ჩვენთან, მათ შორის არიან ჩემი მეგობრებიც, ჩამოდიან სტუმრად. მალე მე და მარინაც ვაპირებთ ამერიკაში წასვლას – ალბომი უნდა ჩავწერო იქ. კლუბში ყველას მკაცრად გვაქვს კლასიფიცირებული ჩვენი საქმე: კომერციული მიმართულება მარინას აბარია, ჩემი საქმე მუსიკა და მასთან დაკავშირებული თემებია.

**– მარინა კარგი ბიზნესპარტნიორიც აღმოჩნდა?**

– მარინა იმდენად ნიჭიერი ქალია, რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი კარგად გამოსდის, დაწყებული კერძის მომზადებით, კლუბის მართვითა და სიმღერით დამთავრებული. მას სისხლში დები იშხნელების სისხლი ურევია, ასე რომ, მუსიკისა და სიმღერის ნიჭი გენეტიკურად მოსდგამს. მარინა ჩემს ახალ ალბომშიც აქტიურ წვლილს შეიტანს. ჩვენ ბევრ რამეს ვაგვარებთ ერთად, მაგრამ, მარინა, ფაქტობრივად, მაინც ამ კლუბის გენერალური მენეჯერია.

**– არ მითხრათ, რომ საკუთარ კლუბში ყავისა და ვახშმის ფულს გახდევინებთ მეუღლე.**

– დიახ, მე ჩემი ყავით მოვდივარ კლუბში ***(იცინის).***

**მარინა**: აშკარად ხუმრობს, ასეც არაა საქმე.

**ზაზა:** მე უფრო მეტს ვფიქრობ მუსიკაზე, მის ჟღერადობაზე და რეპერტუარზე. არ შეიძლება, ერთმა კაცმა იფიქროს, რამდენი კარტოფილი და ხორცია საყიდელი და რომელი გიტარისტი უნდა მოვიყვანოთ. ამაზე უფრო მარინა ზრუნავს, მე ჩემს ამბავში ვარ ჩართული.

**– მარინა თქვენთვის მეოთხე ცოლია ორი ქართველი და ერთი ამერიკელი მეუღლის შემდეგ. მრავალცოლიანი კაცის რეპუტაცია გაქვთ. ფიქრობთ, რომ საბოლოოდ ჩაუშვით ღუზა?**

– ოთხი ცოლი მრავალცოლიანი კაცის რეპუტაციას მიქმნის? ეს ხომ წარსულში იყო, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. სიმართლე გითხრათ, მარინამ დააბალანსა ის, რაც მაკლდა. მე ვფიქრობ, პირადი ცხოვრება ასეა: ზოგს უმართლებს, ზოგს – არა; ზოგი გვიან იზრდება, ზოგი – ადრე. ყველას თავისი დრო აქვს, ვფიქრობ, რომ ჩემი დრო მარინასთან მოვიდა, ალბათ,

**ზაზა: „როცა მარინას სძინავს, ფეხის წვერებზე დავდივარ“**

ცხოვრება ახლა დავიწყე. რამდენნაირი ეროვნების, ფსიქიკის, გემოვნების ქალთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ, ასეთი უნივერსალური და საინტერესო ქალი ბევრი არ მინახავს. მე სულით მონარქისტი ვარ და, ეტყობა, მარინას „ცისფერი სისხლიც“ მიზიდავს, რაც მის საქციელსა თუ ხასიათში, სიკეთის გაკეთებასა და გაცემაში ვლინდება. მოკლედ, მარინა ბედის საჩუქარია ჩემთვის.

**– ამერიკელი ცოლი ცუდად შემორჩა თქვენს მოგონებებს?**

– არა, ამერიკელები ძალიან კარგები არიან – თბილები, გულღიები, პირდაპირები, უფრო პურიტანებიც კი, ვიდრე ქართველები. პერანგსაც ურეცხავენ ქმარს, თუ ქმარი სთხოვს; თუ ცოლი ავადაა, ქმარსაც არ რცხვენია ის გააკეთოს, რაც ოჯახისთვის არის საჭირო... ასე რომ, ლურსმანი და ჩაქუჩი მეც მჭერია ხელში. თბილისშიც დამიჭრია ხახვი, მარინასთვისაც, როცა თვითონ სხვა რამეს აკეთებდა და არ ეცალა.

**– წინსაფარს იკეთებდით სამზარეულოში?**

– მე დიდხანს ვიცხოვრე დამოუკიდებლად და სამზარეულოშიც ვერკვევი. ქალსა და სამზარეულოს საწინააღმდეგო ზანაკად და მტრად არ აღვიქვამ – ამერიკელი მამაკაცები ძირითადად ასე, მტრად აღიქვამენ ქალს. არ ვიცი, აქ როგორაა, ცოლი მყავს და ქალებზე დაკვირვებები არ მიწარმოებია. მე ვიცი, რომ მარინას გვერდით ცხოვრება სხვანაირად მიხარია.

**– და მუზებიც უფრო ხშირად გესტუმრებიან ხოლმე?**

– მუსიკას მაწერინებს, ჩემი პირველი მსმენელია, ძალიან ვენდობი.

**მარინა**: როცა ზაზა მუსიკას წერს, ფეხის წვერებზე დავდივარ, ოღონდ, იძულებით არა, ჩემი ნებით. ვგიჟდები ზაზას მუსიკაზე, მიხარია, როცა ახალ მუსიკას ქმნის და ყველანაირად ხელს ვუწყობ.

**ზაზა**: ეს ხომ ჩვეულებრივი რამაა: მეც დავდივარ ფეხის წვერებზე, როცა მარინას სძინავს – ასე ვუფრთხილდებით ერთმანეთს. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს ოჯახი.

**– ოჯახური თანაცხოვრება ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმოგედგინათ?**

– არც მიფიქრია, თუ რამე უნდა წარმომედგინა. ხანდახან მგონია, რომ იქაც ერთად ვცხოვრობდით. მაშინაც კი, როცა მასთან არ ვიყავი, სულ მინდოდა მასთან ყოფნა. როცა ურთიერთობა დავიწყეთ, ჩვენ ერთმანეთისთვის არაფერი დაგვიმალავს, მე ზუსტად ვიცოდი, ვისთან ჩამოვდიოდი. ჩვენ არც ასაკი გვქონდა ისეთი, რამე გვეთამაშა ერთმანეთთან – ეს არ დაგვჭირვებია. ჩვენ ისეთ ასაკში შევხვდით ერთმანეთს, როცა ხვდები, რომ გავიდა ცხოვრება და, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაიწყო.

**მარინა**: როცა თავიდან ფეხებამდე იცნობ ადამიანს, მერე იოლია ურთიერთობის აწყობა. ზაზა ძალიან კარგი, ნიჭიერი და საყვარელი ადამიანია, ამიტომაც, ბევრი ქალი გიჟდებოდა მასზე, მაგრამ, ტენდერში მე გავიმარჯვე და ამით ძალლიან ვამაყობ. თუ კვლავ იქნება შემოტევები, დარწმუნებული ვარ, ყველას და ყველაფერს გავუმკლავდები.

**ზაზა**: ჩვენ უფრო გავაძლიერეთ ერთმანეთი. მარინას მეგობრები ჩემი მეგობრები გახდნენ, ჩემი მეგობრები – მისი. ჩემთვის მთავარია, რომ მასთან ერთად ვცხოვრობ ჩემს ქალაქში. ვხუმრობ ხოლმე, „სიყვარულის პარტია“ შევქმენით- მეთქი ***(იცინის).***

**– პარტიის თავმჯდომარე ვინაა?**

**მარინა**: პარტიის თავმჯდომარე ზაზაა, მე ვარ პარტიის სწავლული მდივანი და მძღოლი, რადგან, მე ზაზაზე უკეთესი მძღოლი ვარ.

**ზაზა**: იმიტომაა ჩემზე უკეთესი მძღოლი, რომ მე არ ვარღვევ მოძრაობის წესებს, კანონმორჩილი ადამიანი ვარ, თბილისში კი ეს არ შეიძლება. მარიკოს კარგად გამოსდის ხაზიდან ხაზში სიარული ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

**მას შემდეგ, რაც სოსო ჯაჭვლიანი პოლიტიკაში მოვიდა, ბევრი კითხვა დამიგროვდა, მაგრამ, ვერა და ვერ მოხერხდა ჩვენი ინტერვიუს ჩაწერა. რამდენჯერმე რომ არ უპასუხა სატელეფონო ზარს, დაახლოებით ამგვარი შინაარსის მესიჯი მივწერე: ბატონო სოსო, საქმიანი ხართ, ველარ ვახერხებთ თქვენთან გასაუბრებას და როდესაც დროს გამონახავთ შეგვეხმიანეთ-მეთქი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დამირეკა და ჩვეული იუმორით მითხრა: შეგეშალათ, საქმიანი კი არა, ჯაჭვლიანი ვარო. ჰოდა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ინტერვიუც მალევე შედგა.**

# რომელი ავტომანქანით ადიოდა სოსო ჯაჭვლიანი ხეებზე და როგორია მისი პოლიტიკური და არაპოლიტიკური ცხოვრება

**სოსო ჯაჭვლიანი:** ხომ იცით, კრატუნი რომ იცის დემოკრატიამ?

**– ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ...**

– თუ გახსოვთ, რუბრიკა იყო ადრე ასეთი ტელევიზიით: ბავშვებს ეკითხებოდნენ უცხო სიტყვებს და მათ თავისებური გაგებით მისი მნიშვნელობა უნდა განემარტათ. ჩემი შუათანა ბიჭი 5-6 წლის როცა იყო, მათ მსგავსად, თან ვიღებ კამერით და თან ვეკითხები: რას ნიშნავს დემოკრატია-მეთქი. მაგი ნამდვილად ვიციო, – მიპასუხა თავდაჯერებულად, – დემოკრატია კრატუნობს და ძალიან გემრიელიაო.

**– ახლა რა აზრის არის ის დემოკრატიაზე?**

– ახლა ამბობს: კრატუნობს, მაგრამ, ზოგჯერ შეიძლება კბილები მოუნგრიოს ვიღაცასო.

**– მინდოდა, ჩვენი საუბარი დაგვეწყო თქვენს ახალ ამპლუაზე, რომელიც არჩევნების შემდეგ მოგენიჭათ, ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად უკვე დიდი ხანია, პოლიტიკაში იყავით ჩართული.**

– ამ საქმეში ვარ ჩართული 1978 წლიდან, ენასთან დაკავშირებით რომ დაიწყო გამოსვლები და მას შემდეგ ქუჩაში ვდგავართ უკვე რამდენიმე ათეული წელია. მთელი საქართველო ყოველთვის ჩართული იყო პოლიტიკურ პროცესებში, გინდა-არგინდა, ეს პოლიტიკა მიდიოდა ნებისმიერი ადამიანის პროფესიამდე, სახლამდე, უბნამდე... ყველგან. გინდოდა თუ არა, პოზიცია უნდა გამოგეხატა, რაღაც ფორმით უნდა ყოფილიყავი ჩართული.

**– როგორც მახსოვს, თქვენ გამოხატვის რამდენიმე ფორმა გაქვთ: მუშტიც გიჭრით ხოლმე, თუ საჭიროდ ჩათვლით (ასეთი კადრებიც მინახავს), იუმორიც არ გღალატობთ...**

– ყველაფერი ზომიერი უნდა იყოს. არის ადამიანთა კატეგორია, ვისთანაც არ აქვს აზრი კამათს, მაგალითად, 100 დღე გავიდა, პარლამენტში ვარ და ხმა არ ამომიღია.

**– რატომ?**

– ეს ახალი თვისება აღმოვაჩინე ჩემში. როგორია, ახლა, ამათ ბჟუტურს უსმინო?! მაგრამ, ვისმენ. გახსოვთ, ალბათ, ჩემი საგაზეთო ლექსიკა მეტ-ნაკლებად – ადრე ვიგინებოდი, როცა ფასი ჰქონდა. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ძალიან მაგარი ვარ; არა, უბრალოდ, ეს იყო ჩემი გამოხატვის საშუალება... ახლა, ვერ გაიგებ, ვინ ვინაა, ყველა ლაპარაკობს, ამიტომ, მე აღარ ვლაპარაკობ.

**– თემამ მოიტანა და მინდა გკითხოთ, ბოლო ხანს ეკა კვესიტაძესთან ეთერში თქვენი მიწვევის შესახებ, რომელიც სოციალურ ქსელებში აქტიური განხილვის საგნად იქცა. თქვენ თქვით, რომ პარლამენტში შეეცდებით, დაიცვათ გეების უფლებები ისე, რომ მათ რაც შეიძლება ბევრი სიამოვნება მიიღონ ცხოვრებისგან...**

– მე ვთქვი გარკვევით: ახლა მე ვარ პარლამენტარი და დავიცავ ყველას უფლებას, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება და სიამოვნება რომ მიიღონ ცხოვრებისგან-მეთქი და ამაზე გაგიჟდნენ. ბიჭო, კარგს ვამბობ – გწყინს, ცუდს ვამბობ... – ვერ გავიგე... ერთი მაგალითი მომიყვანონ, ვინმე მაგნაირს ხელი თუ დავარტყი ან რაღაც დავარღვიე. მაგრამ, რას აკეთებენ, ხომ იცი, – მახინჯი ფორმით ცდილობენ, დამკვიდრდნენ. მახინჯი ფორმაა სიტყვებზე გამოკიდება. ვთქვი და, ასჯერ, ათასჯერ გავიმეორებ: ჩემს სტუდენტობაში მათ სხვაგვარად ეძახდნენ. მე ახლა, რაც პარლამენტარი ვარ, რას ვაკეთებ, იმაზე მელაპარაკონ.

**– როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლება პოლიტიკაში?**

– რა შეიცვლება, იცით? რა ქმედებაცაა ჩადენილი (მე ფაქტებზე ვლაპარაკობ, ისე კი არა, ესენი სიტყვებს რომ ეკიდებიან), ამ ფაქტებზე თუ პასუხი არ აგეს, მაშინ ჩვენ ვერანაირ საღ დემოკრატიულ საზოგადოებას ვერ მივიღებთ. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ყველა იფიქრებს, არავინ არ დასჯილა და მეც შემრჩებაო და უარესს გააკეთებს.

**– არჩევნებიდან ძალიან მალევე, მას შემდეგ რაც თქვენ ოფიციალურად მოხვედით პოლიტიკაში, სოციალურ ქსელებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ სოსო ჯაჭვლიანმა 70 ათას დოლარად „ჯიპი“ შეიძინაო. მართალია?**

– ჯაჭვლიანი აქამდე ველოსიპედით დადიოდა?! სულ სამ-სამი და ოთხ-ოთხი „ჯიპი“ მყავდა და მყავს. აქამდე რომ „ლექსუსი“ მყავდა, ის უფრო ძვირად ღირებული იყო. ამ ამბებს ვინც ავრცელებს, იმას მივმართავ: თქვენ ის მთავრობა არა ხართ, 2005-ში სამხრეთ აფრიკაში რომ ვიყავი მსოფლიო ჩემპიონატზე, რომ ჩამოვედი და ავტოფარეხიდან ახალი „ლენდკრუიზერის ჯიპი“ მომპარეთ?! მაშინ რატომ არ ლაპარაკობდით? მე ყველაფერი შესწავლილი მაქვს, თუ როგორ მოხდა ამ მანქანის გაყვანა და მოპარვა. მე როცა ფილმს ვიღებდი და ინვესტიცია შემომქონდა საქართველოში („სვანზეა” ლაპარაკი), უზარმაზარი თანხა რომ დასჭირდა მის გადაღებას და 20 ამნაირი მანქანა შემეძლო, მეყიდა იმ თანხით, მაშინ რატომ არ ლაპარაკობდით?! როცა გრანტი მოვიგე და ჩემმა სცენარმა გაიმარჯვა, სახელმწიფოს რომ მოგებული გრანტის თანხა დავუბრუნე უკან, მაშინ რატომ არ ლაპარაკობდით?!... იმიტომ, რომ მე სახელმწიფოდან არასდროს ერთი კაპიკი არ დამიხარჯავს. თქვენ არ იცით, ვის როგორ უნდა გაუფუჭოთ სახელი. ისე, ჩემს ამ ყბადაღებულ ახალ მანქანას, ხომ იცით, რა ნაკლი აქვს?



**თქვენ ის მთავრობა არა ხართ, 2005-ში სამხრეთ აფრიკაში რომ ვიყავი მსოფლიო ჩემპიონატზე, რომ ჩამოვედი და ავტოფარეხიდან ახალი „ლენდკრუიზერის ჯიპი“ მომპარეთ?!**

**მეუღლე დიასახლისია, იმიტომ, რომ სამი შვილი გვყავს, ბიჭები. თან, სვანების გაზრდა ცოტა რთულია, ერთი ხუთზე გადის, ანუ, სამი რომ გაზარდო, ვითომ 15 გაგიზრდია**

**– რა ნაკლი?**

– ჰო, ამბობენ, რომ ეს მანქანა ჩემი არ არის, სიდედრისაა ან ვიღაცის... სინამდვილეში, ესეც ჩემი მანქანაა, მაგრამ, ბადრიზე (ძმა – ბადრი ჯაჭვლიანი) მაქვს გაფორმებული – ეს ერთი ნაკლი აქვს. ეს ის მანქანაა, რომლის საფასურიც 5-7 წელი უნდა ვიხადო, რადგან, განვადებითაა შეძენილი. რატომ არ უნდა ვიყიდო, არ მეკუთვნის? მე ყველა პარლამენტარს ვურჩევ, რომ დაიწყებენ პარლამენტარობას, მაშინვე იყიდონ, რომ მერე არ წამოაძახონ. მე მსოფლიოში ყველაზე მაგარი მანქანა მყავდა.

**– რომელი მოდელი და როდის?**

– როდის და, ჯოხს რომ დავიჭერდი, 4-5 წლის ასაკში და „დავქოქავდი“, მაშინ. ნებისმიერ ტალახში გავივლიდი, ხეზეც კი ავდიოდი იმ მანქანით. მას შემდეგ ის გრძნობა, ის სიამოვნება ვერც ერთი მანქანის მართვისას ველარ გამოვცადე. მანქანა და ყველაფერი პირობითია, მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, იმაზე, რომ ერთმანეთს გული არ ვატკინოთ, ქვეყანა ავაშენოთ, ერთმანეთს დუბინკები არ დავუშინოთ და არ მოვატყუოთ.

**– ალბათ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრი არსებობს, ამ შემთხვევაში თქვენი აზრი მაინტერესებს – როგორ აფასებთ ვერულაშვილის საქციელს?**

– ადამიანს ყოველთვის აქვს შანსი, რომ ნაბიჯი გადადგას – ან წინ, ან უკან. ძალიან კარგი, რომ ვერულაშვილმა ასეთი ნაბიჯი გადადგა.

**– ქუთაისში ვისთან ერთად ცხოვრიობთ?**

– ბინები გვაქვს დაქირავებული. მე მარტო ვცხოვრობ და ოჯახობა მივდი-მოვდივართ.

**– ოჯახზეც მიამბეთ: მეუღლე რას საქმიანობს?**

– მეუღლე დიასახლისია, იმიტომ, რომ სამი შვილი გვყავს, ბიჭები. თან, სვანების გაზრდა ცოტა რთულია, ერთი ხუთზე გადის, ანუ, სამი რომ გაზარდო, ვითომ 15 გაგიზრდია.

**– ნაბოლორა რამხელაა?**

– მეორე კლასშია, უფროსი შარშან გახდა სტუდენტი, შუათანა წელს ამთავრებს სკოლას. ნაბოლარა რომ მივიყვანეთ სკოლაში, მოვიდა პირველ დღეს აღელვებული და მითხრა, შენთან საქმე მაქვსო. რა საქმე გაქვს-მეთქი, ვკითხე. ბიჭო, რაზე მიმიყვანეთ ამ სკოლაში, არაფერი არ ვიცი და ოჯახს თავს რატომ ჭრითო?!

**– კინოსთვის თუ მოიცლით?**

– აუცილებლად.

**ეკა სალაღაია**

# როდის არის შეყვარებული ქალი მარტოსული და რატომ არ უნდა აჰყვეს ის ილუზიებს

**როდის არის შეცდომის აღიარება დაგვიანებული და რატომ ველარ ახერხებენ ადამიანები მათ გამოსწორებას, ანუ, რა ხდება, როცა შეგნებულად მიდიხარ კონკრეტულ ნაბიჯზე, მაშინაც კი, როცა იცი, სად მიგიყვანს ის? არსებობს ცნება – „მოპარული" ბედნიერება. პრინციპში, მას განმარტებაც არ სჭირდება, ისედაც ყველაფერია ნათქვამი: რადგან იპარავ, ესე იგი, ის შენ არ გეკუთვნის, ანუ თავიდანვე უნდა იყო შეგუებული იმ აზრს, რომ, ადრე თუ გვიან, მას სამუდამოდ დაკარგავ, თუმცა, მაინც ებღაუჭები, მაინც ცდილობ, ნარჩენებისგან შეკრა მთლიანობა, რომელიც არც არასოდეს არსებობდა. რა შეიძლება ხიბლავდეს ამ სახიფათო თამაშში ქალს, რატომ უნდა ცდიდეს ბედს და იტყუებდეს თავს?! ნუთუ ამ ყველაფერში დამნაშავე სიყვარულია?! ამბობენ, რომ პარტნიორის პოვნა ადვილია, გაცილებით რთულია მისი შენარჩუნება – ერთ დღესაც, საყვარელი ადამიანი უცხო ხდება შენთვის, ზოგჯერ კი მტრადაც გადაიქცევა. გიკვირს და ველარ აიგივებ მას იმასთან, ვინც შენი ცხოვრების აზრი და ყველაზე მთავარი ადამიანი გეგონა.**



**მარიამი** *(29 წლის):* ზოგჯერ ვფიქრობ, ისეთი არაფერი დამიშავებია, ასე ვიტანჯებოდე. შემიყვარდა და ამ გრძნობამ გამაკეთებინა ის, რასაც დღეს ძალიან ვნანობ. ალბათ, მეტყვით, რომ გრძნობა მაშინ არის გამართლებული, როცა მას გონება აკონტროლებს, მაგრამ, მე ასე არ ვფიქრობ. სიყვარული სწორედაც არ ცნობს არავითარ ლოგიკასა და გონივრულობას. აწონილ-დაწონილი და გაზომილი სიყვარული აღარ არის სიყვარული.

**– ჰო, მაგრამ, როცა ეს სიყვარული გაუმართლებელია და პრობლემებს გვიქმნის, როცა ის თავიდანვე არის შეცდომა და ეს იცი?!**

– ვხვდები, რისი თქმაც გინდათ. დიახ, მე ვიცოდი, რომ ცოლიანი მამაკაცის სიყვარული კარგს არაფერს მომიტანდა, მაგრამ, ადამიანი ისეა მოწყობილი, იმას იჯერებს, რისი დაჯერებაც თავად უნდა. იმედიც ბოლოს კვდება – ხომ გაგიგიათ? ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ხელოვნურად ვაცოცხლებდი ამ იმედს.

**– რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ ბრმა ნამდვილად არ ვარ. თავი კი მოვიტყუე, მაგრამ, ისე დამაჯერებლად მიმტკიცებდა, ჩემი ცხოვრება უნდა შევცვალოო, დავიჯერე. ძალიან რთულია ეს ყველაფერი. თავიდან თითქოს მარტივად ჩანს: ცოლი ჰყავს? უნდა შეეშვა. რაც სხვისია, ის შენი ვერასოდეს გახდება. თუ ამას გონებაში ჩაიბეჭდავ, შეიძლება დიდი უბედურება აიცილო თავიდან.

**– ამას ხუმრობით ამბობთ?**

– არა, აბსოლუტურად სერიოზულად. მე მშურს იმის, ვისაც საკუთარ გულზე ძალადობა შეუძლია. რა ვქნა, ვერ მოვერიე სიყვარულს, ძალიან რთული აღმოჩნდა. ის ჩემს ცხოვრებაში ქარიშხალივით შემოიჭრა და სხვა ყველა გრძნობა დააჩლუნგა. მაშინ მოვიდა, როცა ყველაზე მარტოსულად ვგრძნობდი თავს და შინაგანად მციოდა. ვისაც ეს არ განუცდია, ის ვერ გამიგებს. რაღაც მომენტში ბოროტიც გავხდი. ახალ წელს ჩავიფიქრე, ჩემი საყვარელი მამაკაცი ცოლს გაშორებოდა. იცით, როგორი მწველი სურვილი მქონდა, ოჯახი დაენგრას, რაღაც უბედურება დაემართოს-მეთქი?! ახლა სინდისი მქენჯნის ამის გამო. ახლა ვხვდები, რომ იმისი ცოლი საერთოდ არაფერ შუაში იყო და მე მას ცუდს ვუსურვებდი. ადამიანი, რომელსაც ჩემ წინაშე არანაირი დანაშაული არ მიუძღოდა, მძულდა, ვერ ვიტანდი. გონება მქონდა არეული და საერთოდ არ ვეკუთვნოდი საკუთარ თავს. ანუ, მე მე არ ვიყავი. რომ ამბობენ, სიყვარული უკეთესობისკენ ცვლის ადამიანებსო, ტყუილია. მე ჩემს მაგალითზე გამოვცადე, რომ პირიქით – უარესობისკენ ცვლის.

**– რამ მოგხიბლათ ცოლიან მამაკაცში?**

– მამაკაცი მამაკაცია. თქვენ ფიქრობთ, რომ, შეიძლება, ცოლიანის სტატუსი მამაკაცს რამე განსაკუთრებულ ხიბლს მატებდეს? არ ვარ ადრენალინზე გადარეული და მისი დოზის შევსების სურვილი ნამდვილად არ მამოძრავებდა. უბრალოდ, შემიყვარდა – ეს იყო და ეს. თქვენ რომ თქვით, ხიბლიო, მაგ ხიბლმა მე კარგი არაფერი მომიტანა. ის კი არა, ფაქტობრივად, დამღუპა. ვიცოდი, რომ არასოდეს მიატოვებდა ცოლს და მისი ყველა სიტყვა ბლეფი იყო.

**– უცნაურ რაღაცას ამბობთ! თუ იცოდით, მაშინ ხავსს რატომღა ებღაუჭებოდით?**

– საქმეც ეგაა. ექვსი თვე მატყუებდა და იმედს მაძლევდა. ცოლი არ მიყვარსო, ისტერიჩკაა და აუტანელი ხასიათი აქვს, ყველა სიტყვაზე ვჩხუბობთ და, ლამის არის დავხოცოთ ერთმანეთიო, მე მასში ქალს ველარ ვხედავ და ამ ურთიერთობას აუცილებლად დავამთავრებ, იმიტომ, რომ მომავალი აღარ გვაქვსო.

**– თითქმის ყველა ცოლიან მამაკაცს, რომელიც სხვა ქალს „ეჩალიჩება" შესაბამლად, ასეთი ტექსტი აქვს, არ იცოდით?**

– გაგონილი მქონდა, მაგრამ არ მიფიქრია, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია. ვეთანხმები სტერეოტიპებს, მაგრამ, ეტყობა, ეს მაინც აქტუალურია და მუშაობს. სამწუხაროდ, ახლა უკვე ვიტყვი, რომ ყველა კაცი ერთნაირია და მათი ნდობა არ შეიძლება. ნეტავი, რა სინდისით ცხოვრობს საკუთარ ცოლთან იმ სიტყვების მერე, რაც მასზე აქვს ნათქვამი?! თუმცა, რომელ სინდისზეა ლაპარაკი. მე რა, სინდისიერად მომექცა?!

**– გპირდებოდათ, რომ ცოლს დაშორდებოდა?**

– აბა, რაზე ვლაპარაკობ? როცა ერთმანეთი გავიცანით, უკვე ვიცოდი, რომ ცოლი ჰყავდა. ამას უკვე ვერ მომატყუებდა, თორემ, ალბათ, არც ამაზე დაიხევდა უკან. მე მისთვის არ დამისვამს საკითხი – ცოლს დაშორდი-მეთქი. მან თვითონ მითხრა, რომ ამას გააკეთებდა. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, არ ჰქონდა აუცილებლობა, ასე საზიზღრად ეთამაშა დაჩაგრული ქმრის როლი, რომელსაც ყელში ჰყავს ამოსული მობეზრებული ცოლი.

**ვაჟბატონმა არაჩვეულებრივი ტრიუკი ჩაატარა. მის ცოლს არც კი გაუგია თავისი ქმრის „ახალ რეალობასთან" ორკვირიანი შეგუების ამბავი**

**– პირადად მე ვერ შემექმნება დადებითი წარმოდგენა მამაკაცზე, რომელიც ხელაღებით ლანძღავს იმ ქალს, რომელსაც ცოლს ეძახის და მისი შვილების დედაა.**

– ალბათ, მართალი ხართ, მაგრამ, სიყვარული ამდენს აღარ გაფიქრებინებს. მე მარტო ერთი რამ მინდოდა – სულ მის გვერდით ყოფნა. ვუსმენდი, როგორ ყვებოდა საშინელ ქალებზე, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ – გათხოვდნენ და იშოვონ ქმარი. მეუბნებოდა, სამწუხაროდ, ჩემი ცოლიც ამ კატეგორიის ქალების რიცხვშია. იცი, რა აღიზიანებს კაცს ქალში ყველაზე მეტად? ისტერიკულობა და შეუგნებლობა. ვერ გავაგებინე ჩემს ცოლს, რომ ძალით თავს ვერ შემაყვარებს და ვერც თავისი ისტერიკით შემაკავებს, აუცილებლად მივატოვებო.

**– და, ასეთი კაცი გიყვარდათ?**

– ჰო, ასეთი კაცი მიყვარდა. შევცდი. მართლა ვფიქრობდი, რომ ცოლი არ გამოადგა. რა ვიცოდი, რომ, პირიქით, ცოლი იტანდა და უძლებდა მის საშინელ ხასიათსა და ახირებებს. მოდიოდა ჩემთან თითქმის ყოველდღე, მაგრამ, ღამით არ რჩებოდა და ამ საქციელს ასე მიხსნიდა. არ მაქვს ჩემი ცოლის სკანდალების თავი; მირჩევნია, მშვიდად დავშორდე და ამიტომ ვატარებ ოჯახში დღესასწაულის დღეებსაც. საშინელების ჩადენა შეუძლია და ისევ შენ გიფრთხილდებიო. რაღაც ეტაპამდე მჯეროდა მისი ტყუილების. ვფიქრობდი, ვუყვარვარ და სწორად აკეთებს, რომ ცოლს არ აღიზიანებს; რად მინდა მისი მოვარდნა და საქვეყნოდ ჩხუბი-მეთქი. მაგრამ, მერე ისეთი რაღაც მოხდა... შემთხვევით, აბსოლუტურად მოულოდნელად, მისი ცოლი გავიცანი.

**– გაიცანით იმიტომ, რომ მისი ცოლი იყო?**

– არა, არა, რომ მცოდნოდა, ვისი ცოლი იყო ყველანაირად მოვერიდებოდი. მით უმეტეს, მასზე პოზიტიური შთაბეჭდილება არ შემექმნებოდა. ხომ იცით, როცა თავიდანვე ხარ განწყობლი უარყოფითად და აგრესიულად ვიღაცის მიმართ, შეუძლებელია, მერე რამე პოზიტიური განწყობა გაგიჩნდეს – თითქოს რაღაც ბარიერს იქმნი და ეკალსაც გამოისხამ. მოკლედ, შემთხვევით მოხდა ჩვენი გაცნობა და გადავირიე, ისე ძალიან მომეწონა. ვიფიქრე, როგორი არაჩვეულებრივი ქალია, ალბათ, მისი ქმარი როგორი ამაყია, ასეთი ცოლი რომ ჰყავს-მეთქი. კიო, მითხრეს, – გიჟდება ამისთვის. ხელისგულზე ატარებს, ყველანაირ პირობას უქმნის და ყველა სურვილს უსრულებს. ვერ ხედავ, როგორი მოვლილია? წელიწადში ორჯერ უცხოეთშია. წარმატებულია და ქმრის კარიერაში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვისო. ეს ყველაფერი მოვისმინე ქალზე, რომელსაც ჩემს პირად, ყველაზე დაუძინებელ მტრად მივიჩნევდი. რეალობა კი სულ სხვანაირი ყოფილა და ამ რეალობას ძალიან მწარედ შევეჯახე. ამ ქალის ვინაობა რომ გავიგე, სერიოზული შოკი მივიღე და ძალიან დიდხანს მეგონა თავი ცუდ სიზმარში. ის ნაძირალა ყველა სიტყვას მატყუებდა და არც კი უფიქრია, ცოლს დაშორებოდა. კიდევ უფრო უარესი – მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული. თუმცა, ის ქალი ჩემზე უარესად იყო მოტყუებული.

**– იქნებ, არც იყო მოტყუებული? არსებობენ ქალები, რომლებიც ქმრის თავგადასავლებს საკმაოდ გულგრილად უყურებენ.**

– არ ვიცი, მე ამის გამოძიება არ დამიწყია – ამის არც დრო არ მქონდა და, თანაც, ჩემი ფიქრები უკვე სხვა რამისკენ იყო მიმართული – საყვარელი მამაკაცისგან მტრის ხატი შევქმენი და დავიწყე საკუთარ თავზე მუშაობა, რომ შემეძულებინა. მაგრამ, მაინც მოახერხა ხელმეორედ ჩემი გაცურება, თანაც, დიდი ოსტატობით – სახლში ჩემოდნით მომადგა. ლამის შოკი მივიღე. ვუყურებდი და ხმას ვერ ვიღებდი. ვერ

# როგორ იპოვეს საქართველოში მცხოვრებმა ნათესავებმა ბიძის ცხედარი ესტონეთში

**ჟურნალისტის შენიშვნა:** სამამულო ომმა ათეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უამრავი მათგანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება და დღემდე ეძებენ მათ საფლავებს. რუსეთში ცხოვრობს ჩემი კოლეგა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთის პოვნაში ეხმარება – 56 წლის ტატიანა ევგენის ასული მიშინა. ის ათი წელია, რაც ამ საქმეს ემსახურება. საქართველოდან კი 50 ადამიანს დაეხმარა დაკარგული ახლობლების პოვნაში. დღევანდელი ისტორია ეხება ისეთ შემთხვევას, რომელიც, ალბათ, საუკუნეში ერთხელ თუ მოხდება. კერძოდ, ესტონეთში იპოვეს სამამულო ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი ჯარისკაცის ცხედარი, საქართველოში კი, ჩოხატაურის რაიონში, ამ ჯარისკაცის ნათესავები ცხოვრობენ... დანარჩენს ჩვენს ინტერვიუში თავად ქალბატონი ტატიანა უამბობს მკითხველს.

**– ტატიანა, თქვენ წლების განმავლობაში ეხმარებით ადამიანებს ერთმანეთის პოვნაში და, ვიცი, რომ მათ შორის ქართველებიც არიან. რომელ ისტორიაზე გაამახვილებდით ყურადღებას, რომელი ისტორია მიგაჩნიათ მათ შორის ყველაზე საინტერესოდ?**

– საბედნიეროდ, მე მაქვს იმის საშუალება, რომ დავეხმარო ადამიანებს ერთმანეთის პოვნაში – ეს ჩემი ცხოვრებისეული ჰობია. ვიცი, რომ კარგად გამიგებთ ***(იცინის).*** ქართველებსაც არაერთხელ დავხმარებივარ. მაქვს ჩემი საკუთარი საიტი poisksvouh.ru, ასევე, ვიღებ თხოვნებს ელექტრონულ ფოსტაზე. ვცდილობ, არც ერთი ისტორია არ დავტოვო უყურადღებოდ, რაც, ცოტა არ იყოს, რთულიცაა. სულ ახლახან დამირეკეს ჩემმა ესტონელმა კოლეგებმა სამძებრო განყოფილება „ვირონიიდან“, რომლებიც დაკავებულნი არიან სამამულო ომის დროიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა პოვნითა და მათი ვინაობის დადგენით. ესტონეთის ტყეში ჩატარებული ძიების შედეგად, 2012 წლის 5 მაისს იპოვეს სამამულო ომის დროს დაკარგულად მიჩნეულ ჯარისკაცთა 12 ცხედარი. ერთ-ერთ მათგანს აღმოაჩნდა ორი მედალი საბრძოლო დამსახურებისთვის. რუსი კოლეგების დახმარებით, ესტონელებმა გაარკვიეს, ვის ეკუთვნოდა ეს მედლები (მედლების ნომრების წყალობით). პოდოლსკის არქივის მეშვეობით კი გაირკვა, რომ ორივე მედლის მფლობელი იყო ქართველი ჯარისკაცი – ალექსანდრე ილიკოს ძე ბერიძე, რომელსაც მედლები 1944 წლის 13 ივლისს გადაეცა.



**– მაინც, როგორ დაადგინეს, რომ ნაპოვნი ჯარისკაცი ქართველია?**

– ნაპოვნი ჯარისკაცი რომ ქართველია, მედლების წყალობით გაირკვა. გაიკრვა, რომ ალექსანდრე ილიკოს ძე ბერიძე, დაბადებული 1919 წელს, იყო ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუზნარიდან. ნაპოვნი ქართველი ჯარისკაცი პირველი მსროლელი ბატალიონის, 131-ე დივიზიის მეტყვიამფრქვევე ყოფილა. ის დაჯილდოებული იყო მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის“, 743-ე მსროლელი პოლკის ბრძანებით. 1941-1945 წლებში სამამულო ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეულთა დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ნაპოვნი ჯარისკაცი იყო ქართველი, ჩოხატაურის რაიონიდან და რომ ის დაიღუპა 1944 წლის 3 აგვისტოს, ხოლო დასაფლავების ადგილი მითითებული არ იყო. იმავე დოკუმენტში ეწერა, რომ ალექსანდრეს ნათესავები ცხოვრობენ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუზნარში. ნათესავების შესახებ მეტი არანაირი ინფორმაცია არ იყო. მომმართეს თხოვნით, როგორმე დამედგინა ნაპოვნი ჯარისკაცის ნათესავების ვინაობა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუზნარში, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ჩემი მხრიდან მე ამ საქმეში ჩავრთე ჩემი ქართველი მეგობარი ქალბატონი, რომელმაც დამიდგინა, რომ ჩოხატაურის რაიონში მართლაც არის მსგავსი სახელწოდების სოფელი, თუმცა, მას ცოტა სხვაგვარი სახელი აქვს. მანანა დაუკავშირდა ამ სოფლის მცხოვრებლებს და მათი საშუალებით გაირკვა, რომ ნაპოვნი ჯარისკაცის გვარიც შეცდომით იყო დაწერილი – ის სინამდვილეში ბერაძე ყოფილა. ვიპოვეთ მისი ნათესავები, რომლებმაც ერთხმად აღიარეს, რომ ნაპოვნი მათი ბიძა იყო. ისინი ამჟამადაც ჩოხატაურში ცხოვრობენ და მაისში მიწვეულები არიან ესტონეთში, ბიძის გადასვენებაზე დასასწრებად და მათთვის მედლების გადასაცემად. ესტონელი მაძიებლები მოხარულნი იქნებიან დაკარგული ნათესავების ნახვით. პირადად მე ამ ისტორიის გახსენება ყოველთვის მიხარია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ სასწაულია ათეული წლების წინ მომხდარი ამბის გახსნა და, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ ნაპოვნი ჯარისკაცის ნათესავებმა გაიგეს მათი ბიძის ქვეყნის წინაშე დამსახურების შესახებ.

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

მივხვდი, რა მოხდა. მანამდე ტელეფონში ვეჩხუბე და ვუთხარი, ჩემი სახელი აღარ ახსენო-მეთქი. არც იმას დაუკლია ლანძღვა-გინება. შენთან იმიტომ მინდოდა ყოფნა, რომ ჩემს ცოლს არ ჰგავდი. მეგონა, თავისუფლად სუნთქვის საშუალებას მომცემდი, მაგრამ, არაფრით ყოფილხარ უკეთესიო და, უცებ, სახლში არ მომადგა?! – ცოლისგან წამოვედი, შენც ხომ ეს გინდოდაო. ქალი მაინც სულელია და ადვილად იჯერებს იმას, რისი დაჯერებაც უნდა. მეც მაშინვე დამავიწყდა ყველაფერი. ორი კვირა სახლიდან არ გასულა და არც მე გამიშვა – დავტკბეთ ერთმანეთითო. დავიჯერე, რომ ჩემზე გიჟდებოდა, რომ ყველაფერი აწონ-დაწონა და მიხვდა, ჩემთან უნდოდა ყოფნა. მაგრამ, სწორედ მაშინ გაქრა, როცა ჩემი ბედნიერების დავიჯერე. როგორც მოვიდა ერთი ჩანთით, ისე წავიდა. მითხრა: რა ვქნა, ვცადე, შენთან ყველაფერი თავიდან დამეწყო, ახალი რეალობა შემექმნა ჩვენ ორისთვის, მაგრამ, არ გამომივიდა. ვხვდები, ჩემი ცოლისა და შვილის აჩრდილი არასოდეს მომშორდება, გული ისევ მათკენ მიმიწევს და ძალიან ცუდად ვარ. ვერ ვიცხოვრებ მშვიდად შენ გვერდითო. უნდოდა, კარგი ტიპის იმიჯით წასულიყო ჩემგან, მაგრამ, უკანასკნელი ნაძირალასავით მოიქცა.

**ცოლი ჰყავს? უნდა შეეშვა. რაც სხვისია, ის შენი არასოდეს იქნება. თუ ამას გონებაში ჩაიჭედავ, შეიძლება, დიდი უბედურება აიცილო თავიდან**

**– რატომ? იქნებ, არც უცდია თქვენი მოტყუება და მართლა ჰქონდა მცდელობა, მოეგვარებინა ურთიერთობები?**

– თავიდან მეც ასე ვიფიქრე, მაგრამ, ძალიან პატარა სივრცეში ვცხოვრობთ და სიმართლე არ იმალება. სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ნეტავი ცოლმა უკან როგორ მიიღო, ნუთუ თავმოყვარეობა საერთოდ არა აქვს-მეთქი და, უცებ, ვიგებ გამაოგნებელ ამბავს: ვაჟბატონმა არაჩვეულებრივი ტრიუკი ჩაატარა – თურმე მის ცოლს არც კი გაუგია თავისი ქმრის „ახალ რეალობასთან“ შეგუების ორკვირიანი „ვოიაჟი“.

**– რანაირად?**

– რანაირად და, ის ქალი საერთოდ არ იმყოფებოდა ქვეყანაში. უცხოეთში ბრძანდებოდა საქმიანი ვიზიტით. ამ ნაძირალამ დრო იხელთა, ყველაფერი შესანიშნავად გამოთვალა და, პრინციპში გამოუვიდა კიდეც. მე გავიგე სიმართლე, თორემ მაინც შემეცოდებოდა და ვიფიქრებდი, რომ კაცმა თავისი სცადა, იწვალა, მაგრამ, შვილის სიყვარულმა გადაძლია. არამზადაა და არავინ არ უყვარს. მე რომ შურისმაძიებელი ქალი ვიყო, მივიდოდი და მის ცოლს ყველაფერს მოვუყვებოდი.

**– ის ქალი რაშია დამნაშავე. თქვენ ხომ თქვით, არაფერი იცოდაო?**

– ეტყობა, არ უნდა და ამიტომ არ იცის. ალბათ, ფეხებზე ჰკიდია ქმარი, თორემ, თუკი ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, ისიც ხომ აქ ცხოვრობს?! რატომღაც, არ მჯერა, რომ „რაინდი“ მარტო ჩემთან მოიქცა ასე. ისე ოსტატურად მოქმედებდა, აშკარად ადრეც ექნებოდა მსგავსი საქციელი ჩადენილი. თუმცა, ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს – არ შემრჩა „მოპარული“ ბედნიერება.

**– ეს რას ნიშნავს?**

– ანუ, მოპარული ბედნიერება რას ნიშნავს? – რაც არ გერგება, არ შეგერგება, – აი, ამას ნიშნავს. რატომ წარმოვიდგინე, რომ სხვისი ქმარი მე გამომადგებოდა?! კაცი, რომელიც შეჩვეულია ტყუილს და ამაზე აგებს თავის ცხოვრებას, ის ვერასდროს შეძლებს გულწრფელ ურთიერთობას. ყველაფერი ჩვენზე, ქალებზეა დამოკიდებული. ჩვენ ვაძლევთ მამაკაცებს უფლებას, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გვიქციონ.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გამირთულდა – ვიჩხუბეთ და უკან არც ერთმა არ დავიხიეთ. საშინელი სიტყვები ვუთხარით ერთმანეთს. მინდა, შევურიგდე, მაგრამ, თავმოყვარეობა ამის საშუალებას არ მაძლევს. უკვე სამი თვეა, ერთად ვცხოვრობთ და ბევრი ისეთი თვისება აღმოვაჩინე მასში, რაც ძალიან მაშფოთებს. იქნებ, ის ის არ არის, ვინც მეგონა? მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** უპირველესად, თავი არ მოიტყუოთ და სიმართლეს თვალებში შეხედეთ. დაინახეთ რეალობა ისეთად, როგორიც ის არის სინამდვილეში. ურთიერთობა აუცილებლად უნდა გაარკვიოთ. კიდევ, უნდა გააცნობიეროთ ყველა ის თვისება და ახირება, რომელიც თქვენს საყვარელ ადამიანს აქვს. შეეგუებით მათ? – მაშინ, პრობლემა არ გექნებათ. ადამიანი უნდა მიიღოთ ისეთი, როგორიც არის.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**თემურ თათარაშვილის ნამღერი, განსაკუთრებით რუსული რომანსები, მალამოდ ედება მსმენელის გულს და უდიდეს სიამოვნებას განიჭებს. მის ხმის ტემბრს მართლაც რომ უხდება ეს ჟანრი, მაგრამ, ალბათ, ყველამ არ იცის, რომ ანატოლი დნეპროვის სიმღერა „რადოვაც" მან პირველად მეუღლეს – ნინო ადამაშვილს მიუძღვნა, როცა იგი ფეხმძიმედ იყო.**

# რატომ გაშორდა ცოლი თემურ თათარაშვილს და როგორ გაიცნო მისი მეორე ცოლი ყოფილმა ცოლმა

**– ნინო, არ გიჭირს ქმრისგან განცალკევებულად ცხოვრება – შენ აქ ხარ, ის – მოსკოვში?**

– მე ამას ქორწილის დღიდან ვარ მიჩვეული – თვეში ორჯერ სადღაც მიდიოდა და მეც და მარიც შევეჩვიეთ უმისობას, თუმცა, ძნელი იყო ბავშვისთვის იმ მხრივ, რომ შვილისთვის დედაც მე ვიყავი და მამაც. მატერიალური დახმარება სხვა მომენტია, მაგრამ, მამის გვერდში დგომა კიდევ სხვაა და ამ სიტუაციაში ორივეს როლს მე ვასრულებდი. ჩვენი ურთიერთობის ფორმა ახლა არის სკაიპი – თითქმის ყოველდღე ველაპარაკებით ერთმანეთს.

**– ახლა კატო დაგემატათ, ისიც ხომ ელაპარაკება ბაბუას სკაიპში?**

– კატოსთვის სკაიპით გაცნობილი ბაბუა სხვაა. თემურს სკაიპით უფრო კარგად აღიქვამს, ვიდრე ცხოვრებაში რომ ნახა. კი, რომ ჩამოვიდა ჩაეხუტა, მოეფერა ბაბუს, მაგრამ, სკაიპით უფრო მიეჩვია მასთან ურთიერთობას. სულ იმას ვამბობდი, რომ მე ჩემს შვილიშვილს მარტო მოვეფერები, სად შემიძლია მოვლა და გაზრდა-მეთქი, მაგრამ, ახლა ერთი წუთითაც არ შემიძლია კატოს გარეშე. რამდენიმე თვეა არ ვმუშაობ და, რაც სახლში დავჯექი უფრო მომეწება. როცა ვმუშაობდი, ერთი სული მქონდა კატოსთან გამოვქცეულიყავი, ყველანაირი დაღლილობა სიამოვნებაში გადამდიოდა კატოსთან ურთიერთობაში. თვითონ არის ასეთი ბავშვი, რომელიც სიცილით იძინებს, სიცილით იღვიძებს, ყველას ღიმილით ხვდება...



ფეთქებადი ხასიათის ადამიანია. უცბად აფეთქდება, იყვირებს, იჩხუბებს და ზუსტად ორ წუთში აღარაფერი ახსოვს

**– ისევ პირველ კითხვას დავუბრუნდები. არც არასდროს გამოგითქვამს ქმართან პრეტენზია – რაღაც პერიოდი მაინც იყავი სახლში, ჩემ გვერდით?**

– პრეტენზია არ მქონდა, იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო. საერთოდ, როგორი ადამიანი ვარ, იცი? რეალობას ვუყურებ და არასდროს დავფრინავ; როგორც საჭიროება მოითხოვს, ყველაფერს ისე ვიღებ.

**– ეს, ალბათ, ძირითადად ფინანსურმა მდგომარეობამ განაპირობა.**

– კი, განაპირობა ფინანსურმა მდგომარეობამ, მაგრამ, საქართველოში შოუ-ბიზნესი დღესდღეობით არ არსებობს. იყვნენ მომღერლები, რომლებიც სისტემატურად მუშაობდნენ და იყვნენ მომღერლები, რომლებსაც ეძინათ; არა, კი არ ეძინათ, დააძინეს, მივიწყებულები იყვნენ. არ ვიცი, საშუალება არ ჰქონდათ თუ უფლება არ ჰქონდათ, რომ ემღერათ, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თემური აქ ვერასდროს იმუშავებდა ისე, როგორც მოსკოვში მუშაობს. როდესაც ციხიდან გამოვიდა, მაშინვე მოსკოვში წავიდა. მაინც შიში ჰქონდა თავის მსმენელთან შეხვედრის – იმ პრობლემის შემდეგ კომპლექსი გაუჩნდა. ეცადა ამ კომპლექსის მოხსნას, მაგრამ, მთლიანად მაინც ვერ მოეხსნა. დრო ყველაფრის მკურნალია. წავიდა იქ, იმუშავა, ფეხზე დადგა და ყველაფერი დალაგდა. და, კიდევ, არ მიყვარს ცოლების ისეთი კატეგორია, რომლებიც კუდში დასდევენ ქმრებს – ეს არის უნდობლობა და მეტი არაფერი. მაგას სჯობია, დაშორდეს.

**– სულ ახლახან სოლო კონცერტი ჰქონდა. სცენაზე გამოჩენისთანავე ძალიან დაძაბული მომეჩვენა. თითქოს ვერც იმღერა ისე, როგორც ადრე მღეროდა. რატომ?**

– იმდენი ინერვიულა, ლაპარაკიც უჭირდა, ნერვიულობამ მერე ხმაზეც იმოქმედა. ხალხს რომ უნდა მისალმებოდა, ვერ მიესალმა, ყბა აუკანკალდა და ცრემლები წამოუვიდა, სიტყვებს ვერ ამბობდა. წინა რიგში ვიჯექი და ეს კარგად დავინახე. როგორც მსმენელი, მივხვდი, რომ თემურის ხმა ყურს ძალიან მონატრებია; თვალსაც მოენატრა, გულსაც, მაგრამ, ყურს ყველაზე მეტად მონატრებია.

**– როგორ ცხოვრობს თემურ თათარაშვილი მოსკოვში და რა გეგმები აქვს, იქ დარჩენას აპირებს?**

– თემური იქ სამუდამოდ დარჩენას არ აპირებს – წამოვა, როდესაც, ელემენტარულად, შოუ-ბიზნესი ამოქმედდება. როცა გარკვეული წლები იქ ცხოვრობ და იმ რიტმში ჯდები, ძნელია ადგილის შეცვლა. იქ აქვს სამსახური, ახლა ბინაც იყიდა და კარგად არის. სულ რამდენიმე დღეა, რაც ბინა შეიძინა. რა თქმა უნდა, კრედიტით. იქით დედამისი, აქეთ ჩვენ – ასე რომ, ორ ოჯახს ინახავს. თან, მე რომ არ ვმუშაობ, ძნელია. გეგმაში გვაქვს, რომ მარი გავუშვა იქ სასწავლებლად. თემურს, გარდა იმისა, რომ კონცერტები აქვს, იქ სტაბილური სამსახურიც აქვს – ერთ-ერთი სოლიდური რესტორნის გენერალური დირექტორია.

**– როგორია თემური სახლში, არის თუ არა ოჯახის მოყვარული კაცი?**

– ამ სახლში ახლა ვცხოვრობთ მე, მარი და კატო. მარი ქმარს გაშორდა. იცი, თემური როგორი ადამიანია? რომ შემოვა სახლში და დაინახავს, რაღაც არ არის, რაღაც აკლია ოჯახში, მაშინვე წავა და მოიტანს, თქმა არ სჭირდება, ყველაფერს თავისით აკეთებს. მაღაზიებში თემური უნდა გაუშვა, იმიტომ რომ, ყველაფერს საუკეთესოს იყიდის.

**– ალბათ, თემურთან ურთიერთობა ადვილი არ არის. ძალიან კარგი მომღერალია, მაგრამ, როგორც ვიცი, ცოტა მძიმე ხასიათი აქვს. კარგი მეოჯახე რომ არის, ესეც ვიცით, მაგრამ, როგორია ის ცოლის თვალით დანახული?**

– თემური ფეთქებადი ხასიათის ადამიანია – უცბად აფეთქდება, იყვირებს, იჩხუბებს და ზუსტად ორ წუთში აღარაფერი ახსოვს, გულში ჩადებაც არ იცის.

**დრო ყველაფრის მკურნალია. წავიდა იქ, იმუშავა, ფეხზე დადგა და ყველაფერი დალაგდა**

**– ახალგაზრდა ხარ, ლამაზი, ჭკვიანი... დარწმუნებული ვარ, თაყვანისმცემლები გეყოლება.**

– იმდენი საქმე მაქვს კატოს სახით, რომ მაგისთვის არ მცალია. ისე, ხომ იცი, ქალი ბერდება მაშინ, როცა თაყვანისმცემელი აღარ ჰყავს. რას ლაპარაკობ, ერთი დღე ნუ მაცოცხლა, რომ თაყვანისმცემელი არ მყავდეს. ეს ყოველთვის იყო და იქნება.

**– თემური თუ ეჭვიანობს? როცა სკაიპში ელაპარაკები, კითხვებს არ გისვამს, არ მიგანიშნებს რამეზე?**

– არა, ეჭვიანი არ არის. იცი, ეჭვიანობა საიდან მოდის? როცა ბევრს ფიქრობ ამაზე. არ უნდა იფიქრო მაგ საკითხზე. საერთოდ, თემური სხვა კატეგორიაა, მიყვარხარო – ამასაც არ გეტყვის. მახსოვს, ერთადერთხელ, ძალიან მთვრალი იყო და მაშინ მითხრა – შენ არ იცი, როგორ მიყვარხარო. დანარჩენი... ცოლად ისე გავყევი, რომ „მიყვარხარ" არ უთქვამს.

**– მახსოვს, რაღაც პერიოდი გაშორებულები იყავით, მერე შერიგდით, ისევ დაშორდით. მახსოვს, ერთხელ ინტერვიუში მითხარი, მე და თემურს ავი ენები გვაშორებენო. იმ დროს თბილისში მართლაც ბევრს ჭორაობდნენ თემურზე; ბევრი ვერ გაუძლებდა ასეთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. როგორ იღებდა ამ ჭორებს თემურის ცოლი?**

– ბევრია ისეთი, ვინც სხვისი ცხოვრებით ერთობა. დადიოდნენ მაგათ ოჯახში ვითომ კეთილისმსურველნი, რომლებიც ერთობოდნენ ლაი-ლაით; წავიდოდნენ იმასთან – რაღაცას იტყოდნენ, მოვიდოდნენ ჩემთან – სხვას ამბობდნენ... გაფუჭებული ტელეფონივით „ჩორტაობდენ" და მერე ერთობოდნენ. შეიძლება, ბოლომდე ვერც აცნობიერებდნენ რა უნდოდათ, ანუ, უნდოდათ თუ არა ჩვენი განქორწინება, მაგრამ, ისინი ამით ერთობოდნენ და დროს ატარებდნენ. რაც შეეხება ჩვენს დაშორებას, კი ბატონო, ოფიციალურად განქორწინებულები ვართ უკვე რამდენი წელია. ძალიან ადრე გავშორდით, მარი რომ ხუთი თვის იყო, მერე შევრიგდით, მერე ისევ გავშორდით ერთმანეთს.

**– არ გაინტერესებს, იქ როგორ ცხოვრობს თემური, ვისთან ერთად ცხოვრობს?**

– თემურმა იქ ცოლი მოიყვანა, რადგან, სხვანაირად რუსეთის მოქალაქეობას ვერ მიიღებდა. სხვათა შორის ვიცნობ კიდეც იმ გოგოს, აქაც ჩამოდის ხანდახან.

**– რომელზე უფრო მოქმედებს ჭორები?**

– თემური არის ენის ამყოლი, მე კი, სანამ ფაქტის წინაშე არ დავდგები და რაღაცას არ დავინახავ, მანამდე არ ვიჯერებ; თან, ასაკსაც ხომ გააჩნია.

**– მახსოვს, სკოლაში (თემური და ნინო მე-4 საჯარო სკოლაში სწავლობდნენ) შენ და შენი და საკმაოდ კარგად მღეროდით და აქტიურად იღებდით მონაწილეობას ღონისძიებებში, სკოლის სცენაზე თუ სკოლის გარეთ. არ გქონია სურვილი, ქმართან ერთად დუეტი ჩაგეწერა, მასთან ერთად გემღერა თუნდაც ერთი-ორი სიმღერა?**

– მთელი ბავშვობა ვმღეროდი, მამაჩემი ხომ კომპოზიტორია ***(ჯემალ ადამაშვილი – ავტორი)*** და სულ ვმღეროდი, მაგრამ, რაც თემურის ცოლი გავხდი, თემურმა გამაჩუმა – აღარასდროს იმღეროო. თემურს ისეთი ხმა აქვს, თავისნაირ მომღერლებზე აქვს პრეტენზია. მე კი მისნაირი მომღერალი ვერასოდეს გავხდები, არც მიფიქრია ამაზე, ერთი მომღერალიც გვეყოფა ოჯახში. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, კატომ მაინც იმღეროს.

**– ერთი შვილი რომ გყავთ, ხომ არ ნანობთ შენ და თემური?**

– მე მართლა ძალიან ვნანობ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ, ქალისთვის, რომელსაც ერთი შვილი ჰყავს, უნდა არსებობდეს დასჯის რაღაც კანონი. ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი, თუმცა, მე მყავდა ტყუპები, მაგრამ, ბოლომდე ვერ მივედი და სულ ვამბობ – ღმერთმა დამსაჯა-მეთქი. რომ გავიგე, ორსულად ვიყავი, თემურს ვუთხარი: რად გვინდა კიდევ ერთი ბავშვი, მარი ხომ გვყავს, რა საჭიროა-მეთქი, მაგრამ, მერე, როდესაც გადავწყვიტე – კარგი, გავაჩენ-მეთქი, მომეშალა – მესამე თვეში ვიყავი. აი, კატო, მიმაჩნია, რომ ჩემი მეორე შვილია.

**ეკა პატარაია**

# ვის ჰყავდა პირველი ავტომობილი ტფილისში და რა ისტორია აქვს მადამ ბოზარჯიანცის სახელით ცნობილ სახლს

*თბილისის ცენტრალური უბნების ქუჩებზე, რომლებსაც წარსულში სულ სხვა სახელები ერქვა, არაერთი საინტერესო სახლი დგას. ამ სახლებს თბილისის ისტორიასთან უშუალო კავშირი აქვთ, რადგან იქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომელთა გვარებს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისის ყველა მოსახლე იცნობდა და პატივს სცემდა. ძველი ფოტოების დახმარებით საუკუნოვანი სახლების ისტორიის გაცოცხლებას შევეცდებით.*


„მადამ ბოზარჯიანცის სახლი“ გუდოვიჩის ქუჩაზე (1910-იანი წლები)

## მადამ ბოზარჯიანცის სახლი

დანიელ ჭონქაძის ქუჩაზე, რომელიც წარსულში გუდოვიჩის ქუჩად მოიხსენიებოდა, №12-ში „მადამ ბოზარჯიანცის სახლის“ სახელით ცნობილი სამსართულიანი ნაგებობა დგას, რომელიც თბილისელ თამბაქოს მრეწველებს, ძმებ ბოზარჯიანცებს ეკუთვნოდათ. 1915 წელს ეს სახლი თბილისის საუკეთესო სახლის გამოსავლენ კონკურსში მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალი მიიღო, თუმცა, საუკეთესო ფასადის მქონე სახლის სახელი მაინც ეწოდა, რადგან, ოქროს მედალი და, შესაბამისად, პირველი ადგილი, არავის აღარ მიაკუთვნეს – ორგანიზატორებმა ვერ ნახეს თბილისში სახლი, რომელიც ოქროს მედლის კანდიდატი გახდებოდა. „არტ-ნუვოს“ სტილში აგებული შენობის არქიტექტორი მიხეილ ოგაჯანოვი გახლდათ. ფასადის მოსაპირკეთებელი მასალა შეძლებულ ბოზარჯიანცებს ევროპიდან, კერძოდ, ვენეციიდან და პარიზიდან გამოუწერიათ. არსებობს ლეგენდა, რომ ამ სახლის საძირკველში ბრილიანტებია ჩაყრილი – მდიდარი ბოზარჯიანცები და მათი მეგობრები ფაეტონებიდან ყრიდნენ ძვირფას თვლებსა და ბრილიანტებს სახლის ფუნდამენტში, რადგან, მათი აზრით, ბრილიანტი ბედნიერების მომტანი იყო, თუმცა, ოჯახის საქმე 1917 წლის რევოლუციის შემდგომ სულ სხვაგვარად წარიმართა. მაგრამ, მანამდე თამბაქოს წარმოებაზე მოგახსენებთ, რომლითაც დაკავებული იყო ბოზარჯიანცების ოჯახი. პირველი თამბაქოს საწარმო ტფილისში ბოზარჯიანცებმა 1858 წელს გახსნეს, რომელიც მოგვიანებით სააქციო საზოგადოებად აქციეს – „ბოზარჯიანცი და შვილები“. საწარმოს რამდენიმე საფირმო მაღაზია ჰქონდა გახსნილი სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში და საწარმოსთან ახლოს, ვარდის მოედანზე, ავლაბარში. ცნობისთვის, შენობას „მადამ ბოზარჯიანცის სახლი“ იმიტომ დაერქვა, რომ მთლიანი ქონება ძმებს თავიანთ მეუღლეებზე ჰქონდათ გადაფორმებული – იმ შემთხვევისთვის, თუკი ისინი გაკოტრდებოდნენ.


ბოზარჯიანცების თამბაქოს ფაბრიკა (1900-იანი წლები)

ბოზარჯიანცი მდიდარი ადამიანი რომ იყო, ის ფაქტიც მოწმობს, რომ ის იყო პირველი თბილისელი, რომელსაც ჰყავდა ავტომობილი და მას პარიზიდან ჩამოსული მძღოლი ემსახურებოდა. ავტომობილის სადგომი სახლის ეზოში დღემდეა შემორჩენილი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოზარჯიანცის სახლი სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და იქ რამდენიმე ოჯახმა დაიდო ბინა, მათ შორის, ამ სახლში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლავრენტი ბერია ცხოვრობდა. საინტერესოა, რომ 1898 წელს იოსებ სტალინი სწორედ ბოზარჯიანცის თამბაქოს საწარმოში ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ წრეს და ამ და სხვა საწარმოების მუშების დახმარებით, 1900 წელს, გაფიცვები მოაწყო. გასაბჭოების შემდგომ ბოზარჯიანცის თამბაქოს მუშაობა არ შეუწყვეტია, აქ იწარმოებოდა ცნობილი სიგარეტი „პრიმა”. „მადამ ბოზარჯიანცის სახლი“ იმითაც არის საინტერესო, რომ ის საბჭოთა დროს გადაღებულ ორ ცნობილ ფილმში ფიგურირებს: „გაზაფხულის 17 გაელვება” და „დათა თუთაშხია“.


ნ. ი. ბოზარჯიანცი


ენფიაჯიანცის სახლი ვაგზლის ქუჩაზე (1900-იანი წლები)

## ენფიაჯიანცის სახლი

ამბარცუმ ენფიაჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა თბილისში უძველესი იყო – ის 1852 წელს გაიხსნა. საწარმოს ტექნიკა მოსკოვიდან და დასავლეთ ევროპიდან ჩამოიტანეს და დღეში იქ 35 ათასი ცალი პაპიროსი იწარმოებოდა. 1893 წელს ჩიკაგოში გამართულ გამოფენაზე ენფიაჯიანცის პროდუქციამ უმაღლესი პრემია მიიღო. ენფიაჯიანცის პაპიროსების საფირმო მაღაზიები თბილისში რამდენიმე ქუჩაზე იყო გახსნილი: ვორონცოვის მოედანზე, გოლოვინის პროსპექტზე და ერევნელის მოედანზე, სასტუმრო „კავკაზის”



თამარ მეფის გამზირი, ენფიაჯიანცის სახლის თანამედროვე ხედი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**ეკლესია არის ღვთივსულიერი საზოგადოება, ეკლესიას არჩენს, აკურთხებს უფალი ღმერთი და თუ ვინმე მოწყალებას გასცემს, ის ამას საკუთარი ცხონებისთვის აკეთებს, მისი მოვალეობაა. ახალ აღთქმაში პირდაპირ წერია: „იყავით მოწყალენი, რამეთუ თქვენი ზეციერი მამა არის მოწყალე... ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.“ რა არის მოწყალება, როგორ უნდა გავცეთ ადამიანებმა მოწყალება, ამის შესახებ გვესაუბრება, ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი);**

# აუცილებელია თუ არა ქრისტიანის მიერ ეკლესიისთვის შესაწირავის გაკეთება და როგორ უნდა იქცეოდეს ის საკუთარი ცხონებისთვის



**კითხვაზე, თუ ვინ არის მოყვასი შენი, პასუხი ასეთია: ყველა ის ადამიანი, რომელიც შენგან მოითხოვს, სჭირდება დახმარება – ეს, შეიძლება, ნებისმიერი სარწმუნოების, აღმსარებლობის, ეროვნების ადამიანი იყოს**

– დიდი მამა იოანე ოქროპირი ამბობს: თუ შენ მოუსმენ გლახაკს, შენც მოგისმენენ სამსჯავროს დღეს. ეს ნიშნავს იმას, რომ, როდესაც დადგება ჩვენი განკითხვის დღე და მაცხოვარი მეორედ მობრძანდება, თქვენ არავინ შეგაქებთ იმის გამო, რომ აღსარებას ამბობდით, ეზიარებოდით, დადიოდით ეკლესიაში. ის გეტყვით: მე მშიოდა და არ მაჭამეთ, მე მწყუროდა და არ მასვით, შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ, პატიმრობაში ვიყავი და არ მინახულეთ. უპირველეს ყოვლისა, ღმერთი ჩვენს მოწყალებას გადახედავს. ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან შეგახსენებთ, როგორ მდგომარეობაში ჩავარდნენ აბელი და კაენი. როდესაც შენ ბოროტის მოქმედი ხარ, ჩასაფრებულია ცოდვა შენთან. ამიტომ, როცა გაბოროტდები და იტყვი: დავდივარ ეკლესიაში, ვაკეთებ შესაწირს და ღმერთი მაინც არ იწირავსო, ვარდები კაენის ცოდვაში, შურში და განიკითხავ იმ ადამიანს, რომელიც შენზე კარგად გრძნობს თავს, შენზე მოწყალე და კეთილია. როდესაც ადამიანი რამეს სწირავს ღმერთს, ის შესაწირის რაოდენობას კი არ უყურებს, არამედ, უყურებს თქვენს გულს – როგორი განწყობილებით სწირავს მას შესაწირს. ღმერთმა თქვენ მოგცათ ჯანმრთელობა, გონება, აზროვნება და, თუ ამ ნიჭებს, წყალობას, რაც უფალმა მოგცათ, არ გასცემთ გულითა და სულით, მით უმეტეს, არ გასცემთ იმას, რაც შრომით, ხელფასით გიშოვიათ. ანუ, გაეცით ის, რაც ღმერთმა მოგცათ დაუშურებლად და ღმერთი ამ ყველაფერს შეიწყალებს და წყალობას მოგცემთ.

**– რამდენი უნდა შესწიროს ადამიანმა ღმერთს საკუთარი შემოსავლიდან?**

– იმაზე გაცილებით ცოტა, რასაც თქვენ ხარჯავთ ექიმებში, ვექილებში; იმაზე უფრო ცოტა, რასაც თქვენ ხარჯავთ გართობაში, ქეიფში, დროსტარებაში და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ძველ აღთქმაში მალაქია წინასწარმეტყველი უფლის სიტყვით ბრძანებს: „მოიტანეთ მთელის მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში“. აქ საუბარია არა მოძღვრის სახლზე, არამედ, უფლის სახლზე. იაკობ მოციქული ბრძანებს, რომ ღმერთი არავის ცდის და ის არავისგან გამოიცდება. მაგრამ, ამ შემთხვევაში ის ბრძანებს: „აბა, გამომცადეთ თქვენი ცნობიერებით“. ანუ, თქვენ თუ მოიტანთ მეათედს, მე თქვენ ოჯახებს ავავსებ საგანძურით. ეს არის ღვთის სიტყვა. კარგად დაიმახსოვრეთ: რაც არ არის თქვენი, ის არ მოგხმარდებათ. თქვენი არის თქვენი ცოდვები, ხოლო „მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსრული, გული შემუსრული და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“.

**– მამაო, როგორ უნდა გასცეს ადამიანმა სულიერი და ხორციელი მოწყალებები, რა განსხვავება მათ შორის?**

– ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რა არის სულიერი და ხორციელი მოწყალება. აუცილებელი არ არის, რომ თქვენ ეკლესიას შესწიროთ გარკვეული თანხა. ბევრს ხელფასი არ აქვს და ფული არ გააჩნია. ამიტომ, მე გეტყვით, რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ თქვენი შესაწირი ღმერთმა შეიწიროს. მანამდე კი მინდა გითხრათ, ვინ არიან გლახაკები, რომლებსაც თქვენ უნდა დაეხმაროთ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ადამიანს უნდა უყვარდეს უფალი ყოვლითა გულითა, გონებითა, ნებითა და, მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. ებრაელები ფიქრობდნენ, რომ მოყვასი მხოლოდ ებრაელი იყო, დანარჩენ, სხვა ეროვნების ადამიანებს მიიჩნევდნენ ძაღლებად და ღორებად. დღეს ბევრი მიიჩნევს ასე, არა მხოლოდ ებრაელები, არამედ, ბერძნები, რუსები, ქართველებიც, რომ ბერძენია ყველაზე კარგი ქრისტიანი, ქართველია ყველაზე კარგი ქრისტიანი და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან სამწუხაროა და არაეკლესიური სწავლებაა. კითხვაზე, თუ ვინ არის მოყვასი შენი, პასუხი ასეთია: ყველა

**როცა შენ ხედავ უსამართლობას, უსულგულობას და ჩუმად ხარ, ესე იგი, შენც თანამონაწილე ხდები ამ ყველაფრის და, სხვის შვილს თუ არ დაარიგებ, არ მიანიშნებ იმას, რომ ცუდად იქცევა, მერე შენს ოჯახშიც შემოვა ეს უბედურება**

ის ადამიანი, რომელიც შენგან მოითხოვს, სჭირდება დახმარება – ეს, შეიძლება, ნებისმიერი სარწმუნოების, აღმსარებლობის, ეროვნების ადამიანი იყოს. საეკლესიო სწავლებით, სამი კატეგორიის გლახაკი არსებობს.

**– ვინ არიან ისინი?**

– პირველი – ეს არის საზოგადო გლახაკები, რომლებიც მრავლად არიან ეკლესიის ეზოში. ბევრი საკუთარი უგუნური ცხოვრებიდან გამომდინარე გახდა გლახაკი, საკუთარი უსაქმურობისგან, სიზარმაციდან გამომდინარე და ეს უკვე მათი ცხოვრების წესად იქცა. რა თქმა უნდა, მათაც უნდა დაეხმაროთ; მეორე ტიპის გლახაკები არიან ნებსით გლახაკები, ანუ, ბერ-მონაზვნები. მათ ნებსით, საკუთარი ნებით მიატოვეს ამქვეყნიური ცხოვრება, ყველაფერი და წავიდნენ მონასტერში, ეგლახაკებიან უფალს, ხელგაწვდილები ევედრებიან ღმერთს ჩვენთვის, ქვეყნისთვის, ეკლესიისთვის. ეს აღმატებული გლახაკობაა – მათ ყველაფერი დუტევეს ქრისტესთვის, 24 საათი უნდა იყვნენ ლოცვაში, ვედრებაში, ღაღადისში და ღმერთს წყალობას უნდა გამოსთხოვდნენ; მესამე ტიპი – ადამიანთა გარკვეული ნაწილი, რომელიც უნებლიეთ გახდა გლახაკი. ანუ, ხართ პატიოსნები, შრომისუნარიანები, სამსახურიც გაქვთ, მაგრამ, ცხოვრების გარკვეულმა ჭირ-ვარამმა, არსებულმა რეჟიმებმა დაგაგლახაკათ. ხორციელი მოწყალება არის ის, როდესაც ქრისტე მარჯვნივ დააყენებს ცხვრებს და ეტყვის შემდეგ სიტყვებს: „მშიერი ვიყავი და დამაპურეთ, მწყურვალი ვიყავი და მასვით, მწირი ვიყავი და შემიფარეთ, უპოვარი ვიყავი და შემინახეთ, სნეული ვიყავი – მომინახულეთ და მომიარეთ, პატიმარი ვიყავი და მანუგეშეთ“. ასევე: მიცვალებულთა მართლმადიდებლად დამარხვა, რადგან, ამასთან დაკავშირებით ადამიანებმა ბევრი რამ არ იციან სწორად, ბევრი ცრუსწავლება არსებობს. ეს არის შვიდი ხორციელი საქმე და, თუ თქვენ არ გაქვთ მატერიალური შესაძლებლობა, დაეხმაროთ ვინმეს, შეგიძლიათ, ეს დაიმახსოვროთ და ასე გაიღოთ მოწყალება, დამშვიდებით და ღმერთი თქვენგან შეიწირავს სულიერ მოწყალებას. პირველი – ლოცვას მიცვალებულთათვის ხომ არ სჭირდება თანხა?! შეგიძლიათ, მოძღვარს ჰკითხოთ, ვინ არის ეკლესიაში ცუდად, დაეხმაროთ, მოიხსენიოთ ლოცვებში. მოხარულებთან – იხარეთ, მოტირალებთან – იტირეთ, ამას სჭირდება მხოლოდ თქვენი ბაგეები, ლოცვა, სურვილი და რწმენა. მეორე – გზაშეცდომილთა მოქცევა – ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მრავლად დაეხეტებიან ქუჩაში და ჩვენ ხშირად გვეზარება მათთვის იმის თქმა: წამოდი ეკლესიაში, წამოდი, ნახე იქ რა ხდება. ხედავთ, ვიღაც ლოთია, ვიღაც მრუშია, ბილწსიტყვაობს, მაგრამ, ეს ჩვენ არ გვეხება, რადგან, არ არის ჩვენი ახლობელი და ამიტომ არაფერს ვეუბნებით. წერია: დუმილით გაიცემაო ღმერთი. როცა შენ ხედავ უსამართლობას, უსულგულობას და ჩუმად ხარ, ესე იგი, შენც თანამონაწილე ხდები ამ ყველაფრის და, სხვის შვილს თუ არ დაარიგებ, არ მიანიშნებ იმას, რომ ცუდად იქცევა, მერე შენს ოჯახშიც შემოვა ეს უბედურება. მესამე: უგუნურთა დამოძღვრა ძალიან ძნელია, მაგრამ, მაინც უნდა ვეცადოთ. ოღონდ, ადამიანები უნდა ამხილოთ თქვენი პირადი ქმედებით, მოაქციეთ და არ აჰყვეთ, რომ მისი მსგავსი უგუნური არ გახდეთ. მეოთხე – ეს არის კეთილი რჩევის მიცემა. შენ თუ კეთილი ხარ, იცი კეთილისა და ბოროტის გარჩევა, მაშინ, შეგიძლია, სხვას მისცე რჩევა. ადამიანი ხომ უცბად არ ხდება ბოროტი, ცუდი. ამიტომ, სანამ დაეცემა, მანამდე მიდი და კეთილი რჩევა მიეცი. ვინც სიკეთის მიცემა იცის და არ აკეთებს, ის არის განშორებული უფალთანო, – ამბობს იაკობ მოციქული. მეხუთე – ნუგეშინისცემა მწუხარეთა. ასეთი ძალიან ბევრია. მათ აუცილებლად უნდა დავეხმაროთ, რადგან, ვის კართან დაიჩოქებს ხვალ სნეულება, არავინ იცის. რაც მთავარია, ნუ გახდებით შემფასებლები და, პირიქით, დაეხმარეთ მათ ისე, როგორც შეგიძლიათ. მეექვსე მდგომარეობა – ეს არის შურის არ ძიება, ანუ, არ უნდა იყოთ შურისმაძიებლები, არ უნდა თქვათ ვინმეზე: „ხედავთ, ღმერთმა როგორ დასაჯა, რა დაემართა!“ ნუ იქნებით ბოროტები, რადგან შეიძლება, იმავე განსაცდელში თქვენ ჩავარდეთ და, ის ადამიანი, რომელსაც განიკითხავდით, აქეთ დაგეხმაროთ. ღვთის სამართალზე დიდი და უკეთესი არაფერი არსებობს. მეშვიდე – ეს არის, შეუნდო შენს მაგინებელთა. ამის გაკეთება ძალიან გვიჭირს, არ შეგვიძლია მათთვის მიტევება. არადა, უფალი გვეუბნება: მიუტევე და შენც მოგეტევებაო. იყავით მოწყალენი, რადგან, თქვენი ზეციური მამა არის მოწყალე.

**ნათია უტიაშვილი**

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულები

### ღვთისმშობელმა იხსნა ლიმნი გერმანელებისგან

გულის შემძვრელი საოცრება მოხდა ფაშისტური გერმანიის მიერ საბერძნეთის ოკუპაციის დღეებში: 1944 წლის ივნისში გერმანელების რაზმი, რომელმაც მანამდე აღგავა პირისაგან მიწისა სოფელი დოსტომი (1944 წლის 10 ივნისი) და ორ დღეში გაანადგურა ექვსასზე მეტი ადამიანი, ახლა გადიოდა ევბეის კუნძულთან. მიზანი იყო ლიმნის სრული განადგურება.

ჯარისკაცთა კოლონამ მიაღწია სოფლის შესასვლელს. უეცრად დამსჯელი რაზმის მეთაურმა პირდაპირ შუა გზაში დაინახა ხელი, რომელიც გზას ულობავდა ჯარისკაცებს და ყურში ჩაესმა საიდანღაც მომდინარე ხმა:

– ეს ადგილი ჩემია! არ შეეხოთ მას!

შეშინებული მეთაური შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და შეშფოთებულმა და აღელვებულმა ჰკითხა:

– ვინ არის ამ ქალაქის მფარველი?

– ლიმნის ღვთისმშობელი, – უპასუხეს მას, – აქ არის ზღვაში სასწაულებრივად ნაპოვნი მისი სასწაულმოქმედი ხატი.

– მხოლოდ ღვთის ძალას შეუძლია ჩემი გეგმის შეცვლა, – აღიარა მეთაურმა და წავიდა ლიმნიდან.

### ღვთისმოსავი მეზღვაურის ხსნა

ლიმნელმა მეზღვაურმა – ევანგელი პანტაზისმა ამ სოფლის მღვდლებს მოუთხრო შემდეგი შემთხვევის შესახებ: „იყო 1960 წლის 14 დეკემბერი, ზუსტად 02:30 საათი. ჩვენ გავდიოდით ბოსფორს გემით „მსოფლიოს ჰარმონია“, რომელიც ეკუთვნის ნაირხოსს. მე ჩემს კაიუტაში მეძინა, როდესაც უეცრად ქალის რაღაც ზებუნებრივი ხმა მომესმა, რომელმაც ხმამაღლა მიბრძანა:

– გადახტი ზღვაში!

უნდა ვაღიარო, რომ მე ყოველთვის განვიცდიდი განსაკუთრებულ მოკრძალებას ლიმნის ღვთისმშობლის ხატისადმი და დღედაღამ ვევედრებოდი მას, დავეცავით. უეცრად ვიგრძენი მკვეთრი ბიძგი. გემი მთელი კორპუსით შეირყა. მე ილუმინატორში გავიხედე და დავინახე, რომ ჩვენი ხომალდი ცეცხლშია გახვეული. ჩვენ შევეჯახეთ იუგოსლავიის ტანკერს, რომელსაც გადაჰქონდა საავიაციო ბენზინი და მაზუთი. ძლიერი დარტყმისგან ჩვენი გემის ცხვირი შუაში გაიხლიჩა, იუგოსლავიის ხომალდის ქიმზე კი წარმოიქმნა მეტრი სიღრმის ნაპრალი. გავიაზრეთ რა სიტუაცია, მე და ჩემი მეგობრები ჩავხტით ზღვაში ევროპული თურქეთის მხრიდან. სანამ ჩვენ მივცურავდით, ჩვენ ირგვლივ შეგროვდა მრავალი დელფინი – ასე გვიცავდნენ ისინი ზვიგენებისგან, რომლებიც უხვად იყვნენ ამ რაიონში.

ვიცურე რა ორსაათ-ნახევარი, მაინც მივაღწიე თურქეთის ნაპირამდე. ეკიპაჟის ორმოცდაათი წევრიდან მხოლოდ თერთმეტნი გადავრჩით.

ჩვენი ხსნა ჩვენ მივაწერეთ ჩვენს ლიმნის ღვთისმშობელს. ამიტომ, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გავემგზავრეთ ლიმნში, მის უწმინდეს ტაძარში დავესწარით ლიტურგიას და მადლობა გადავუხადეთ კეთილშობილ დედას მისი სიყვარულისთვის და ჩვენი ხსნისთვის“.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ უნდა გავატაროთ ჩვენი ანგელოზისა და წმიდანის სახელობის დღე?**

**პასუხი:** უნდა მივიდეთ ეკლესიაში. ვილოცოთ, ვთქვათ აღსარება, ვეზიაროთ, გავცეთ შესაწირავი ჩვენი ახლობლების ჯანმრთელობისა და მშვიდობისთვის. იმ წმიდანის პარაკლისი გადავიხადოთ, ვისი სახელიც გვაქვს, ვიკითხოთ ამ წმიდანის ცხოვრება და აღვასრულოთ კეთილი საქმეები.

**კითხვა: ღირს თუ არა კამათის გაგრძელება, როდესაც მაინც არ ესმით შენი და მცდარ აზრს გიმტკიცებენ?**

**პასუხი:** როდესაც კამათი დავაში გადაიზრდება და ხედავთ, რომ სიმართლის საწინააღმდეგოს გიმტკიცებენ, შეწყვიტეთ კამათი და განერიდეთ ამგვარ სიტუაციას. როგორც მდარე წყალი აფუჭებს საუკეთესო ღვინოს, ასევე ხრწნის ბოროტი საუბრები კეთილმორწმუნე და ზნეობრივ ადამიანებს.



**კითხვა: ჩემი შვილების ნათლობის ჯვრები ერთმანეთში ამერია. ხომ არ ავნებს ეს ჩემს შვილებს?**

**პასუხი:** თქვენს შვილებს ნებისმიერი ჯვარი დაიფარავს, თუ რწმენით ატარებენ. თქვენ ყურადღება იმას უნდა მიაქციოთ, რამდენად ქრისტიანულად ზრდით შვილებს, როგორ ასრულებენ ისინი იმის მცნებებს, ვის ჯვარსაც ატარებენ. იზრუნეთ იმაზე, რომ ისინი რწმენაში განმტკიცდნენ. ნათლობის ჯვრების შეცვლა კი მათ ზიანს არ მიაყენებს.

**კითხვა: ვინ არიან ქერუბიმები და სერაბიმები?**

**პასუხი:** ქერუბიმები და სერაბიმები არიან უფლის ანგელოზები, რომლებიც ყველაზე ახლოს იმყოფებიან ღმერთთან. ხოლო, როდესაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ ლოცვაში წარმოვთქვამთ: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“, ეს ნიშნავს, რომ ღვთისმშობელი ყველა ზეციურ ძალაზე მაღლა დგას.

# მამათა შეგონებანი

**ეფრემ ასური:** უპირველესი და უმარტივესი საშუალება ხორციელ ვნებათა დასათრგუნად იმ საგანთა მოშორებაა, რომლებიც სულს აღგიგზნებს; ასევე, გმართებს შეიმოსო მდუმარება და მკაცრი თავშეკავება; ძნელია, შეინარჩუნო სიწმინდე ამსოფლიურ საცდურთა შორის. სასარგებლოა, აგრეთვე, ხსოვნა, თუ როგორ მიიხრწნება შენი სული. მრავალთათვის, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუცნიათ წმიდა ცხოვრებით მიღებული სიტკბო და არ დაუწყიათ წმიდა შინაგანი ცხოვრება, სასარგებლო იქნება არაწმინდა ცხოვრებით გამოწვეული შედეგების წარმოდგენა, რომელიც, გარდა იმისა, რომ სულს განაყენებს საღმრთო სიყვარულისგან (რაც ყოველ ცოდვაზე უფრო დამღუპველია), თავისი არსით არის ბილწი. შესაბრალისნი არიან სახილველად ის ადამიანები, რომლებიც ამ ცოდვას ემონებოდნენ წარსულში, დღეს კი მოუძლურებულნი არიან ეჭვიანობით, მოწყლულნი ღალატითა და ორგულებით და სიკვდილზე უწინ სასოწარკვეთილების ჯოჯოხეთური ცეცხლისთვის არიან განწირულნი.

**ბერი ფილოთეოსი:** ზოგი ურწმუნოებისა და უწმინდურობის გამო არ იღებს ზიარებას, სხვები – უმეცრების, გულგრილობის, მცირედმორწმუნებისა და უფლის ჭეშმარიტი და წმიდად სიყვარულის უქონლობის გამო, ერთი-ორჯერ თუ ეზიარება წელიწადში და ისიც ინერციით – შიშის, სიყვარულისა და რწმენის გარეშე. მეტად სამწუხარო და სავალალოა ის გარემოება, როცა სულიერი მამა ეკლესიის აღსავლის კარიბჭიდან ზიარებაზე უხმობს ადამიანებს და არავის სურს ეზიაროს.

**თეოლიპტე მიტროპოლიტი:** გონივრულად შესრულებული ხშირი მხურვალე ლოცვები გვავიწყებს წარსულ საქმეებს. სულის განათლება ღვთის ხსოვნითა და შემუსვრილი გულით ანადგურებს უკეთურ ხსოვნებს.

**ბასილი დიდი:** უწმინდურ სარკეში შეუძლებელია საკუთარი გამოსახულების მიღება; ასევე სულსაც, რომელიც დაკავებულია ცხოვრებისეული საზრუნავით და ხორციელი ვნებებითაა დაბნელებული, არ შეუძლია, მიიღოს სულიწმიდისეული განათლება.

**წმიდა სილუანი:** მხურვალეა ღმერთის სიყვარული. მისთვის წმიდანები იტანდნენ ტანჯვას და აღწევდნენ სასწაულთქმედების ძალას, ისინი კურნავდნენ ავადმყოფებს, აღადგენდნენ ხოლმე მკვდრებს, ისინი დადიოდნენ წყალზე, ლოცვის დროს მაღლდებოდნენ ჰაერში; ლოცვით გადმოჰყავდათ ციდან წვიმა, მე კი მინდა ვასწავლო მხოლოდ მორჩილება და ქრისტესმიერი სიყვარული, რათა არავის ვაწყენინო, არამედ ვილოცო ყველასთვის, როგორც საკუთარი თავისთვის.

**ტიხონ ზადონელი:** ამ სოფელში ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი მოგზაურობა მომავალ ცხოვრებაში.

**პაისი მთაწმინდელი:** ღმერთის მოწყალებამ, დაე, იმისკენ გვიბიძგოს, რომ ვერ შევიცნოთ ჩვენს თავზე ღვთის სამართალი.

**ნილოს სორელი:** გონებითი ლოცვისას ხიბლში რომ არ ჩავარდე, არ დაუშვა შენში არავითარი წარმოდგენა, არანაირი სახე ან ჩვენება.

# ამერიკის საკალათბურთო ლიგის ახალი ვარსკვლავები

*ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ყოველი ახალი სეზონის დაწყებამდე საკალათბურთო ექსპერტები, მენეჯერები და უბრალო ქომაგები ლიგაში მოთამაშე ნაკლებად ცნობილ სპორტსმენებზე გარკვეულ იმედებს ამყარებენ. ზოგიერთი მათგანი ამართლებს გაცემულ ავანსებს, ზოგი – არა. დღევანდელ ნომერში გთავაზობთ იმ ათი კალათბურთელის შესახებ ინფორმაციას, რომლებსაც ამ სეზონის დასრულების შემდგომ ვარსკვლავებად შერაცხავენ.*

## ჯეიმს ჰარდენი




ჯეიმს ჰარდენი დიდი ხნის განმავლობაში ლიგის ერთ-ერთ უსუსტეს მოთამაშედ მიაჩნდათ და მის გადასვლას „ჰიუსტონ როკიტსში" სკეპტიკურად უყურებდნენ, თუმცა, ჰარდენს ზუსტად სამი მატჩი დასჭირდა, იმის დასამტკიცებლად, რომ არცთუ ხელწამოსაკრავი მოთამაშეა და საჭირო დროს გუნდში ლიდერის როლის შესრულებაც ძალუძს. ამჟამად ჯეიმს ჰარდენი ლიგის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის ნაცვლად ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ დამცველად ითვლება.

## ლერი სენდერსი

„მილუოკი ბაქსის" დამცველს, ლერი სენდერსს, ზუსტად სეზონის ნახევარი დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია. წარსულში სენდერსს უამრავი ტატუირებითა და უაზრო თამაშით იცნობდნენ. ის არ ითვლებოდა გუნდის ძირითადის მოთამაშედ და მუდმივი კონფლიქტები ჰქონდა ხან მწვრთნელთან, ხანაც გუნდის მფლობელებთან. 2012-2013 წლების სეზონზე კი მოედანზე სულ სხვა სენდერსი გამოჩნდა, რომელმაც ბლოკ-შოტის ხელოვნება ახალ მწვერვალზე აიყვანა.




## ჯეი არ სმიტი




სმიტი სკოლის მერხიდან მოხვდა ნაციონალურ ლიგაში და ამ ფაქტმა ლიგის მესვეურები კიდევ ერთხელ დააფიქრა იმაზე, რომ საჭიროა ასაკობრივი ზღვარის დაწესება. კარიერის პირველ წლებში სმიტს მიზნად ჰქონდა, NBA-ს ჰაილაითებში მოხვედრილიყო და ამის გამო თავისი გუნდის არაერთი შეტევა ჩაშალა დაუფიქრებელი და გაუაზრებელი უზუსტო ტყორცნებით კალათში. სმიტი ეგოისტ მოთამაშედ ითვლებოდა და „ნიუ-იორკ ნიქსის" მწვრთნელებისთვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა, თუმცა ყველასთვის მოულოდნელად, წლევანდელ სეზონზე სმიტი შეიცვალა და, სნაიპერისთვის დამახასიათებელ თვისებებთან ერთად, გუნდურ მოთამაშედ ჩამოყალიბდა.

## ნიკოლა ბატიუმი




გასულ ზაფხულს ფრანგი ნიკოლა ბატიუმის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს „პორტლენდი" და „მინესოტა" დაუპირისპირდნენ და საბოლოოდ ფრანგი უნივერსალი „პორტლენდელების" ნადავლი გახდა. „მფრინავმა ფრანგმა", როგორც ბატიუმს უწოდებენ ლიგაში, თავის მეხუთე ამერიკულ სეზონზე მოახერხა საუკეთესო თვისებების წარმოჩენა და პორტლენდური კლუბი აუტსაიდერიდან საშუალო დონის კერკეტ გუნდად აქცია.

## ოჯეი მაიო

დირკ ნოვიცკის არყოფნისას ოჯეი მაიო ვერ იქცა „დალას მავერიქსის" მშველელად, თუმცა მან მოახერხა საკუთარი რეპუტაციის გადარჩენა. „მემფისის" სათადარიგო სკამზე გატარებული პერიოდის შემდეგ მაიო „დალასის" რიგებში გაიხსნა და გარკვეული ხნის განმავლობაში გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა იყო. მართალია, ნოვიცკის დაბრუნების შემდეგ მან მეორე პლანზე გადაიწია, თუმცა, საკუთარი დამაჯერებელი თამაშით მაინც მოახერხა მწვრთნელის გულის მოგება და კლუბში უკვე ფიქრობენ მაიოსთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტის გაფორმებაზე.




## პოლ ჯორჯი

რამდენიმე ხნის წინ „ინდიანას" მწვრთნელი როი ჰიბერტი პოლ ჯორჯს ინდიანაპოლისის ქუჩებში დაატარებდა და მასხარად გამოჰყავდა, თუმცა, მიმდინარე სეზონზე ჯორჯი გუნდის მასხარადან ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა და კლუბის ხელმძღვანელობამ დაიწყო ფიქრი მასთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტის დადებაზე. შედეგიან თამაშთან ერთად, ჯორჯი საკუთარ ფართანაც საიმედოდ დგას დაცვაში და დენი გრეინჯერის არყოფნაში „ინდიანა პეისერზის" ლიდერად ყალიბდება.




## სტივენ კარი

სტივენ კარი, რომელიც წარსულში ტრავმებით უფრო იყო განთქმული, ვიდრე საიმედო თამაშით, მიმდინარე სეზონზე ჯერჯერობით გადაურჩა ტრავმის მიღებას და „გოლდენ სტეიტ უორიორზის" ლიდერად იქცა. კლუბი დასავლეთის კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერია და თუკი კარი მიმდინარე სეზონზე ტრავმებს გადაურჩება, სავსებით შესაძლებელია, პლეიოფის საგზურსაც გამოჰკრას ხელი.




## დრიუ ჰოლიდეი

„ფილადელფიამ" გუნდიდან გაუშვა ანდრე იგუდალი და მის პოზიციაზე მოიყვანა დრიუ ჰოლიდეი, რომლის პროგრესი ამ სეზონში თვალშისაცემია და, არავის გაჰკვირვებია, როცა ის აღმოსავლეთის გუნდის წევრი გახდა ყველა ვარსკვლავის მატჩში. ჰოლიდეის ამჟამად ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის სახელი აქვს და თავის პოზიციაზე კლუბში უალტერნატივოა.




## ბრუკ ლოპესი

ბრუკ ლოპესი თორნიკე შენგელიას თანაგუნდელია „ბრუკლინ ნეთსში". მისგან დიდხანს ელოდნენ მოედანზე გახსნას და მიმდინარე სეზონში ეს მოვლენა დაფიქსირდა კიდეც. ლოპესი ლიგის ყველაზე შედეგიანი ცენტრი და „ნეთსის" მთავარი დამრტყმელი ძალაა. მიხაილ პროხოროვისა და ჯეიზის კლუბისთვის იგი ამჟამად ყველაზე ფასეული მოთამაშეა და სწორედ მისი ტრავმიანობის პერიოდს დაემთხვა „ბრუკლინელების" წაგებათა სერია, რასაც მოჰყვა კიდეც მწვრთნელის – ევერი ჯონსონის მოხსნა.




## კაირი ირვინგი

„კლივლენდის" ახალგაზრდა გამთამაშებლისგან, კაირი ირვინგისგან, მიმდინარე სეზონში ლიდერის ფუნქციის საკუთარ თავზე აღებას ელოდნენ და ირვინგმაც არ დააღალატა – იგი 2012-2013 წლების სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია და, მიუხედავად იმისა, რომ კლივლენდურ კლუბს არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს კონფერენციაში, ირვინგის სახით მათ ნამდვილი ლიდერი და ვარსკვლავი ეზრდებათ, რომელმაც თავისი ფეერიული თამაშით უკვე დაჩრდილა კიდეც ლეგენდარული ალენ აივერსონი, როგორც ლიგის ყველაზე კაშკაშა კალათბურთელი.



## მუჰამედ ალი ჯანმრთელადაა

ცნობები იმის შესახებ, რომ ლეგენდარული მოკრივე მუჰამედ ალი კრიტიკულ მდგომარეობაშია, ტყუილი გამოდგა. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენის ქალიშვილმა, ლეილა ალიმ, უარყო ცნობები მამის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ და განაცხადა, რომ ის კარგად გრძნობს თავს და ტელევიზორში ამერიკული ფეხბურთის საყვარელი გუნდის – „ბალტიმორ რეივენსის" გამარჯვებასაც უყურა. ლეილამ ამის დამადასტურებელი ფოტოებიც განათავსა თავის „ტვიტერზე", რომლებზეც ალი „ბალტიმორის" საკლუბო მაისურშია გამოწყობილი. მუჰამედ ალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ ცნობები ბრიტანულმა ტაბლოიდებმა განათავსეს თავიანთ ვებ-გვერდებზე. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული მოკრივე მუჰამედ ალი 1984 წლიდან პარკინსონის უმძიმესი სენით არის დაავადებული.

## კანტონა - სარეკლამო სახე



ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედის" არსებობის ისტორიაში საუკეთესო ლეგიონერად მიჩნეული ერიკ კანტონა ლუდ „კრონენბერგის" სარეკლამო სახე გახდა. ახალი სარეკლამო რგოლის სიუჟეტის თანახმად, კანტონა ქალაქ ელზასის მცხოვრებია, სადაც ადგილობრივი ფერმერები ფეხბურთის ვარსკვლავებთან არიან გათანაბრებულები: მათ ჰყავთ საუკეთესო ავტომობილები, აქვთ მოდური ვარცხნილობები და ტატუირებები, გვერდს კი მოდელები უმშვენებენ. ფერმერების მთავარი შემოსავლის წყარო ლუდის წარმოებაა.

## ლინდსი ვონი – ყველაზე სექსუალური მოთხილამურე

სათხილამურო სპორტის ვარსკვლავის, ოლიმპიური ჩემპიონისა და ოთხგზის მსოფლიო თასის მფლობელ ლინდსი ვონისთვის 2013 წელი არცთუ კარგად დაიწყო. მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მოთხილამურე ქალად წოდებულმა ვონმა წლის პირველივე დიდ ტურნირზე, ავსტრიულ შლადმინგში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მინიმუმ ექვსი თვით დაემშვიდობა სათხილამურო ტრასას. ქერათმიანი ლამაზმანი სპორტსმენი იმედს არ კარგავს, რომ მოასწრებს მომჯობინებას და სპორტული ფორმის აღდგენას 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადამდე, რომლის სტარტამდე ზუსტად ერთი წელია დარჩენილი.

## რონალდუს პირველი ავტოგოლი

მადრიდის „რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ლიდერმა კრიშტიანუ რონალდუმ თავის კარიერაში პირველი ავტოგოლი გაიტანა. რონალდუს თავგურმა „გრანადასთან" მატჩში სამეფო კლუბს მნიშვნელოვანი ქულები დააკარგვინა და ჟოზე მაურინიოს გაწვრთნილები უკვე შეეგუვნენ იმ ფაქტს, რომ წელს „ბარსელონასთან" ჭიდილს აზრი არ აქვს. ავტოგოლიდან რამდენიმე დღეში რონალდუმ თავისი 28-ე დაბადების დღე აღნიშნა და თავისი თაყვანისმცემლები სადღესასწაულო ტორტთან გადაღებული ფოტოსურათით გაახარა.



## ფეხბურთის ყველაზე სექსუალური ექსპერტი

იტალიური ტელევიზიის ვარსკვლავი, ტელეწამყვანი და მოდელი მარიკა ფრუშო მსოფლიოში ფეხბურთის ყველაზე სექსუალურ ექსპერტად ითვლება. დიდი ხანია, მარიკას სექსუალური მკერდი იტალიური ტელევიზიის ერთ-ერთ ყველაზე საფირმო ნიშნად იქცა. სხვათა შორის, იტალიის ჩემპიონატის მატჩების გარჩევის დროს მაყურებლები მარიკას უზარმაზარ მკერდს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე გოლებს ან მსაჯების მიერ ამოღებულ წითელ-ყვითელ ბარათებს. ცნობისთვის, მარიკა „ნაპოლის" ყველაზე სექსუალურ ქომაგადაც არის მიჩნეული და, ცნობილი ფაქტია, რომ ნეაპოლური კლუბისთვის ის ნამდვილი სიმბოლოა.

## კოკაინზე დაპატიმრებული სპრინტერი

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ჰოლანდიელი სპრინტერი ბრაიან მარიანო, კარიბის ზღვაში მდებარე კიურასაოს აეროპორტში 750 გრამი კოკაინის გადატანის ფაქტზე დააკავეს და ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა მალევე გაუშვეს სამშობლოში, რადგან, ამჟამად კიურასაოს ციხეებში ადგილები არ არის, მაგრამ, როგორც კი რომელიმე პატიმარი გათავისუფლდება, მარიანო ვალდებული იქნება, გაემგზავროს კიურასაოზე და იქ მოიხადოს სასჯელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება. კიურასაო ჰოლანდიის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი კუნძულოვანი ავტონომიური რესპუბლიკაა და იქ 140 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ციხე კი 50 პატიმარზეა გათვლილი.

## სკანდალი „მილანში"

ერთი კვირაც არც გასულა, რაც სკანდალებით განთქმული იტალიელი ფორვარდი მარიო ბალოტელი „მანჩესტერ სიტიდან" მშობლიურ „მილანში" გადაბარგდა, რომ ის ახალი სკანდალის ეპიცენტრში მოექცა. ამჯერად ბალოტელის მიმართ რასისტულ გამონათქვამებში კლუბის მფლობელის, იტალიის ექსპრემიერის, სილვიო ბერლუსკონის ძმა – პაოლო ბერლუსკონი გამოიჭირეს. უმცროსმა ბერლუსკონიმ ბალოტელის „პატარა საოჯახო ზანგი" უწოდა. ჯერჯერობით უცნობია ბალოტელის პოზიცია ამ თემასთან დაკავშირებით, თუმცა, რასიზმს რომ სერიოზულად ებრძვიან იტალიაში, ფაქტია. ცნობისთვის, თავის სადებიუტო მატჩში ბალოტელიმ ორი გოლი გაუტანა „უდინეზეს" და „მილანს" მოაგებინა.

## რაიან ლოჰტეს „ნირვანა"

ხუთგზის ოლიმპიურმა და მსოფლიოს თორმეტგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა მოცურავემ, რაიან ლოჰტემ, მონაწილეობა



მიიღო ფოტოსესიაში, რომელიც ლეგენდარული ჯგუფის – „ნირვანას" 1991 წლის ალბომის გარეკანის მოტივებზე შეიქმნა. კურტ კობეინის ჯგუფ „ნირვანას" მეორე სტუდიური ალბომი – „ნევერმაინდ" ჯგუფის ყველაზე წარმატებულ პროდუქტად ითვლებოდა და მისი გარეკანი დღემდე აქტუალურია. სწორედ ამის გათვალისწინებით, ლოჰტე ამ ფოტოსესიის მთავარი გმირი გახდა. ცნობისთვის, „ნირვანას" ორიგინალ გარეკანზე დოლარიან კუპიურასთან ბავშვი მიცურავდა, რომელიც ახალ ვერსიაში ლოჰტემ ჩაანაცვლა.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## რომელ პერიოდშია ქალის ორგანიზმისთვის აუცილებელი ჭარხლის წვენი

ჭარხლის წვენი ძალიან მარგებელია. ის უზრუნველყოფს ერითროციტების, ანუ, სისხლის წითელი ბურთულების წარმოქმნას და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას.

კლიმაქსურ პერიოდში ქალებისთვის ჭარხლის წვენი აუცილებელია. გირჩევთ, ამ დროს, ჰორმონული პრეპარატების ნაცვლად, ახალგამოწურული ჭარხლის წვენი სვათ.

ჭარხლის წვენი ორგანიზმს, ასევე, ეხმარება კალციუმის ათვისებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ან პათოლოგიები აღენიშნება.

წითელი ჭარხლის წვენი შეიცავს იმდენ კალიუმს, რაც ორგანიზმისა და მისი ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისთვის სრულიად საკმარისია; ასევე, შეიცავს ქლორს, რომელიც ღვიძლს, თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტს წმენდს და ორგანიზმის ლიმფურ სისტემას ასტიმულირებს.

## რისი გათვალისწინებაა საჭირო ზამთრის ცივ სეზონზე

სიცივე და ცუდი ამინდი ადამიანს ცუდ განწყობაზე აყენებს, შრომის უნარს უკარგავს. სწორედ ამ პერიოდში გვმართებს ცხოვრების გარკვეული რეჟიმის დაცვა. მაგალითად:

დასაძინებლად კარგი დროა 23 საათი, დილის 8 საათზე კი უნდა ადგეთ. ამ დროს უფრო აქტიურდება ორგანიზმიდან წიდების გამოყოფა.

ნუ ისაუზმებთ ძალიან მსუყედ. საკმარისია, მოხარშული ან შემწვარი კვერცხი მიირთვათ. დილით დალიეთ რძე ან ნებისმიერი ბურღულეულის ფაფა მოიხარშეთ.

12 საათზე აუცილებელია სადილი, რადგან ამ პერიოდში ორგანიზმი საკვებს კარგად ითვისებს.

უმჯობესია, სადილზე უპირატესობა მიანიჭოთ ფრინველის ხორცს, ტკბილეული და ხილიც სადილზე მიირთვით. სადილი რაიმე მჟავე ან მწარე კერძით დაასრულეთ.

პროდუქტის მიღების ამგვარი მეთოდი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესს და ააქტიურებს საკვების გადამუშავებას.

16 საათზე კარგია ერთი ჩაის ჭიქა ნატურალური წვენის, რძის ან ერთი სახეობის ხილის მიღება. ასევე, ბოსტნეულიანი ბუტერბროდის ჭამა.

ვახშამზე მხოლოდ დანაყრდით. საღამოს აღარ მიირთვათ ხილი, რძის ნაწარმი და ტკბილეული. ორგანიზმს ღამით უჭირს მათი გადამუშავება და ის ტოქსინებითა და წიდებით ივსება.

ამ პერიოდში რესპირატორული დაავადებებიც აქტიურდება. ამიტომ, პროფილაქტიკის მიზნით, ყოველ დილას, ცხვირში ჩაიწვეთეთ ალოეს ფოთლების ახალგამოწურული წვენი თითო-თითო წვეთი. ყელში კი, ნივრის ნახარშის მარილიანი წყალი გამოივლეთ.

## მიეცით ნერვულ სისტემას სრულფასოვანი დასვენების საშუალება

ბევრი ჩვენგანი ნებით ისჯის თავს, როცა ძილს ღამის კლუბებზე, ინტერნეტსა თუ ღამის სატელევიზიო გადაცემებზე ცვლის. ცხოვრების ასეთი წესი ქრონიკულ დაღლილობას, შრომის უნარის დაქვეითებასა და ათას დაავადებას იწვევს.

იძინეთ იმდენი, რამდენსაც ორგანიზმი მოითხოვს. მიეცით ნერვულ სისტემას სრულფასოვანი დასვენების საშუალება. ერთი უძილო ღამე რომ აინაზღაუროთ, ორი ღამე მაინც არის საჭირო, დღის ძილი კი არცთუ კარგია. ის ბიორითმებს ცვლის და ორგანიზმში მიმდინარე პროცესთა დესინქრონიზაციას იწვევს. მოერიდეთ ყველაფერს, რაც დაძინებაში გიშლით ხელს. მაგალითად, ვახშამი დაწოლამდე ორი საათით ადრე მიირთვით. საღამოს, ძილის წინ, ნუ მოწევთ სიგარეტს, ნურც ყავას და მაგარ ჩაის დალევთ. საწოლში არ იკითხოთ და არც ტელევიზორს უყუროთ დაწოლილმა. დაწექით დასაძინებლად, როცა ძილი მოგერევათ – ასე გამოგიმუშავდებათ რეფლექსი და დაწვებით თუ არა, მალევე დაგეძინებათ.

ბევრი ადამიანი დილით ფინჯან ყავას მიირთმევს და ამბობს, რომ კოფეინი გადაღლილობისა და გამოფიტვის საწინააღმდეგო საშუალებაა. ეს არასწორი მოსაზრებაა, რადგან კოფეინი ალკალოიდია, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებს და ენერგიის მოზღვავების იმიტაციას იწვევს. ის დაკარგულს კი არ აღადგენს, არამედ დარჩენილ მარაგს კრებს და ორგანიზმს უფრო მეტად ფიტავს. ამიტომ, ქრონიკული დაღლილობისა და უძილობის დროს ყავის სმას ნუ მიეძალებით, ეს უარესია. ის კი არ აფხიზლებს ადამიანს, არამედ ძილს უფრთხობს. ამ დროს იწყება თავის ტკივილი და, შესაძლოა, ხანგრძლივი უძილობაც კი დაგჩემდეთ. გირჩევთ, ნუ დალევთ დღეში ორ ფინჯანზე მეტ ყავას. თუ დაღლილობას თავს ვერ ართმევთ, სხვა სასმელი მიირთვით, მაგალითად, ლიმონიანი ჩაი, თაფლიანი ან მინერალური წყალი. მიიღეთ კონტრასტული შხაპი, ჩაიტარეთ სუნთქვითი ვარჯიშები, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და ასე შემდეგ.

ასევე, სერიოზული ზიანი მოაქვს სიმსუქნეს. ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილი არანაკლებ ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს მოიხმარს, ვიდრე გული და ტვინი. ის გულს აიძულებს, ერთიორად მეტი დატვირთვით იმუშაოს და საკუთარ პრობლემებს სხვა ორგანოების, კერძოდ, გულის, სისხლძარღვების, კუჭის, პანკრეასის, სახსრების ხარჯზე აგვარებს. ამიტომაც არის სიმსუქნე გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების, შაქრიანი დიაბეტის, ოსტეოპოროზისა და სხვა დაავადებების რისკ-ფაქტორი. ამიტომ, გირჩევთ, ერიდოთ მაღალკალორიულ საკვებს და მეტი იმოძრაოთ.

ადამიანები დიდ დროს ატარებენ ავტომობილში, ტელევიზორთან, კომპიუტერთან და ასე შემდეგ. ასეთ მდგომარეობას ჰიპოკინეზია, ანუ მოძრაობის უკმარისობა ეწოდება. ის ორგანიზმისთვის ძალიან საშიშია. ამიტომ, სწორად უნდა შეარჩიოთ ფიზიკური ვარჯიშები. ფიზიკური აქტივობა ნებისმიერს სჭირდება, რათა პასიური ცხოვრების წესმა ორგანიზმი არ გამოფიტოს და არ დააავადოს.

## ჭამეთ ბევრი ბანანი, ნიორი, ხახვი და სტაფილო

თუ ადვილად იღლებით, ესე იგი, თქვენი საკვები არაბალანსირებულია, თანაც – ვიტამინებითა და მინერალებით ღარიბი. ჯანმრთელობის გაუმჯობესება საკვებითაც შეგიძლიათ:

***ნიორი*** – აძლიერებს იმუნურ სისტემას. მასში შემავალი ცილა ასტიმულირებს ორგანიზმს, რაც გარემოს დამღუპველი ზემოქმედებისგან საიმედო დაცვას უზრუნველყოფს.

***პომიდორი*** – ეს მცირეკალორიული ბოსტნეული მდიდარია კალიუმით, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია გულისა და სისხლძარღვებისთვის.

***ნიგოზი*** – თუ ნერვები მოშლილი გაქვთ, მიირთვით ნიგოზი. მასში დიდი რაოდენობით შემავალი B ჯგუფის ვიტამინები ნერვულ სისტემას აძლიერებს, ააქტიურებს გონების მუშაობას, აფერხებს გაღიზიანების გამოვლენას და კონცენტრაციის უნარის დაქვეითებას.

***ბანანი*** – ენერგიის წყაროა. ეს ხილი ყველაზე დიდი ხნით ავსებს ორგანიზმს სიმხნევით. ის რეკომენდებულია გონებრივი და ფიზიკური დატვირთვისას. მასში შედის ბევრი ნახშირწყალი და ამიტომაც, მალე ანაყრებს. ბანანი მდიდარია A, C და B ჯგუფის ვიტამინებით. მას ორგანიზმიდან გამოაქვს ნალექები, აცხრობს კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებას, ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას, აძლიერებს იმუნიტეტს, აღადგენს ძილს და ამშვიდებს ნერვებს, ხოლო მასში შემავალი კალიუმი ინფარქტისა და ინსულტისგან დაგიცავთ.

***სტაფილო*** – მდიდარია A ვიტამინით, რომელიც უჯრედების გაახალგაზრდავების წყაროა. ის სტიმულს აძლევს უჯრედებს და მათ განახლებაზე „ზრუნავს“. ასევე, იცავს კანს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან და ელასტიკურს ხდის მას. გარდა ამისა, სტა-

ფილო შეიცავს ბეტა-კაროტინს, რომელიც ორგანიზმს ნაწლავების კიბოს გაჩენისგან აზღვევს.

***რძის ცილა*** – შეიცავს ბევრ ტიროზინს. ეს ამინომჟავა ხელს უწყობს თავის ტვინში „ბედნიერების ჰორმონის" – სეროტონინის გამომუშავებას. რძეში შემავალი B ჯგუფის ვიტამინები კანს წმენდს გამონაყარისგან. ასევე, ამაგრებს თავის კანს, რაც თმის ხარისხზე სასიკეთოდ მოქმედებს.

***ხახვი*** – ამ ბოსტნეულში აღმოჩენილია ნივთიერება, რომელიც შემადგენლობითა და მოქმედებით ძალიან ჰგავს ადამიანის ჰორმონებს. ის სტიმულს აძლევს ორგანიზმს და ნაადრევი დაბერებისგან იცავს. ეს ნივთიერება ყველაზე დიდი რაოდენობით შედის ვარდისფერი ჯიშის ხახვში.

## თუ გაციების სიმპტომებს გრძნობთ, სასწრაფოდ მოამზადეთ ევკალიპტის ნახარში

ევკალიპტი უკვე დიდი ხანია, ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება. მისი ფოთლების ნაყენს ანტიანთებითი და ანტისეპტიკური მოქმედება გააჩნია. ასევე, ის თრგუნავს ორგანიზმში ოქროსფერ სტაფილოკოკს, ტუბერკულოზის ჩხირის, დიზენტერიის, ამებისა და ტრიქომონების ზრდას.

ფიტოთერაპიაში ფართოდ იყენებენ ევკალიპტს დაჩირქებითი პროცესების, მაგალითად, აბსცესის, ფლეგმონის, ჩირქოვანი მასტიტების, დუნედ მიმდინარე ქრონიკული წყლულების, კანის სხვადასხვა დაჩირქებითი დაავადებების დროს.

გინეკოლოგიაში ევკალიპტის ნაყენი აქტიურად გამოიყენება გამორეცხვებისთვის, სტომატოლოგიაში კი მას ღრძილების ანთებისა და სტომატიტების დროს იყენებენ;

მწვავე რესპირატორული დაავადების – ტრაქეიტის ანუ ტრაქეის ანთების, ლარინგიტის ანუ სასის ანთების დროს კი ევკალიპტით ინჰალაციის გაკეთება უებარია.

თუ ევკალიპტის ნახარშის დალევა გსურთ, უმჯობესია, ის გადადუღებულ წყალში გაახავოთ და ისე დალიოთ.

თუ ყელი გტკივათ ან გაციების სიმპტომებს გრძნობთ, სასწრაფოდ მოამზადეთ ევკალიპტის ნახარში და გამოივლეთ ყელში. ნახარში ასე მზადდება: ას გრამ ევკალიპტის ფოთოლს დაასხით ერთი ლიტრი წყალი და ხარშეთ დაახლოებით, ათი წუთით. შემდეგ გადმოდგით და თავდახურული დადგით ოთახის ტემპერატურაზე. როცა გაგრილდება, გადაწურეთ.

## უმი კვერცხი პოტენციას ამაღლებს

კვერცხი შეიცავს ქოლესტერინს, მაგრამ მასში ბევრია სხვა სასარგებლო ნივთიერებებიც. კვერცხი სისხლში ქოლესტერინის დონეს ამაღლებს, ოღონდ, ძალიან მცირე რაოდენობით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით კომპენსირდება.

ცხიმები ცილაში არ არსებობს, კვერცხის გულში კი, მხოლოდ ერთი გრამია.

კვერცხი 75 კილოკალორიას შეიცავს. ამიტომ, ის სრულიად უნიკალური ბუნებრივი პროდუქტია. დღეში, შეგიძლიათ, ერთი ან ორი კვერცხი მიირთვათ.

კვერცხის ჭამას უნდა მოერიდონ დიაბეტიანები, რადგან მათ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა შეცვლილია და ანტიქოლესტერინის დამცველი მექანიზმი ცუდად მუშაობს.

უმი კვერცხი პოტენციის ამაღლებას უწყობს ხელს და ეს განსაკუთრებით მამაკაცებისთვისაა სასარგებლო.



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ექიმმა დამინიშნა პრეპარატი ლაქტო ჯი, რადგან, შეკრულობა მაწუხებს. მაინტერესებს, ეს წამალი ხელს ხომ არ შეუშლის ორსულობას, სახიფათო ხომ არ არის?**

**პასუხი:** პრეპარატი ლაქტო ჯის შემადგენლობაში არის რძემჟავა ბაქტერიები, რომლებიც ხელს უწყობენ ნაწლავის ნორმალური ფლორის აღდგენას და შენარჩუნებას. რძემჟავა ბაქტერიები უქმნიან არახელსაყრელ პირობებს პათოლოგიური მიკრობების გამრავლებას, მონაწილეობენ საჭმლის მონელების პროცესში და ვიტამინების – B და K-ს სინთეზში. ორსულთათვის უკუჩვენება არ აღინიშნება.

**კითხვა: მენსტრუაციის გადაცდენიდან რამდენ დღეში უნდა გავიკეთო ტესტი, პასუხი სწორი რომ იყოს?**

**პასუხი:** ორსულობის დასადგენი ტესტი უნდა გაკეთდეს მენსტრუაციის გადაცდენიდან ორი-სამი დღის შემდეგ.

**კითხვა: რა დაავადებაა პიოდერმია და როგორ ხდება მისი მკურნალობა?**

**პასუხი:** პიოდერმია არის კანის ჩირქოვანი დაავადება, რომელსაც იწვევენ მიკრობები. მის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ოფლიანობა, ჰიგიენის დაუცველობა, კანზე გაჩენილი ტრავმები და ნაპრალები, რაც კანში მიკრობის შეჭრის პირდაპირი გზაა. მკურნალობა დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობაზე.

**კითხვა: რა არის საშვილოსნოს პოლიპი და საშიშია თუ არა ის?**

**პასუხი:** საშვილოსნოს პოლიპი – ეს არის საშვილოსნოს ენდომეტრიუმის ან ენდოცერვიქსის ჯირკვლოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი წარმონაქმნი. მისი განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს: ჰორმონული დარღვევა, ქრონიკული ანთებითი პროცესები, ეროზიული პროცესები, დისპლაზია და ასე შემდეგ. საშვილოსნოს პოლიპი, იქნება ეს ენდომეტრიუმის თუ საშვილოსნოს ყელის პოლიპი, საჭიროებს ბიოფსიას, რათა მოხდეს მისი ჰისტომორფოლოგიური შესწავლა მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით. როგორც წესი, საშვილოსნოს პოლიპის მკურნალობა ქირურგიულია.

**კითხვა: ვარ 45 წლის. მაქვს სარძევე ჯირკვლის ფიბროადენომა. ექიმმა მითხრა ერთი თვე მოვიცადოთო. საშიში ხომ არ არის? შეიძლება თუ არა უოპერაციოდ განკურნება?**

**პასუხი:** ფიბროადენომა სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნეა. ფიბროადენომის ოპერაციული ჩარევა საჭირო ხდება მისი სწრაფი ზრდისა და დიდი ზომების შემთხვევაში. ამ დაავადების კონსერვატიული მეთოდით განკურნება (მედიკამენტებით, თუ სხვა თერაპიული საშუალებებით) შეუძლებელია. ის შეიძლება, დაპატარავდეს, მაგრამ მთლიანად არ გაიწოვება.

**კითხვა: ვგეგმავ ორსულობას. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები ნორმაში მაქვს. მე და ჩემი მეუღლე ვიღებთ იოდოფოლს ექიმის დანიშნულების გარეშე. ხომ არ ვიქმნი ამით რაიმე საფრთხეს?**

**პასუხი:** არა. როცა ორსულობა იგეგმება, ფოლიუმის მჟავის მიღება ესაჭიროება ყველა ქალბატონსაც და მის პარტნიორსაც.

**კითხვა: მთელი ზამთრის პერიოდში ვხმარობდი გიოქსიზონის მალამოს (ტეტრაციკლინ-გლუკოკორტიკოსტეროიდი) გრიპის პროფილაქტიკისთვის. ახლა ვარ 4 კვირის ორსული და შეიძლება თუ არა, რომ დილით სახლიდან გასვლისას ისევ ვიხმარო ეს პრეპარატი?**

**პასუხი:** არა. ტეტრაციკლინი და გლუკოკორტიკოსტეროიდი გრიპის საპროფილაქტიკოდ ვერ გამოგადგებათ. შეგიძლიათ, იხმაროთ ოქსოლინის მალამო.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# რისი გახსენება არ უნდა ნიკუშა შენგელაიას და როგორ დაშორდა ის ცოლებს

*თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, ვერაზე, ერთი ძალიან სიმპათიური კაცი ცხოვრობს. მისი გარეგნობა ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო და, მახსოვს ქუჩაში რომ გამოჩნდებოდა, როგორ გადაუჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს გამვლელები. ზოგი მას ქრისტესაც კი ამსგავსებდა. ის და მისი თაობის ბიჭები: გეგა კობახიძე, ლევან აბაშიძე,*



ვერიკო და სოფიკო

*ირაკლი ჩარკვიანი, ტატო კოტეტიშვილი, ირაკლი კოსტავა ერთნაირად პოპულარულები იყვნენ თავიანთი ფიზიკური მონაცემების, თვისებების, განათლების, ინტელექტის, ოჯახების წყალობით. მოკლედ, სოფიკო ჭიაურელისა და გიორგი შენგელაიას შვილის – ნიკუშა შენგელაიას ცოლობაზე იმხანად თბილისში ბევრი ქალი ოცნებობდა, მაშინაც კი, როდესაც მას ორი ოჯახი დაენგრა. ალბათ ყველას აინტერესებს, როგორია ამ დიდი ოჯახის საინტერესო წარმომადგენლის*



დედა-შვილი

*ცხოვრების დღიურები.*

**– მსახიობების ოჯახში გაიზარდეთ, გასაკვირია, რომ მხატვრობა არჩიეთ. არასდროს გიოცნებიათ, თქვენც მათნაირად პოპულარული ყოფილიყავით? ეკრანზე მათი სახე ხომ სულ ცოცხლობს.**

– ხატვის ნიჭი მქონდა, თან, ძალიან მიყვარდა. ამიტომაც, მშობლებმა მირჩიეს, უფრო თავისუფალი პროფესია ამერჩია. განსაკუთრებით



სოფიკო და ნიკუშას შვილები – ნატო და გიორგი

მამაჩემს სურდა, მხატვარი გამოვსულიყავი. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ფუნჯი და საღებავი, განსხვავებით კინოსგან, რომლის გადასაღებად სოლიდური ფულია საჭირო. ამიტომ, ამ შემთხვევაში უფრო რთული გადმოსაცემია შენი სურვილი. მსახიობობა არა, მაგრამ, შეიძლება, დადგეს მომენტი და მეც მომინდეს ფილმის გადაღება – კატეგორიულ უარს არ ვამბობ კინოზე.



**– მგონია, ძალიან საინტერესო ბავშვობა გქონდათ.**

– ფეხი რვა თვისას, მთაში ამიდგამს. დედა ამბობდა, თუშური წულები გეცვა, რომ გაიარეო. ხან ხბოზე მსვამდნენ, ხან ცხენზე, ხან – კინოაპარატზე. მგონი, მეცხვარედ მზრდიდნენ. ფილმების – „ხევსურული ბალადა” (8 წლის ვიყავი მაშინ) და „რაც გინახავს, ველარ ნახავ” გადაღებებისას სოფიკო ხშირად იჯდა ცხენზე, სულ ასეთ ფილმებში თამაშობდა და მეც შემიყვარდა ცხენები. ჩემი გართობა გადაღებებზე ჯირითი იყო. ასევე, დედას ძალიან უყვარდა საჭესთან ჯდომა. სადმე შორს რომ მივდიოდით, ვეტყოდი – გადმოდი, მე დავჯდები საჭესთან-მეთქი, მაგრამ, არ მთანხმდებოდა.

**– ხართ ძალიან დიდი და ცნობილი ოჯახის შვილი; გყავთ კარგი ძმები სანდრო და**



ნიკუშა და სოფიკო

**გიორგი; მეუღლე, შვილები, უკვე შვილიშვილიც; სამეგობრო, საახლობლო წრე; გაქვთ არაჩვეულებრივი სახლი ვერაზე; ხართ კარგი მხატვარი, ძალიან სიმპათიური; უყვარხართ ყველას, განსაკუთრებით – ქალებს... არის რამე ისეთი, რაც გულით გინდოდათ და ვერ აისრულეთ?**

– სულ ვცდილობ, ჩემში ვიპოვო მადლიერების ძალა. ადამიანი მადლიერი უნდა იყო იმისა, რაც გაქვს. პირადად მე არაფერი მაქვს სათქმელი ცხოვრებაზე და არც მაქვს უფლება რამეზე დავიწუწუნო. მადლობელი ვარ უფლის, რომ ამ გარემოცვაში გავიზარდე; უბრალოდ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყველაფერი არ სრულდება, მაგრამ, არის იმედი, რომ რაღაც-რაღაცეები მაინც აგისრულდეს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს და ეს არის კონკრეტული გეგმა, დავეხმარო უპატრონო ბავშვებს განათლების მიღებაში. ვარ ავტორი სკულპტურისა „ხოხობი შადრევანზე”, რომელიც აბანოთუბანში დგას. მაქვს ასეთი იდეაც – საქართველოში დავაბრუნო იაზონის მიერ წაღებული ოქროს საწმისი – ეს, რა თქმა უნდა ხუმრობით, ისე კი, ძალიან მინდა, დიდი ქანდაკებები აღვმართო სადმე, ზღვის პირას, საიდანაც კარგად გამოჩნდება, თუნდაც ბათუმში.

**– თქვენი ბებია-ბაბუა ორივე მხრიდან, ყველასთვის საყვარელი ადამიანები არიან: ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ ჭიაურელი, ნატა ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია... ვისაუბროთ მათზეც, ვინც თქვენს ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვეს.**

– ვერიკოს სიდიადეს, ნიჭს ვხედავდი, მაგრამ, უპირველესად, ის ჩემთვის მაინც ბებია იყო. ბებია ნამდვილი ოჯახის ქალი იყო: თვითონ აგვარებდა ოჯახის საქმეებს, ბაზარშიც თვითონ დადიოდა. მახსოვს, ერთად რომ მივდიოდით, ხალხი აჩერებდა, ეხვეოდა და ჰკოცნიდა. მაშინ ისეთ ასაკში ვიყავი, მიკვირდა, ვერ ვხვდებოდი, რატომ ხდებოდა ასე. შემდეგ უკვე დედამ გადაიბარა ეს ესტაფეტა. სოფიკოსაც ასევე უყვარდა ხალხთან ურთიერთობა და ისეთივე ყოჩაღი იყო გარეთაც და სახლშიც. ოჯახში ბებიაც და დედაც უბრალოები იყვნენ, არასოდეს ყოფდნენ ადამიანებს კატეგორიებად, ყველას ერთნაირად სცემდნენ პატივს, ეხმარებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს უდიდეს პიროვნებებთან ჰქონდათ ურთიერთობა. პაპაჩემი, მიხეილ ჭიაურელი, ძალიან ჩხირკედელა კაცი იყო – თავისი სახელოსნო ჰქონდა და სულ რაღაცას აკეთებდა, ვერასდროს ნახავდით უსაქმოდ. საერთოდ, მათი ცხოვრების არსი და სიამოვნება შრომა იყო. სოფიკოს ერთი დიდი ყუთი ჰქონდა, სადაც სამუშაო იარაღები ეწყო: ჩაქუჩი, „პლოსკო”... ასეთი რაღაცეები უფრო იზიდავდა, ვიდრე ძვირფასეულობა, პარფიუმერია. რაც შეეხება ბებია-



ნიკუშა და ნატო

ბაბუას მამის მხრიდან – ნატა ვაჩნაძესა და ნიკოლოზ შენგელაიას, მათ ვერ მოვესწარი და ეს ჩემი თანდაყოლილი გულისტკივილია. სოფიკო ღიმილით იხსენებდა: დედა „ხულიგანი” იყო. ერთხელ, როცა ბერიას მისი მეგობარი მსახიობი მოსწონებია და მას შინ სწვევია, ვერიკო საწოლის ქვეშ დამალულა და ამ ვნებიანი შეხვედრის მომსწრე გამხდარა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ, ბერიამ ყველაფერი გაიგო და საქმე იმდენად



სოფიკო შვილიშვილებთან



გართულდა, რომ არა მიხეილ ჭიაურელის გავლენა, ვერიკოს ციმბირს უკან დაატოვებინებდნენო.

**– თბილისში ბევრი ცნობილი კარგი წყვილი იყო, მათ შორის – თქვენი მშობლები. რასაც ახლა გკითხავთ, ვიცი, შვილისთვის ძალიან ძნელი და მძიმე პასუხგასაცემია, ჩემი მხრიდან კი – ცოტა უტაქტო საქციელია, მაგრამ, მაინც გკითხავთ: როგორ აღიქვით მშობლების დაშორება, რას განიცდიდით?**

– თავიდან მართლაც რთული აღსაქმელი იყო. ძნელია, როცა ოჯახი ინგრევა, ეს არავისთვის არ არის ადვილი. კოტე მახარაძეს, როგორც მსახიობსა და პიროვნებას, ძალიან დიდ პატივს ვცემდი, თუმცა, ჩემთვის, როგორც ნორმალური ბავშვისთვის, მტკივნეული იყო იმ ოჯახის დანგრევა, რომელშიც ვიზრდებოდი. ჩემი მშობლების პირად ცხოვრებაში არასდროს ჩავრეულვარ და სწორად არ მიმაჩნია მათ ურთიერთობაზე საუბარი, ეს მათი ცხოვრებაა, მათი გადასაწყვეტი იყო ეს პრობლემა და გადაწყვიტეს ისე, როგორც თვითონ ჩათვალეს საჭიროდ. ცხოვრებაში არის ისეთი რაღაცეები, რისი გახსენებაც არ გინდა. ასევე, მიჭირს ჩემი დაკარგული მეგობრების წარსულ დროში გახსენება, იმდენად, რომ სასაფლაოზე სიარულსაც კი ვარიდებ თავს.

**– წლების წინ ოჯახი თქვენც დაგენგრათ – ჯერ ერთი, მერე მეორე. ესეც ხომ თქვენი ცხოვრების ის მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელსაც ვერ ამოშლით...**

– ხანდახან მიღირს ჩემი შეცდომების აღიარება, თუმცა, არც ისე მნიშვნელოვანის. უბრალოდ, როცა ასაკში შედიხარ, ფიქრობ, რომ რაღაცას უკეთესად გააკეთებდი, გეძლევა საშუალება შენს შეცდომებზე ისწავლო და აღარ გაიმეორო. ნამდვილი ოჯახის შეგრძნება რასაც ჰქვია, მხოლოდ ახლა მაქვს, ეკა ჭიჭინაძესთან. ჩანს, ასაკიც მოქმედებს. თქვენ იცით, პირველად რომ დავქორწინდი, ძალიან პატარა ვიყავი და ჩემი ცოლი ია ნინიძე იყო. ჩემთვის ის პერიოდი რომანტიზმით იყო სავსე, ბოჰემურ ცხოვრებას ვეწეოდი, სამყაროს ძალიან გახსნილად აღვიქვამდი. რაღაც კონკრეტული სიტუაციის გამო არ დავშორებივართ ერთმანეთს, მოხდა ისე, რომ ოჯახი ბოლომდე ვერ შევინარჩუნეთ. ალბათ, ჩემი დანაშაულიც არის ამაში. არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ ძალიან მტკივნეული გასახსენებელია ჩემთვის. ახალგაზრდა როცა ხარ, ყველაფერს იოლად წყვეტ და, მერე, დრო რომ გადის, გული გტკივა. ჩემს ცხოვრებაში სამივეს დიდი ადგილი უკავია, ისინი ჩემი შვილების დედები არიან (ეკა ჯაფარიძე და ეკა ჭიჭინაძე).



არაფერს ვნანობ, ერთადერთი, შეიძლება, ის ვინანო, რომ ჩემი ამ ნაბიჯით ბავშვს ვატკინე გული. არც ერთ მათგანს არ დავშორებივარ ისე, რომ ერთმანეთის მიმართ რაიმე პრეტენზია გვქონოდა. ეკამ, ჩემმა მეუღლემ შემივსო სიცარიელე. მარტო რომ ვიყო, შეიძლება, შემიპყროს ნოსტალგიამ, მაგრამ, არ მაქვს ეს განცდა და არც იმის დრო, რომ დავჯდე და ამაზე ვიფიქრო. ოჯახი დიდ დროს, ენერგიას ითხოვს. დღეს ბედნიერი ვარ, მაგრამ, ვერაფერს ვუხერხებ იმ ტკივილს, რასაც დედის გარდაცვალება ჰქვია. დედა რომ იყო, სხვანაირი იყო ჩვენი ცხოვრება; წავიდა და თითქოს ჩემი ბავშვობაც თან წაიღო. სულ მეუბნებოდა: ყოველი დღე დააფასე. დილით რომ ადგები, უფალს მადლობა უთხარი, რომ



ნიკუშა შენგელაია მეუღლესთან, ეკა ჭიჭინაძესთან და შვილთან, გიორგისთან ერთად

კიდევ ერთი დღე გაჩუქა და დრო არ დაკარგოო. ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო, ვარსკვლავური ავადმყოფობა არ სჭირდა.

ჩემი წარსულიც საინტერესო იყო და ახლა მით უმეტეს, საინტერესოა. არ მიმაჩნია, რომ არშემდგარი ვიყო როგორც შემოქმედებითად, ისე პირად ცხოვრებაში, რაც საწინდარია სრულყოფილი ბედნიერებისა. ჩემთვის საინტერესოა, როდესაც რაღაცას ვსწავლობ, ახალს ვიგებ. ეკა მართლაც რომ საოცარი პასუხისმგებლობის ადამიანია შინაგანად. ძალიან კარგი მეოჯახე და დედაა, იდეალური ქალია ოჯახისთვის, უკეთესს ვერც ინატრებ. სხვათა შორის, ეკაშიც ის თვისება მომწონს, რომ პირველ ყოვლისა, სხვის პრობლემებს აგვარებს და შემდეგ – თავისას. დილით ადგება, გავარდება – რა აცვია, სად მიდის, ვერ გაიგებ. უნდა, რომ მოასწროს და გააკეთოს ის, რასაც დაჰპირდა სხვას. ამაში დიდ ენერგიას ხარჯავს და მაქსიმალურად კარგად ახერხებს. სახლშიც ყველაფერს ასწრებს, ოღონდ, იმას ჩივის, რომ სულ მამაკაცებთან უწევს ურთიერთობა. რა თქმა უნდა, ჩვენთან ქალებიც მოდიან ხოლმე სტუმრად, ჩემი მეგობრები და შეიძლება ითქვას, მაგრამ ამ მამაკაცებთან ურთიერთობით კაცივით დაიწყო ლაპარაკი, მამაკაცური თვისებები ჩამოუყალიბდა. რაც მთავარია, სულგრძელი ადამიანია. ნამდვილად არ იყო მისთვის პრობლემა, რომ მე მანამდე ორი ოჯახი დამენგრა. ეკასაც დაენგრა ოჯახი, მაგრამ, ჰყავს ძალიან კარგი შვილი და ამიტომაც ეს არ ყოფილა ჩვენთვის მთავარი. მთავარი იყო ის, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. რაც იყო ერთი ადამიანის წარსულში, არ ეხება მეორეს – ჩვენ არ ვეხებით ერთმანეთის წარსულს.

**ეკა პატარაია**

# ვის ჰყავდა პირველი ავტომობილი ტფილისში და რა ისტორია აქვს მადამ ბოზარჯიანცის სახელით ცნობილ სახლს

(ოცდამესამე გვერდიდან)

პირველ სართულზე. თვით ენფიაჯიანცის შესახებ მცირე ცნობების მოძიება მოხერხდა: ცნობილია, რომ თამბაქოს საწარმოს გარდა, მას საკუთარი სტამბა ჰქონდა. მეწარმე ვაგზლის ქუჩაზე, ამჟამინდელ თამარ მეფის გამზირის №8-ში მდებარე ფეშენებელურ სახლში ცხოვრობდა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი.

## თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია

წარსულში ბებუთოვისა და ენგელსის, ამჟამად კი ლადო ასათიანის ქუჩის №28-ში მდებარე მე-6 საავტორო სკოლის შენობა სოლოლაკში ერთ-ერთ ყველაზე ცნობად და მისტიკურ შენობად ითვლება. გოთურ სტილში აგებული სახლი 1905 წელს აშენდა თბილისელი არქიტექტორის – ალექსანდრ ოზეროვის პროექტით, რომელიც იმხანად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქტიტექტორი გახლდათ და მისი პროექტით იყო აგებული რამდენიმე ისტორიული შენობა, მათ შორის: ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი წინანდალში, ძმები ფორერების სახლი მიხეილის (ალმაშენებლის) გამზირზე, თბილისის ფოსტის შენობა მიხეილის (ალმაშენებლის) გამზირზე და ბევრი სხვა. ლადო ასათიანის №28-ში აგებული შენობა თავიდანვე გიმნაზიაზე იყო გათვლილი და მშენებლობის ხარჯები მრეწველმა ანანოვმა გაიღო. ფასადს დღემდე აქვს შენარჩუნებული პირველადი იერი. რაც შეეხება არქიტექტორ ოზეროვს, ის მანგლისში იყო დაბადებული, განათლება სანკტ-პეტერბურგში ჰქონდა მიღებული და სიცოცხლის ბოლო წლებში თბილისში, ბორჯომის ქუჩაზე ცხოვრობდა. ის 1922 წელს გარდაიცვალა და კუკიის ძველ სასაფლაოზეა დაკრძალული.



თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია ბებუთოვის ქუჩაზე (1910-იანი წლები)



თბილისის მე-6 საავტორო სკოლა (თანამედროვე ხედი)

**უშანგი რუხაძე**



ეზოთერიკოსებსა და პარაფსიქოლოგებს შორის გამუდმებული კამათია იმაზე, არის თუ არა კავშირი ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის. ბოლოდროინდელი კვლევების საფუძველზე, ეზოთერიკოსები ამტკიცებენ, რომ გენებსა და ბედისწერას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ამ აზრს ქართველი ეზოთერიკოსი, ბატონი გიორგიც ეთანხმება და ამბობს, რომ, აზრისა და ფიქრის დონეზე, ასევე გაუაზრებელი საქციელითაც, ბედის ცვლილება ნამდვილად შესაძლებელია. როგორ მოვიქცეთ, რომ თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ, ჩვენი ცხოვრება სურვილისამებრ დავალაგოთ და სწორი არჩევანი გავაკეთოთ, ამაზე თავად ბატონი გიორგი გვესაუბრება და რჩევებსაც მოგვცემს.

# გადადის თუ არა ბედისწერა და წინაპართა ცოდვები გენეტიკურად შთამომავლებზე და როგორ გამოვიჩინოთ ამ მხრივ სიფრთხილე

**– ბატონო გიორგი, ბოლო დროს საკმაოდ დიდი კამათი გამოიწვია ეზოთერიკოსებსა და პარაფსიქოლოგებს შორის საკითხმა – არსებობს თუ არა კავშირი ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის. ამაზე თქვენი მოსაზრება გაგაჩნიათ და, თუ არ ვცდები, თავადაც იყავით ჩაბმული დისკუსიაშიც. მაინც, რა კავშირია ბედისწერასა და გენებს შორის?**

– ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი ჩამოყალიბებული აზრი გამაჩნია, რომელიც ბოლო დროს ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამიჩნდა. ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის უდიდესი კავშირი არსებობს; ასევე, არსებობს გარკვეული პერიოდები, როცა საშიშია საკუთარ ბედზე საუბარი, წყევლა თუ გაუაზრებელი ქცევა. დამიჯერეთ, ერთმა უაზროდ გაელვებულმა და გაუაზრებელმა ფიქრმაც კი, შესაძლოა, თავდაყირა დააყენოს და რადიკალურად შეცვალოს მთელი თქვენი ცხოვრება. ბედისწერაც და წინაპართა ცოდვებიც ნამდვილად გადადის გენეტიკურად შთამომავლებზე და სწორედ ამიტომაა საჭირო სიფრთხილე, კონტროლი და წინდახედულება თითოეული ქცევისა თუ სიტყვის წარმოთქმისას, რომ აღარაფერი ვთქვათ გაცნობიერებულ საქციელზე. ბევრს ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებული აზრი და შეხედულება აქვს. მაგრამ, აბა, დაფიქრდით, თუკი შეიძლება, ადამიანმა გენეტიკურად მიიღოს წინაპრისგან ნიჭი, გარეგნობა, ხასიათი, მანერა და ასე შემდეგ, რატომ არ არის შესაძლებელი, რომ ბედისწერაც გენეტიკურად გადავიდეს შთამომავლობაზე?!

**– ზოგს საერთოდ არ სჯერა ბედისწერის.**

– დიახ, ზოგს მართლაც არ სჯერა ბედისწერის და ამაში მწარედ ცდება. მე ამ საკითხით ახალგაზრდა ასაკში დავინტერესდი. აგერ უკვე 50 წელს გადავაბიჯე და საკმაოდ ბევრი გამოცდილება დავაგროვე. გენური კოდის საშუალებით ჩვენ მართლაც ვიღებთ მემკვიდრეობით გარეგნობას, ხასიათს, ნიჭს და, ამასთან ერთად, ბედისწერასაც. შედეგად კი, წინაპართა არასწორი ცხოვრების წესი შთამომავლის ბედისწერაზე აისახება. არც ერთი ჩვენგანი არ დაბადებულა უცოდველი, რადგან, გენებით მიღებული პროგრამა შთამომავლობით დაგვყვა თან. აი, სწორედ ეს არის ბედისწერა, რომელშიც უდიდესი წვლილი ჩვენს წინაპრებს მიუძღვით. მათი კარმული დავალიანება, არასწორი თუ სწორი საქციელი, ცხოვრების წესი და ასე შემდეგ, სწორედ ჩვენს გენებშია ჩაწერილი. დამიჯერეთ, თითოეული ჩვენგანი გენური ინფორმაციის მატარებელი და გადამტანია.

**– გამოდის, რომ შთამომავალმა წინაპრების ჩადენილი ცოდვების გამო უნდა ზღოს და საკუთარი ბედისწერა ამით დაამძიმოს?**

– სწორედაც რომ ასეა. თქვენი შთამომავლების წარუმატებლობა, შესაძლოა, თქვენი ბრალი იყოს და ამიტომ, უნდა ეცადოთ, სწორი საქციელითა და ცხოვრების სწორი წესით შეუმსუბუქოთ მათ ბედისწერა.

**– ესე იგი, მშობლები თავიანთი საქციელით განსაზღვრავენ შვილების ბედს?**

– დიახ, ახლანდელი საქციელით ჩვენივე მომავალი შვილების ბედს განვსაზღვრავთ. უფრო მეტსაც გეტყვით: გენეტიკურ ცოდვაზე დიდი ცოდვა დედამიწაზე არ არსებობს და ვისაც ის შთამომავლობით გადაეცა, წარუმატებელი იქნება, უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება და პირადი ცხოვრებაც გამწარებული ექნება. თუმცა, არ მინდა, ისე გაიგოთ ჩემი ნათქვამი, თითქოს თავს დამტყდარი ყველა უბედურება ჩვენი წინაპრების კისერზეა და მხოლოდ ისინი არიან დამნაშავე ჩვენს უიღბლობა-წარუმატებლობაში. მოკლედ, თითოეული ჩვენგანი ცხოვრების განმავლობაში საკუთარ პროგრამასაც ქმნის და იწერს გენებში, მაგრამ, როცა მემკვიდრეობითი პრობლემების გადახედვა, დამუშავება შეუძლებელი ხდება გენეტიკური ხაზით, ამ დროს გვარი

> **ერთმა უაზროდ გაელვებულმა და გაუაზრებელმა ფიქრმაც კი, შესაძლოა, თავდაყირა დააყენოს და რადიკალურად შეცვალოს მთელი თქვენი ცხოვრება**

არსებობას წყვეტს. ანუ, ასეთ ოჯახში არ იბადება გვარის გამგრძელებელი. როცა დედა შვილს გაბრაზებულ გულზე სწყევლის, ესეც საკუთარი გენის დაწყევლა და შთამომავლის ბედში არასწორი, გაუაზრებელი, საშიში ჩარევაა. ამ დროს გენური კოდი აქტიურდება და უფრო მეტად იწყებს მოქმედებას. გაბრაზებულ გულზე ერთმა ცუდმა გაფიქრებამაც კი კონკრეტული ადამიანის მიმართ, შესაძლოა, გენური პროგრამა შეცვალოს და ბედში ნეგატიური ცვლილებები შეიტანოს. ადამიანი ცხოველისგან იმით განსხვავდება, რომ მას ფიქრის, ანალიზისა და განჭვრეტის უნარი აქვს. ამიტომ, უნდა იფიქროთ ამ საკითხზე და კარგად გააანალიზოთ ჩემი ნათქვამი. ალბათ, გესმით, რომ ეს მხოლოდ სიტყვები არ არის, ამ ყოველივეს ბედის ცვლილება, თქვენი ცხოვრების შეცვლა და გადაფასება შეუძლია.

**– ბატონო გიორგი, თქვენ ახსენებთ მშობლების ცოდვებს, რის გამოც შვილები იტანჯებიან, მაგრამ, არსად გიხსენებიათ სიტყვა „დასჯა". იქნებ, წინაპართა ცოდვების გამო შთამომავლები ვისჯებით და არა ვიტანჯებით?**

– ამაში ვერ დაგეთანხმებით. სწორია „ტანჯვა" და არა „დასჯა," როცა საქმე წინაპრისგან გადმოცემულ ბედისწერას და გენებს ეხება. შვილები იტანჯებიან არა მშობლების ცოდვათა გამო, არამედ იმიტომ, რომ მათმა მშობლებმა ცოდვის ჩადენით დაიზიანეს სული და სხეული, შემდეგ კი არ მოინანიეს და ეს ფაქტი მათ შვილებზე აისახა. სული უხილავი მაგნიტივით აკავშირებს ერთმანეთთან ჩვენი ორგანიზმის ატომებსა და მოლეკულებს, სტიმულს აძლევს ცილების სინთეზს ცოცხალ უჯრედებში, აწვდის მას სიცოცხლისუნარიანობის პროგრამას, უზრუნველყოფს ნივთიერებათა ცვლასა და თვითრეგულირებას. სულისა და სხეულის ერთმანეთთან დაშორებისას, ცილების სინთეზი უცბად წყდება, ენერგიას მოკლებული სხეული ცივდება და მისი ელემენტები, როგორც კი მაკავშირებელ ძალას კარგავს, იშლება და სიკვდილით ავადდება. ამიტომ, საკუთარ სულში უნდა ვეძებოთ იმ ყველაფრის მიზეზი, რაც ჩვენ და ჩვენს შვილებს გვჭირს, მათ შორის იმ დაავადებებსაც, რომელთა მიმართაც გვაქვს მიდრეკილება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ თითოეული ჩვენგანი გარკვეული ენერგეტიკის მატარებელია. გვერდიგვერდ მყოფი ადამიანები, უნებურად, ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ მაშინაც კი, როცა სძინავთ ან ჩუმად არიან. ენერგიის გაცვლა მიმდინარეობს პერმანენტულად. ქალისგან განსხვავებით, მამაკაცი გაცილებით მეტ ენერგიას იღებს და ნაკლებს გასცემს. თუ ქალი მამაკაცის მიმართ დადებითად არის განწყობილი და მის გვერდით თავს კომფორტულად გრძნობს, ესე იგი, ენერგიების გაცვლა ნორმალურად მიმდინარეობს; მაგრამ, თუ რომელიმე მათგანს არასასურველი განწყობა ექმნება, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორემ ზედმეტი ენერგია მიითვისა. სხვისი ენერგია ძალიან ადვილად ასათვისებელია. ენერგიის არასწორმა გაცვლა-გამოცვლამ კი, შესაძლოა, შეყვარებული წყვილი ან თუნდაც ცოლ-ქმარი დააშოროს. ჯერ იწყება კონფლიქტები, გაუგებრობები, კამათი, ჩხუბი და ამის შემდეგ წყვილი ხვდება, რომ მათ შორის რაღაც რიგზე ვერაა, თუმცა, პასუხი არ აქვთ. მე კი ასეთ წყვილს ვეტყვი, რომ, შესაძლოა, ეს მათ შორის ენერგიების არასწორმა გაცვლამ გამოიწვია. ამიტომ, სანამ ურთიერთობას დააკანონებთ, კარგად დააკვირდით, იღებთ თუ არა სასურველი ადამიანისგან საჭირო და სასურველ ენერგიას და, ასევე, კმაყოფილია თუ არა ის თქვენგან მიღებული ენერგიით.

**ნონა დათეშიძე**

## რაზე ფიქრობენ ისინი...

თქვენ ახლა გაიცანით ერთმანეთი. რა იქნება მერე? შეძლებთ, გააგრძელოთ მოულოდნელად დაწყებული ურთიერთობა? ვინ უნდა იაქტიუროს – თქვენ თუ იმან, ძლიერი სქესის წარმომადგენელმა?! გახსოვდეთ, მამაკაცების უმრავლესობა პირველი შეხვედრისას პირველ ნაბიჯს ქალისგან ელოდება. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გამბედაობა არ ჰყოფნით, უბრალოდ, ისინი ამჯობინებენ პოზიციას: „თუ გამიმართლებს, ის მე გამიღიმებს, გამომელაპარაკება, ტელეფონის ნომერს მომცემს“...

არ არის აუცილებელი, „ტყავიდან ამოძვრეთ“ და თავი მოაწონოთ. იყავით ბუნებრივი და, თუკი მართლა გინდათ, თქვენი ურთიერთობა გაგრძელდეს, ნუ მოერიდებით კონტაქტს. მამაკაცის თავმოყვარეობაზე მხოლოდ პოზიტიურად აისახება ის, რომ ქალი მისით დაინტერესდა.

... აი, პირველ პაემნამდეც მივიდა საქმე და თქვენი მთავარი პრობლემა ის ტანსაცმელია, რომელმაც თქვენი განსაკუთრებულობა უნდა წარმოაჩინოს. ფეხსაცმელი გიჭერთ, ფეხს გტკენთ, მაგრამ, უძლებთ. იმაზე კი არ ფიქრობთ, რომ დისკომფორტი თავისუფლად, ბუნებრივად მოქმედების საშუალებას არ მოგცემთ, უხერხულობას შეგიქმნით და ეს ახალ ურთიერთობაზეც აისახება.

იცით, რას ფიქრობს მამაკაცი პირველ პაემანზე და რა არის მისი პრობლემა? – რაზე ველაპარაკოთ, რა თქვას. მას ძალიან უჭირს შესაფერისი თემის შერჩევა. თუ გინდათ, ეს პრობლემა მოუხსნათ, დაუსვით კითხვები; ცოტა თქვენ შესახებაც მოუყევით, მაგრამ, ფრთხილად იყავით, ინტიმურ წვრილმანებს ნუ გაუმხელთ და, საერთოდაც, ნუ დაწვრილმანდებით.

კიდევ ერთი: ნუ გექნებათ მისი დაკვირვებულობის იმედი. შეიძლება, ვერც შეამჩნიოს, რა გაცვიათ, თუკი თქვენი ჩაცმულობა ზედმეტად გამომწვევი არ იქნება. ამ შემთხვევაშიც კი, მხოლოდ სხეულის დაუფარავ ნაწილებს დაინახავს და არა კაბის ეფექტურობას ან ხარისხს. შეიძლება, მერე მისი ფერიც კი ვერ გაიხსენოს. ერთი სიტყვით, იმოქმედეთ თქვენ და თავს ნუ იმტვრევთ იმაზე, რაზე ფიქრობენ ისინი...

## პლანეტების შერწყმა

არსებობს ასეთი გამოთქმა: „მამაკაცები მარსიდან არიან, ქალები კი – ვენერადანო“. მაგრამ, არავინ უკვირდება, რა არსი დევს ამ სიტყვებში. მარსი – მეომარი პლანეტაა და მამაკაცების მისთვის მიკუთვნება შემთხვევითი არ არის; ხოლო ვენერა სიყვარულს, გრძნობებს „ემსახურება“. თუ ჯერაც ვერ მიხვდით, დავაკონკრეტოთ: თუკი მამაკაცები „მარსზე იშვნენ“ მათი ცხოვრების აზრი ნადირობასა და ბრძოლაშია და, შესაბამისად, ხასიათიც „მარსული“ აქვთ – აგრესიული. ქალებს კი, ვენერას პირმშოებს, ემოციები, სიყვარული სწყურიათ. რა ხდება, როცა ეს ორი პლანეტა ერთმანეთს ერწყმის? მინიმუმ, ჭექა-ქუხილი გარდაუვალია...

რაც უფრო ხშირი კონტაქტი გაქვს მამაკაცთან, მით ნათლად აცნობიერებ, რომ გარემომცველ სამყაროს ისინი სულ სხვანაირად, საკუთარი გადმოსახედიდან აღიქვამენ. ურთიერთობის დროსაც ასეა – გვიჭირს, ორი სხვადასხვა პლანეტის წარმომადგენლებს ერთმანეთს გავუგოთ. მართლაცდა, რა იცის „ვენერამ“, რა ხდება „მარსელის“ თავში?! ის, შესაძლოა, მოსალოდნელ ბატალიებზე ფიქრობდეს, როცა შენ გრძნობები გაღელვებთ. მისთვის სიყვარული ერთი მოცემული ბრძოლაა; თქვენთვის – ყველაფერი. რამდენიც უნდა ეცადოთ, ის თქვენსავით ვერ იაზროვნებს და ვერც ისეთ დასკვნებს გააკეთებს, როგორსაც თქვენ. ამიტომ, მოერიდეთ „მტკივნეულ შეჯახებას“ – დანებდით „მარსს“, სანამ ბრძოლით მიულწევია თავისი მიზნისთვის. სიყვარულით დაათმობინეთ ის, რასაც ომით ვერ მოიგებთ.

## ქალი და კრიტიკა

ქალი უფრო მგრძნობიარეა კრიტიკის მიმართ თუ მამაკაცი? ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ნეგატიური აზრი მათზე ორივე სქესისთვის ერთნაირად მტკივნეულია, მაგრამ, ისინი სხვადასხვანაირად რეაგირებენ: ქალები ცდილობენ, არ შეიმჩნიონ, კაცები კი მწვავედ გადაეშვებიან ხოლმე კამათში. მათ მაშინვე ერთვებათ თავდაცვის მექანიზმი და, შეუძლიათ, კამათი ჩხუბში გადაზარდონ. ფაქტი კი ერთია: ადამიანები ძალიან არიან დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე. მათ თითქოს მუდმივად სჭირდებათ დადასტურება, რომ კარგები არიან, რომ „პოზიტიკური პიროვნების“ დადგენილ ნორმებს შეესაბამებიან. სწორედ ამიტომაც არის კრიტიკა მტკივნეული და ძნელად შესაგუებელი.

არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც კრიტიკაზე მყისიერი აგრესიით პასუხობენ, შესაბამისად, დიდი ხნით უფუჭდებათ განწყობა, მტრად აღიქვამენ იმას, ვინც გააკრიტიკა და საპასუხო „დარტყმებს“ აყენებენ. ასეთი პიროვნება ყოველთვის წაგებულია. მით უფრო, თუ ის ქალია. ბუნებრივია, ძალიან უსიამოვნო განცდაა, როცა გაკრიტიკებენ, როცა მიგითითებენ ხასიათის რომელიმე თვისებაზე, თანაც – ირონიით, მაგრამ, ქალს აგრესიაზე გაცილებით ეფექტური იარაღი გააჩნია – ღიმილი!

შეიძლება, კრიტიკაზე ყველაზე ბუნებრივი რეაქცია იყოს – ცხარედ ამტკიცო საპირისპირო, მაგრამ, „კეთილის მსურველის“ ნიღაბქვეშ შეფარულს მთლად მტრად ნუ აქცევთ – არ არის აუცილებელი, უკან იგივე დაუბრუნოთ, თქვენ ეს არაფერს შეგმატებთ.

ბოლოს და ბოლოს, რა არის კრიტიკა? – არც მეტი, არც ნაკლები – ერთი კონკრეტული ადამიანის მოსაზრება და თქვენი ურთიერთობაც ამ კონკრეტულ ადამიანთან არის დასაბალანსებელი – სულ ეს არის.

## იქნებ, სიყვარულია?

არსებობს თუ არა მეგობრობა ქალსა და მამაკაცს შორის? ალბათ, არსებობს. პრინციპში, რატომაც არა, ზოგადად, პლატონური ურთიერთობები ორ საპირისპირო სქესს შორის ყოველთვის არსებობდა და, ალბათ, ახლაც არსებობს. ქალები იმასაც ამტკიცებენ, რომ მათთვის საუკეთესო მეგობრები სწორედ მამაკაცები არიან. თუმცა, საკმარისია, ამ ორი მეგობრიდან ერთ-ერთი სტრესის ქვეშ აღმოჩნდეს, მაგალითად, პირადულში პრობლემები შეექმნას, რომ ამ „სიცარიელის ამოვსებას“ მეგობრის ხარჯზე შეეცდება – ეს ხომ ბუნებრივია!

სხვათა შორის, ქალების 32 პროცენტს მაინც ჰყავს მამაკაცი „საუკეთესო მეგობრის“ სტატუსით. მაგრამ, აბა, გაიხსენეთ, ყველასთვის ნაცნობი ფილმი ჯულია რობერტსის მონაწილეობით – „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი“! ანუ, არც ისე მარტივად არის საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და ბევრი არაფერი სჭირდება საუკეთესო მეგობრის სუკეთესო მეუღლედ ან საყვარლად გადაქცევას. ამიტომ, ხშირად შეეკითხეთ საკუთარ თავს (ისე, ყოველი შემთხვევისთვის): იქნებ, ეს სიყვარულია?!



# რომელი სექსუალური სკანდალით გაითქვა სახელი კიმ კარდაშიანმა და რომელი ერის გენოციდის აღიარებას მოუწოდებს ის ამერიკელებს

***სომხური წარმოშობის ცეცხლოვანი ლამაზმანი, ამერიკული და მსოფლიო შოუ-ბიზნესის ბოლო დროის ყველაზე სახელგანთქმული ვარსკვლავი, რომელმაც თავისი სექსუალური სხეულის ფორმებითა და სკანდალური ისტორიებით ბულვარული პრესის უმთავრესი გმირის სტატუსი მოიპოვა და რომლის პერსონაზეც ყველაზე ბევრს საუბრობენ სატელევიზიო თოქ-შოუებში – საუბარია კიმ კარდაშიანზე, სოციალურ ქსელ „ტვიტერში" ზეპოპულარულ გლამურულ ლამაზმანზე, რომელსაც მილიონობით მიმდევარი ჰყავს მთელი პლანეტის მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც, სადაც კიმს უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა მას შემდეგ, რაც „კარდაშიანების ოჯახის" ჩვენება დაიწყო ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა.***



* კიმბერლი ნოელ (კიმ) კარდაშიანი 1980 წლის 21 ოქტომბერს კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესში, ცნობილი ადვოკატის, რობერტ კარდაშიანისა და ღამის კლუბების ხშირი კლიენტის – კრის ჯენერ-ჰოუტონის ოჯახში დაიბადა. მამა – რობერტი, ცნობილი იურისტი იყო, რომლის სახელს უკავშირდება ცნობილი მსახიობის, „შიშველი პისტოლეტისა" და სხვა ბლოკბასტერების ვარსკვლავის, ოჯეი სიმფსონის გახმაურებული საქმე (ბრალად ედებოდა მეუღლისა და მისი საყვარლის მკვლელობა). დედა – კრისი, ამჟამად კიმის მენეჯერის თანამდებობას ითავსებს. რობერტთან ის 1989 წელს განქორწინდა და მას შემდეგ ცნობილ სპორტსმენთან, მძლეოსან ბრიუს ჯენერთან ერთად ცხოვრობს, რომელიც, ფაქტობრივად, კიმის მამინაცვალია, რადგან რობერტ კარდაშიანი 2003 წელს გარდაიცვალა. სხვათა შორის, კიმს მამის მხრიდან სომხური ფესვები აქვს, დედის მხრიდან – შოტლანდიური და ჰოლანდიური. თავის წარმომავლობას ყველაზე სკანდალური სომეხი ჰოლივუდელი შემდეგნაირად ხსნის: „მე ვარ ნახევრად სომეხი (მეოთხედი თურქი სომხებისა და რუსეთში მცხოვრები სომხების ნაჯვარი) და ნახევრად ჰოლანდიელი და შოტლანდიელი". კიმს დედმამიშვილების მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს: დები – ჰლოე და კორტნი, ძმა – რობ კარდაშიანები, ნახევარდები და ნახევარძმები: ბარტონი, ბრენდონი, ბროუდი, კეისი, კენდელი და კაილი ჯენერები. სხვათა შორის, 90-იანი წლების შუა პერიოდში კიმი მამის მიერ დაფუძნებულ მუსიკალურ სარეკლამო კომპანია „მუვი თიუნზში" მუშაობდა და სოულის ვარსკვლავის – უიტნი ჰიუსტონის პირადი სტილისტიც კი იყო.

* პირველი ნაბიჯები პოპულარობისკენ კიმმა 2007 წელს გადადგა, როდესაც დებთან ერთად მონაწილეობა მიიღო რეალითი-შოუში „კარდაშიანების ოჯახი", რომლის შვიდი სეზონია დღესდღეობით გასული ამერიკული ტელევიზიით და ჯერაც წარმოუდგენელი პოპულარობით სარგებლობს. კიმ კარდაშიანი რეალითი შოუების ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავია. გასართობი ტელეარხის – „ენთერთეინმენთის" ეთერში კიმის სხვა შოუებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად, „კორტნი და კიმი ნიუ-იორკს იპყრობენ," რომელშიც ნაჩვენებია თუ როგორ მუშაობს კიმის მიერ გახსნილი ბუტიკი ნიუ-იორკის ყველაზე პრესტიჟულ უბანში რეალურ დროში. სხვათა შორის, კიმის ბუტიკების ქსელი კალიფორნიასა და ფლორიდაში ფუნქციონირებს და ძირითადად საიუველირო ნაწარმით და ქალებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა აქსესუარით ვაჭრობს. გარდა ბუტიკების ქსელისა, კიმ კარდაშიანი დებთან ერთად ფლობს ტანსაცმლის ხაზს – „ქე-დაშს", ასევე, ისინი არიან მოდური ტანსაცმლის ბრენდის – „ბებეს" დიზაინერები. ცნობისთვის, კიმი ძირითადად ქვედა საცვლებისა და საცურაო კოსტიუმების დიზაინზე მუშაობს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ნაწარმად ითვლება ამერიკაში. გარდა ამისა, კიმ კარდაშიანი პარფიუმერიითა და კოსმეტიკით არის დაინტერესებული და 2010 წლიდან კოსმეტიკური მაღაზიათა ქსელის – „სეფორას" მაღაზიებში სუნამოები „კიმ კარდაშიანი", „გოულდი" და რუჯის მისაღები კრემი – „კარდაშიან გლამურ თენი" იყიდება.

* გარდა რეალითი შოუებისა, კიმი პერიოდულად სხვადასხვა ჟანრის ფილმებში მონაწილეობს, თუმცა, ამ ფილმების უმეტესობა არ განეკუთვნება ჰოლივუდის ტოპ-კლასის ფილმების კატეგორიას და მდარე ხარისხის, ეგრეთ წოდებულ „ბ" კატეგორიად ითვლება ამერიკაში. მაგრამ, კარდაშიანს აქაც აქვს გარკვეული წარმატება, რადგან, 2009 წელს ფილმისთვის „არარეალური ბლოკბასტერი" იგი „ოქროს ჟოლოზე" იყო წარდგენილი, რომელიც წლის ყველაზე წარუმატებელი მსახიობებისთვის არის განკუთვნილი. სხვათა შორის, 2010 წლიდან კიმის ფიგურა მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმშია განთავსებული და დამთვალიერებელთა უმეტესობა სწორედ კიმის „ცნობილ" უკანალთან იღებს ფოტოებს. ცნობისთვის, კიმ კარდაშიანი ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ყველაზე სექსუალური სხეული აქვს ჰოლივუდში.

* კიმ კარდაშიანი, პერის ჰილტონთან, ნიკოლ რიჩისთან, ტარა რიდთან, ბიჟუ ფილიპსთან, ლინდსი ლოჰანთან და კიმბერლი სტიუარტთან ერთად, ჰოლივუდური წვეულებების მოყვარულად ითვლება, რომელიც არ აცდენს მსგავს ღონისძიებებს და მუდამ ყურადღების ცენტრში იმყოფება. თავისი ყოფილი დაქალის, პერის ჰილტონის მსგავსად, კიმი 2007 წელს სექსუალურ სკანდალში გაეხვია, როცა გავრცელდა ეგრეთ წოდებული საოჯახო პორნო, რომელშიც კიმი სექსით იყო დაკავებული თავის იმჟამინდელ „ბოიფრენდთან", მომღერალ რეი ჯეისთან. ვიდეო ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა და ამ ფაქტმა დიდი როლი შეასრულა კიმის გაპოპულარებაში. სხვათა შორის, კიმ კარდაშიანის თქმით, იგი დღემდე სამარცხვინოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ეს ვიდეო საჯაროდ გახდა ხელმისაწვდომი ნებისმიერი ადამიანისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვიდეოს გამოჩენის შემდეგ კიმით დაინტერესდნენ სხვადასხვა საგამომცემლო სახლები, რომლებიც ჰონორარის სანაცვლოდ მას ეროტიკულ ფოტოსესიებში მონაწილეობის მიღებას სთავაზობენ. უმეტეს შემთხვევაში კიმი თანხმდება და მისი გულახდილი ფოტოების ნახვა „ფლეიბოის", FHM-ისა და მამაკაცებისთვის განკუთვნილი სხვა ცნობილი ჟურნალების ფურცლებზეა შესაძლებელი.

* კიმის პირადი ცხოვრება მუდმივ ინტერესს იწვევს ამერიკელებში. 2000 წელს იგი ცოლად გაჰყვა მუსიკალურ პროდიუსერს, დეიმონ ტომასს, რომელთანაც 2004 წელს განქორწინდა. მას შემდეგ მისი „ბოიფრენდები" იყვნენ: ზემოთ ნახსენები რეი ჯეი, ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავები – რეჯი ბუში და მაილზ ოსტინი, ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ და მოდელი გაბრიელ ობრი. კიმი, ასევე, ხვდებოდა კალათბურთელს – „ნიუ-ჯერსი ნეთსის" ვარსკვლავ კრის ჰამფრისს. კრისმა მას 2011 წლის 18 მაისს 20,5 კარატის ბრილიანტის ბეჭდის ჩუქებით ხელი სთხოვა, 2011 წლის აგვისტოში კი წყვილი დაქორწინდა, მაგრამ, ორ თვეში – ოქტომბერში განქორწინდა. 2012 წლიდან კიმი ცნობილ რეპერ კენი უესტს ხვდება. გავრცელებული ცნობის თანახმად, წყვილი პირველ შვილს ელოდება – კიმი ფეხმძიმედ არის, ის მეოთხე თვეშია.

* გარდა შოუ-ბიზნესისა, კიმ კარდაშიანი აქტიურად არის ჩართული ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მხარდამჭერია, ასევე, ბოლო დროს იგი აქტიურად მოუწოდებს ამერიკის მთავრობას, რომ აღიარონ სომხების გენოციდი 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ. გარდა ამისა, კიმი თავის მილიონობით მიმდევარს „ტვიტერზე" მოუწოდებს, რომ მხარი აუბან მის ინიციატივას და, აგრეთვე, ყოველწლიურად მიიღონ მონაწილეობა გენოციდის მსხვერპლთა ხსენების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

**უშანგი რუხაძე**

## ციცო ბეგლარაშვილი – 40 დღე უშენოდ...



ძალიან ტკივილიანი და ცრემლიანია ცხოვრება შენ გარეშე... ისე უცებ წახვედი, ისე უცებ ჩაქრა შენი თბილი და ლამაზი თვალები... არ გვეგონა, რომ სიცოცხლეს, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა, ასე უცებ შეელეოდი... ბევრჯერ იდექი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ბევრჯერ აჯობე სიკვდილს... ალბათ, შენი შვილების დიდი სიყვარული გშველოდა, მათი ამაგი და ზრუნვა გაძლიერებდა და ბოლო წუთამდე გითბობდა დიდ და კეთილ გულს... შენც განსაკუთრებული დედა იყავი; თავად ობლად გაზრდილი, იმდენ სიკეთესა და სიყვარულს ჩუქნიდი ადამიანებს, ბევრისთვის იყავი ნუგეში... ამიტომაც დატოვე დიდი სიყვარული და ამხელა სევდა თითოეული მათგანის გულში.

ორმოცი დღე გავიდა და... უშენობა უკვე დიდ მონატრებად იქცა; ყველგან შენს კეთილ ღიმილს, შენს თბილ გამოხედვას ვეძებთ...

მალე პირველი გაზაფხულიც მოვა უშენოდ, შენი, ყვავილებით აფერადებული გაზაფხული, რომელიც ძალიან გიყვარდა... ამ ყვავილებით ჰქონოდეს ფენილი სასუფევლისკენ სავალი გზა შენს ნათელ სულს.

**ჩვენი რესპონდენტის ცხოვრება ყინულს 4 წლის ასაკიდან უკავშირდება. წლების განმავლობაში ის წარმატებული მოციგურავე იყო, შემდეგ კი მსაჯი გახდა. სალომე ჩიგოგიძე ერთადერთი ქართველი მსაჯია, რომელიც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს მსაჯობს. ამჟამად კი დიდი იმედი აქვს, რომ ოლიმპიადაზეც იმსაჯებს. როგორც თავად აღნიშნა, ბედნიერია, რადგან წლების განმავლობაში აკეთებს საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს და უდიდეს სიამოვნებასაც ანიჭებს. მის ცხოვრებაში ცოტა ხნის წინ ახალი ეტაპი დაიწყო – ერთი კვირის წინ სალომე გათხოვდა.**

# როგორ გახდა სალომე ჩიგოგიძე საერთაშორისო მასშტაბის მსაჯი და რატომ ვერ მოირგო მან მწვრთნელის პროფესია

**– ფიგურულ სრიალში მხოლოდ თქვენ ხართ ქართველი მსაჯი თუ კიდევ არის ვინმე?**

– საქართველოში ჯერჯერობით ერთი ვარ, თუმცა, იმედი მაქვს, მომავალში ამ საქმის კეთებას ახალგაზრდებიც მოინდომებენ. 25 წლიდან შეუძლიათ საერთაშორისო სერტიფიკატის აღება, მერე სემინარების გავლა და 26-27 წლიდან – უკვე მსაჯობაც. ახალგაზრდებს შეუძლიათ მხოლოდ ნაციონალურ ტურნირებზე იმსაჯონ და გვყავს ასეთიც. სამწუხაროდ, უკვე მეორე წელია, თბილისის ყინული დაკეტილია – სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა, არის ბათუმსა და ქუთაისში და ახლა ზუგდიდშიც კეთდება. ამიტომ, ბოლო ორი წელია, საქართველოს ჩემპიონატი ბათუმში ტარდება, სადაც სტანდარტული მოედანია.

**– საერთაშორისო ასპარეზზე თქვენ გარდა თუ მსაჯობს სხვა ქართველი?**

– არა, მხოლოდ მე ვარ. სხვათა შორის, არის ერთი ქალბატონი, მარინა სანაია, რომელიც კარგა ხანია, რუსეთის სახელით მსაჯობს. ის უფრო მაღალი კატეგორიის მსაჯია, თუმცა მას მხოლოდ გვარი აქვს ქართული.

**– ანუ, ქართველი მხოლოდ ერთი ხართ.**

> **მართალია, ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ, ერთი კვირის წინ გავთხოვდი**

– დიახ. ორივე კატეგორიაში „ისუს“ წოდება მაქვს და ყველანაირი სახეობის ტურნირის მსაჯობის უფლება მაქვს. ცეკვებში უკვე მესამე წელია, ვმსაჯობ, ხოლო ერთეულებში – მეორე.

**– რა გიმსაჯიათ?**

– ევროპა, მსოფლიო, იუნიორთა მსოფლიო. მსაჯების წილისყრით თუ მოვხვდი, მერე უკვე ამ ოლიმპიადაზეც წავალ.

**– რამდენი წლიდან უკავშირდება თქვენი ცხოვრება ყინულს?**

– 4 წლის ვიყავი, როცა საბავშვო ბაღში მოვიდნენ და 10-15 ბავშვი შეგვარჩიეს, ნორმატივების ჩაბარების შემდეგ კი ორი გოგო და ორი ბიჭი დაგვტოვეს. მას მერე ამ სპორტში ვარ. 22 წლამდე ვისრიალე. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ვიყავი წლების განმავლობაში. 19 წლიდან ევროპის ორგზის მონაწილე ვარ, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. საბჭოთა კავშირის დროს, 8 წლიდან „დინამოს“ ნაკრებში ვიყავი. რაღაც პერიოდი მწვრთნელადაც ვიმუშავე, მაგრამ, მივხვდი, რომ მწვრთნელობა ჩემი არ არის, რადგან, იმდენად მკაცრი არ ვარ.

**– მსაჯობა რატომ გადაწყვიტეთ?**

– ირაკლი ჯაფარიძე იყო ჩვენი სკოლის დირექტორი და ფედერაციის პრეზიდენტი იმ პერიოდში. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო არენაზე სპორტსმენები გვყავდა, მაგრამ, მსაჯი – არა. ამ შემთხვევაში ფედერაციამ უნდა იქირაოს რომელიმე ქვეყნის მსაჯი. ირაკლი ჯაფარიძემ შემომთავაზა, ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი და სემინარზე წავსულიყავი. მაშინ მსაჯობის არაფერი გამეგებოდა, ვიჯექი, ვკითხულობდი და ვმეცადინეობდი. მსაჯობას იურისტის სპეციალობას შევადარებ: რომ იმსაჯო, ეს სფერო უნდა იცოდე და მერე მიჰყვე კანონებს. აქტიური უნდა იყო, სულ უნდა იკითხო, ინტერნეტში გაეცნო ყველა სიახლეს, რადგან, ამ სფეროზე ყველა მუშაობს, სულ აახლებენ და ართულებენ.



> **განაწყენებული სპორტსმენები ყოველთვის არიან. ამის გამო ევროპა-მსოფლიოზე სისტემა შეცვალეს. ადრე თუ სპორტსმენმა და მწვრთნელებმა ზუსტად იცოდნენ, რომელი მსაჯი რა ქულას წერდა, ახლა ასე აღარ არის**

ნებისმიერ სპორტში მსაჯზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ახალი სისტემაა და 0,01 ქულასაც კი უკვე მნიშვნელობა აქვს, მოიგებს თუ წააგებს სპორტსმენი. ჩვენც ყოველთვის გვაკონტროლებენ, როგორ ვიცით მიმდინარე წლის წესები.

**– მსაჯებზე განაწყენებული სპორტსმენები თუ არიან თქვენს სფეროში?**

– ყველას ჰგონია, რომ ყველაზე ძლიერია, ამიტომ, განაწყენებული სპორტსმენები ყოველთვის არიან. ამის გამო ევროპა-მსოფლიოზე სისტემა შეცვალეს. თუ ადრე სპორტსმენმა და მწვრთნელებმა ზუსტად იცოდნენ, რომელი მსაჯი რა ქულას წერდა, ახლა ასე აღარ არის. ამჯერად მხოლოდ კომისიისთვის არის ცნობილი და ჩვენთვისაც, რადგან, ვხვდებით, ვინ რა ქულა დაწერა. თათბირის დროს განხილვები გვაქვს, ანუ, ყველა ვასაბუთებთ, რისთვის დაწერა ესა თუ ის ქულა.

**– ამჯერად საით გაქვთ გეზი აღებული?**

– 26 თებერვალს მილანში მივდივარ, სადაც იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატია; 12 მარტს კი ელენე გედევანიშვილთან ერთად კანადაში გავემგზავრებით დიდების მსოფლიო ჩემპიონატზე.

**– დღევანდელი გადმოსახედიდან, სპორტსმენობა უფრო რთული იყო თქვენთვის თუ მსაჯობა?**

– სპორტსმენობა ძალიან რთულია, რადგან, მთლიანად სპორტისთვის უნდა იყო გადადებული და პირადი ცხოვრება აღარ არსებობს. 4 წლის რომ ვიყავი, დედაჩემი ხანდახან მეუბნებოდა – მოდი, დღეს არ წავიდეთ ვარჯიშზეო, რადგან, დილის 07:30-ზე იქ უნდა ვყოფილიყავი. მართალია, ჯერ ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ, უკვე გამომუშავებული მქონდა, რომელ საათზე უნდა ავმდგარიყავი დილით. ციგურებგადაკიდებული, შევცუნცულდებოდი დედასთან და ვაღვიძებდი – წასვლის დროა-მეთქი. ძალიან მიყვარდა და, ვერ ვიტყვი, რომ ვინმე იძულებით მავარჯიშებდა. დედაჩემის დიდი მადლობელი ვარ, რომ მაინც არ დაიზარა და მატარა.

**– როგორც აღნიშნეთ, როცა სპორტში სერიოზულად ხარ ჩართული, პირადი ცხოვრებისთვის ველარ იცლიო. თქვენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?**

– მართალია, ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ, ერთი კვირის წინ გავთხოვდი. ქორწილი ზაფხულში გვაქვს დაგეგმილი.

**– ყინულთან მასაც აქვს კავშირი?**

– არა, ჩემი მეუღლე პარლამენტში მუშაობს და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსია.

**– ასეთი აქტიური და დაკავებული მანდილოსნის ცხოვრების ტემპის შეგუება რთული არ არის?**

– ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი პრობლემა მქონდა, რადგან, ბევრი ჩემი თაყვანისმცემელი ამას ვერ იგებდა. ეს ჩემი ცხოვრებაა, რაშიც ძალიან ბევრი შრომა ჩავდე. ფედერაციის გენერალური მდივანი ვარ, ასევე, საგზაო ინსტიტუტშიც ვმუშაობ, რადგან, პროფესიით ქიმიკოს-ეკოლოგი გახლავართ. რაღაცნაირად ვუთავსებ ყველაფერს ერთმანეთს. ჩემი მეუღლე გაგებით ეკიდება ჩემს რეჟიმს და ბედნიერია, რომ ჩემი საქმე მაქვს, რომელიც ძალიან მიყვარს. 26-ში კი ერთად მივდივართ მილანში. ასე რომ, პირად ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა.

**– ამდენი წლის შემდეგ, ადვილად გადაწყვიტეთ დაოჯახება?**

– არა. დაახლოებით ორი წელი გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. შეიძლება, ვინმემ რომ შემომხედოს, ფიზიკურად ნაზი ვეგონო, მაგრამ, რეალურად, გაცილებით მაგარი ვარ ბუნებით. ძალიან ბევრს ვფიქრობ და ის ტიპი არ ვარ დღეს შემიყვარდა, ხვალ გავთხოვდე. ჩემი მეუღლე სწორედ ის ადამიანია, ვისაც ამდენ ხანს ველოდი.

**– თუ გაქვს იმის სურვილი, როცა შვილი გეყოლებათ, მისი ცხოვრებაც ყინულს დაუკავშიროთ?**

– თუ გოგო მეყოლება და მასაც ენდომება, რა თქმა უნდა, რადგან, მართლა ძალიან მიყვარს სპორტის ეს სახეობა.

**– რა შეგძინათ ფიგურულმა სრიალმა გარდა იმისა, რომ წარმატებული სპორტსმენი იყავით და ასევე წარმატებული მსაჯი ხართ?**

– ჯანმრთელობა – თავისთავად და, ასევე, დისციპლინა. სულ რეჟიმში ვიყავი. 8 წლის ასაკიდან „დინამოს“ ნაკრებში ამიყვანეს, თან ყველაზე პატარა. სპორტულ შეკრებებზე დავდიოდით და ძალიან დამოუკიდებელი ბავშვი ვიყავი. რომ გავიზარდე, მერე უკვე მოსკოვში გავდიოდი წვრთნებს. არასდროს კონტროლი არ მქონია მშობლების მხრიდან, რადგან ჩემში დარწმუნებულები იყვნენ.

**მარიკა ხიდურელი**

საკვირაო ტრენინგ-კლუბი ბავშვებისთვის



დავეხმაროთ ბავშვებს სირთულეების გადალახვაში

219 50 03 577 54 00 69

www.idilia.ge

# ინტიმური საუბრები

## ჩემმა საქმრომ ჩემი ფულებით ცხოვრება აიწყო

გწერთ საბერძნეთიდან, საიდანაც დაახლოებით სამი წლის წინ ჩამოვედი, რა თქმა უნდა, სამუშაოდ. ალბათ, მოგეხსენებათ, რა სახის სამუშაოებს ასრულებენ აქ ქართველი ქალები და გამონაკლისი არც მე ვარ – ვუვლი ლოგინად ჩავარდნილ, ჭირვეულ, საშინელი ხასიათის მქონე მოხუცს. ისე გამაწამა და გამაგიჟა, ჩემი ყოველი დღე ტირილით იწყება და ტირილით მთავრდება, მაგრამ, მაინც ყველაფერს ვითმენ, რადგან, მიმაჩნია, გამიმართლა იმ გაგებით, რომ მოხუცის პატრონები კარგად მიხდიან და ჩემი აქ ჩამოსვლის ერთადერთი მიზეზი და მიზანი ის არის, განვაგრძო ცხოვრება: მქონდეს ბინა და არ შემეშინდეს არც ავად გახდომის, არც სტუმრის მოსვლის და არც იმის, რომ შვილები მშივრები მეყოლება (თუმცა ჯერ გათხოვილი არ ვარ).

სანამ აქ წამოვიდოდი, დაახლოებით ნახევარი წლით ადრე, გავიცანი მამაკაცი, რომელიც შემიყვარდა. მასაც შევუყვარდი და დაქორწინება გადავწყვიტეთ, მაგრამ, არც ერთს არ გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ბინა გვექირავა, ქირაც გადაგვეხადა და შვილებიც გაგვეჩინა და გაგვეზარდა. მე კი მქონდა შედარებით ნორმალური სამსახური, მაგრამ, მერაბი არ მუშაობდა და მარტო ჩემი ხელფასირას გვეყოფოდა, მით უმეტეს, რომ ჩემი პენსიონერი მშობლები ვერ დაგვეხმარებოდნენ, მერაბის დედას კი რძლად არ ვუნდოდი და თავიდანვე გამოგვიცხადა, ჩემი იმედი არ გქონდეთო. დახმარება კი არა, იმაზეც უარი განაცხადა, რომ დაქორწინების შემდეგ მასთან გვეცხოვრა (თუნდაც თავიდან), მიუხედავად იმისა, რომ დიდ სამოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობს (მერაბს მამა არ ჰყავს, და კი ძალიან მდიდარ კაცზეა გათხოვილი და ნახევარჯერ საქართველოში არ იმყოფება, სულ აქეთ-იქით დასეირნობენ). მამაჩემმა ორჯერ უშოვა მერაბს სამსახური, მაგრამ ორივეზე უარი თქვა, უფრო სწორად, არც ერთი არ იკადრა, რადგან რიგით თანამშრომლად მუშაობა ითაკილა (კაბინეტი და უფროსობა ნებავდა), თან, ხელფასიც ეცოტავა. რა თქმა უნდა, თვეში 500 ლარი ძალიან ცოტაა, მით უფრო ისეთი კაცისთვის, რომელიც სიგარეტის საყიდელ ფულს დედას ართმევს პენსიიდან და მთელი დღე ერთი ადგილის ფხანის მეტს არაფერს აკეთებს. მე ახლა ვარ გაბრაზებული და აღშფოთებული, თორემ მაშინ ისე ბრმად მიყვარდა, ყველაფერში ვამართლებდი.

ჩვენი მატერიალური მდგომარეობის გამო ისე აეწყო, რომ ვერ ვქორწინდებოდით და შეხვედრების დროს თინეიჯერებივით დავბოდიალობდით ქუჩებში. კაფეში თუ შევიდოდით, მე ვიხდიდი (მერაბს არასდროს არ ჰქონდა ფული), რასაც თაკილობდა და უარს ამბობდა ხოლმე, თუნდაც ერთი ფინჯანი ყავა დაგველია სადმე.

სწორედ იმ პერიოდში ჩემი ნათესავი ქალი წავიდა საბერძნეთში სამუშაოდ, ძალიან გაუმართლა – კარგი სამსახური იშოვა და ერთ-ერთი დარეკვისას მითხრა, თუ ჩამოხვალ, შენც გიშოვი რამესო. მე ეს შეუძლებლად ჩავთვალე, მაგრამ, საუბრის დროს მერაბს ვუამბე ყველაფერი. მეგონა, გადაირეოდა, ეგ როგორ იფიქრეო, მაგრამ, მითხრა, ეგ შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ, თუ გინდა, რომ ერთად ვიყოთო. მერე იქვე დაიანგარიშა, თვეში რამდენი უნდა გამომეგზავნა, რომ ერთ-ორ წელიწადში ბინაც გვეყიდა, ქორწილის ფულიც გადაგვედო და ყოველდღიური ხარჯებისთვისაც შეგვენახა რაღაც თანხა. ისეთი აჟიტირებული ლაპარაკობდა, მისი განწყობა მეც გადამედო. იმავე საღამოს დავგეგმეთ ყველაფერი, მშობლებსაც ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ (სხვათა შორის, ძალიან დიდი წინააღმდეგობა გამიწიეს, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე) და ორი დღის შემდეგ იმ ჩემს ნათესავს დავურეკე. გადავწყვიტე, მოვდივარ-მეთქი. წასვლასაც საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა, რაც მერაბმა პროცენტით ისესხა თავისი მეზობლისგან (მერე გავიგე, რომ ის ფული დედამისის ყოფილა) და, როგორც იქნა, წამოვედი. დაახლოებით ორი თვის შემდეგ დავიწყე ფულის გაგზავნა. ცხადია, ჯერ პროცენტიანი ვალი გავისტუმრე, მერე კი უკვე ბინის საყიდელ ფულს ვუგზავნიდი მამაჩემს (ვიცოდი, ყველაზე კარგად ის შემინახავდა). რა თქმა უნდა, მშობლებს სახარჯო თანხასაც ვუგზავნიდი ყოველთვიურად. სიმართლე გითხრათ, პირადად მერაბს მხოლოდ ერთხელ გავუგზავნე ათასი დოლარი საჩუქრის სახით – არ ვიცოდი, შენთვის რა მეყიდა და ჩემი სახელით რაც გინდა, იყიდე-მეთქი. ჩემი სისულელით, ყოველთვის ვეუბნებოდი, რამდენი გავუგზავნე მამაჩემს. რა ვიცოდი, რომ თურმე, პერიოდულად მიდიოდა მასთან და ფულს სთხოვდა – ხან ორას დოლარს, ხან სამასს, ხან უფრო მეტსაც. ვითომ სესხად ართმევდა, მაგრამ, ერთხელაც არ უფიქრია დაბრუნება. რამდენჯერმე მეც დამირეკა და მთხოვა, ფული გამეგზავნა, თან, საკმაოდ „მრგვალი" თანხები სჭირდებოდა ხოლმე. მაშინ ჯერ კიდევ ვიყავი სიყვარულით დაბრმავებული და, ოღონდ მას გახარებოდა, სიხარულით ვუგზავნიდი. ერთ დღეს კი მამაჩემმა დამირეკა და მითხრა, ფული აღარ გამომიგზავნო, რასაც იშოვი, როგორმე მანდ დააგროვე ან აქ გახსენი რომელიმე ბანკში ანგარიში და ისე გადმორიცხეო. რომ გადავეკიდე, რატომ-მეთქი, გამომიტყდა – შენი საქმროსგან მოსვენება აღარ მაქვს, ყოველდღე ფულს მთხოვს, მაგაზე უარი აღარ ჭრის, ლამისაა, მუქარაზე გადადის, როცა არ ვაძლევო. მერე ისიც გავიგე, რომ თავისთვის კარგი მანქანაც უყიდია და ბინაც გაურემონტებია ჩემი ფულებით, ის ბინა, რომელში შეშვებაზეც დედამისმა წინასწარ გამოგვიცხადა უარი და ამხელა კაცმა ხმაც ვერ ამოიღო.

მოკლედ, საკმაოდ გვიან მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე. თუმცა, ცოტა უფრო ჭკვიანი რომ ვყოფილიყავი, ამას მაშინ უნდა მივხვედრილიყავი, სიხარულით რომ გამიშვა საბერძნეთში ვიღაც ბებრების „გარშოკების" სათრევად. მაგრამ, ეს ყველაფერი არ ყოფილა. ერთმა დაქალმა დამირეკა (რომელიც მერაბსაც კარგად იცნობს) და მითხრა: მინდა, თვალები აგიხილო და იმიტომ გეუბნები ამას, არ მინდა, მთელი ცხოვრება დებილის როლში იყო. იმ შენს საქმროს დავემუქრე კიდეც, რომ დაგირეკავდი და ყველაფერს მოგიყვებოდი, მაგრამ, ალბათ, ეგონა, მხოლოდ ვაშინებდი და ამას არ გავაკეთებდი. ცოტა კაცურად რომ მოქცეულიყო, შეიძლება, მართლაც არ დამერეკა შენთვის, მაგრამ ამის მოსმენა აღარ შემიძლია. შენი ფულებით ნაყიდი მანქანით ვიღაც ნაშებს დააგრიალებს, ძვირფასი რესტორნებიდან აღარ გამოდის და ჭკუაზე არ არისო. ეს ყველაფერი ჩემთვის ისეთი შოკი იყო, კინაღამ მაშინვე ჩავალაგე ბარგი და გამოვიქეცი. არადა, ყოველ დარეკვაზე მეუბნებოდა, რომ საყიდელი ბინა უკვე შეთვალიერებული ჰქონდა; რომ მისთვის გაგზავნილ ფულსაც კი არ ხარჯავდა – ქორწილისთვის აგროვებდა... ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ნაგავი და ნაძირალა აღმოჩნდა. ცოტა გონს რომ მოვედი, დავურეკე და ვუთხარი, შენთვის გამოგზავნილი ყველა თანხის ქვითარი შენახული მაქვს. ყველაფერი ვიცი, რასაც აკეთებ. ორ თვეს გაძლევ: გინდა ნივთები გაყიდე სახლიდან, გინდა ჩემი ფულით ნაყიდი მანქანა და გინდა შენი ბინა და ზუსტად ორი თვის შემდეგ ეს თანხა უკლებლივ დასვი ჩემს ანგარიშზე, თორემ, საჩივარს შევიტან სასამართლოში და შენს თავს დავაჭერინებ-მეთქი. ვითომ აღშფოთდა (სინამდვილეში შეეშინდა) და დამიწყო მტკიცება, რომ მოვენატრე, რომ კიდევ უფრო მეტად ვუყვარვარ, რომ ჩემს დაქალს (ვინც დამირეკა) ჩემი შურს და იმიტომ მიმღვრევს ტვინს და ასე შემდეგ. მაგრამ, უკვე აღარ ვარ დებილი. ამ სამ წელიწადში ისეთი ცხოვრება გამოვიარე საბერძნეთში, ასე ადვილად ველარავინ გამაბითურებს.

სამ კვირაში გადის დათქმული ორი თვე. თუ თანხას არ დამიბრუნებს, მართლა ვუჩივლებ. მე კი ჯერ არ დავბრუნდები, რადგან ჩამოვედი და ამდენი ვიწვალე, საქმეს ბოლომდე მივიყვან – საჭირო თანხას მოვუყრი თავს და საკუთარ თავს და მშობლებს მივხედავ. ალბათ, ღმერთიც არ გამწირავს და ვინმე ღირსეულს შემახვედრებს.

**მარი, 32 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## დედამიწას დიდი მეტეორიტი უახლოვდება

ასტრონომები აკვირდებიან, როგორ უახლოვდება დედამიწას დიდი ასტეროიდი, რომლის დაჯახების სიმძლავრე ათასჯერ მეტი იქნება, ვიდრე 1945 წელს ხიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბის აფეთქება იყო. საბედნიეროდ, 2012 DA14 ჩვენს პლანეტას ძალიან ახლოს – 27,7 ათასი კილომეტრ მანძილზე ჩაუვლის. ტრაექტორია გამოთვლილია და ის დედამიწასა და მის ერთ-ერთ ხელოვნურ თანამგზავრს შორის მშვიდობიანად გაივლის საათში 35,8 ათასი კილომეტრი სიჩქარით. 33 საათის განმავლობაში ასტეროიდი ჩვენი პლანეტისგან ისე ახლოს იმოძრავებს, რომ მასზე დაკვირვება სამოყვარულო ტელესკოპით იქნება შესაძლებელი.

2012 DA14-ის დიამეტრი 45 მეტრია, წონა კი – 130 ათასი ტონა. მახასიათებლებით ის ტუნგუსკის მეტეორიტს მოგვაგონებს, რომლის დიამეტრი მხოლოდ 40 მეტრი იყო. ის 1908 წელს ციმბირში, კრასნოიარსკის მხარეში ჩამოვარდა და 1 200 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე გაანადგურა სიცოცხლე.

ანალოგიური ციური სხეულები გახდა დინოზავრების გადაშენების მიზეზი. როგორც „ნასას“ ექსპერტები ამბობენ, მსგავს ასტეროიდებს დედამიწა 40 წელიწადში ერთხელ „ხვდება“ და მხოლოდ 1 200 წელიწადში ერთხელ ეჯახება. თუმცა, შეჯახების სიმძლავრე ისეთი დიდიც არ არის, რომ დედამიწაზე რაიმე სერიოზული გავლენა მოახდინოს ან მისი მოძრაობის ტრაექტორია ოდნავ მაინც შეცვალოს.

## 214 წლის შემდეგ პარიზელ ქალებს შარვლის ჩაცმის უფლება მიეცათ

საფრანგეთში, ბოლოს და ბოლოს, გააუქმეს კანონი, რომელიც ქალებს პარიზში შარვლის ჩაცმას უკრძალავდა. გადაწყვეტილება მიიღო წარმოშობით მაროკოელმა ქალების უფლებათა დაცვის მინისტრმა ნაჯა ვალო-ბელკასემმა.

კანონი 1799 წლის ნოემბერში მიიღეს, რის საფუძველზეც ქალბატონებს, რომლებსაც ქვეყნის დედაქალაქში „მამაკაცის სამოსის“ ჩაცმა სურდათ, სპეციალური ნებართვა პოლიციის უფროსისგან უნდა აეღოთ, წინააღმდეგ შემთხვე-



ვაში, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს დაპატიმრება არ ასცდებოდათ.

1892 და 1909 წლებში კანონი ოდნავ შეამსუბუქეს – ქალბატონებს შარვლის ჩაცმა ცხენზე ჯდომის ან ველოსიპედის ტარების დროს შეეძლოთ. მას შემდეგ რამდენჯერმე დაისვა საკითხი ნამდვილად დრომოჭმული კანონის გაუქმების შესახებ, მაგრამ ჩინოვნიკები გადაწყვეტილების მიღებას ყოველთვის შემდეგისთვის გადადებდნენ ხოლმე იმ საბაბით, რომ ეს პრობლემა არ იყო პრიორიტეტული.

როგორც იქნა, წელს, 31 იანვარს გამოქვეყნდა განცხადება, რომ ქალებისთვის შარვლის ჩაცმის აკრძალვა შეუთავსებელია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპებთან, რომლებიც ჩამოთვლილია საფრანგეთის კონსტიტუციაში, ასევე, ევროპულ ვალდებულებებში. თუმცა, მსოფლიოში კვლავ რჩება უცნაური კანონები, რომელთა გაუქმებასაც ჯერჯერობით არ აპირებენ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მონარქის გამოსახულების საფოსტო მარკის თავდაყირა დაწებება სერიოზული დანაშაულია და სამშობლოს ღალატს უთანაბრდება. 1898 წელს ბრიტანელებს აეკრძალათ აზარტული თამაშები ბიბლიოთეკაში. „მკაცრად დასჯა“ არ ასცდებათ შინაური ცხოველების პატრონებს, თუ მათი ოთხფეხა მეგობრები სქესობრივ კონტაქტს სამეფო სასახლის მკვიდრ ცხოველებთან დაამყარებენ.

## „ბოიფრენდი პრაკატით“

იმ ახალგაზრდების პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც „მეორე ნახევრები“ არ ჰყავთ, ჩინელებმა უცნაური გამოსავალი იპოვეს. ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა ინტერნეტ-ბაზარმა „ტაობაომ“ გოგონებს, რომლებსაც „ბოიფრენდებიც“ კი არ ჰყავთ, მათი „ქირაობა“ შესთავაზა. ეს სიამოვნება დღე-ღამეში 50 დოლარი ღირს. ზოგიერთ მომსახურებას კი ცალკე პრეისკურანტი აქვს. მაგალითად: ვახშამი საათში 5 დოლარი ღირს, ლოყაზე კოცნა – 8 დოლარი. თუ დროებითი „ბოიფრენდი“ ჩინურ ახალ წელს – 9 თებერვლიდან 10 თებერვლის ღამემდე, დამქირავებლის ოჯახთან გაატარებს და საწოლზე დაიძინებს 80 დოლარი უნდა გადაუხადონ, მისი დივანზე დაძინება კი „მასპინძელს“ 95 დოლარი დაუჯდება. აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში სექსი არ შედის.

ჩინეთში მამაკაცებსაც შეუძლიათ „გერლფრენდები“ დაიქირაონ, თუმცა, ზოგადად, ქალები უფრო შეზღუდულები არიან; ამიტომაც, მოთხოვნა გასაქირავებელ მამაკაცებზე გაცილებით მეტია.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

## ნინო ვარსიმაშვილი – ცნობილი ნათელმხილველი და ბიოენერგეტიკოსი: „გახსნის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის“

***მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ გთავაზობთ ინტერვიუს დღეს თბილისში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნათელმხილველსა და ბიოენერგეტიკოსთან, ნინო ვარსიმაშვილთან.*** 30 წლის წინ პატარა პროვინციული ქალაქის სახალხო თეატრში ვმუშაობდი – ძალიან მიყვარდა თეატრი და ხელოვნება. ერთ დღეს ძალიან ცუდად გავხდი. სად აღარ წამიყვანეს, მაგრამ, ვერც დიაგნოზი დამისვეს და ვერც ჩემი მკურნალობა შეძლეს ექიმებმა. ბოლოს აღმოვჩნდი რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში – თავის ტვინის ძალიან მძიმე დაავადებით თვე-ნახევარი საწოლს ვიყავი მიჯაჭვული. ბოლოს გამიკეთდა ქირურგიული ოპერაცია, რომელიც წარმატებით დასრულდა. მდგომარეობიდან რომ გამოვედი, სულ სხვა პიროვნება ვიყავი. თავიდან ამ განცდის ისე შემეშინდა, ამაზე ხმამაღლა საუბარსაც კი ვერ ვბედავდი. წინასწარ ვხედავდი, რა ელოდათ ჩემს ახლობლებს. საოცარი დღეები დაიწყო: ორი-სამი დღე მეძინა და უცნაურ სიზმრებს ვხედავდი. დღეების, საათების მიხედვით უცხადდებოდათ ჩემი ხილვები. ეს ამბავი ჩვენს პატარა ქალაქში ისე გახმაურდა, მალე მეზობელი რაიონებიდან დაიწყო ხალხმა ჩამოსვლა. ენერგიის საოცარ მოზღვავებას ვგრძნობდი. ახლობელი ექიმის რჩევით, წავედი ერთ-ერთ კომპეტენტურ ცენტრში, სადაც გამოიკვლიეს ჩემი ხელები და დაადგინეს, რომ ძლიერი ბიოენერგეტიკული ველი მქონდა. მაშინ მეგონა, რომ ბიოენერგია ავადმყოფობიდან განკურნების შემდეგ გაჩნდა ჩემს სხეულში, მაგრამ, დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ სამედიცინო ჩარევის შედეგი არ იყო, ეს უნარი ზებუნებრივად მომეცა. ამას ისიც დაერთო, რომ იმ პერიოდში მე მომძებნა სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა, ცნობილმა ნათელმხილველმა, რომელმაც გადმომცა სპეციალური ლიტერატურა და მთხოვა, გამეგრძელებინა მისი გზა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი.

**– დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, რაც განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომლებსაც 16 კომპონენტისგან ვამზადებ. გახსნის პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე, ჯადოს მოხსნაზე. ჯადო ადამიანის კარმულ სისტემას ყველაზე დიდ დარტყმას აყენებს, სანამ სავალალო შედეგი დადგება, ის ჯერ ფიზიკურად აისახება. ჯადოს ზეგავლენის შედეგად ადამიანებს ეწყებათ: თავბრუხვევა, თავის ტკივილი, უძილობა, ნერვული სტრესები, ჩაკეტილობა და შიშები; არ უნდათ არავის დანახვა, რაც ხშირად აგრესიაშიც გადასდით. ზოგს საკუთარი სახლის შეზიზღება ეწყება, ზოგს – ოჯახის წევრების, რომლებთან ერთადაც მთელი ცხოვრება აქვს გატარებული.

**– რამდენ ხანს გრძელდება პროცედურები?**

– ეს ინდივიდუალურია. ყველაზე მეტი დრო სჭირდება ძველ ჯადოს, რომელიც უფრო ძლიერია და თაობიდან თაობაზე გადადის. ყველაზე მოკლევადიანი შეიძლება იყოს მუშაობა ბედის გახსნასა და გაუმართლებლობაზე, ამ შემთხვევებში საკმარისია 3-4 ვიზიტი. შესაძლოა, ცოტა მეტი დრო დასჭირდეს ფინანსური პრობლემების მოგვარებასა და უბარაქობის დაძლევას. ჩემთან ძალიან ბევრი სატელეფონო ზარია სხვადასხვა ქვეყნიდან: საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდანაც კი; მიგზავნიან ფოტოებს, რომლებიც ისეთი დიდი ინფორმაციის წყაროა, მისი მეშვეობით დიაგნოზის დასმაც ხდება და პროცედურების ჩატარებაც.

**– თქვენ, ასევე, მკურნალობთ იმპოტენციას, ნევროზს, ალკოჰოლიზმს... რისგან მზადდება ნაყენი, რომელსაც თქვენ იყენებთ?**

– ეს საშუალებები მზადდება მცენარეებისგან, რომლებიც მაღალმთიან სოფლებში იზრდება. რეცეპტი წლების განმავლობაში დამუშავდა და დაემატა ბევრი ისეთი შენაერთი, რომლებსაც ძალიან კარგი შედეგი მოაქვს.

***ქალბატონ ნინოსთან ყოველთვის ბევრი ხალხია. ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, გვიამბო, თუ როგორ დაეხმარა მას ნინო ვარსიმაშვილი ყველაზე რთულ პერიოდში:***

– იმ დროს, როდესაც ნინოსთან პირველად მოვედი, მეუღლე ახალი გარდაცვლილი მყავდა და შოკში ვიყავი. ნინომ ისე ამიწერა ჩემი მომავალი, რომელიც იმ დროს დასრულებული მეგონა, ძალიან გამიკვირდა. გავიდა ცოტა დრო და მისი ყველა ნათქვამი ამიხდა. დღეს ზუსტად ისეთი ცხოვრება მაქვს, როგორც ნინომ 10 წლის წინ მითხრა: ოჯახიც მაქვს, საკუთარი ბიზნესიც. ყველა საქმეს ნინოსთან კონსულტაციის შემდეგ ვიწყებ, 10 წელია, ის ჩემი ერთგული თანამგზავრია.

***ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99 003-006; 597 82-68-68. პირველი კონსულტაცია, რომელიც მხოლოდ „დიაგნოზის" დასმას მოიცავს, უფასოა.***

**მისამართი: თბილისი, საბჭოს მოედანი.**

# რატომ ურთულდება ანა სანაიას ცხოვრებაში ყველაფერი და რატომ უნდა მას რევოლუციური ქალღის სათავეებთან დგომა

**მიუხედავად იმისა, რომ წლებია, ვმეგობრობთ, ანა სანაია მაინც ახერხებს ხასიათის, ნიჭიერების ახალი საზღვრები გახსნას და ამით ყველა გააოცოს. ის თამაშობს, წერს, იღებს ფილმებს და ტანსაცმლის დიზაინსაც ქმნის და ეს ახალი სფერო შესაძლოა, საოცრად დიდი წარმატების მომტანი აღმოჩნდეს ანასთვის, რადგან, ბელგიაში გამართულ კონკურსზე გაგზავნილმა მის მიერ შექმნილმა ორიგინალურმა „ლუქმა" დიდი მოწონება დაიმსახურა.**

**ანა სანაია**: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ვთამაშობ, ჯერჯერობით სამ სპექტაკლში ვარ დაკავებული, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო პროცესია.

**– ხშირად ხუმრობ ხოლმე მესამეხარისხოვან როლებზე...**

– ეს მხოლოდ ხუმრობით, თორემ, ისე, ჩემთვის ყველა როლი ძალიან მნიშვნელოვანია. ახალი მისული მსახიობისთვის სამი სპექტაკლი პატარა შედეგი არ არის. ესენია: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი", „პეიზაჟს აკლია სითბო" და „კოტე მარჯანიშვილი". ძალიან ბედნიერი ვარ, უზომოდ მიხარია ყველა გასვლა სცენაზე. როგორც სტანისლავსკი იტყოდა: არ არსებობს ცუდი და კარგი, მთავარი და მეორეხარისხოვანი როლები, არსებობენ ცუდი და კარგი მსახიობები. მსახიობისთვის იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როდესაც თამაშობს კინოში, თეატრში... ცხოვრებაში არა. უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები ამ საქმეს. მართლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სამსაათიან სპექტაკლში სამი საათი დგახარ სცენაზე თუ ერთი წუთით გადიხარ. არ ვიცი, რატომ, რა ჯადოსნობას აქვს ადგილი, მაგრამ, მაყურებელი ამ ერთ წუთშიც გადასარევად ხვდება შენს დამოკიდებულებას შენი პროფესიისადმი.

**– თეატრში თამაში ყოველთვის გინდოდა...**

– ყოველთვის მინდოდა, მინდა და მომინდება. დიდხნიანი პაუზა გამომივიდა და ახლა მთელ ამ მონატრებას ვივსებ. ძალიან მინდა, ყველაზე მეტად მინდა, რომ კიდევ დამაკავონ ახალ როლებზე და ბევრი სათამაშო მქონდეს.

**– როგორ ფიქრობ, სერიალების წლებმა დაგაკარგვინა ეს დრო თეატრში? იყო ეს მიზეზი იმისა, რის გამოც თეატრში დაკავებული არ ყოფილხარ?**

– ალბათ კი. მაყურებლისთვის აქვს მნიშვნელობა, ვის ხედავს სცენაზე. როგორც ჩანს, რეაბილიტაცია გავიარე, მარტო მაყურებლისთვის კი არა, თავად მეც მოვახერხე ერთი ამპლუიდან გამოსვლა და სხვაში შესვლა. ორივე პერიოდი ძალიან საინტერესო იყო ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ ის მინდა, ვისურვო, რომ თეატრალური ცხოვრება ქვეყანაში იყოს უფრო სავსე, დინამიკური, აქტიური; ის, რაც გვაქვს კულტურაში – გაცოცხლდეს; თეატრში სათქმელი ისევ ითქმებოდეს, თან, ყველაზე მძაფრად; იყოს ანარქისტული, რევოლუციური... ახალგაზრდული ტალღა თუ რაიმე ახლის თქმას შეეცდება, ვეცდები, ვიყო არა უბრალოდ თანამონაწილე ამ ყველაფრის, არამედ, ერთ-ერთი „აქტივისტკა".

**– რაც, სიმართლე რომ ვთქვათ, ჯერჯერობით არ შეინიშნება.**

– იცი რა, თეატრში თუ ერთხელ მოვიდა მაყურებელი, ის მეორედაც აუცილებლად მოვა. არის თეატრები, რომლებიც ამბობენ სათქმელს, ზოგიერთები – შედარებით ნაკლებად. ასე ერთმნიშვნელოვნად თქმა რთულია. თეატრი მაინც აქტუალურია და, მინდა, მეტი მოახერხოს.

**– ქუთაისში გქონდათ გასტროლები ცოტა ხნის წინ...**

– არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ: იყო წითელი ხალიჩა, სტენდები, მიღება, სიმებიანი კვარტეტი, გემრიელი ქუთაისური შეხვედრა, მამაპაპური საღამო – დაახლოებით ისეთი, როგორიც სპექტაკლშიც გვაქვს.

**– ბოლივუდის ფილმი გამოვიდა?**

– კი, გამოვიდა ინდოეთში და საკმაოდ დიდი წარმატება აქვს კინოგაქირავებაში. პრემიერაზე მიმიწვიეს, მაგრამ, თეატრში რეპეტიციები მქონდა და ვერ წავედი. პრემიერა შედგა ინგლისშიც და იქაც დიდი წარმატება ჰქონდა. ახალი შემოთავაზება ჯერჯერობით არ მქონია, თუმცა იმედები არის. მათ ისევ უნდათ ჩამოსვლა, გაეცნენ ჩემს სცენარებს, გვაქვს მუდმივი მიწერ-მოწერა, თუმცა, სამთავრობო ცვლილებების გამო, ჯერჯერობით დაკვირვების ეტაპზე არიან, ელოდებიან, რა როგორ იქნება. ისე, ნახევარმა ინდოეთმა დამიმატა „ფეისბუქზე", სისტემატურად მეკონტაქტებიან. მიხარია, რომ მათი მოწონება დავიმსახურე. ცეკვითა და სიმღერით იქ ბევრს ვერავის გააკვირვებ და, ამიტომაც, მათი მხრიდან ჩემ მიმართ სიმპათიები ორმაგად დასაფასებელია. ადგილობრივი წარმოების ფილმებიდანაც არაფერია საინტერესო – იყო რაღაც შემოთავაზებები, რაზეც უარი ვთქვი.



იყო ცრემლებიც... ცრემლების გარეშე ამ ღამეს არ ჩაუვლია

**– რა ხდება ხოლმე უარის მიზეზი?**

– ძირითადად, არასაინტერესო სცენარი, რეჟისორსაც აქვს მნიშვნელობა – უნდა ენდობოდე. ჩემმა ფილმმაც ვერ ნახა დღის სინათლე გარკვეული პრობლემების გამო, მაგრამ იმედი მაქვს, ეს პრობლემაც მალე დაიძლევა. რატომღაც, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ჯანჯლდება და რთულდება ხოლმე, მაგრამ, ბოლოს ყველაფერი კარგად მთავრდება – ისე, როგორც ზღაპარში *(იცინის)*. ნეტავ, ეს ზღაპრების რწმენა როდის გამივლის?! *(იცინის)* რატომღაც, ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიმბოლოა, რაღაცეები მეორდება, ისეთი რაღაცეები ხდება ან თავად ვახდენ, რაც სხვებს მხოლოდ წიგნებში წაუკითხავთ და ფილმებში უნახავთ. ჩემი ცხოვრება ერთ დიდ სათავგადასავლო რომანს ჰგავს, „ინდიანა ჯონსის", „ჯეინ ეარისა" და კიდევ ბევრი ნაწარმოების ნარევია. მსუყე ტრილოგიაა. არ წყდება მოქმედებები. ვიღაცეები ამისგან, შესაძლოა, უცებ დაღლილიყვნენ, მაგრამ მე უკვე ისე გადამივიდა ყოველდღიურობაში, ამ „ექშენის" გარეშე ცხოვრება ველარც წარმომიდგენია. ამ ბოლო დროს ცოტა მეზარება პროვოცირების მოხდენა და „ექშენის" გამოწვევა, მაგრამ, მოვლენები მაინც ინერციით მიდის.

**– არ აპირებ შენი მოთხრობების დაბეჭდვას?**

– სხვათა შორის, ვფიქრობ, ხალხი ითხოვს უკვე *(იცინის)*. მიკვირს, მაგრამ, ჩემს მეგობრებს, მათ მშობლებს, დღემდე ახსოვთ, როგორ ვწერდი ბავშვობაში; ახსოვთ რაღაც ორგვერდიანი მოთხრობის შინაარსი. მოკლედ, ერი მითხოვს *(იცინის)*. ბევრი იდეა მაქვს, უბრალოდ, მჭირდება ადამიანი, ვინც ამ ჩემს იდეებს შეაგროვებს და სწორი მიმართულებით მიმართავს; ან, თავად უნდა გამიჩნდეს ისეთი დიდი სურვილი, რომ რაღაც სისტემაში მოვაქციო ყველაფერი, რაც დამიწერია და საბოლოო ფორმა მივცე. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ვისთვის იქნება საინტერესო-მეთქი, მაგრამ, რაც მთავარია, ჩემთვის იქნება. ერთად თავმოყრილი მაინც მექნება ის, რაც ამდენწლიანი ნაფიქრი და დაწერილია.

**– ვიცი, რომ ბრიუსელში გაიგზავნა შენი დიზაინით შექმნილი მოდელი.**

– ამ სფეროშიც მოვსინჯე ძალები. შეიძლება, მკითხველმა იფიქროს, ეს გოგო რამ გაათავხედაო, მაგრამ, იმდენი იდეა და აზრი მომდის თავში, სადმე თუ არ გადმოვიტანე, ალბათ, გავგიჟდები. ბრიუსელში ტარდება კონკურსი, სადაც დიზაინერები გზავნიან მომავალი კოლექციის ერთ „ლუქს". ჩემი კრეატივით შექმნილმა მოდელმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. თითქოს დიზაინი ჩემთან არაფერ შუაშია, მაგრამ, ეს ჩემშია და რა ვქნა?! ბევრი ორიგინალური იდეა მომდის თავში და გული მწყდება, რომ ყველაფრის განხორციელებას ვერ ვახერხებ.

**– გადაცემაზეც ფიქრობ, როგორც ვიცი.**

– დიახ და, დარწმუნებული ვარ, ამ მწირი არჩევნის ფონზე ჩემი იდეები სატელევიზიო სივრცეს გამოაცოცხლებდა, თუმცა, არც არავის ვაწუხებ და არც არავისთან მისაუბრია ამასთან დაკავშირებით. არ მიყვარს ადამიანების შეწუხება, თავის მობეზრება. მეტ-ნაკლებად ჩვენს სფეროში ყველამ იცის ჩემი შესაძლებლობები და, თუ რამე დააინტერესებთ, თავად დამიკავშირდებიან.

**– დაბადების დღე რომ გქონდა როგორ ჩაიარა?**

– არაფერი განსაკუთრებული. რამდენიმე მეგობარმა მომილოცა – ვინც იძალავა და არ დამემორჩილა, როდესაც ვეუბნებოდი, არაფერს ვაპირებ-მეთქი. ბათუმში მინდოდა წასვლა, მაგრამ, არ გამომივიდა. ჩემმა მეგობარმა წინა ღამით სიურპრიზი გამიკეთა, რასაც საერთოდ არ ველოდი: ყვავილებით, ტორტებით, შამპანურებითა და ფოიერვერკებით გამილამაზა დაბადების ღამე. მომაკითხა და მიმიყვანა იმ ადგილას, სადაც ეს ყველაფერი იყო მომზადებული. ძალიან იმოქმედა ამ ყველაფერმა ჩემზე, რადგან, ადამიანებს თითქოს მიავიწყდათ ასეთი სენტიმენტალურ-რომანტიკული მიმართულების გამოხდომები, რაზეც მე ვგიჟდები. მოკლედ, მე ჩემი დამემართა. იყო ცრემლებიც... *(იცინის)* ცრემლების გარეშე ამ ღამეს არ ჩაუვლია. მეორე დღემ კი სრულ სიმშვიდეში ჩაიარა. 28 წლის გავხდი და, დროა, ცოტა რაციონალური ქმედებები შევიტანო ჩემს ცხოვრებაში და ფული სხვა რამეში გამოვიყენო – სულ ასე ინფანტილური ხომ არ ვიქნები *(იცინის)*.

**რატომღაც, ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიმბოლოა, რაღაცეები მეორდება; ისეთი რაღაცეები ხდება ან თავად ვახდენ, რაც სხვებს მხოლოდ წიგნებში წაუკითხავთ და ფილმებში უნახავთ**

**სალომე გველესიანი**

**ვანიკო თარხნიშვილსა და შორენა ბეგაშვილს „იღბლიანი ბორბლის" ჩაწერის შემდეგ შევხვდით. ინტერვიუ ცნობილ თანაწამყვანებთან ძალიან ხალისიანად წარიმართა.**

# რას უწუნებს ვანიკო თარხნიშვილი თავის თანაწამყვანს და როგორია შორენა ბეგაშვილისთვის მასთან მუშაობა

**ვანიკო**: ჩვენი ინტერვიუ შორენას თხოვნით ჩაიწერა. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მე მეზარება ინტერვიუს მიცემა, ან თავში მაქვს ავარდნილი, არა. ბევრ ჟურნალს ვეუბნები უარს, რადგან არ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი. თქვენც, ალბათ, უარს გეტყოდით... სხვა ჟურნალებს ბოდიშს ვუხდი თქვენი ჟურნალის მეშვეობით.

**– ფაქტობრივად, კომპლიმენტი მითხარით... გამოდის, მე, როგორც ჟურნალისტმა, ვიცი, როგორ უნდა მოვემზადო, ვინ დავიხმარო, რომ გავაკეთო ის, რაც ჩავიფიქრე...**

**შორენა**: მე არ ვუხდი ბოდიშს სხვა ჟურნალებს, რადგან რამდენჯერაც ინტერვიუ მივეცი, იმდენჯერ ან არასწორად დაიბეჭდა, ან ისეთი რამ მათქმევინეს, საერთოდ კავშირი რომ არ ჰქონდა ინტერვიუსთან. ამიტომ, „თბილისელები", ამორჩეული ჟურნალი კი არ არის – ის ჟურნალია, რომელსაც ვენდობი.

**– ორივეს გქონდათ სხვადასხვა პროექტებში მუშაობის გამოცდილება, ამ პროექტში პირველად თანამშრომლობთ; როგორ შეეგუეთ, რას უწუნებთ, რა მოგწონთ... როგორია ერთად მუშაობა?**

**ვანიკო**: რა უნდა დავუწუნო ჩემს თანაწამყვანს?! ჯერ ერთი, შორენას რომ ვინმე რამეს დაუწუნებს, მე იმ ადამიანს ვეტყოდი პასუხს... მშვენივრად შევეწყვეთ, სამსახურია, პროფესიაა და რაც უფრო კომფორტულ ადამიანთან მუშაობ, მით უფრო კომფორტულად გრძნობ თავს. როგორც თანაწამყვანი, შორენა სულ მამხნევებს, მეხმარება. შორენას მანამდეც კარგად ვიცნობდი და არასდროს ამ პიროვნებასთან პრობლემა არ მქონია.

**– შორენა, შენთვის როგორია ვანოსთან ერთად მუშაობა?**

– ორივენი იმდენად უპრეტენზიოები ვართ, რომ ძალიან მარტივია ჩვენთან მუშაობაც და ჩვენთვის, ერთმანეთთან მუშაობაც.

**ვანიკო**: ნამდვილად ასეა.

**შორენა**: რომ მოვდივარ, არასდროს ვფიქრობ, ახლა რაღაცაზე „დავიგრუზები", დაძაბულობა მელის-მეთქი... ვიცი, რომ ძალიან კარგი სიტუაცია და გარემო მელის აქ. ეს უპირველესად, რა თქმა უნდა, ვანიკოს დამსახურებაა. იმიტომ რომ, ჩვენ ვართ თანაწამყვანები.

**– ბევრნაირ მოთამაშესთან გიწევთ მუშაობა, შესაბამისად, გიწევთ ნერვების დაძაბვა ან მოდუნება...**

– ზოგი ძალიან დაძაბულია, ზოგს სულაც არ ეცინება და არ სიამოვნებს, როცა ჩვენ ვცდილობთ, მათ გამხიარულებას. მაგრამ, ჩვენი საქმეა, რომ ადამიანები გავახალისოთ. ცოტა ავალაპარაკოთ და ჩვენკენ გადმოვიყვანოთ, ასე ვთქვათ, გადაცემა რომ გამოვიდეს საინტერესო და ყურებადი.

**ვანიკო**: ადამიანი, რომელიც პირველად მოდის ტელევიზიაში და არა აქვს კამერასთან მუშაობის გამოცდილება, შესაბამისად, იბოჭება. როცა გამოცდილება გაქვს, ხანდახან მაშინაც კი იბოჭები, გვაქვს ამის პრეცედენტები. ზოგადად ძალიან რთულია, როცა ამდენი ხალხი გიყურებს, ამდენი კამერაა. მერე იცი, რომ მთელი საქართველო გიყურებს და თუ არ გაქვს გამოცდილება, ბუნებრივია, იძაბები. ამიტომ, მეც და შორენაც ვცდილობთ, გავამხიარულოთ ისინი და დაძაბულობა მოვუხსნათ.

**– ვანიკო, შორენას თაყვანისმცემლების მოგერიება ხომ არ გიწევს ხოლმე?**

– ჩემ გარდა, კიდევ ბევრი დამცველი ჰყავს შორენას, უზარმაზარი გუნდი ვართ... აქ დაცვაც არის... ვიგერიებთ ტერიტორიაზე.

**შორენა**: ხშირად არის ლექსები, ცოტა უხამსი.

**ვანიკო**: ასეთ არაკორექტულ სიტუაციაში შენიშვნასაც მივცემთ და ყბასაც მოვამტვრევთ...

**– ყველა კითხვის პასუხი იცით წინასწარ, რაც „იღბლიან ბორბალში" ისმის?**

– პასუხები ვიცით, რა თქმა უნდა.

**შორენა**: მე ყოველთვის არ ვიცი...

**– ორივენი პარალელურად, სხვა პროექტებში ხართ დაკავებული: შორენა: „ქეთი და კოტეში", ვანიკო კი მოურჯულებელი სიძეა... უახლოეს გეგმებზე ვისაუბროთ.**

**ვანიკო**: არც არის წესი, რომ გეგმებზე ილაპარაკო – ათასი რაღაც გამოვა... ან არ გამოვა... გეგმები იყოს გეგმებად. ამჟამად შორენაც დაკავებულია სერიალში და მეც. გადაღებები უკვე მიმდინარეობს და მაყურებელიც მალე იხილავს „ჩემი ცოლის დაქალების" ახალ სეზონს.



**შორენა: „რომ არ მსიამოვნებდეს პოპულარობა, რატომ უნდა ვიტანჯებოდე. დილიდან აქ ვარ, მაცვია 12 თუ 14-სანტიმეტრიანი ქუსლები. რატომ უნდა ვიდგე?!"**

**– ახალი პერსონაჟები ხომ არ შემოდიან?**

– ვნახოთ... ვნახოთ...

**– შორენა, კოტესთან რა ხდება?**

**შორენა:** იქაც ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს. ძალიან ვხალისობთ გადაღებების პროცესში. ბევრჯერ ხდება ისე, რომ გაუთავებლად ვიცინით და დუბლს ვაფუჭებთ. კიდევ არის მოლაპარაკება, ისევ და ისევ ერევანთან...

**– მოკლედ, სომხებს ძალიან უყვარხარ...**

– ძალიან და მადლობა ღმერთს. მე სამსახური მაქვს, სანამ სომხებს ვუყვარვარ. ძალიან

**ვანიკო: „ჩემ გარდა, კიდევ ბევრი დამცველი ჰყავს შორენას, უზარმაზარი გუნდი ვართ"**

მსხვილ სარეკლამო კამპანიაზეა ამჟამად საუბარი.

**– როგორი ურთიერთობა გაქვთ მაყურებლებთან?**

**ვანიკო**: დადებითად არის მაყურებელი ჩვენდამი განწყობილი და ეს იგრძნობა. რეალურად, საბოლოო ჯამში, ჩვენ იმისთვის ვმუშაობთ, რომ ეს ემოცია მივიღოთ. ეს გვავსებს და გვსიამოვნებს.

**შორენა**: მე, ძირითადად, როცა მხვდებიან, მეუბნებიან ხოლმე: იქნებ „იღბლიან ბორბალში" მომახვედრო – აი, ჩემი ნომერი, აი, სურათი – რაღაცეებს მაჩეჩებენ ხოლმე. ზოგს ჰგონია, რომ მე განვსაზღვრავ, ვინ მოხვდება გადაცემაში და ვინ ითამაშებს. არანაირი ნაცნობობა არაა ამისთვის საჭირო.

**– თუ ყოფილა შემთხვევა, როცა დარბაზის გაჩერება გაგჭირვებიათ?**

– არა. მხოლოდ ისაა, ხანდახან მოკარნახეებს ვერ ვაჩერებთ ხოლმე.

**– მერე როგორ ებრძვით ასეთ შემთხვევებს?**

**ვანიკო**: ისჯება მოკარნახე, ან დარბაზიდან გავაძევებთ. შემდეგ ვცვლით კითხვას, თავიდან ვიწყებთ ჩაწერას, დრო იწელება, ყველა იღლება.

**შორენა**: ხანდახან ისე ვიღლებით გადაღებისას, რომ ვანიკოს ვეძახი – აჩიკოს... ასეთი სისულელეებიც მომდის.

**ვანიკო**: მე სულ შორენას ვეძახი.

**– შოუს საუკეთესო წამყვანებად ჩამოყალიბდით.**

**შორენა**: ყველაფერს გასწავლის ცხოვრება. ბევრი რამე გამოვიარე – ფილმშიც გადამიღეს, თეატრშიც ვიყავი, მაგრამ ყველაზე კომფორტულად ტელევიზიაში ვარ. არ ვიცი, უნდა დაიბადო ამისთვის, თუ უნდა ისწავლო... მე ვისწავლე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ.

**ვანიკო**: გამართლებაზეც არის. მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრო, მაგრამ მაინც პრაქტიკას და იმ გარემოს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, ვისთანაც მოხვდები. შეიძლება, ძალიან მაგარი იყო, მაგრამ არ გყავდეს გუნდი, რომელიც გამოგაჩენს ისე, როგორც ჩვენ ვჩანვართ.

**– სწორ დროს, სწორ ადგილას?**

– ნამდვილად ასეა.

**– მოდი, მაშინ ისიც ვთქვათ როგორ მოხვდით ამ ადგილას?**

– დამირეკა გიორგი ხაბურძანიამ, ვინც ამ გუნდის ლიდერია. ადრე „ჩიპსების თაობაში" ვმუშაობდი მათთან ერთად და მაშინაც გამიმართლა. მერე იყო „ჩვენი ოფისი", „ჩემი ცოლის დაქალები." ახლა კი ამ ჯგუფთან ერთად ვარ. მოკლედ, ახლაც დამირეკეს, გამსინჯეს და დამიტოვეს.

**– შორენა რას მეტყვის?**

**შორენა:** იმდენჯერ ვიყავი სტუმრის სტატუსით „რუსთავი 2-ის" სხვადასხვა გადაცემაში, ბოლოს და ბოლოს მუშაობაც დამაწყებინეს.

**– ერთხმად დამეთანხმეთ, რომ ორივე პოპულარულები ხართ და მოდი, პოპულარობის პლუსებსა და მინუსებზე ვისაუბროთ.**

**ვანიკო**: კარგი ბატონო, მადლობა. მინუსები არ ვიცი, ძირითადად, სულ პლუსები აქვს პოპულარობას. მართალია, პოპულარობისთვის ბრძოლა ბევრ შრომასა და ენერგიას მოითხოვს, მნიშვნელობა არა აქვს, რა განწყობაზე ხარ, მაინც ისეთი უნდა იყო გადაცემისთვის რომ არის საჭირო. თუმცა, ამას მინუსად არ მივიჩნევ, რადგან, მთელი ცხოვრება მერე, უკვე, ასე ვთქვათ „ხოდზე" ხარ. როგორც კი პოპულარობაში მინუსს დავინახავ, იმწუთასვე „დავიკიდებ", ასე ვთქვათ. წამყვანი ან მსახიობი თუ ამბობს, პოპულარობა არ მინდაო, არა მგონია, გულწრფელი იყოს იმ მომენტში. ძალიან ბევრი პლუსი აქვს პოპულარობას.

**შორენა**: რომ არ მსიამოვნებდეს პოპულარობა, რატომ უნდა ვიტანჯებოდე. დილიდან აქ ვარ, მაცვია 12 თუ 14-სანტიმეტრიანი ქუსლები. რატომ უნდა ვიდგე?!

**– მგონია, ზოგ შემთხვევაში, შორენა შეწუხებული უნდა იყოს პოპულარობით. მაგალითად, წარმომიდგენია, შუქნიშანზე რა ხდება, როცა, ის ჩერდება.**

– შეწუხების მხრივ, სხვა რაღაცეები უფრო მაწუხებს, ვიდრე მამაკაცების ყურადღება შუქნიშანზე დგომისას. მისიგნალებენ, რომ მივიხედო. ძალიან იშვიათად ხდება, რომ ვიხედები, რადგან ზუსტად ვიცი, ან რაღაცას მანიშნებენ, ან... ხშირად არ ხარ ამის ხასიათზე, გინდა, შენთვის, მშვიდად წახვიდე დანიშნულების ადგილამდე. პოპულარობის მინუსი ის არის, რომ სულ ფორმაში უნდა იყო. ეგ მაგიჟებს – სულ მაკიაჟი უნდა გესვას, გამხდარი იყო. როგორც ძველი თაობის წარმომადგენლებს ეგონათ ბავშვობაში, რომ მასწავლებელი ტუალეტში არ დადის, ისე ჰგონიათ, რომ მეც იდეალური უნდა ვიყო, გავილვიძებ თუ არა, ეგრევე... ეს ხშირად დამღლელია.

**ვანიკო**: მე ტელევიზიაშიც მაკმაყოფილებს ფორმაში ყოფნა, ისე – შორენასგან განსხვავებით, ყოველდღიურად არ მიყვარს და არც მომეთხოვება გამოწყობა.

**ეკა სალაღაია**

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

21 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. სპექტაკლის ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

22 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. დრამა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

22 თებერვალი, **პარასკევი** 19.45 - **„რა საოცარი დღეა..."** (ჩრდილების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი გელა კანდელაკი. მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, გიორგი ჭანტურია, ელენე ზურაბაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

23-24 თებერვალი, **შაბათი-კვირა** 19.45 - **„ოლივერი!"** - (ბილეთის ფასი - 10 - 30 ლარი), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, ზაზა ბარათაშვილი, გოგა ბარბაქაძე, თენგიზ გიორგაძე, პაატა გულიაშვილი, დავით დარჩია, გელა თავბერიძე, ნინო თარხან-მოურავი, კახა კუპატაძე; ***ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.***

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

19 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა 4სთ. 20წთ.;***

19, 22 თებერვალი, **სამშაბათი, პარასკევი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

20 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ფერხული"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ზურა ბერიკაშვილი, თეონა ქოქრაშვილი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ნინო წულაძე, ნინო გაჩეჩილაძე, ქეთი ცხაკაია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

21 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ნაფტალინი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ნინაკა გელაშვილი, თემურ კილაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, იოსებ გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე გეწაძე, მაია ტატიშვილი, ბექა გოდერძიშვილი, ზაზა გოგუაძე, ვაჟა კვიტაიშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

21 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ქეთი ჩაჩუა, ვანო დუგლაძე, ჯიბო კვანტრიშვილი, პაატა კიკვაძე, მერაბ ბრეკაშვილი, ჯულიეტა პაკელიანი, თეონა გურამიშვილი, ნუგზარ წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

22 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;***

23, 24 თებერვალი, **შაბათი-კვირა** 12.00 - **„თოვლის დედოფალი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ზაზა გოგუაძე, გიორგი კიკნაძე, მარლენ ეგუტია, თამარ სხირტლაძე, ანი გუჯეჯიანი, ნიკა გუჯეჯიანი, ლელა მებურიშვილი, ნინო დუმბაძე, ეკა მჟავანაძე; ***ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;***

23 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;***

23 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

24 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ტანგო ნაბიჭვართან"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

24 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

19 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„თამაშით შეპყრობილი"** - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარი), რეჟისორი თინათინ ქაბუკიანი. მონაწილეობენ: თენგიზ წულაია, მაია ლომიძე, თემურ ხუციშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.***

20 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

21 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

22 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2 სთ. 30 წუთი;***

23 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

24 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.***

### მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით ალმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

22-23-24 თებერვალი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„ვეფხვი და მოყმე"** (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: გუგა კახიანი, ნათია მეტრეველი, მზია არაბული, ანა ნიკოლაიშვილი; **პრემიერა**. ***ხანგრძლივობა 2სთ.***

### ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

21 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, შალვა ბახტაძე, ნელი ბადალაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

22 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

23 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ლალი კეკელიძე. მონაწილეობენ: მარინა ხარჩილავა, ლამზირა ჩხეიძე, ეკა დემეტრაძე, ქეთი ასათიანი, გიორგი კალანდარიშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი, ზაზა ვაშაყმაძე, მაია გელოვანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

24 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, გვანცა დადიანიძე, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

21-22-23-24 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„ანტიგონე"**. (ბილეთის ფასი - 5, 10 ლარი), რეჟისორი პაატა ციკოლია. მონაწილეობენ: ალეკო ბეგალიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, ანა ზამბახიძე, ეკა დემეტრაძე, ანდრო ბარათაშვილი; **პრემიერა**. ***ხანგრძლივობა 3სთ.***

### ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

22 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„ბლეზი"** ვოდევილი სამ მოქმედებად - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ქეთი ძოწენიძე, მეგი ჯამასპიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, ნიკუშა გიორგაძე, სალომე მიქაძე, ნუცა ხვედელიძე, მაგდა ხურციძე; ***ხანგრძლივობა 2სთ. 10წთ.;***

23 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ევრიდიკე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. სპექტაკლი 2 მოქმედებად; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

24 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

### გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

22 თებერვალი, **პარასკევი** 18.00 - **„თვინიერი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ვალერი ხარიუტჩენკო, ინა ვოროპიოვა, ალა მამონტოვა, ნანა დარჩიაშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;***

23 თებერვალი, **შაბათი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, ირინა კვიჟინაძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ნანა დარჩიაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

24 თებერვალი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი ყვავილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, ივანე კურასბედიანი, სანდრო მარგალიტაშვილი, ირინა მეღვინეთუხუცესი, ნანა დარჩიაშვილი, ანა არუთუნიანი, მარი კიტია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

### გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

21, 24 თებერვალი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

22 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

23 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.***

## ორშაბათი 18 თებერვალი

**06.30** დ/ფ " როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ადამიანი — პლანეტა" **17.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**რესტავრატორი**" **21.00** ტ/სერ "**პური და თავისუფლება**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტა-ლისტიკა" **00.00** "საფარი" **00.50** მხ/ფ "**რისხვი 23**"(ჯ.კერი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **1** სერ. **13.00** სერ. "**გაქცევა – 4**" **14.40** სერ. "**24 – 5**" **15.40** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ/სერ "**ცხელი ძაღლი**" **3** სერ. **23.00** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" **01.00** სერ. "**ღვინის გზა**" **01.45** მხ/ფ "**ქვის მთლელი**".

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 17.10, 18.40, 3.35 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.00** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ "**ერთ პატარა ქალაქში**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" **13.15** კონცერტი -ჯეიმს ლასტი **14.50, 18.35, 22.55, 23.50** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი "**ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება**" **16.55** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.20** მოკ/ფ "**ფეოლა**" **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ძმა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** საქართველოს ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" გად.**მ 00.35** განთიადის სტუმრები **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 19 თებერვალი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**რესტავრატორი**" **21.00** ტ/სერ "**პური და თავისუფლება**" **22.00** "აქცენტები" **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **არსენალი – ბაიერნი** (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **01.50** მხ/ფ "**სიყვარულის სურნელი**" (მ. რაიანი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **2** სერ. **13.00** სერ. "**გაქცევა – 4**" **14.40** სერ. "**24 – 5**" **15.40** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** კონცერტი. "ჯემალ სეფიაშვილი" **01.05** სერ. "**ღვინის გზა**" **01.40** მხ/ფ "**ჯარისკაცები**" (დ. ლუნდგრენი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** "ნანუკას შოუ" **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 1.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.00** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** სპექტაკლი "**ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.35** საქართველოს ისტორია **10.55** სალვთისმეტყველო საუბრები **11.30** დრო და ტრადიციები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**ძმა**" **13.30** კონცერტი-ანა-სოფია მუთერი **14.50, 18.35, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "მირონმდინარე ხატები" **16.20** აქტუალური თემა **16.40** დოკ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" **17.40** დოკ/ფ "კადრს მიღმა" **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** შარავანდედი (გად. **8**) **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" რ. ინანიშვილი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**18 – 24 თებერვალი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00, 17.30, 20.00, 22.30 - **„სიყვარულის თავშესაფარი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 55წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

18.00, 19.30, 21.00 - **„F5“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;*

22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 13.50, 15.45, 17.45 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

19.40, 22.30 - **„საბრალონი“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 40წთ.;*

*დარბაზი 4*

12.15 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

14.00, 19.45, 22.30 - **„განგსტერები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 55წთ.;*

16.30 - **„საბრალონი“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 40წთ.;*

*დარბაზი 5*

12.00 - **„ჯეკ რიჩერი“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10წთ.;*

15.15, 19.15, 22.30 - **„ჯანგო“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 45წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი)

### კინოთეატრი „ამირანი“
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დიდი დარბაზი*

12.30, 15.00, 17.45, 20.00, 22.30 - **„თბილი სხეულები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

16.30, 19.00, 22.00 - **„ანა კარენინა“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი)

### კინოთეატრი „საქართველო“
გურამიშვილის გამზ. 2/9,
ტელ: 230-80-80; 269-66-47.

12.00, 18.00 - **„F5“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;*

14.00, 16.00, 20.00, 22.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ზზამხვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

**„გოლდენ ტალანტის“ შემდეგ სალომე ქათამაძემ კიდევ ერთი აღიარება „ახალ ხმაში“ გამარჯვებით მოიპოვა. მან პროექტის დაწყებისთანავე შეძლო როგორც ჟიურის, ასევე მაყურებლის გაოცება. რის გამო აკრიტიკებს მას ქართველი მაყურებელი და როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება პროექტის შემდეგ, ამაზე თავად მომღერალი გვესაუბრება:**

# რას არ მალავს სალომე ქათამაძე, რის გამო აკრიტიკებენ მას და რას არ მოეშვება ის არასდროს

– სანამ „ახალი ხმა“ იქნებოდა, საზოგადოების ნაწილმა გამიცნო „გოლდენ ტალანტიდან.“ თუმცა, ამან ისეთი პოპულარობა ნამდვილად არ მომიტანა, როგორიც „ახალმა ხმამ“. მანამდე ვმღეროდი კლასიკური ვოკალის განხრით. როცა გადავწყვიტე, რომ საესტრადო განხრაზე გადავსულიყავი, დავიწყე კარიერის გაკეთება, თუმცა გარკვეული ფინანსური პრობლემების გამო, ვერ გავაგრძელე სიმღერების ჩაწერა და კლიპების გადაღება. შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემით ვისწავლე სიმღერები, თავისუფალ დროს დავდიოდი კლუბებში, ვმღეროდი კარაოკეებზე. შემდეგ ნანუკა ჟორჟოლიანმა მიმიწვია თავისთან გადაცემაში. სეზონის დახურვაზე მამღერა გადაცემის ბოლოს. მე ვფიქრობ ნელ-ნელა ვიზრდები ვოკალურადაც და პროფესიონალურადაც. ახლა ჩემს ცხოვრებაში წარმატების პიკია, რასაც კი შეიძლება, მიაღწიო საქართველოს მასშტაბით. ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა, ვიყავი ესემესლიდერი და ხალხმა ძალიან შემიყვარა. თავიდან არანაირ პროექტში მონაწილეობას არ ვაპირებდი. მინდოდა, ჯერ ალბომი გამეკეთებინა, კლიპები გადამეღო და ისე გამოვჩენილიყავი ფართო საზოგადოების წინაშე. პედაგოგებთანაც კი არ დავდიოდი, ჩემით ვსწავლობდი სიმღერებს, ვუსმენდი ყველა კარგ მომღერალს და ტექნიკურად ვსწავლობდი, როგორ მემღერა. ჩემთვის მქონდა შემუშავებული რაღაც გეგმები, მაგრამ ყველაფრის განხორციელება ვერ მოხერხდა და მოულოდნელად მოვხვდი პროექტში.



თავისუფალი ადამიანი ვარ, არც მეუღლე მიკრძალავს არაფერს

**– ანუ, პროექტში მონაწილეობას არ აპირებდი და ექსპრომტად მიიღე გადაწყვეტილება?**

– ჩემი ინიციატივით არ დავკავშირებივარ პროექტს. მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა მომწერა და შემომთავაზა, ჩავრთულიყავი პროექტში. მეც დავფიქრდი, მაგრამ თავიდან ცოტა შემეშინდა. ვიცოდი, რომ ბევრი ნერვიულობა მომიწევდა. ეს ძალიან დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაა. კონკურსანტი რომ ხარ, გყავს უამრავი კონკურენტი. სხვათა შორის, მაშინვე ვიცოდი, რომ დათოსთან უნდა წავსულიყავი და ძალიან დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო დათოს ყველაფრისთვის.

**– რა შეიცვალა შენ ცხოვრებაში პროექტის შემდეგ?**

– ხალხი მცნობს, ყველა მაკვირდება. მაჩერებენ, მეფერებიან, ძალიან ემოციურად მხვდებიან. ძალიან მსიამოვნებს და ვფიქრობ, ეს არასდროს მომბეზრდება. ძალიან მახალისებს ხალხის სიყვარული და სითბო.

**– მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა მოსაბეზრებელი არ არის?**

– რა პრობლემაა, არ მესმის. როცა ხალხს უყვარხარ, გცნობს, კარგ სიტყვებს გეუბნებიან, ეს ჩემთვის მხოლოდ სასიამოვნოა. არანაირად არ მაკომპლექსებს ყურადღების ცენტრში ყოფნა. ყოველთვის ისეთი ვარ, როგორიც ვარ სინამდვილეში. შემიძლია, ჩუსტებით და პიჟამათი გავიდე და ეს სულაც არ მაკომპლექსებს. მაღაზიებში და აბსოლუტურად ყველგან ისევე თავისუფლად დავდივარ, როგორც მანამდე. არანაირად არ მზღუდავს პოპულარობა.

**– ანუ, არანაირი კომპლექსი არ გაქვს და თავისუფალი ადამიანი ხარ?**

– კი, თავისუფალი ადამიანი ვარ და არც მეუღლე მიკრძალავს რამეს. ისეთი არც ვარ, რომ გასაოცარი რაღაც ჩავიცვა, ან სასწაული საქციელი ჩავიდინო. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც არ რცხვენია საკუთარი ხასიათის, გემოვნების. ვფიქრობ, არ მაქვს გულისამრევი და გამომწვევი საქციელი. სხვათა შორის, ყოველთვის ვიღებ რჩევებს, შენიშვნებს და ვცდილობ, გავითვალისწინო ხოლმე.

**– შენი აზრით, რატომ შეგიყვარა ასე ხალხმა და ელოდი თუ არა ასეთ წარმატებას?**

– ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან თავისუფალი ვარ და სცენაზეც და ყველგან ვარ ის, რაც სინამდვილეში ვარ. ალბათ, ამან გამოიწვია ხალხის სითბო და სიყვარული. არაფერს ვმალავ, ნებისმიერ ემოციას ვდებ სცენაზე. ჩემი აზრით, ეს არის მიზეზი. რაც შეეხება, ველოდი თუ არა ასეთ წარმატებას, ალბათ, ორმოცდაათი ორმოცდაათზე. ყველაფერი ბედზეა დამოკიდებული, ყველას თავის აზრი აქვს. მე რა ვიცი, რა დროს ვინ რას იფიქრებს, მაგრამ მე მაქსიმალურად შევეცადე, ხალხის გული მომეგო – მენახვებინა თუ ვინ და როგორი პიროვნება, როგორი მომღერალი ვარ – ალბათ, გაამართლა კიდეც ჩემმა ერთგულებამ.

**– ალბათ, უამრავი თაყვანისმცემელი გყავს, მეუღლე ხომ არ ეჭვიანობს?**

– არა, არანაირად არ ეჭვიანობს, პირიქით ძალიან მოსწონს და უხარია ჩემი წარმატებები და სხვადასხვა რჩევებსაც მაძლევს ხოლმე. თვითონაც ხვდება, რომ ისეთი ვუყვარვარ ხალხს, როგორიც ვარ და აღარაფერს ამბობს. ძალიან შემიწყო ხელი ყველაფერში. უამრავი ადამიანი მწერს „ფეისბუქის“ საშუალებით, დღეში, ალბათ, ორმოცდაათი ესემესი მაინც მომდის. გამოხატავენ სითბოს, სიყვარულს, ძალიან თბილ სიტყვებს მწერენ. მეგობრობის მოთხოვნა მაქვს, მგონი, ორიათას შვიდასი, მაგრამ ველარ ვიმატებ, რადგან მივაღწიე უკვე ლიმიტს. არის უცნაური ესემესებიც – ზოგს მოვწონვარ, ზოგს არა. მაგრამ, მე არანაირი რეაქცია არ მაქვს. ყველას თავის აზრი და შეხედულება აქვს.

**– უცნაური ესემესები რას ნიშნავს, ხშირად გაკრიტიკებენ?**

– ზოგისთვის მსუქანი ვარ, ზოგს მიაჩნია რომ ცუდად მაცვია. იმასაც ამბობენ, კი არ ვმღერი, ვყვირი. ***(იცინის).*** კიდევ მსმენია, რომ, ამბობენ: ეგ ახალი არაა, ძველი ხმააო. ჩემი აზრით არ ვარ ძველი ხმა. ალბათ, ასე მიაჩნიათ მათ, ვინც დამიმესიჯა და გამამარჯვებინა. თუ ერთ კონკურსზე გამოხვალ და გაგიცნობს საქართველოს ოცდაათი პროცენტი, არ ნიშნავს, რომ დაძველდი.

**– ძალიან ხომ არ დაიტვირთე სიმღერით, ოჯახისთვის დრო გრჩება?**

– ყველაფერს ვახერხებ. ახლახან მქონდა ჯვრისწერა და ძალიან ბედნიერი ვარ. მოკლედ, ყველაფერს ვახერხებ და ვასწრებ. გადანაწილებული მაქვს დრო და ოჯახს ნამდვილად არ მივატოვებ კარიერის გამო. ოჯახი, პირიქით, ხელს მიწყობს ყველაფერში და ყოველთვის გვერდში დამიდგებიან. ახლა ასე ვფიქრობ და ალბათ, ყოველთვის ასე იქნება. რა უნდა მოხდეს, რომ ოჯახი მივატოვო, გამორიცხულია.

**– „ახალი ხმის“ მონაწილეებიდან ვის გამოარჩევდი, ვის მიმართ გქონდა განსაკუთრებული სიმპათიები?**

– ძალიან მომწონს მაგდა ვასაძე და ლაშა თოფურია. ყველა კარგად მღერის, მაგრამ მე მაინც ამათ გამოვარჩევდი. ძალიან მაგარი მომღერლები არიან.

**– სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი, ხომ არ გაქვს უკვე შემოთავაზებები, წინადადებები?**

– არა, ჯერ არ მაქვს შემოთავაზებები. მე დათო და ჩემი ჯგუფი ვიწყებთ მუშაობას ალბომზე. წესით და რიგით, ყველაფერი კარგად იქნება და გამოვუშვებთ ალბომს – ალბათ ველირსები რაც დავიწყე იმის დამთავრებას ***(იცინის).*** აუცილებლად შევთავაზებთ საქართველოს მოსახლეობას ჩვენს სიმღერებს, სიახლეებს. არ მოვეშვები, არ მოვდუნდები და შევეცდები, საქართველოს გარეთაც ვაჩვენო მსმენელს ჩემი შესაძლებლობები. თუ მექნება შემოთავაზება, რატომაც არა, წავალ, მაგრამ საქართველოს არასდროს მივატოვებ.

**– სიმღერის გარდა, სხვა რაიმე ნიჭი ხომ არ გაქვს?**

– საერთოდ, ძალიან ახლოს ვარ ხელოვნებასთან. შემიძლია, რაღაცეების ხატვა. წარმოსახვის უნარი მაქვს ძალიან დიდი. შემიძლია, რაღაცეები მოვიფიქრო, სცენარი დავწერო. თეატრალური ნიჭიც მაქვს. დედაჩემი მსახიობია და ალბათ, მისგან გამომყვა. ძალიან კარგად შემიძლია შევიჭრა როლში.

> **ყოველთვის ისეთი ვარ, როგორიც ვარ სინამდვილეში. შემიძლია, ჩუსტებით და პიჟამათი გავიდე და ეს სულაც არ მაკომპლექსებს**

**– პროექტის მსვლელობისას შეიცვალე იმიჯი, საერთოდ, ხშირად იტარებ ექსპერიმენტებს გარეგნობაზე?**

– ხან რა წამომივლის ხოლმე, ხან – რა ***(იცინის).*** ხან გრძელი „რიჟა“ თმები მაქვს, ხან შავი – კარე, ხან – გადაპარსულ-გადმოპარსული. ეს ვარცხნილობა, რომელიც ახლა მაქვს, მაკო კვიტაიშვილს ჰქონდა, პროექტის მონაწილეს. ძალიან მომეწონა და მეც გავიკეთე. მომწონს და კმაყოფილი ვარ. ზოგადად, იმიჯზეც ვაკეთებ ხოლმე ექსპერიმენტებს. რაშიც კომფორტულად ვგრძნობ თავს, იმას ვიცვამ – რაც მე მომწონს და არა იმას, რაც მოდაშია. არ მიყვარს ერთფეროვნება.

**– ცვალებადი ხასიათი გაქვს?**

– კი, ძალიან ცვალებადი ვარ ყველაფერში ***(იცინის).*** ზოდიაქოთი ვარ სასწორი და ძალიან დიდხანს ვფიქრობ, ვწონი – ხან იქით, ხან აქეთ ***(იცინის).*** გადაწყვეტილებების მიღების წინ დიდხანს არ ვფიქრობ, თუმცა ცოტა ფიქრი მიყვარს. აუცილებელიცაა, ცოტა დაფიქრდე და ისე გადაწყვიტო. მით უმეტეს, როცა რაიმე სერიოზულ გადაწყვეტილებას იღებ, ცხელ გულზე ნამდვილად ვერ გააკეთებ სწორ არჩევანს.

**ხატია კარანაძე**

**გააკვირვო ვინმე ხმით რუსეთის უზარმაზარ ბაზარზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუმცა, ეთერ ბერიაშვილის ხმამ ეს შეძლო. ენერგიული, ენაწყლიანი, საოცრად პოზიტიური მომღერალი სიახლეების დიდი მოყვარულია. მან კარიერა ჯაზ-ბენდთან ერთად დაიწყო და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჯაზ-შემსრულებელია მოსკოვში.**

# როგორი იყო ეთერ ბერიაშვილის უცნაური გზა სიღნაღიდან მოსკოვის ყველაზე პოპულარულ მიუზიკლ „მამა მიამდე“

**ეთერ ბერიაშვილი**: ჩემი გზა ცოტა უცნაურია. ჯერ იყო მოსკოვი, მერე სიღნაღი და შემდეგ ისევ მოსკოვი. ბავშვობა მოსკოვში მაქვს გატარებული, შემდეგ წნორში ვისწავლე ორი წელი და სკოლა სიღნაღში დავამთავრე. როგორც კი პროფესიის არჩევაზე მიდგა საქმე, სამედიცინოს გარდა, სხვა ფაკულტეტზე არც მიფიქრია, ექიმების შვილი სხვაგან ვერსად წავიდოდა. სიმღერაზე მაშინ საერთოდ არც მიფიქრია. დედა საკმაოდ მკაცრი იყო და ალტერნატივის საშუალება არც მოუცია. თუმცა, მეც მეგონა, რომ სწორედ ეს იყო ჩემი მოწოდება. მოსკოვში ჩავაბარე პირველ სამედიცინო ინსტიტუტში. ძალიან კარგი კურსი შემხვდა. ჩემი მეგობრების უმრავლესობა ძალიან ცნობილი ექიმია, რომლებთანაც დღემდე ახლოს ვარ. ყველას, ვისაც ამ სფეროში დახმარება დასჭირდება, ჩემი მეგობრების საშუალებით ვეხმარები.

**– როგორ დაიწყეთ მომღერლის კარიერა?**

– სწავლის პარალელურად, მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე. კონკურსებსა და ფესტივალებზე აქტიურად ვმონაწილეობდი და სამედიცინოზე შვიდწლიანი სწავლის შემდეგ, ექიმობაზე ფიქრს თავი დავანებე. მთელი ცხოვრება ტაშფანდურში გავატარე ***(იცინის).*** საბავშვო ანსამბლში ბას-გიტარაზე ვუკრავდი, ხან დასარტყამ ინსტრუმენტებზე მოვსინჯე ძალები, ვიყავი ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის წევრი... ასე თუ ისე, მუსიკასთან სულ მქონდა კავშირი. ინსტიტუტში ჩაბარების პირველივე წელს რაღაც კონცერტზე აღმოვჩნდი, სადაც ჩემს მეგობარს აკომპანემენტს ვუკეთებდი. მერე მკითხეს, ქართველი ხარ და არ მღერიო? როგორ არ ვმღერი-მეთქი, ვუპასუხე და გვერდწითელის „ალავერდი” შევასრულე. ამის შემდეგ „ალავერდი“ ჩემს სავიზიტო ბარათად იქცა, ყველგან მამღერებდნენ. ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ ნეაპოლურ ორკესტრში მიმიყვანა ჩემმა ახლობელმა, სადაც მევიოლინე სჭირდებოდათ...

**– როგორც ჩანს, ბევრ ინსტრუმენტზე უკრავთ.**

– კი, ძალიან ბევრზე. სხვათა შორის, მუსიკათმცოდნეები სულ ამბობენ – ეთერი მომღერალი კი არა, მუსიკოსიაო. ეს ორკესტრი ერთი ოჯახივით ცხოვრობდა. ორკესტრი მაინც არაპროფესიონალების მიერ იყო დაკომპლექტებული – სამოყვარულო, სადაც განვითარებას ვერ შევძლებდი. ამიტომ, გადავწყვიტე, პროფესიული განათლება მიმეღო. ჩავაბარე საესტრადო ჯაზის კოლეჯში. გადარბენები მქონდა – ინსტიტუტიდან კოლეჯში და პირიქით. სწავლას ვამთავრებდი, როცა ერთ-ერთ კონკურსზე გავედი, რომლის გამარჯვებულიც გავხდი. კონკურსზე მონაწილეობას იღებდა ჯგუფი „ქულ ენდ ჯაზი”. ჯგუფში ერთი ადგილი გათავისუფლდა და შემომთავაზეს მათთან მემუშავა. ოთხწელიწად-ნახევარი ვიმუშავეთ, ძალიან ბევრ ქვეყანაში ვიყავით, უამრავ ფესტივალსა და კონკურსზე მივიღეთ მონაწილეობა. ერთ-ერთი იყო ავსტრიის ქალაქ გრაცში. გრანპრი პირადად ვორკ სვინგლმა გადმოგვცა. ცოტა ხანში ჯგუფში რაღაც კონფლიქტი განვითარდა და გადავწყვიტეთ, წამოვსულიყავით. შევქმენით ჯგუფი, სადაც ერთმანეთის პატივისცემით, ოჯახურად ვიქნებოდით. დავაარსეთ ჯგუფი „აკაპელა ექსპრეს”, რომელიც უკვე ათი წლისაა. განცხადებებით ისეთი კარგი გუნდი შევიკარით, ძალიან გაგვიმართლა. ახლა ამ ჯგუფში აღარ ვარ, შარშან დეკრეტში გავედი ორსულობის გამო. ბავშვის გასაჩენად საქართველოში უნდა ჩამოვსულიყავი და ჩემ მაგივრად ერთი, არაჩვეულებრივი გოგო აიყვანეს. რუსეთში ასეთი სახელის მოპოვება ურთულესია, მით უმეტეს, ჯაზის სფეროში და ჩვენ ეს შევძელით.

**– თქვენ დარჩით ჯგუფის გარეშე?**

– ბავშვი გავაჩინე და რაღაც პერიოდი სახლში ვიყავი, მხოლოდ კერძო გამოსვლებით შემოვიფარგლებოდი. ჩემი დიდი ფრანგული პროგრამა მაქვს, „ბითლზის” სიმღერები გავაკეთე ჯაზის სტილში, მოსკოვის კლუბებში საკმაოდ ხშირად მქონდა გამოსვლები და საკმაოდ დიდი აუდიტორიაც მყავდა. შარშან გაზაფხულზე, არჩევნებამდე ხალხი ისეთი შეშინებული იყო, არავის ეკონცერტებოდა და მეც შედარებით ბევრი დრო მქონდა. ხან ლაიმა ვაიკულესთან ვმუშაობდი, ხან ვისთან, ხან ვისთან, მაგრამ ძირითადად, მაინც თავისუფალი ვიყავი. ჩემმა მეგობარმა მითხრა ერთ დღეს, მიუზიკლ „მამა მიას” ქასთინგი იმართება და წამოდი, სცადეო. ორმოცი წლის ქალისთვის რაღა დროს ქასთინგებია-მეთქი, გავაპროტესტე, მაგრამ საბოლოოდ, მაინც წავედი. არსებობს ასეთი კომპანია „სტეიჯ ინტერტეინმენტ”, რომლის რუსული წარმომადგენლობაც ატარებდა ქასთინგს. უამრავი მიუზიკლი აქვთ დადგმული. პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელი ჩემი ახლობელი აღმოჩნდა, რომელმაც მითხრა, რაღა სიმღერა მინდა შენგან, გადასარევად ვიცი, რასაც მღერიო, მაგრამ რეჟისორმა მაინც მომისმინა. მეორე ტური იყო ცეკვის. თან, იმ პერიოდში ჩემი მეუღლე საქართველოში წამოვიდა, ოთხი თვის ბავშვთან



**ბადრი ქვრივია, თორმეტი წლის წინ მეუღლე დაელუპა და ორი გოგონა დარჩა. მარტო იყო**

**ბავშვი გავაჩინე და რაღაც პერიოდი სახლში ვიყავი, მხოლოდ კერძო გამოსვლებით შემოვიფარგლებოდი. ჩემი დიდი ფრანგული პროგრამა მაქვს, „ბითლზის“ სიმღერები გავაკეთე ჯაზის სტილში**

ერთად მარტო ვიყავი მოსკოვში და მასთან ერთად დავდიოდი ქასთინგებზე. კართან ჩემს მეგობარს ვუტოვებდი საბავშვო ეტლით, შევქანდებოდი ქასთინგზე და გამოვრბოდი. ქორეოგრაფიის ტურიც გავიარე, რასაც მოჰყვა ტური რუს რეჟისორთან. მოგვცეს სცენა, რომელიც უნდა წაგვეკითხა და სამ-სამი ადამიანი ვთამაშობდით. თავიდანვე ვიცოდი, რომ როუზის როლს ვარაუდობდნენ ჩემთვის. ტექსტის სწავლა, როლზე მუშაობა ჩემთვის სრულიად უცხო ხილი იყო. სამი ადამიანი დავრჩით – მე, ლენა ჩარკვიანი, რომელიც მიუზიკლების ვარსკვლავია და ექვსი წლით ადრე დადგმულ „მამა მიაში” თამაშობდა – ალბათ იცით ლენა, ირაკლი ჩარკვიანის პირველი ცოლი და ასევე მეორე გოგო. მოკლედ, მე მათ მოვეწონე და მერე კიდევ ერთი ტური გვქონდა ინგლისელებთან, დამდგმელ რეჟისორთან და მუსიკალურ ხელმძღვანელთან. ასე აღმოვჩნდი პირველ შემადგენლობაში, რომელიც თურმე ძალიან კარგია. მაგრამ, ეს არც ვიცოდი. დასის ხელმძღვანელმა რომ დამირეკა პირველ შემადგენლობაში აგიყვანეთო, მაშინვე პანიკა დამეწყო – ვაიმე, ბავშვი, სასწრაფოდ ძიძა უნდა ავიყვანო... ეტყობა პაუზა ისე გაიწელა, იმ ქალმა მკითხა, იმედია, სასიამოვნო ამბავი შეგატყობინეთო ***(იცინის).*** მოკლედ, მოვაწერე კონტრაქტს ხელი.

თვე-ნახევარია, სპექტაკლები მიდის და სულ ანშლაგებია. ბილეთები მთელი კვირით ადრე იჯავშნება. ლენა ჩარკვიანის სცენაზე გამოჩენისთანავე, ისეთი აპლოდისმენტები იყო, სუნთქვა შეგეკვრებოდა.

**– მომიყევით ლენას შესახებ, საქართველოში მისი სახელი ნაკლებად არის ცნობილი.**

– საოცარი ადამიანია. ერთ საგრიმიოროში ვართ და ხშირად ვსაუბრობთ, განსაკუთრებით საქართველოში მისი ცხოვრების პერიოდზე. მის ინტერვიუებს დავსწრებივარ და ყოველთვის ეკითხებიან საქართველოში ცხოვრების შესახებ, იყო თუ არა საშიში მანდ ყოფნა... საშინლად ეშლება ნერვები. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, იქ რა ხალხი ცხოვრობს. თბილისში სროლა ისმოდა მაგრამ ხალხი მაინც ქეიფობდა, მღეროდა, მხიარულობდა და ერთმანეთს გვერდში ედგნენო. არავის უგრძნობინებია ჩემთვის, რომ რუსი ვიყავი და არავისგან მიგრძნია აგრესიაო. ძალიან პოპოლარულია რუსეთში, ყველაფერი აქვს, რაც მიუზიკლის მსახიობისთვისაა საჭირო – ხმა, დრამატიზმი, არტისტიზმი... ისე თამაშობს, სისხლს ადუღებს. კარგი ადამიანია, მისი გვერდში დგომა არასდროს დამავიწყდება. არ შეუძლია საქმის სანახევროდ კეთება. მახსოვს, ამინდი იცვლებოდა და ძალიან მაღალი წნევა ჰქონდა. უთხრეს, თუ გინდა, „ვინერი” ამოვიღოთ, სცენაზე ცუდად არ გახდეო, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა. ამ არიას ელოდება მაყურებელი და იმედს ვერ გავუცრუებო. რასაც ჰქვია, საკუთარი თავი გადადო. შეიძლებოდა ინსულტი დამართნოდა ყოველ წუთს და მაინც ბოლომდე შეასრულა როლი. ერთი ასეთი ფაქტი უკვე მოხდა. ვინც ჩემს როლს ასრულებდა, ინსულტი დაემართა – მაღალი წნევით სცენაზე გავიდა და ახლა კომაშია. როცა ასეთ ემოციურ როლს თამაშობ, საკუთარ ჯანმრთელობაზე აღარ ფიქრობ, არადა იმ ათას ექვსასი ადამიანის ენერგეტიკა შენკენ მოდის და შენც გასცემ. ამ ენერგეტიკულ მიმოქცევაშია ის ბედნიერება, რის გამოც დგები სცენაზე. ამ ბედნიერების შეგრძნება ჩემთან ცოტა მოგვიანებით მოვიდა, როდესაც საშინელი ღელვა გადავლახე.

**– ორი სიტყვით თქვენს პირად ცხოვრებაზეც მინდა მომიყვეთ.**

– ჩემი მეუღლეა ბადრი ბირბიჩაძე – ძალიან თბილი და კარგი ადამიანი. ბადრის ოჯახს დიდი ხანია ვიცნობ. ჩვენი დები მეგობრები არიან, მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთმანეთზე სერიოზულად არ გვიფიქრია. ბადრი ქვრივია, თორმეტი წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა და ორი გოგონა დარჩა. მარტო იყო. მეც მყავდა რუსი მეუღლე. რვა წლის შემდეგ კი, როცა მივხვდი, ბავშვის ყოლას არ აპირებდა ჩემთან – არადა ბავშვებზე ვგიჟდები, გადავწყვიტე, ჩვენი ურთიერთობა უნდა დამთავრებულიყო. ჩემმა მულმაც კი მითხრა, იქნებ ფიქრობთ თქვენი ბედი ერთმანეთს დაუკავშიროთ, ორივე მარტო ხართო. ასეთ დაგეგმილ ქორწინებაზე ყოველთვის მეცინებოდა. რას წარმოვიდგენდი, რომ ასე მომიწევდა გათხოვება. ახლა უკვე გვყავს წლის და ოთხი თვის სოფიკო და უბედნიერესი ქალი ვარ მის გვერდით. ალბათ, ეს არის, რაც უნდა ინატრო ადამიანმა.

**სალომე გველესიანი**

41-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 20 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" 17.00 "გურმანია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრატორი"** 21.00 ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** 22.00 "დიალოგი დ. პაიჭაძესთან" 23.00 "წართული დოკუმენტალისტიკა" 23.40 **ფეხბურთი**.ჩემპიონ-თა ლიგა. მერვედფინალი: **გალათასარაი – შალკე** (პ/რ) შესვენე-ბისას: "ვიქტორინა" 01.50 მხ/ფ **"გაიქეცი მსუქანო, გაიქეცი"** (ტიტ.).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ.**"მაფიის ქურივი"**3 სერ. 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 5" 15.40 სერ.**"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ "დევნილი" (ბ.დელ ტორო) 23.50 სერ. **"ღვინის გზა"** 00.40 მხ/ფ **"დაუმარცხებელი"** (ჯ.უილიამსი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ.**"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (ს.2) 23.40 ჩემპიონთა ლიგა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30, 05.00 მხ/ფ. 04.30 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღი-ური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 01.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 22.20, 2.00 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" 07.25 მოკ/ფ **"ფიოლა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად.8 11.05 დოკ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" რ. ინანიშვილი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ნუნუ გაბუნია 14.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "მიუსაფარი" 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"განგაში"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.50 დოკ/ფ "წმინდა მეფე სოლომონ II" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "მეფე და ბერი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ვერდიქტი"**.

## ხუთშაბათი 21 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე") 15.00 დ/ფ " როგორ შეგვქმნა დედამიწამ/ – წყალი 17.00 "ჩვენი ფერმა" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"რესტავრა-ტორი"** 21.00 ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 თოქ-შოუ: "არენა" 00.00 მხ/ფ **"სასიკვდილო იარაღი -2"** (მ.გიბსონი).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ.**"მაფიის ქურივი"**4 სერ. 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 5" 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქართ. მხ/ფ **"ცხელი ძაღლი"** 4 სერ. 23.00 მხ/ფ **"გრინსთრითელი ხულიგნები"** (კ.ფორლანი) 01.10 სერ. **"ღვინის გზა"** 01.45 მხ/ფ **"ჩამსკ-რაბერი"** (გ. კლოუნი) (ტიტ.).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვა-რული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ.**"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ.**"ღირსება და ამბიცია"** 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 1.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.00 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ **"ვერდიქტი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვ-ნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "მეფე და ბერი" 11.05 ჩვენი ტრაპეზი 11.15 დოკ/ფ "წმინდა მეფე სოლომონ II" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ **"განგაში"** 13.40 კონცერტი-ელისო ვირსალაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "წერილი ძმას" 16.50 მხ/ფ **"მაისის თოვლი"** 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"სანამ ჩვიმა გადივლი-დეს"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ზაზუნას დღე"**.

## პარასკევი 22 თებერვალი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ეგვიპტიდან" 17.00 **ფეხბურთი**. საქართველოს სუპერ-თასი: **"ზესტაფონი"** – **"დილა"** (შესვენებისას – "მოამბე") 19.05 ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** 21.00 ტ/სერ 22.00 "აქცენტები" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ **"ჯონ ჰილი"** (ტიტ.).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქურივი"** 5 სერ. 13.00 სერ. **"გაქცევა – 4"** 14.40 სერ. "24 – 5" 15.40 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. **"ღვინის გზა"** 00.50 მხ/ფ **"კასანდრას ოცნება"** (კ.ფარელი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვა-რული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30,

11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.05, 1.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.00 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ **"ზაზუნას დღე"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ **"სანამ ღვიძა გაღივლიდეს"** 13.40 კონცერტი - ანს."შვიდკაცა" 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 ნიამორი 16.40 კონცერტი-თენგიზ ამირეჯიბის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო 18.05 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ჩვენი ეზო"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 22.25 მოკ/ფ **"სიყვარულის ცეცხლი"** 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო.

## შაბათი 23 თებერვალი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ " როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიაყელები" 11.00"ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.40 "მოამბე" 12.30 ქართ. მხ/ფ **"ექსპრეს-ინფორმაცია"** 14.00 **კალათბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: **"დინამო"** – **"ქუთაისი"** (პ/რ) 16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 "აღმოაჩინე საქართველო" 17.30 დ/ფ "წიგნის მშვენება" 18.00 "ეტალონი" 19.00 "გურმანია" 21.00 კონცერტი: ჩიკ კორეა 22.00 ტ/სერ **"ერთი სასიყვარულო ღამისთვის"** 23.00 "ახალი ქართული კინო" 23.30 დ/ფ "ნეტავი იქ თეატრი არის?" (რეჟ: ნ. ჯანელიძე) 00.30 მხ/ფ **"სრულყოფილი სამყარო"** (ტიტ.) (კ. კოსტნერი).

08.20 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 1–2 სერ. 09.20 ან/ფ "ჯადოსნური მოგზაურობა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. "ავატარი" 12.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 სერ. **"აიქარლი"** 14.20 მხ/ფ **"ამაო გარჯა სიყვარულისა"** 16.00 სერ. **"გმირები – 4"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ **"ეჭვქვეშ"** (მ. ბელუჩი) 02.00 მხ/ფ **"წყალქვეშა საპყრობილე"** (კ. ადამსი).

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. **"კლუბი"** (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 შერეკილები 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ.**"ღირსება და ამბიცია"** 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 "Latin Angels" 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 9.30 კვირის არგუმენტები (გამ) 11.00 ყოველდღიური აბები (გამ) (პარასკ.) 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 13.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ორშ) 14.05 ყოველდღიური აბები (გამ) (სამშ) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 ყოველდღიური აბები (გამ) (ოთხშ) 16.35 ყოველდღიური აბები (გამ) (ხუთშ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 "პრეს-პრესი" 23.00, 3.30 "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ **"ჩვენი ეზო"** 13.45 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 ოპერა-"ნაბუქო" 17.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 "კარაბადინი" 22.25 დოკ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 დოკ/ფ "ხელოვნების ქურუმი" გოგი გეგეჭკორი 01.15 მხ/ფ **"ზორო"** I ნაწ.

## კვირა 24 თებერვალი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფილმი: "ნენსი დრიუ" 10.00 "ეტალონი" 11.00 "ჩვენი ექსპრესი" 11.30 საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** 12.00, 14.00, 16.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: "პროვინციული ამბავი" 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 გურამ ბზვანელის საიუბილეო საღამო 20.00 მხ/ფ **"სიყვარულის ამბავი"** (ა.ბენინგი) 22.00 ტ/სერ **"ლამაზი ანტონიო"** 23.00 "აღმოაჩინე საქართველო" 23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ **"ჰაროლდი და კუმარი"**.

08.20 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 3-4 სერ. 09.20 ან/ფ "წითელქუდას ნამდვილი ამბავი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 მხიარული სტარტები 14.20 მხ/ფ**"ლოლუა მაიამიდან"** 16.00 სერ. **"გმირები – 4"** 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: "ორერა" 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 რომ გადახვალ, გაიჩერე 23.25 მხ/ფ **"აუტანელი სისასტიკე"** (ჯ.კლუნი) 01.10 მხ/ფ **"ჰკითხე მტვერს"** (ს. ჰაიეკი).

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. **"კლუბი"** (ს2) 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ეკი ვოკი 15.30 შერეკილები 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 20.05 სერ. **"ღირსება და ამბიცია"** 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო გ/ჩ 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25 უცხოეთის ამბები 10.00 ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) 10.55 "პრეს-პრესი" (გამ) 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია "რე" 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 23.00, 0.00, 1.00 ახალი ამბების კოლაჟი 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.35 გამოყენებითი ხელოვნება 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.05 დოკ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" 13.40 "ჩვენი ტრაპეზი" 13.50 ქართული მულტფილმი 14.05 მოკ/ფ **"კიბე"** 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ეპოქის სახელები 16.10 მოკ/ფ **"რა გაცინებს?!"** 17.00 დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" 17.25 სალვთისმეტყველო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ **"იყო შაშვი მგალობელი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 "კვირიაკე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 გაცოცხლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 01.35 მხ/ფ **"ზორო"** II ნაწ.

**გურამ გუგენიშვილი – პანკრატიონში, ანუ, როგორც ჩვენში უწოდებენ, „ბრძოლა წესების გარეშე“, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენია. თავდაპირველად, ის თავისუფალი სტილით მოჭიდავე გახლდათ. შემდეგ კი რინგზეც გამოვიდა და დიდი წარმატებებიც ჰქონდა. მასზე ამბობენ, რომ ორ წუთზე მეტხანს ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ უძლებსო. გურამი მცირე ხნით დაბრუნდა თბილისში, ხოლო შემდეგ კარიერის კვლავ უცხოეთში გაგრძელებას აპირებს.**

# რატომ აგინა გურამ გუგენიშვილმა მოწინააღმდეგეს რინგზე და რატომ ვერ უძლებენ მას 2 წუთზე მეტხანს მეტოქეები

**გურამ გუგენიშვილი**: ბავშვობიდანვე, ჩემი აღნაგობის მიუხედავად, ძალიან სპორტული ვიყავი, ბევრ სახეობაზე დავდიოდი. თავიდან ვვარჯიშობდი თავისუფალი სტილით ჭიდაობაზე, თუმცა მძიმე ტრავმა მივიღე და 3 წელი იძულებული ვიყავი, შემესვენა. შემდეგ უკვე ისე მოხდა, რომ ჩემმა ახლობელმა, ლუკა კურტანიძემ, რომლის ბავშვის ნათლიაც ვარ – მიიღო შემოთავაზება იაპონური ორგანიზაცია „პრაიდისგან“. იქ სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის, ქართველებიც ჩადიოდნენ. „პრაიდი“ იყო ასეთი ტიპის ორგანიზაცია: ყოფილ მსოფლიო ჩემპიონებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს სთავაზობენ კონტრაქტებს – რინგზე ერთმანეთს სხვადასხვა სახეობის სპორტსმენები ხვდებიან, მაგალითად, მოჭიდავე და მოკრივე. ცოტა უხეში სპორტია. თუმცა, რომ ჰგონიათ, ამ სახეობაში წესები საერთოდ არ არის, ასე არ ხდება. მოკლედ, ლუკამ 8 შეხვედრაზე მოაწერა ხელი. იმ პერიოდისთვის მეც დავინტერესდი პანკრატიონით, ოპერაცია გავიკეთე – მენისკი მქონდა გამწვავებულ ფორმაში. რამდენიმე ბრძოლა მეც ჩავატარე, მაგრამ არ გამიმართლა, ქვეყანაში ომი დაიწყო, არეულობა და ამ საქმისთვის აღარავის ეცალა. იმ დროისთვის საქართველოს არ ჰქონდა „M 1-ის“ ლიცენზია ბრძოლების ოფიციალურად ჩასატარებლად. ზუსტად 2009-ში „M 1-მა“, რომელიც რუსული ორგანიზაციაა, უკრაინას მისცა ლიცენზია და მე და კიდევ ერთი ქართველი გავემგზავრეთ კიევში უკრაინულ კლუბში, – ლეგიონერებად. ჯერ კიევის „მაქ ფართში“ ვიყავი, შემდეგ დონეცკის კლუბში გადავედით. საკლუბო ჩემპიონატში გავიმარჯვეთ, გავხდით ჩემპიონები და წლის საუკეთესო სპორტსმენები. ამის შემდეგ უფლება, ანუ ლიცენზია მოგვეცა, ევროპის ჩემპიონატზე ინდივიდუალური გამოსვლისთვის. ვიასპარეზე ევროპის ჩემპიონატზე და გავიმარჯვე, ასევე გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი – დავიცავი მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი. თუმცა, შემდეგ სერიოზული პრობლემები შემექმნა ოჯახში – ჩემს პატარა ძმისშვილს ლეიკემია აღმოაჩნდა და ძალიან დიდი თანხა დასჭირდა სამკურნალოდ. ჩემი თავისთვის აღარ მეცალა, ვცდილობდი, როგორმე მეშოვა ეს თანხა.



**მის მოქმედებას წინასწარ ვერ გათვლი. არადა, ხანდახან მიფიქრია: „რა დამიშავა, ხელი რატომ უნდა დავარტყა-მეთქი. მაგრამ, რას იზამ, თუ შენ არ დაარტყამ, ის დაგარტყამს**

**– მშობლები რა აზრის იყვნენ შენს არჩევანზე?**

– დედაჩემი დღემდე ვერ უყურებს ჩემს გამოსვლებს, ქალია და უჭირს, მაინც ნერვიულობს. აქ თითქმის არ არის წესები, უხეში, მძიმე სპორტია, ამიტომ ქალები ნაკლებად უყურებენ. გულისხეთქვები აქვს ხოლმე *(იცინის).*

**– ჩხუბისთავი არ იყავი ბავშვობაში?**

– რუსთაველი ვარ და რუსთავში ხშირად ვჩხუბობდი, თბილისშიც ჩამოვდიოდი საჩხუბად. გოგოს და სიყვარულის გამო არასდროს მიჩხუბია, სიმართლის დასაცავად ვჩხუბობდი. რა ვქნა, არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი *(იცინის).*

**– რა ტიტულების მფლობელი ხარ?**

– დასავლეთ ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი. ორგანიზაცია „M-1-ის“ ეგიდით ტარდება. M-1 ნიშნავს – Mix №1 (მიქს ფართ ნამბა ვან). რუსეთშიც და უკრაინაშიც ძალიან მგულშემატკივრობდნენ – დარბაზი სულ სავსე იყო ხალხით და ყველა მე მიჭერდა მხარს. პუტინიც ესწრებოდა ჩემს შეხვედრას, ტრიბუნაზე იჯდა და მაგრად მქომაგობდა „დავაი, გურამ, კრუჩი-ო,“ – ყვიროდა. შევხვედრივარ კიდეც პუტინს. თვითონაც ხომ ძიუდოისტია, ძალიან უყვარს სპორტი და ხელსაც უწყობს. სხვათა შორის, ქართველი სპორტსმენების მიმართ ძალიან კარგად არის განწყობილი, არა მარტო პუტინი, ჩვეულებრივი, რიგითი რუსებიც – ქუჩაში მაჩერებდნენ, მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, კეთილგანწყობას გამოხატავდნენ, რაც საქართველოში არასოდეს მიგრძნია. მაღაზიებშიც სულ ფასდაკლებებს მიკეთებენ. უკრაინაშიც ასე იყო – სხვათა შორის, შეცდომით ჰგონიათ, რომ უკრაინის სახელით გამოვდიოდი. მე ვიყავი უკრაინული კლუბის ლეგიონერი – საქართველოს სახელით. როგორც, ვთქვათ, კალაძე „მილანში“.

**– პუტინთან შენი შეხვედრა როგორი იყო?**

– ძალიან კარგი, კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. პრეზიდენტი იყო მაშინ. გარნერთან, ამერიკელ სპორტსმენთან ბრძოლის წინ შევხვდი. ხელი ჩამომართვა და წარმატებები მისურვა. ასეთი რამ მითხრა: „მჯერა, რომ ამ ბრძოლას აუცილებლად მოიგებ“. სამწუხაროდ, ის შეხვედრა წავაგე.

**– ლუკა კურტანიძესთან შენი დაახლოება როგორ მოხდა?**

– მე რომ ჭიდაობა დავიწყე – 2003 წელს ჩავაბარე ტექნიკურ უნივერსიტეტში და პარალელურად, ვვარჯიშობდი გია გაღდავასთან. შემდეგ გიამ მიატოვა მწვრთნელის კარიერა და ერთადერთი ადამიანი, რომელიც ყურადღებას მაქცევდა, ლუკა იყო. მაშინ მოქმედი სპორტსმენი გახლდათ. ძალიან ბევრი რამ მასწავლა ლუკა კურტანიძემ და ბევრი რამ გამიკეთა.

**– ფსიქოლოგიურად რთული პერიოდები გქონია?**

– კი. როცა ტრავმები მქონდა, თან, საკმაოდ მძიმე ტრავმები. ჩემი კერპი იყო ჩემივე ალალი ბიძაშვილი, ზაზა გუგენიშვილი, რომელმაც სპორტის მიმართ სიყვარული ჩამინერგა. სხვათა შორის, ბავშვობაში ძალიან გამხდარი და სუსტი აღნაგობის ვიყავი, მაგრამ ძალიან მოძრავი და თავს არავის ვაჩაგვრინებდი. ბევრი ტრავმა მივიღე სპორტული კარიერის განმავლობაში – ყურები მქონდა დამტვრეული, კოჭი, ცხვირი – გატეხილი, ასევე, თითების ფალანგები... რა ვიცი... *(იცინის)* ჭიდაობისას მივიღე ტრავმა და საშუალებაც არ მქონდა, რომ მემკურნალა. ჩამოვშორდი აქტიურ სპორტს, მაგრამ მაინც ჯიუტად ვვარჯიშობდი. ორი ოპერაცია დამჭირდა. მუხლი მქონდა სახსრიდან ამოვარდნილი, თან ექიმებმა წესიერად ვერც გამაგებინეს, რა მჭირდა. ღამეები არ მეძინა დარდით და ნერვიულობით.

**პუტინს გარნერთან, ამერიკელ სპორტსმენთან ბრძოლის წინ შევხვდი – ხელი ჩამომართვა და წარმატებები მისურვა, ასეთი რამ მითხრა: „მჯერა, რომ ამ ბრძოლას აუცილებლად მოიგებ“. სამწუხაროდ, ის შეხვედრა წავაგე**

**– ახერხებდი სპორტისა და სწავლის შეთავსებას?**

– სპორტის გამო არასდროს დაუწერიათ ნიშანი. მასწავლებლის შვილი ვიყავი და ცოტას კი ვზარმაცობდი, მაგრამ დედაჩემი მაკონტროლებდა. უნივერსიტეტშიც სტიპენდიანტი ვიყავი, კარგად ვსწავლობდი. ომის მერე სამხედრო აკადემიაში ჩავაბარე – ოფიცერთა მომზადების სკოლაში და უფროსი ლეიტენანტი ვარ.

**– ქალბატონები როგორ გამოხატავენ სიმპათიებს?**

– ქალებზე ლაპარაკი არ მიყვარს საერთოდ *(იცინის).* არ არის საინტერესო.

**– რომელიმე ბრძოლას თუ გაიხსენებ გამორჩევით?**

– უკრაინაში კლუბურ ჩემპიონატზე კინაღამ მომხსნეს შეჯიბრიდან, თან, ფინალი იყო. უკრაინელმა ისეთი ილეთი გააკეთა, რომელიც აკრძალულია – წაქცეულს მუხლი მომარტყა თავში. ისე მომეშალა ნერვები, ვაგინე – უცენზურო სიტყვები ვუთხარი. არადა, ჩემი წყობიდან გამოყვანა ძალიან რთულია – საკმაოდ გაწონასწორებული ვარ.

**– ამერიკელ გარნერთან ბრძოლაზე მინდა გკითხო.**

– ამერიკელთან პირველი ბრძოლა მოვიგე, მეორე – წავაგე. ჩემი პრობლემა ის არის, რომ მოწინააღმდეგეს სათანადოდ არ ვაფასებ და ზედმეტად თავდაჯერებული ვარ. მეორე ბრძოლაში იდაყვის ტრავმა მქონდა. თან, ცოტა ადრე მომიწია რინგზე გასვლა, მომზადება ვერ მოვასწარი და წავაგე. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ დაუმარცხებელი სპორტსმენი არ არსებობს. გარნერი სხვანაირი მეტოქე იყო, უხერხული მეტოქე – განსხვავებული, არატექნიკური. მის მოქმედებას წინასწარ ვერ გათვლი. არადა, ხანდახან მიფიქრია: რა დამიშავა, ხელი რატომ უნდა დავარტყა-მეთქი. მაგრამ, რას იზამ, თუ შენ არ დაარტყამ, ის დაგარტყამს.

**– შენზე ამბობენ, რომ 2 წუთსაც ვერ გიძლებენ მოწინააღმდეგეები.**

– კი, ასეა. თუმცა, ხანდახან მეც ვაგებ. უფრო სწორად, ხშირად ვაგებ, ვიდრე ვიგებ. გული მწყდება, რომ საქართველოში ამ სპორტს საერთოდ არ აფასებენ.

**– დოპინგი მიგიღია?**

– დოპინგზე ხალხს არასწორი წარმოდგენა აქვს... დოპინგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ჭარბადაა სისხლში და არა მაინცდამაინც ნარკოტიკი? მაგალითად, აფრიკული წარმოშობის ხალხს რაღაც ნივთიერება, გენეტიკურად, უფრო მეტი აქვს სისხლში, ვიდრე ევროპელებს. ამიტომ, აფრიკელ სპორტსმენებს სხვანაირად ამოწმებენ დოპინგზე. არსებობს სხვადასხვა დამხმარე საშუალება, რომელიც ჭარბი რაოდენობით პროტეინებს, ცილებს შეიცავს. მე მძიმე წონით კატეგორიაში გამოვდივარ – 93+, ამიტომ კვების შეზღუდვა არ მაქვს. მაგრამ, რეჟიმი მაინც საჭიროა. ბევრის მჭამელი და მსმელი მაინც არ ვარ *(იცინის).*

**– ამჟამად რა გეგმები გაქვს?**

– სხვადასხვაგან ვარ – ევროპაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში... თუმცა, ევროპელები მაინცდამაინც არ მომწონს, ქალაქის ტიპის დასახლებებში ძაღლის ყოლა აკრძალულია, ყეფს და მცხოვრებლებს აწუხებსო *(იცინის).* მოსაწყენია ჩემთვის ევროპა...

**ქეთი დიდებულიძე**

**მოდელი ანი კალანდაძე, დანარჩენ სამ გოგონასთან ერთად, ლეილა საფოევას წყალობით მუმბაიში, ბოლივუდში აღმოჩნდა. თავდაპირველად ის მხოლოდ საიუველირო და სხვა ცნობილი ბრენდების სახე იყო, შემდგომში კი ოთხ ბოლივუდურ ფილმში ითამაშა, რომელთაგანაც სამი ნამდვილ კინოჰიტად იქცა.**

# როგორ ითამაშა ანი კალანდაძემ ბოლივუდის ცნობილ ფილმებში ქართველი გოგონების როლები და რატომ მიიღო მან შოკი ინდოეთში

**ანი კალანდაძე:** ვიყავი მეთერთმეტე კლასში და „გრაციას“ მოდელი. ჩვენთან სკოლაში ქალბატონი ნანი მსხილაძე მოვიდა და რაღაც მოსაწვევი გადმომცა – სილამაზის კონკურსს ატარებდნენ, მონაწილეობა მივიღე და გავიმარჯვე. შემდეგ ქალბატონმა ნანიმ მითხრა, რომ ჰყავდა ნაცნობი, რომელიც ქართველ გოგონებს ბოლივუდის კინოინდუსტრიასთან აკავშირებდა. შემომთავაზეს, გამეგზავნა ჩემი ფოტოები და თანხმობის შემთხვევაში წავსულიყავი მუმბაიში მოდელად სამუშაოდ. სხვათა შორის, კონკრეტულად არ ვიტყვი, მაგრამ, ჰოლივუდიდანაც არის რაღაც შემოთავაზებები. როგორც ვიცი, მალე ჩამოვლენ ამერიკიდან და ქალბატონი ნანი მათთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რამდენიმე რეჟისორია დაინტერესებული.

**– წარმოიდგენდი, რომ ოდესმე ინდური კინოს მსახიობი გახდებოდი?**

– რას ამბობ! ***(იცინის)*** ბოლივუდის მსახიობი კი არა, იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ინდოეთში წავიდოდი. ინდური კინო თვალითაც არ მქონდა ნანახი. ერთი, აიშვარია რაი ვიცოდი. მეგობრები დამცინოდნენ, რომ ჩამოხვალ, სპილო ჩამოიყვანეო ***(იცინის).*** არადა, ვფიქრობ, რომ ეს დიდი წარმატებაა. მე და ანუკი ჭოხონელიძე, ჩემი მეგობარი ერთად გავფრინდით. წავედით როგორც მოდელები, მაგრამ, შემდეგ ლეილამ წამიყვანა ქასთინგებზე, გარისკა და არც შემცდარა – ოთხ ფილმში გადამიღეს. თავიდან მართლა გამიჭირდა. ლამაზია ინდოეთი, მაგრამ, მუმბაიში ისეთი რაღაცეები ვნახე, კინაღამ გული გამისკდა! საშინელი სიბინძურე და სიღარიბეა. ქუჩაში ისეთი სუნი დგას და ისე ცხელა! ხომ იცი, თბილისში რომ ჩამოდის სოფლიდან ხალხი, იქაც ჩამოდიან პროვინციებიდან. ასეა მუმბაიშიც, ოღონდ, იქ ბარაკებში და პირდაპირ ქუჩაშიც ცხოვრობენ ძროხებთან ერთად, ღია ცის ქვეშ ბანაობენ; ფეხმძიმე ქალები სხედან და მათხოვრობენ ცნობილი ადამიანების სახლებთან და პოლიცია სულ დასდევს... მოკლედ, ამ ყველაფერმა შოკში ჩამაგდო, მაგრამ, მალე მივეჩვიე, იმდენად თბილი და უშუალო ხალხია. თავიდან ენაც არ ვიცოდით კარგად – არც ინგლისური, არც ჰინდი. ლეილა დაგვყვებოდა ყველგან. კინაღამ დავიკარგეთ ბომბეის აეროპორტში. თან, რომ ჩავედით, წვიმები იყო სეზონური, ატალახებული იყო იქაურობა.

**– ქალბატონი ლეილა მკაცრად გექცეოდათ?**

– საქმეში საკმაოდ მკაცრია. საერთოდ, მეგობრულია, უშუალო, მაგრამ, მენეჯერი – მენეჯერია, საქმე კი – საქმე. ინდურ სიტყვებს ქართული ასოებით გვიწერდა და ჩვენც ვსწავლობდით. ცალკე გვიხსნიდა, როგორი სახის გამომეტყველება უნდა გვქონოდა, ცალკე – აქცენტს. ინდურსა და ქართულს მინიმუმ ასი სიტყვა აქვს საერთო, ბევრიც ძალიან ჰგავს. მაგალითად, „ჯიგარ” ნიშნავს ჯიგარს. რომ ვუთხარი, ძალიან გაუკვირდათ და გაუხარდათ. სამაგიეროდ, რუსებსა და უკრაინელებს ისე უჭირთ, იხოცებიან ***(იცინის).***

> **გადასაღებ მოედანზეც მქონდა ფლირტი პარტნიორთან, რომელიც ბოლივუდის ვარსკვლავია და ბევრ ფილმში თამაშობს**

სხვათა შორის, ყველა ფილმი, რომლებშიც ვითამაშე, ჩემი გახმოვანებულია. მართალია, არ ვმღეროდი, მაგრამ, მაინც გვიწევდა ტექსტის დაზეპირება, რომ პირის მოძრაობა აგვეყოლებინა, თორემ, ისე ყველამ იცის, რომ ინდურ ფილმში თვითონ არ მღერის მსახიობი.

**– კამერის კომპლექსი არ გქონდა?**

– იქ არანაირი, აქ კი მაინც მაქვს. იცი, რატომ?! საქართველოში მაინც არის დაცინვის მომენტი – თუ რამე ისე ვერ გააკეთე, იბოჭები. იქ კი საერთოდ არ იციან დაცინვა, კბენა და ასეთი რამეები. თუ ვერ გააკეთე, ათასჯერ აგიხსნიან მშვიდად და გასაგებად. არ მახსოვს, ვინმეს ეყვიროს.

**– რომელ ფილმებში მიიღე მონაწილეობა? მოგვიყევი, თუ შეიძლება.**

– ამჟამადაც მაქვს შემოთავაზებები – ბოლივუდის რეჟისორი დამიკავშირდა სოციალური ქსელის საშუალებით და ინდური კინოს ვარსკვლავისთვის პარტნიორობის გაწევა მომიწევს, ისე, როგორც ვთქვი, ოთხ ფილმში ვითამაშე, რომელთაგან ერთი – ბოლო ფილმი, პოლიტიკური შინაარსის იყო. ლეილა ყველგან დამყვებოდა გადაღებებზე, თუ რამეს ვერ გავიგებდი, ქართულად რომ აეხსნა. ბოლო ფილმზე ვერ მოახერხა წამოსვლა და საშინლად ვნერვიულობდი, ვიფიქრე, არ შევრცხვე-მეთქი. რეჟისორიც ძალიან გაბრაზდა, მაგრამ, იმდენად კარგად გავაკეთე ჩემი საქმე, გადაღებები რომ დასრულდა, მადლობები მიხადა, უფრო დამოუკიდებელიც გავხდი. პირველი ფილმი, რატომღაც, დღემდე არ გამოსულა ეკრანზე. სამ დუბლზე მეტი არც დაგვჭირვებია – სამსახიობო ნიჭიც თუ მქონდა, არ ვიცოდი ***(იცინის).*** სიმართლე გითხრათ, ქასთინგზე მაინცდამაინც ვერ გამოვიჩინე თავი – არ აღფრთოვანებულან ჩემით, მით უმეტეს, რომ იქ ისეთი ლამაზი ბრაზილიელი და უკრაინელი გოგონები იყვნენ, ვიფიქრე, მე ვინ შემარჩევს-მეთქი, თუმცა, ისე მოხდა, რომ ზუსტად ქართული ტიპაჟი სჭირდებოდათ, გადაღებებზე ბევრად უკეთ ვითამაშე. სხვათა შორის, თითქმის ყველა ფილმში უცხოელის როლს ვთამაშობ, მათგან სამში ქართველი ვარ და ანა მქვია, ერთში – გლორია. ერთი ფილმი იყო „კანადა კინოს” გადაღებული და არა ბოლივუდის, ამიტომ სრულიად განსხვავებულ, სამხრეთინდურ ჰინდიზე მომიწია საუბარი.



**საქორწილო სარი ულამაზესია, მაგრამ უმძიმესი – თვლებით, ქვებით გაწყობილი, 6 მეტრია და სპეციალურად სჭირდება ჩაცმა. 20-25-კილოგრამიანი კაბები მეცვა, თან, საშინლად გრძელია! ორ დღეში 30 სარი გამოვიცვალე, სხვადასხვა მაკიაჟი, ვარცხნილობა... კინაღამ მოვკვდი**

ბევრ ქალაქში მქონდა გადაღებები: დელიში, გოაში, ბანგალორში, პატარა ქალაქებშიც, რომელთა სახელებიც არ მახსოვს... გოაში საოცარი რამ შემემთხვა, სიკვდილს გადავურჩი. თან, ისეთ მაღალ ადგილზე ვიდექი, ქალბატონ ლეილას რომ არ შეემჩნია, ჩამოვვარდებოდი. მოკლედ, შუადღის მზეზე, საშინელ სიცხეში ვიღებდით სცენებს. კი დამყვებოდნენ ასისტენტები ქოლგებით, მაგრამ, დაღლილიც ვიყავი, მშიერიც და მერიდებოდა მეთქვა, ცუდად ვარ-მეთქი. თან, მზის დარტყმა მივიღე, ცოცხალ-მკვდარი ვეგდე გაშოტილი ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე. მერე კიდევ, რომ ვირუჯებოდი, მაფრთხილებდა ლეილა, რამე დაიფარეო, მაგრამ არ დავუჯერე და ისე დავიწვი, დავსივდი, მუმბაიში რომ ჩავფრინდით, ლეილამ ინვალიდის ეტლით გამომაგორა აეროპორტიდან.

**– ინდოელ მამაკაცთან არ გქონია რომანი?**

– არასოდეს თქვა – „არასოდეს“. თავიდან, მასა რომ დავინახე, გული გამისკდა – ინდოელს როგორ უნდა გაჰყვე ცოლად-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ, ქასთინგებზე ისეთი ბიჭები ვნახე, ფანტასტიკური, საქართველოში ეგეთი ბიჭი მე არ მინახავს – ქერები, შავგვრემნები მწვანე თვალებით... გავგიჟდი კინაღამ! სხვათა შორის, გადასაღებ მოედანზეც მქონდა ფლირტი პარტნიორთან, რომელიც ბოლივუდის ვარსკვლავია და ბევრ ფილმში თამაშობს. გაგვიჩნდა ურთიერთსიმპათიები, მაგრამ, სერიოზულ გრძნობაში არ გადაზრდილა ეგ ამბავი (იცინის). სერიოზული როლი მქონდა ბოლო ფილმში, თუმცა, პრემიერას არ დავსწრებივარ.

**– პოლიტიკური სიუჟეტი აქვსო, თქვი.**

– დიახ, დაპირისპირებაა პოლიტიკოსსა და ბიზნესმენს შორის. მე ამ ბიზნესმენის შეყვარებულის როლს ვთამაშობ – ქართველ ანას, რომელიც 25 წლის შემდეგ მამასთან ერთად ბრუნდება ინდოეთში. უფრო მძაფრსიუჟეტიანია ეს ფილმი და ამ მსახიობებს საქართველოშიც კარგად იცნობენ. საერთოდ, არც ერთ ფილმში არ მითამაშია ისე, რომ ძალიან დიდ ვარსკვლავს ან ცნობილ სახეს არ ეთამაშა იქ.

**– ცეკვების შესრულება თუ მოგიწია თავად?**

– ერთ ფილმში შევასრულე თანამედროვე ცეკვები; ისე, ინდური ცეკვაც ვისწავლე – გადაღებებამდე ქორეოგრაფი გვიხსნიდა, რა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა და ვაკეთებდი.

**– სარიში მქონდა გადაღებებიო, ამბობდი.**

– კი, მქონდა და დავიტანჯე. საქორწილო სარი ულამაზესია, მაგრამ, უმძიმესი – თვლებით, ქვებით გაწყობილი; 6 მეტრია და სპეციალურად სჭირდება ჩაცმა. 20-25-კილოგრამიანი კაბები მეცვა, თან, საშინლად გრძელია! ორ დღეში 30 სარი გამოვიცვალე, სხვადასხვა მაკიაჟი, ვარცხნილობა... – კინაღამ მოვკვდი. მაგრამ, პორტფოლიოებისთვის სარიში უფრო ბრაზილიელ გოგოებს იღებდნენ – ისინი მაღლები არიან. კიდევ, ვიყავი სხვადასხვა ცნობილი საიუველირო ბრენდის სახე.

**– იქ ქართულ საჭმელს თუ ამზადებდით?**

– ქართულს არა, ჩვენ არ ვიცით კერძების მომზადება, ლეილა გვიკეთებდა საჭმელებს. ვგიჟდები ინდურ სამზარეულოზე, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ რესტორანში შევიდოდი და ლობიოს შევუკვეთდი, იქ სხვანაირი სანელებლებით ამზადებენ. ორ თვეში 7 კილოგრამი მოვიმატე, სასწორზე რომ შევდექი, კინაღამ გაგიჟდა ლეილა ***(იცინის).***

**ქეთი დიდებულიძე**

**ლამაზი სასახლე, ქართველ თავადის ქალზე შეყვარებული ევროპელი პრინცი, საიდუმლო ოთახი, მოჩვენება და ტრაგიზმითა და ლეგენდებით გაჯერებული სიყვარულის ისტორია... არ გეგონოთ, რომ ეს რომელიმე ფილმის მოკლე შინაარსია, ეს არის სრულიად რეალური ისტორია, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სასახლეს უკავშირდება, სადაც დღეს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმია განთავსებული. სასახლის ისტორიაზე მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია გვესაუბრება.**

# თბილისის რომელ ისტორიულ შენობას უწოდებენ „მოჩვენებების სასახლეს” და სად აღმოაჩინეს სტალინის ქართულ ენაზე ხელმოწერილი ფოტოსურათი

**გიორგი კალანდია**: სასახლის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა, მათ სიზუსტეზე წყაროები თითქმის არაფერს გვამცნობს. მაგრამ, არსებობს სასახლის პროექტები, რომელთა მიხედვითაც ვიგებთ, რომ სასახლე 1895 წელს აშენდა, თუმცა, თავდაპირველად მას ასეთი სახე არ ჰქონდა. ძირითადი არქიტექტურული ფორმები შენარჩუნებული იყო, მაგრამ, „სიყვარულის კოშკი” მოგვიანებით მიაშენეს. სასახლის აშენების შესახებ არსებობს ასეთი გადმოცემა: თავიდან ეს შენობა აიგო გრაფინია ტიტელისთვის, თუმცა, მოგვიანებით ის გრაფმა ოლდენბურგმა შეიძინა თავისი საყვარლისთვის აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანისთვის, რომელიც მოგვიანებით მისი მეუღლე გახდა. 1885 წელს, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა მიხაი ზიჩი, ის „ვეფხისტყაოსნისთვის” ცოცხალ სურათებს ხატავდა და მას ძალიან მოეწონა აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანისა, რომელსაც შესთავაზა ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება „ვეფხისტყაოსნის” ცოცხალ სურათებში. ერთი ვარიანტის მიხედვით, მან ნესტან-დარეჯანის როლი შეასრულა, ხოლო მეორე ვარიანტით – თამარ მეფის როლი. ესაა ცნობილი ნახატი, რომლითაც იწყებს ზიჩი პოემის დასურათებას. სიმბოლურია და საყურადღებო, რომ ცოცხალი სურათების ორიგინალები ჩვენს მუზეუმში ინახება. დაიწყეს აგრაფინა ჯაფარიძის სურათების ხატვა და თბილისში ეს იყო განსაკუთრებული მოვლენა, რასაც ესწრებოდა თბილისური ინტელიგენცია, მათ შორის ამ სანახაობას პრინც ნიკო დადიანთან ერთად ესტუმრა გრაფი ოლდენბურგი, რომელმაც ნახა აგრაფინა ჯაფარიძე, ძალიან მოეწონა და ვერაფრით შეძლო ამ ქალის დავიწყება. არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ორად იყოფა. ერთი ვერსიით, მან ერთი მილიონი ოქროს თუმანი შესთავაზა აგრაფინა ჯაფარიძის მეუღლეს, პრინც ტარიელ დადიანს, რომ მისთვის ერთი ღამით დაეთმო მეუღლე, ამიტომ, ამ სასახლეს „ერთი ღამის სასახლესაც” უწოდებენ; მეორე ვერსიის თანახმად კი გრაფმა ოლდენბურგმა ტარიელ დადიანს ნარდში მოუგო აგრაფინასთან ერთი ღამის გატარება. მთელი თბილისი ხუმრობდა „ტარიელმა პრინცს მისცაო აგრაფინა კისკისაო”. მოკლედ, ნარდში წააგო თუ ნებით დაუთმო, ამის თქმა ძნელია, მაგრამ, ერთი კი ცხადია, რომ აგრაფინა ჯაფარიძე კონსტანტინე ოლდენბურგის კუთვნილება გახდა. ამბობენ, რომ თავად აგრაფინა ძალიან გაბრაზებულა ამ მოვლენაზე. მისმა ერთ-ერთმა შთამომავალმა მიამბო, რომ, თურმე, როდესაც ის ეტლში ჯდებოდა, ტარიელ დადიანმა დაუჩოქა და პატიება სთხოვა, აგრაფინამ კი საპასუხოდ, მოიგლიჯა ოქროს გულსაკიდი, რომელშიც ტარიელის პორტრეტი იდო და ფეხებთან დაუგდო – ანუ, არანაირი პატიებაო. აგრაფინამ უარი თქვა პრინცთან შეხვედრაზე და ეს უარი დიდხანს გაგრძელდა. დასრულდა მაშინ, როდესაც დაიწყო სასახლის მშენებლობა, ანუ, აგრაფინას გული მოიგო. ამბობენ, როდესაც მშენებლობა დასრულდა, სამეჯლისო დარბაზში მიღება გაიმართა და მამაკაცებმა შარვლის ტოტები, ქალბატონებმა კი კაბები აიწიეს, რადგან, იფიქრეს, რომ წყალში შევიდნენ, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ დაგებული იყო ბროლის იატაკი. სხვათა შორის, ეს ამბავი „ლაშარელაში” ფიგურირებს – ამ თქმულებას იყენებს გრიგოლ აბაშიძე თამარ მეფის სასახლის აღწერისას. იატაკის ისტორია მწერალს ამ სასახლიდან აქვს გაგონილი.



**არსებობს თქმულება, რომ აგრაფინა ჯაფარიძის წასვლის შემდეგ აქ ბინა დაიდო მოჩვენებამ. ეს ისტორიაც მისტიკითა და ბურუსითაა მოსილი, თუმცა, როგორც ყვებიან გარშემო მცხოვრებნი და ამ სასახლის რამდენიმე ვიზიტიორი, კოშკის თავზე ჩნდებოდა ქალის მოჩვენება, რომელიც ტიროდა**

**– სასახლის არქიტექტორი ვინ იყო?**

– ცნობილი თბილისელი არქიტექტორი პაულ შტერნი. სასახლე ნამდვილი არქიტექტურული შედევრია, მსგავსი შენობები თბილისში ძალიან იშვიათია. ეს არის ისლამური გოთიკა და შენობა შიგნიდანაც ძალიან ლამაზია. სასახლის შესახებ ორი თქმულება არსებობდა, ერთი ეხება „სიყვარულის კოშკს”, მეორე კი – მოჩვენებას. პირველის თანახმად, გრაფმა სასახლეს კოშკი მიაშენა. როგორც ჩანს, ქორწინების ამბავი ძალიან გაჭიანურდა. გრაფი რუსეთის იმპერატორის ბიძაშვილი გახლდათ, აგრაფინა ჯაფარიძე კი – ტარიელ დადიანის მეუღლე და გაყრის მომენტი მხოლოდ თქმულების დონეზეა ცნობილი. სანამ აგრაფინამ გრაფინია ზარნიკაუს წოდება არ მიიღო, მანამ ვერ დაქორწინდა. იმის გამო, რომ ურთიერთობას ოფიციალურ სახეს ვერ აძლევდნენ, კონსპირაციულად უხდებოდათ შეხვედრა და ამ შეხვედრებისთვის აშენდა კოშკი. თავდაპირველად ეს ისტორია ჩემთვისაც ლეგენდას წარმოადგენდა, მაგრამ, ჩვენთვის მოულოდნელად, ისე, რომ არც ერთმა თანამშრომელმა არ იცოდა, დახვეული კიბეების ზემოთ აღმოჩნდა საიდუმლო ოთახი, რომელში შესვლაც მხოლოდ სახურავიდან არის შესაძლებელი. არსებობს მეორე თქმულება, რომელიც ამ სასახლეს უკავშირდება და რამაც სასახლეს გაუჩინა მესამე სახელი – „მოჩვენებების სასახლე” (მანამდე „სიყვარულის სასახლე” და „ერთი ღამის სასახლე” ერქვა). ამ სასახლეში აგრაფინა ჯაფარიძის შემდეგ ცხოვრობდა (ამის დამადასტურებელი ცნობები არსებობს) პრინცი ნიკო დადიანი, თუმცა, მოპირდაპირე მხარეს ციციშვილების სახლია და იმათ გვიამბეს, რომ აქ ცხოვრობდა პრინცი მიურატი, რომელსაც ციციშვილის ქალი შეუყვარდა. პრინცს გაკეთებული ჰქონდა საჩრდილობელი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ და ყავას სვამდნენ. ასევე, არსებობს ლეგენდა, რომ პრინცმა გაათხრევინა გვირაბი, რომლის საშუალებითაც ეს ორი სახლი ერთმანეთს უკავშირდებოდა. ერთ-ერთი თქმულების თანახმად, აგრაფინა ჯაფარიძის წასვლის შემდეგ აქ ბინა დაიდო მოჩვენებამ. არსებობს ვერსია, აგრაფინასი და მისი შვილების ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა – თითქოს აგრაფინა აქ დაახრჩვეს; მეორე ვერსიით კი აგრაფინა ჯაფარიძე ქუთაისში გარდაიცვალა. ეს ისტორიაც მისტიკითა და ბურუსით არის მოსილი, თუმცა, როგორც ყვებიან გარშემო მცხოვრებნი და ამ სასახლის რამდენიმე ვიზიტიორი, თითქოსდა კოშკის თავზე ჩნდებოდა ქალის მოჩვენება, რომელიც ტიროდა. ეს თემა ძალიან აიტაცა ხალხმა, მე პირადად მოჩვენება არ მინახავს ***(იცინის),*** მაგრამ, ამ ხმების გავრცელების წინააღმდეგი არ ვარ.

**– საიდუმლო ოთახზე რას გვეტყვით?**

– ეს არის მართლაც საიდუმლო ოთახი, რომელსაც სხვა არქიტექტურული ჩანაფიქრი არ გააჩნია. არ შეიძლება, რომ ოთახს ჰქონდეს სამეურნეო ან საყოფაცხოვრებო დანიშნულება და მასში შესვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვენში ასვლით. გარდა ამისა ფაქტია, რომ მას აქვს შენიღბული ფანჯრები, ანუ, შორიდან ფანჯარა არ ჩანს. ოთახს მე და ჩემმა მოადგილემ, ირაკლი ზამბახიძემ, სრულიად შემთხვევით მივაგენით, წვიმა მოვიდა, შენობა მძიმე მდგომარეობაში იყო და, შეგვეშინდა, რომ სახურავიდან წყალი არ ჩამოსულიყო. ამიტომ, გადავწყვიტეთ, სახურავი შეგვემოწმებინა და სწორედ ამ დროს აღმოვაჩინეთ შემთხვევით ეს ოთახი. სასახლის დამთვალიერებლების დიდი ნაწილი ამ საიდუმლო ოთახით ინტერესდება, ამიტომ, ჩაფიქრებული გვაქვს ტური, რომ საგამოფენო დარბაზების ნახვის შემდეგ ადამიანი ავიდეს სხვენში, დაათვალიეროს კონსტრუქციები და მოინახულოს საიდუმლო ოთახი.

**- სასახლის გერბზე რას გვეტყვით?**

– ეს არის ერთადერთი შენობა თბილისში, რომელზეც საგვარეულო გერბია გამოსახული. თვითონ გერბის შესახებაც რამდენიმე ვერსია არსებობს: ეს ცხენი ანუ მარტორქა, მითიური ცხოველი მონოცეროზი როგორც მას უწოდებენ, დამახასიათებელია ქართული ჰერალდიკისთვის, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ის გამოსახული იყო დავით აღმაშენებლის ჯვარზე. ლეგენდის თანახმად, დავითმა ასეთი ცხენი ნახა. როდესაც ამ საკითხის ძიება დავიწყეთ, ქართული საგვარეულოს წარმომადგენლებისგან მხოლოდ რუსიშვილებს ჰქონდათ ასეთი გერბი, თუმცა, ამ სასახლესთან რუსიშვილებს არასდროს არანაირი კონტაქტი არ ჰქონიათ. დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ დავადგინეთ, რომ გერბი კვლავ აგრაფინა ჯაფარიძის სახელს უკავშირდება. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, მონოცეროზი იყო ქალბატონის, წმიდა ქალწულის სიმბოლური გამოსახულება, ამასთანავე, რაინდები ხშირად გამოსახავდნენ მას თავიანთი შეყვარებულების სიმბოლოდ. როგორც ჩანს, პრინცმა ოლდენბურგმა ამ გერბით გამოსახა აგრაფინა ჯაფარიძის სიმბოლური გამოსახულება. ეს გერბი უშუალოდ არც ოლდენბურგებს უკავშირდება და არც, მით უმეტეს, ჯაფარიძეებს, ჩვენი ლოგიკური დასკვნით, ის პრინცის სიყვარულთანაა დაკავშირებული. საგამოფენო დარბაზის შუშებზეც ეს ცხენია გამოსახული, რაც ნიშნავს, რომ

მონოცეროზი სიყვარულის სიმბოლოა.

**– ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში სასახლეში ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი იყო განთავსებული, ამის შესახებ რას გვეტყვით?**

– დიახ, საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში მართლაც იყო განთავსებული ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი. ჩვენ ვიცით, რომ ყრუ-მუნჯი იყო ლავრენტი ბერიას და. ეს იყო თბილისში ყრუ-მუნჯთა ერთადერთი სასწავლებელი და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ აქ სწავლობდა ბერიას და და, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ სასახლე გადაურჩა დანგრევას. 1920-იან წლებში არქიტექტორმა როგოისკიმ დაიწყო ამ შენობის მეორე ნაწილის მიშენება, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოასწრო, რადგან, მალევე გარდაიცვალა და, მშენებლობა შემდგომ, უკვე 1940-იან წლებში, ლავრენტი ბერიას დროს დასრულდა. მისი და კი იყო ყრუ-მუნჯი, მაგრამ, მხედველობა ჰქონდა და მას უთხოვია ძმისთვის, რომ ამ შენობის იერსახე არ გაეფუჭებინათ და ეს ფლიგელი წინა ფასადის გამეორებით მიეშენებინათ. საბჭოთა არქიტექტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფასადი ძალიან კარგად არის გამეორებული. როგორც ჩანს, პრინცი ძალიან ჩქარობდა ამ სასახლის აშენებას და ამიტომ შენობას არ გააჩნდა საძირკველი – პირდაპირ მიწაზე იყო აშენებული. ამჟამად სასახლეს მთლიანად აქვს გამოცვლილი საძირკველი. 1989 წელს სასახლე მუზეუმს გადაეცა და იმ დროისთვის შენობა თითქმის მთლიანად იყო ამორტიზებული. ვფიქრობ, მუზეუმისთვის იდეალური შენობაა. შენობა შიგნით ძალიან გაფუჭებული იყო, თან, ბევრ ისეთ ადგილას იყო გადატიხრული, სადაც არ შეიძლებოდა; როგორც ჩანს, საბჭოთა დროს აქ რამდენიმე დაწესებულება განათავსეს. შენობის რეაბილიტაცია 2009 წელს დაიწყო, რაც ნელ-ნელა და წარმატებით მიმდინარეობს.

**– სტალინის ავტოგრაფიანი ფოტოს აღმოჩენის ისტორიაც დააინტერესებს ჩვენს მკითხველს.**



**სასახლე ნამდვილი არქიტექტურული შედევრია, მსგავსი შენობები თბილისში ძალიან იშვიათია. ეს არის ისლამური გოთიკა. ერთადერთი შენობა თბილისში, რომელზეც საგვარეულო გერბია გამოსახული**

– ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მუზეუმში ინახება ძალიან დიდი საგანძური; მთელი ქართული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის ინტელექტუალური ცოდნა აქ არის დაცული. პირველი ქართული ოპერები, ზაქარია ფალიაშვილის „დაისი" და მისი პარტიტურები, ნატო ვაჩნაძის არქივი და ასე შემდეგ. ეს არქივები ძალიან მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა, გაუბედურებული და გაფანტული იყო. რაც უპირველესად გავაკეთეთ და ძალიან მეამაყება, ჩვენ დავიწყეთ ფონდებისა და საგანძურების მოწესრიგება და დღეს ფონდებში იდეალური მდგომარეობაა. მაგალითად, აგრაფინა ჯაფარიძის დროინდელი სარკე, რომელიც სარდაფში ვიპოვეთ დამტვრეული და დალეწილი; ასევე, მახსოვს, გზაში ვიყავი, როდესაც თანამშრომელმა დამირეკა და მითხრა, სტალინის ხელნაწერი ვიპოვეთ სარდაფშიო. როგორც ჩანს, სტალინის ფოტო ავტოგრაფით სარდაფში მაშინ მოხვდა, როდესაც სტალინის კულტი იდევნებოდა, თუმცა, ზუსტად ვერ გეტყვით. ძალიან საინტერესო ექსპონატია, დათარიღებულია 1937 წლის 23 იანვრით, როდესაც ქართველი ხელოვანები, მათ შორის ილიკო სუხიშვილი, დავით ჯავრიშვილი და სხვები, მოსკოვში ქართულ დეკადაზე იყვნენ ჩასულები და სტალინმა ამ დეკადის მონაწილეებს აჩუქა თავისი ფოტოსურათები. ცნობილია, რომ ეს ფოტოსურათი სტალინმა სამ ადამიანს აჩუქა: ილიკო სუხიშვილს, მიხეილ ჭიაურელსა და ელენე გვარამაძეს. ილიკო სუხიშვილისთვის მიცემული ფოტო, როგორც ვიცი, სუხიშვილების კოლექციაში ინახება, მიხეილ ჭიაურელის შესახებ ვერ გეტყვით, შესაძლოა, სახლ-მუზეუმშია, და მესამე ფოტო კი ჩვენს მუზეუმში ინახება. საყურადღებოა, რომ ფოტოზე სტალინის მიერ ქართულად არის გაკეთებული წარწერა: „ე. გვარამაძეს ი. სტალინისგან. 1937 წელი, მოსკოვი". უცხოელები, განსაკუთრებით – გერმანელები, ინტერესდებიან ამ ფოტოთი და უკვირთ, რომ იმ პერიოდში სტალინი ქართულად აწერდა ფოტოს; პირადად მეც გამიკვირდა, რადგან, ვიცოდი, რომ სტალინი იმ პერიოდში მთლიანად რუსულ ენაზე იყო გადასული და, ამ თვალსაზრისით, საინტერესო ექსპონატია.

**უშანგი რუხაძე**


# კონტროლ ფორტე

## გრიპთან ბრძოლის გასაღები

### მიიღეთ დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისას

* ხელსაყრელი;
* ეფექტური;
* სწრაფი.




**ჩვენება:**

* გაციებისა და გრიპის სიმპტომური მკურნალობა;
* ცხელება;
* ცხვირის „დაცობა", ცემინება, გამონადენი ცხვირიდან, ცრემლდენა;
* თავის ტკივილი და სხვა ლოკალიზაციის უმნიშვნელო ტკივილი.

**ერთი ტაბლეტი შეიცავს:**

* პარაცეტამოლი – 500 მგ;
* ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი – 5 გ;
* კოფეინი – 30 მგ;
* ქლორფენირამინის მალეატი – 2 მგ.

**დოზირება:**

* პრეპარატის მიღება ბავშვებში 6 წლამდე რეკომენდებული არ არის;
* 6-დან 12 წლამდე მიიღება თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში;
* მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ასაკიდან ინიშნება თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი LARK LABORATORIES ინდოეთი. ექსკლუზიური დისტრიბუტორი შპს ჯი აი იმპექსი. იკითხეთ აფთიაქებში.

**რა არის ჰობი და როგორ შეიძლება მისი გამომუშავება მოზარდებში? ამის შესახებ ფსიქოლოგსა და ფსიქოთერაპევტს, საქართველოში ანალიტიკური ფსიქოლოგიის განვითარების ჯგუფის წევრს, ანა ცინაძეს გავესაუბრეთ.**

# რა ასაკშია რეკომენდებული ბავშვის დაინტერესება ჰობით და რატომ უნდა გაიხსენოთ შვილთან ხშირად საკუთარი ბავშვობა

**– რა არის ჰობი და რის მიხედვით ირჩევს მას ადამიანი?**

– სიტყვა „ჰობის" წარმოშობას მეტად საინტერესო ისტორია აქვს. მისი ფუძე გერმანულია. მეთვრამეტე საუკუნის გერმანიაში გლეხები ასე სათამაშო ცხენს ეძახდნენ. თანამედროვე მნიშვნელობით კი „ჰობი" პირველად ინგლისელმა მწერალმა, ლორენს სტერნმა გამოიყენა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, როცა გამოაქვეყნა თავისი რომანი „ტრისტრამ შენდის ცხოვრება და აზრები". სწორედ ამ რომანშია ნახსენები პირველად სიტყვა „ჰობი" ანუ „ცხენი" როგორც „გატაცება". მწერლის აზრით, სწორედ ასეთი „ცხენი" მატებს ადამიანს ინდივიდუალურობას. სწორედ ის ეხმარება მას, იპოვოს საკუთარი თავი, გაიხსნას და უბრალოდ, მიიღოს სიამოვნება.

თანამედროვე ინტერპრეტაციით, ჰობი არის ადამიანის რაიმე გატაცება, საქმიანობაა, რომელსაც ის დასვენების დროს მიმართავს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ის, რაც ერთი ადამიანისთვის პროფესიაა, მეორისთვის შეიძლება, ჰობი იყოს. მაგალითად, შერლოკ ჰოლმსს ჰქონდა გატაცება – ვიოლინოზე დაკვრა. ერთი ცნობილი მუსიკოსი კი, პირიქით, საკონცერტო ანტრაქტების დროს დეტექტიურ ამოცანებს ხსნიდა. გოეთე მშობლიური ქალაქის გარეუბნებში სეირნობისას იების თესლებს მიმოაბნევდა ხოლმე ირგვლივ და დღესაც ის ადგილები სავსეა იებით. მას ადგილობრივი მცხოვრებნი „გოეთეს იებს" ეძახიან.



**თუ მოზარდს აქვს მიულებელი გამოვლინებები და ის ფიზიკური აგრესიის ან ძალადობრივი ხასიათის კომპიუტერული თამაშებით ცდილობს მასთან გამკლავებას, სასურველია, ამ დროს მოხდეს მასში დაგროვილი ნეგატიური ენერგიის სწორი გზით გამოთავისუფლება**

დღეს ჰობის სახეობათა სპექტრი მრავალფეროვანია. ერთი ადამიანი შეიძლება, გატაცებით უვლიდეს ყვავილების ბაღს, მეორე ქსოვასა და ქარგვაში სიამოვნებით ატარებდეს საღამოებს, მესამე მოუთმენლად ელოდებოდეს შაბათ-კვირას, რომ თევზაობით მოიპოვოს სულიერი სიმშვიდე. თუმცა, ჰობი სულ მუდამ მშვიდი და უდრტვინველი მდგომარეობის მომგვრელი როდია. ზოგიერთისთვის ჰობი სპორტის ისეთი ექსტრემალური სახეობაა, როგორც მთასვლელობა, დაივინგი ან პარაშუტით ხტომაა. საერთო ნიშანი, რომელიც ყველა ზემოჩამოთვლილ საქმიანობას აერთიანებს, არის ის, რომ ადამიანი უდიდეს სიამოვნებას იღებს, როცა საშუალება აქვს, დრო საკუთარ გატაცებას დაუთმოს. თითქოსდა, ერთი შეხედვით უბრალო რამ, ჰობი, სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონეა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამ დროს ადამიანი თავისუფლდება ყველანაირი შებოჭილობისგან, რომელიც მისი საქმიანობის შეფასებასთანაა დაკავშირებული. ადამიანი ბუნებრივ პირობებში, შინაგანი მისწრაფების კვალდაკვალ, ახდენს თვითრეალიზებას და აღწევს წარმატებას, რომელიც საკუთარი თავის რწმენას მატებს და ავითარებს მას. ამას გარდა, როცა ადამიანს ჰობი აქვს, მან შეიძლება, გამოიყენოს პრობლემის გადაჭრის არატიპური გზები, რომლებიც იმ მეთოდებისა და ხერხებისგან განსხვავდება, ძირითადი სამუშაოს შესრულების პირობებში რომ იყენებს. ჰოლანდიელი ფსიქოანალიტიკოსი, მანფრედ კეტს დე ვრიესი ამტკიცებს, რომ გატაცება, რომელიც პროფესიულ მოღვაწეობასთან არ არის დაკავშირებული, თავის ტვინის ისეთი უბნების გააქტიურებას იწვევს, რომლებიც მანამდე არ გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, ჰობი ხელს უწყობს, ადამიანმა უკეთ შეიცნოს თავი და გაამდიდროს მის ხელთ არსებული სამოქმედო არსენალი. ჰობის თანამედროვე ადამიანისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს – ზრდის თვითშეფასებას და საკუთარი თავის რწმენას გვმატებს, მოაქვს სულიერი კმაყოფილება და სიამოვნებას გვანიჭებს, გვამყოფებს გაწონასწორებულ მდგომარეობაში.

**– რის მიხედვით ირჩევს ადამიანი ჰობის? არის თუ არა ის კავშირში მის ხასიათთან?**

– ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ჩვენზე ზემოქმედებას ახდენს ჰობის არჩევისას. ადამიანმა შეიძლება, აირჩიოს ჰობის ესა თუ ის სახეობა იმის გამო, რომ მოდური და პრესტიჟულია. ამ შემთხვევაში, ის ორ რამეს აქცევს ყურადღებას: ერთია, რომ ჰობი ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს (თუმცა, ყოველთვის ასე არ ხდება) და მეორე, თუ რომელი ჰობია ამჟამად პოპულარული და პრესტიჟული. ბევრი ჩვენგანი იძულებულია, ჰობი სოციალური სტატუსის ან ფინანსური მდგომარეობის შესაფერისად აირჩიოს. ამ შემთხვევაში, რა თმა უნდა, ადამიანი არ მიჰყვება საკუთარ მისწრაფებას და შესაბამისად, ჰობი მიმბაძველობით სახეს იძენს.

ჰობის ვირჩევთ ასევე, ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე. მაგალითად, ფიტნესი, ტენისი, ფეხბურთი, კალათბურთი, სერფინგი, ნადირობა აქტიური ცხოვრების წესის გამოხატულებად ითვლება. ჩვეულებრივ, ასეთი ჰობის მქონენი მოძრავი, მოუსვენარი, კომუნიკაბელური და ტემპერამენტიანი ადამიანები არიან. ისინი ცხოვრების აზრს განუწყვეტელ მოძრაობასა და ახალი მწვერვალების დაპყრობაში ხედავენ. ადამიანები, რომლებსაც უყვართ სიმშვიდე, არ არღვევენ საკუთარი ცხოვრების რიტმს და ძნელად იტანენ მკვეთრ ცვლილებებს ისეთ ჰობის ირჩევენ, როგორიც კოლექციონერობაა. ისინი აზარტულნი და ამავე დროს, მორიდებული და მშვიდი ხასიათის არიან. მათი ეს გატაცება შეიძლება, იმ მოთხოვნილებით იყოს ნაკარნახევი, რომ შექმნან საკუთარი მინისამყარო, რომელიც მხოლოდ მათ ეკუთვნით და რომელშიც მათ მიერ დადგენილი წესები და კანონები იქნება.

ოთახის მცენარეებისა და შინაური ცხოველების მოვლით გატაცებული ადამიანები გამოირჩევიან წყნარი, მშვიდი, მზრუნველი და მომთმენი ხასიათით.

**– როგორ ყალიბდება ჰობი მოზარდებში? რა ასაკიდან არის სასურველი, რომ მოზარდს ჰობისადმი ინტერესი გაუჩნდეს?**

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოზარდობის ასაკში ბავშვს უკვე ჰქონდეს არჩეული გატაცება, რომელსაც ის სიამოვნებით დაუთმობს დროს. აუცილებელი არ არის, მოზარდმა თავი მხოლოდ იმ ჰობის მიუძღვნას, რომელიც ბავშვობის ასაკში აირჩია. მან შეიძლება, რაიმე ახალი გატაცებაც ნახოს. მთავარი ის არის, რომ მოზარდს პატარაობიდანვე აქვს საყვარელი საქმე, იმის ჩვევა და გამოცდილება, თუ რამდენად სასიამოვნოა აკეთებდე იმას, რაც მოგწონს. ხშირად ისედაც ხდება, რომ მოზარდი ჰობის ირჩევს იმ საქმიანობათა სპექტრიდან, რომელიც მის თანატოლებშია გავრცელებული. პატივი ეცით თქვენი შვილის არჩევანს, თუ ამას ზიანი არ მოაქვს მისთვის და გარშემო მყოფთათვის!

მშობელს შეუძლია, გამოხატოს თავისი აზრი ჰობის ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებით და რეკომენდაციაც გაუწიოს მოზარდ შვილს. მაგრამ, არ შეიძლება მას თავს მოახვიოთ თქვენი თვალსაზრისი და დაჟინებით მოითხოვოთ, გაიზიაროს. იმაზე ფიქრი, რომ ბავშვს მოზარდობის ასაკში რაიმე გატაცება ჰქონდეს, მშობელმა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უნდა დაიწყოს: დააკვირდეს ბავშვს, რა მოსწონს, რისი გაკეთება უყვარს, რისკენ აქვს მიდრეკილება და აი, სწორედ იმ მიმართულებით მისცეს მას განვითარების შესაძლებლობა.

**– როგორ განვავითაროთ ჰობისადმი ლტოლვა ბავშვობის ასაკში?**

– .ყველაზე მნიშვნელოვანია მშობლების ფაქტორი. როგორც ცნობილია, ბავშვებთან ურთიერთობის დროს, გაცილებით ეფექტურია პირადი მაგალითი, ვიდრე შეგონებები. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ მშობლებს აქვთ რაიმე გატაცება და ამას ბავშვი ხედავს, მისთვის ეს მოვლენა ბუნებრივი და ჩვეული ხდება. ასეთ გარემოში აღზრდილი ბავშვისთვის გაცილებით ადვილია, მომავალში ჰქონდეთ ჰობი, რომელსაც სიამოვნებით დაუთმობს თავისუფალ დროს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია თანდაყოლილი ნიჭი. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ დროს აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის თანდაყოლილი ნიჭი ან უნარი, რომელიც ბავშვს აღმოაჩნდა. ასევე, გასათვალისწინებელი ფაქტორია, მშობლების არარეალიზებული სურვილები. დედ-მამას ხშირად უნდა, შვილში მოახდინოს საკუთარი არარეალიზებული სურვილების ასრულება. თითქოსდა, შვილის გაჩენით, მათ ამის მეორე შანსი ეძლევათ. რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი, რადგან შვილისა და მშობლის გატაცება ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, მინდა, მივმართო მშობლებს: პატივი ეცით შვილის არჩევანს, ხოლო თუ ეს გიძნელდებათ, გაიხსენეთ საკუთარი თავი ბავშვობაში – რას განიცდიდით, როდესაც გაუგებრობას აწყდებოდით მშობლების მხრიდან.

**იმაზე ფიქრი, რომ ბავშვს მოზარდობის ასაკში რაიმე გატაცება ჰქონდეს, მშობელმა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უნდა დაიწყოს**

და კიდევ ერთი: თუ მოზარდი არაფრით ინტერესდება, ამ შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალია, გააფართოოთ ბავშვის თვალსაწიერი. ეწვიეთ მუზეუმებს, თეატრებს; მოაწყვეთ ექსკურსიები; გააცანით ბავშვს სხვადასხვა აქტივობა თუ საქმიანობა, რომლითაც მისი თანატოლები არიან დაკავებული. ამ ძიებაში ბავშვმა შეიძლება, იპოვოს ის, რაც მის შინაგან მოთხოვნილებას უპასუხებს. ბავშვი, რომელსაც აქვს უნარი, თავდავიწყებით აკეთოს ის, რაც მოსწონს და ამას სისტემატურად აკეთებს, არც მოზარდობის და მით უმეტეს, არც ზრდასრულ ასაკში დაივიწყებს ამას. დროთა განმავლობაში მას, რასაკვირველია, შეიძლება შეეცვალოს გემოვნება და რაიმე სხვა გატაცება ამოირჩიოს, მაგრამ მას უკვე ექნება ის უძვირფასესი გამოცდილება, რასაც თავისუფალი დროის საინტერესოდ და სასიამოვნოდ გატარება ჰქვია.

**თამუნა სამადაშვილი**

# შვედური აღნაგობის საიდუმლო

***ისიამოვნო გემრიელი საკვებით და თან წონაში დაიკლო – ზღაპარივით ჟღერს, არა?! არადა, ეს რეალობაა.***

ჯერ კიდევ ბებიებისგან გვესმოდა, რომ ცხიმიანი კერძები ასუქებს, მაგრამ, შვედმა მეცნიერებმა ეს სტერეოტიპი დაამსხვრიეს და მოდური შვედური დიეტის დევიზი ასე ჟღერს: „მიირთვი ნახშირწყლების დაბალი შემცველობისა და ცხიმების მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტები!“ დიეტის მთავარი პრინციპია: ჭამეთ მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილად გშიათ. ამისთვის კი ყური უნდა დაუგდოთ თქვენს კუჭს. როგორ? – ისევ და ისევ ცხიმიანი საკვების დახმარებით.



რაც ნაკლებ ცხიმს მივირთმევთ, მით ნაკლებად ვნაყრდებით. საქმე ისაა, რომ სასარგებლო ცხიმები ხელს უწყობს ქოლეცისტოკინინის სინთეზს. ეს არის ჰორმონი, რომელიც პასუხს აგებს დანაყრების შეგრძნებაზე. ცხიმების დეფიციტი იწვევს ტკბილეულის განსაკუთრებულ მოთხოვნილებას.

ნახშირწყლებით გაჯერებული საკვები, რომელიც მდიდარია შაქრითა და სახამებლით, როგორც შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, თავდაპირველად მკვეთრად ამაღლებს სისხლში შაქრის დონეს, ხოლო, ინსულინის გამომუშავებისთანავე, ხდება შაქრის დონის მკვეთრი ვარდნა, რაც იწვევს „გაუმართლებელი“ შიმშილის გრძნობას. ამიტომ, სულაც აღარ არის გასაკვირი, რომ ასეთ დროს თვალი და ხელი ისევ ტკბილეულისკენ გაგვირბის.

ცხიმები, როგორც ცნობილია, იყოფა ორ ჯგუფად: „ცუდი“ ცხიმები – ცხოველური, რომელიც ამაღლებს ქოლესტერინის დონეს და „კარგი“ ცხიმები – რომლებსაც შეიცავს მცენარეული ზეთები. შვედი მეცნიერები ამ თეორიას არ უარყოფენ, მაგრამ, არც იმისკენ მოგვიწოდებენ, რომ მკვეთრად შევზღუდოთ ცხოველური ცხიმების მიღება, რადგან, ქოლესტერინი პასუხს აგებს ნახშირწყლების მეტაბოლიზმზე, სქესობრივი ჰორმონების გამომუშავებასა და თირკმელზედა ჯირკვლის მუშაობაზე.

**ერთი დღის მენიუს ნიმუში:**

***საუზმე*** – 2 კვერცხისა და ერთი ნაჭერი ბეკონის ომლეტი, 1 ფინჯანი რძიანი ყავა.

***სადილი*** – 2 ნაჭერი მოხარშული ორაგული და ერთი ულუფა ისპანახი.

***ვახშამი*** – 1 ნაჭერი მოხარშული ქათმის ფილე სოკოსა და არაჟნის სოუსით (ვახშამი უნდა მიირთვათ არაუგვიანეს 19 საათისა).

ცნობილია, რომ შიმშილი იწვევს სტრესს და ჩვენც, გაუცნობიერებლად, ვირჩევთ ტკბილეულს, რომელიც გამოიმუშავებს სეროტინინს და, შესაბამისად, აუმჯობესებს განწყობას. მაგრამ, რაც უფრო მეტ ტკბილეულს მივირთმევთ, მით მეტი გვინდება.

აი, ცხიმოვანი საკვები კი საპირისპირო რეაქციას იწვევს: სისხლში შაქრის დონე იმატებს და მისი მკვეთრი დაცემა არ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭამის შემდეგ კარგა ხანს აღარ მოგშივდებათ.

შვედური დიეტის დროს იკრძალება: ლუდი, ტკბილი გაზიანი სასმელები, ძეხვეული, მარგარინი, ბანანი, ჩიპსი, პური (ცეხვილიც კი), კარტოფილი, სიმინდი, სტაფილო, ლობიო, ხილის წვენები, ნებისმიერი ნახევარფაბრიკატები და კონსერვები.

მცირე რაოდენობით დასაშვებია: რძე, თეთრი ღვინო, ახალგამოწურული ბოსტნეულის წვენები, ნიგოზი, კენკრა, მწარე (შავი) შოკოლადი, რომელიც შეიცავს მინიმუმ 70 პროცენტ კაკაოს.

ნებადართულია: კვერცხი, თევზი, კრევეტები, საქონლის ხორცი, მჭლე ღორის ხორცი, ბროკოლი, პომიდორი, კომბოსტო, ყველი, ნაღები, ნაღების კარაქი, ზეთისხილი, ავოკადო, ყავა.

დიეტის დაცვა ეკრძალებათ მათ, ვისაც თირკმელები, ღვიძლი და დიაბეტი აწუხებს.

# როგორ მოვუაროთ ხელებს ზამთარში

### ნაზი გაწმენდა

ახლაც კი, ზამთრის სეზონზე, უმჯობესია, ხელები დაიბანოთ ოთახის ტემპერატურის წყლით. ცხელი წყლით დაბანა რეკომენდებული არ არის, რადგან, ცხელი წყალი კანს უკარგავს ელასტიკურობას და იწვევს აქერცვლას. დაბანის შემდეგ ხელები კარგად უნდა გაიმშრალოთ და წაისვათ ხელის კრემი ან გლიცერინი.



### რეგულარული დატენიანება

სეზონის ტრენდია აბრეშუმის პროტეინების შემცველი კრემები, რომლებსაც კანი ადვილად შეიწოვს. ეს კრემები ატენიანებს კანს, აუმჯობესებს კანის განახლების პროცესს, ხელს უწყობს ნახეთქების შეხორცებას.

### ყოველდღიური ყურადღება

კანის გაუწყლოება ხშირად ახდენს დუდკოების წარმოქმნის პროვოცირებას, რის გამოც ხელები გამოიყურება უწესრიგოდ. ასეთმა მდგომარეობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ნუნების ანთება. დუდკოების მოშორების წინ არ დაგავიწყდეთ ხელების ცხელ წყალში დალბობა. ამ უსიამოვნო პროცედურის პროფილაქტიკისთვის, ყოველდღიური მოვლის რეჟიმში ჩართეთ ნუშზე დამზადებული კოსმეტიკური ზეთი, რომელიც სპეციალურად ნუნებისთვის არის განკუთვნილი.

### ერთი წვეთი ზეთი

თქვენი ხელების კიდევ ერთი დიდი მეგობარია ქოქოსის ზეთი. ის მდიდარია არა მხოლოდ A, C, E ვიტამინებითა და ბუნებრივი ანტიოქსიდანტებით, არამედ, შეიცავს ბუნებრივ დამატენიანებელს – ჰიალურონის მჟავას. ქოქოსის კაკალი ძალიან უხდება ხელების მშრალ, მგრძნობიარე და ადვილად გაღიზიანებად კანს აქერცვლის ნიშნებით.

### სწორი კვება

ძალიან ხშირად სწორედ ხელები გვაძლევს სიგნალს იმის შესახებ, რომ ორგანიზმს ვიტამინები ან მიკროელემენტები აკლია. მაგალითად: B ვიტამინის ნაკლებობის შესახებ მიანიშნებს მტვრევადი ფრჩხილები დატალღული ზედაპირით. B ჯგუფის ვიტამინების აღდგენა შეიძლება რაციონში მეტი სტაფილოს, ისპანახის, ყავისფერი ბრინჯისა და ნიგვზის ჩართვით.

### ერთი ყლუპი ჰაერი

მანიკიურის გაკეთებისას არ დაგავიწყდეთ, რომ ფრჩხილებსაც სჭირდება სუნთქვა. ამიტომ, კვირაში ორჯერ მაინც, მოიშორეთ ლაკი და ხელები დაიბანეთ, ახალი ფენა კი მხოლოდ მეორე დილით წაისვით.

### სითხის ბალანსი

ორგანიზმში სითხის ნაკლებობა იწვევს კანის გაუწყლოებას, რის გამოც, პირველ ყოვლისა, ზარალდება ხელები. ხელების კანი ისედაც უფრო მშრალია, ვიდრე სახის კანი. ზამთარში, შენობაში, სადაც ჩართულია ცენტრალური გათბობა ან ელექტროგამათბობლები, სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება. ამიტომ, ხელების კანმა კიდევ უფრო მეტად რომ არ დაკარგოს ტენიანობა, არ დაგავიწყდეთ ორგანიზმში სითხის ბალანსის შევსება და დალიეთ დღეში 2 ლიტრი წყალი. ასევე, დადგით ოთახში ჰაერის დამატენიანებელი, ან, უბრალოდ, წყლიანი ჭურჭელი.

### ზრუნვა დაცვაზე

ხელის კანის დაცვის კიდევ ერთი მეთოდია სპეციალური სარეცხი საშუალებების გამოყენება, რომლის ფორმულაც, ჭურჭლის რეცხვის დროს, იცავს ხელებს ტენის დაკარგვისგან და ზრუნავს მის სილამაზესა და ახალგაზრდობაზე.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ვიცი, რომ არსებობს კანის ლიფტინგი. მაინტერესებს, არსებობს თუ არა თმის ლიფტინგი?**

**პასუხი:** დიახ, თმის ლიფტინგი არსებობს. ეს არის პროცედურა, რომლის შედეგადაც 30 წუთის განმავლობაში დაზიანებული თმა აღდგება, ხდება მოცულობითი და ბზინვარე. თმის ლიფტინგს აკეთებენ სპეციალური ულტრაბგერითი და ინფრაწითელი სხივის მქონე მაშებითა და კოსმეტიკით, რომელიც არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს. ულტრაბგერა ეხმარება კერატინსა და პროტეინს, მკვებავი ნიღბიდან თმის სტრუქტურაში შეაღწიოს, ინფრაწითელი სხივი კი ამაგრებს თმის ბოლქვებს. მაშების განსაკუთრებულობა ისაა, რომ ისინი ცივია და არ აფუჭებს თმას.

**კითხვა: არის თუ არა ფრჩხილების გელი მავნებელი?**

**პასუხი:** ფრჩხილის გელი აბსოლუტურად უვნებელია, თუ დაიცავთ რამდენიმე მარტივ წესს; გელი-ლაკი ფრჩხილებიდან უნდა მოიშოროთ მაქსიმუმ 2-2,5 კვირის შემდეგ. საქმე ისაა, რომ ფრჩხილების სპეციალური საბაზო საფარი, რომელიც ისმევა გელის ქვეშ და იცავს ფრჩხილებს ლაკიდან მავნე ნივთიერებების შეწოვისგან, დაცვით ფუნქციებს კარგავს 14-17 დღის შემდეგ. თუ წასმიდან ამ დროის გასვლისთანავე არ მოიშორეთ გელი-ლაკი, ფრჩხილები დაზიანდება. ასევე, უმჯობესია, თუ გელლაკს პერიოდულად ჩაანაცვლებთ სპეციალური ლაკით ან ფრჩხილების გასამაგრებელი საშუალებებით, რათა ფრჩხილებმა მძიმე საფარისგან დაისვენოს.

**კითხვა: სახეზე დიდი ხნის განმავლობაში მქონდა ჩირქოვანი გამონაყარი. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ჩირქოვანი წერტილები აღარ მაქვს, მაგრამ, დამრჩა ნაწიბურები. მაინტერესებს, რა თანამედროვე მეთოდებით შეიძლება მათი მოშორება?**



**პასუხი:** ნაწიბურების მოსაშორებლად გამოიყენება ლაზერული ან მექანიკური პილინგი, მაგრამ, ეს ძალიან მტკივნეული პროცედურებია, რეაბილიტაციის ხანგრძლივი პროცესით. მსუბუქი ქიმიური პილინგები სასურველ შედეგს არ იძლევა; ინიექციური მეთოდიკა (მაგალითად, მეზოთერაპია) დამხმარე საშუალებად ითვლება და მხოლოდ უმნიშვნელოდ ამცირებს ნაწიბურს. ყველაზე ეფექტური და უსაფრთხო თანამედროვე მეთოდია ლაზერული ნანოპერფორაცია, რომელიც მთლიანად აღადგენს კანს, თანაც ისე, რომ მას არ აზიანებს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ იძია შური ყოფილმა რეციდივისტმა ძალოვნებზე საკუთარი ცოლ-შვილის გამო

## შურისძიება

საძინებელი ოთახის კარი მოულოდნელად გაიღო და საწოლში მონებივრე წყვილმა პისტოლეტმომარჯვებული მამაკაცი დაინახა, რომელმაც მათ იარაღი მიუშვირა და კბილებში გამოსცრა:

– კრინტი არ დაძრათ, თორემ ადგილზევე დაგხოცავთ.

წყვილი შიშისგან აკანკალდა. დაუპატიჟებელი სტუმარი კი მათ მიუახლოვდა და თავში იარაღის ტარის ჩარტყმით ორივე გათიშა, შემდეგ სარდაფში ჩაათრია, რკინის ძელზე შიშვლები მიაბა, წყლის მისხმით გამოაფხიზლა და უთხრა:

– მიცანი, შე ნაბოზარო?

ქალი ყურადღებით დააკვირდა ორმოციოდე წლის მამაკაცს, თავი გააქნია და ამოილუღლუღა:

– ვერა.

შეიარაღებული უცნობი ახლა კაცს მიუბრუნდა:

– ვერც შენ მიცანი?

– ვერა, – თქვა კაცმაც და თავი ჩაღუნა.

– ვის-ვის და თქვენ მაინც უნდა გეცნეთ, თქვე ნაბოზრებო! – კბილებში გამოსცრა შეიარაღებულმა და დაამატა, – მინდია ვარ, წიკლაური.

კაცის სიტყვებზე, ძელზე მიბმულებმა თვალები გადმოკარკლეს და შეძრწუნებულებმა შეხედეს მას, ქალმა ეჭვით გააქნია თავი:

– ეს შეუძლებელია, წიკლაური ხუთი წლის წინ სიკვდილით დასაჯეს.

– და, მაინც, ეს მე ვარ, – თქვა შეიარაღებულმა. შემდეგ გულ-მკერდი გადაიღელა და წყვილს გულის მხარეს დახატული ქრისტეს სახე დაანახვა, – ვერც ახლა მიცანით?

– ეშმა? – შეჰკივლა ქალმა და გვერდით მიბმულ მამაკაცს უთხრა, – ვერ იცანი? ეს ხომ წიკლაურია, მეტსახელად ეშმა?

– მე ეშმა კი არა, ღვთის მახვილი ვარ და ამქვეყნად იმიტომ მოვბრუნდი, რომ თქვენნაირები გავანადგურო! – თქვა წიკლაურმა. შემდეგ სამართებელივით ალესილი ხანჯალი ამოაცურა ქამრიდან და დაამატა, – აი, ამით უნდა ამოგხადოთ სული.

– რას მერჩი, მინდია, – ამოილუღლუღა ქალმა, – მე ხომ ფაქტებზე დაყრდნობით ვმოქმედებდი და ჩემს მოვალეობას ვასრულებდი. ფაქტები კი პროკურატურამ შეკრიბა და პასუხიც მათ უნდა მოსთხოვო.

მის გვერდით მიბმულმა კაცმა ზიზღით შეხედა ქალს და უთხრა:

– პასუხისმგებლობის თავიდან აცილება გინდა, არა? – გადაიხარხარა შეშლილივით, – განა შენ არ იცოდი, რომ წიკლაური ამ საქმეში მართალი იყო? შენც ისევე, როგორც ჩვენ, ზემდგომების ბრძანებას ასრულებდი. განა შენ არ მითხარი განაჩენის გამოტანის წინ, წიკლაურს ტყუილად დახვრეტენო?

– მხდალო ნაძირალავ! – იკივლა ქალმა და მეწყვილეს შეაფურთხა, – ის ეშმა იყო, რეციდივისტი, საზოგადოებისთვის საშიში და ადრე თუ

**„ეშმამ“ ჯალათ მაიორს მუცელი გაუფატრა, თავი მოჰკვეთა და წავიდა**

გვიან, მაინც საშინელებას ჩაიდენდა. თუმცა, არც მანამდე სჩადიოდა სიკეთეს.

წიკლაურმა სინანულით გააქნია თავი:

– საშინელება არასოდეს ჩამიდენია. მართალია, ქურდი და მძარცველი ვიყავი, მაგრამ პატიოსანი ადამიანი არასოდეს შემიწუხებია. მხოლოდ თქვენნაირ წურბელებს ვძარცვავდი და ვავიწროებდი, პატიოსნებს კი ვეხმარებოდი. ბოლოს მოვინათლე, ავაზაკობას თავი დავანებე და ოჯახს მოვეკიდე. სწორედ მაშინ დამღუპეთ და ახლა სამაგიერო უნდა გადაგიხადოთ. ჩემი ცოლ-შვილი განადგურდა და ამაში თქვენ ხართ დამნაშავე. ამიტომ, უნდა განადგურდეთ თქვენც!

წიკლაურმა ალესილი ხანჯალი მოიქნია და ძელზე მიბმულ მამაკაცს სასქესო ორგანო მოჰკვეთა. შემდეგ მუცელი გაუფატრა. შიგნეულობას აჭრიდა და იქვე ყრიდა. ამ სცენის შემხედვარე ქალი მთელი ხმით კიოდა, მაგრამ მიწის სიღრმეში მოთავსებული სარდაფის კედლებიდან გარეთ ხმა არ აღწევდა. ბოლოს, წიკლაურმა მამაკაცს თავი მოჰკვეთა და იქვე დააგდო. მერე ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

– ახლა შენი ჯერია. ჯოჯოხეთში წასასვლელად მოემზადე.



– არ მომკლა, მინდია, მაპატიე, – აკივლდა ქალი.

წიკლაურმა ზიზღით შეხედა ქალს, ჩაეცინა, სახეში შეაფურთხა და უთხრა:

– წამებით, საშინელი წამებით უნდა მოგკლა, – შემდეგ ქალსაც ისევე მოექცა, როგორც მამაკაცს.

ეს მოხდა სოხუმის ერთ-ერთი კერძო სახლის სარდაფში. მოკლულები იყვნენ – 46 წლის აზა ხულია და 48 წლის ვარდენ კერესი. ხულია მოსამართლე იყო, კერესი კი პროკურორი. ისინი საყვარლები იყვნენ და სოხუმში ფარულად იყვნენ ჩასული. ოჯახის წევრებს უთხრეს, მივლინებაში მივდივართო.

სახლი, სადაც ეს საშინელი მკვლელობა მოხდა, აზა ხულიას ეკუთვნოდა.

## „ეშმა“

წარმოშობით თბილისელი, 40 წლის მინდია წიკლაური სამჯერ იყო ნასამართლევი ძარცვა-ქურდობისთვის და 32 წლის რომ შესრულდა, ცხოვრების 15 წელი ციხეში ჰქონდა გატარებული. მეგობრებმა მას „ეშმა“ შეარქვეს. ამიტომ, შავ სამყაროში და მილიციაშიც ეშმას ეძახდნენ. 33 წლის რომ შესრულდა, წიკლაური მოინათლა, ბოროტმოქმედების გზას განუდგა და დაოჯახდა. ერთი წლის შემდეგ, ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ქეთევანი დაარქვა.

1970 წლის მარტში, თბილისში, ერთ-ერთი ძალიან ცნობილი იატაკქვეშა მილიონერი გაძარცვეს და ცოლთან ერთად მოკლეს. მილიციამ ყველა ცნობილი ბოროტმოქმედი აიყვანა და მათ შორის მინდიაც, რომელსაც იმ დროისთვის ძველი საქმიანობისთვის თავი დანებებული ჰქონდა და მძღოლ-ექსპედიტორად მუშაობდა.

ქალაქის მილიციის სამმართველოში დაკითხეს შემდეგ, წიკლაური ჯერ სასტიკად აწამეს, მაგრამ სასურველი ჩვენება ვერ მიიღეს, საკანში გამოამწყვდიეს და სამი დღე არ გაჰკარებიან. მეოთხე დღეს გაძარცვულების მეზობელი დაუპირისპირეს, რომელმაც მას ხელი დაადო და თქვა, ამ საშინელების ჩამდენი მინდია იყოო. მოწმე – 75 წლის ქალი ორ კვირაში გარდაიცვალა, ხოლო მინდია მხოლოდ იმ ერთადერთი ჩვენების საფუძველზე გაასამართლეს. ამ საქმეს ვარდენ კერესი იძიებდა, დახვრეტა კი აზა ხულიამ მიუსაჯა.

მინდია ჯერ კიდევ თბილისის ციხის სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა, როცა შეიტყო, რომ მისი მეუღლე და ქალიშვილი – 6 თვის ჩვილი, დაიღუპნენ. მინდიამ გაარკვია, რომ კუთვნილი ოროთახიანი ბინა, არსებულ ქონებასთან ერთად კონფისკაციით ჩამოართვეს. მისი ცოლ-შვილი კი თავსხმა წვიმაში გარეთ გაასახლეს. მინდიას მეუღლე ბავშვთან ერთად კახეთში, მშობლებთან გაემგზავრა, გზაში მათ მეხი დაეცა და დაიღუპნენ...

წიკლაურმა რომ ეს ისტორია გაიგო, სიკვდილმისჯილთა საკანში მუხლებზე დაემხო და სამი საათის განმავლობაში სთხოვდა უფალს ცოლ-შვილის სულის ცხონებას. ბოლოს ღმერთს თავისი გადარჩენა შეავედრა და დაიფიცა, რომ თუ არ მოკვდებოდა, აუცილებლად გადაუხდიდა ყველას სამაგიეროს.

მინდია წიკლაური მოულოდნელად თბილისიდან ეტაპით წაიყვანეს და უთხრეს, რომ მოსკოვში გადაჰყავდათ. თუმცა, მატარებელი ციმბირისკენ გაემგზავრა და პატიმრები პატარა დაბა შახტინსკაიაში შუაგულ ტაიგაში ჩამოსვეს. იქ ურანს მოიპოვებდნენ და ამ რადიაციული ნივთიერების მოპოვებაზე პატიმრებს ამუშავებდნენ. ყოველგვარი დამცველი საშუალების გარეშე მომუშავე პატიმრები სამ-ოთხ თვეში იხოცებოდნენ. მინდიაც, სხვა პატიმრებთან ერთად სწორედ ამიტომ ჩაიყვანეს შახტინსკაიაში. მეორე დღეს პატიმრები სამუშაოდ უნდა გაეყვანათ, მაგრამ ღამით ტაიგაში უზარმაზარი მეტეორიტი ჩამოვარდა, აფეთქდა და ნგრევა და ხანძარი გამოიწვია. კოლონია, რომელშიც 120 პატიმარი და 60 ზედამხედველი იმყოფებოდა, მთლიანად მიწასთან გასწორდა. ადამიანები ცეცხლმა დაანახშირა, მხოლოდ მინდია გადაურჩა ამ უბედურებას. ის ღრმა გვირაბში ჩავარდა, რომელიც ბუნებრივად იყო გაყვანილი და ექვსსაათიანი ხოხვის

## წიკლაურის ცოლი და 6 თვის ჩვილი კახეთში მიემგზავრებოდნენ, როცა თავსხმა წვიმაში მეხი დაეცათ და დაიხოცნენ

შემდეგ, შემთხვევის ადგილს ორი კილომეტრით მოშორდა.

გადარჩენილი წიკლაური, ვინმე მონადირე სახტარმა შეიფარა, რომელიც განკურნა და შემდეგ თავის ქალიშვილზე დააქორწინა. ეშმამ იმ მხარეში ოთხი წელი გაატარა და ორი შვილი – ქალ-ვაჟი შეეძინა. ბოლოს მეუღლეს გამოემშვიდობა და შურის საძიებლად სამშობლოში დაბრუნდა.

### ღამის მოჩვენებანი

ხუთწლიანი განშორების შემდეგ, საქართველოს დედაქალაქში დაბრუნებული მინდია საგრძნობლად იყო შეცვლილი – 40 წლის კაცს ბევრად უფრო დიდი შეხედულება ჰქონდა. თუმცა, ფიზიკურად ის ძლიერი იყო და შურისძიების წყურვილი ძალებს უათმაგებდა. წიკლაურს არც ფული აკლდა, სიმამრმა მისცა. იარაღის შოვნა კი ძველმა კავშირებმა გაუადვილა. მინდია ავლაბარში დასახლდა და გეგმის განხორციელებას შეუდგა.

ეშმა მალევე დაადგა აზა ხულიასა და ვარდენ კერესის კვალს. მას შემდეგ კი, რაც ისინი სოხუმში მოიხელთა და საშინელი წამებით ამოხადა სული, კვლავ თბილისში დაბრუნდა. ახლა მაიორ ლიპტონ კარკასიაზე დაიწყო ნადირობა, რომელიც მას მილიციის სამმართველოში აწამებდა. კარკასიასთვის სამაგიეროს გადახდაზე მეტად, წიკლაურს მისი გამოტეხვა უნდოდა. კარგად ახსოვდა, თუ როგორ წამოსცდა მთვრალ კარკასიას ეშმას მორიგი წამებისას: „ნურც შენ წვალობ და ნურც მე მაწვალებ. თქვი, რომ ცოლ-ქმარი ჭიხურიები შენ დახოცე და გულწრფელი აღიარებისთვის არ დაგხვრეტენ. ასეა საჭირო, დაწერე, ყველაფერი შენს თავზე აიღე. ნუღარ გამოაქექინებ სხვებს ამ საქმეს. რომ არ აღიარო, დაგხვრეტენ, ასე კი გადარჩენის შანსი გაქვს“.

წიკლაურს ენიშნა, რომ კარკასიამ რაღაც იცოდა. ამ ხუთი წლის განმავლობაში ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა. სოხუმში ჩადენილი მკვლელობიდან ორ კვირაში ეშმამ ლიპტონ კარკასია ჯერ დაათრო, შემდეგ ნაქირავები ბინის სარდაფში ჩაათრია და საშინლად აწამა, ბოლოს კი უთხრა:

– ალბათ, ვერ მიცანი?

– ვერა.

წიკლაურმა გულ-მკერდი გადაიღელა და მაიორ ჯალათს სვირინგი დაანახვა.

– ღმერთო ჩემო, ეშმა! – აღმოხდა კარკასიას.

მინდიამ კიდევ ხუთიოდე წუთი აწამა ლიპტონი და ბოლოს უთხრა:

– ეჭვი მაქვს, რომ იცი, ვინ დახოცა ცოლ-ქმარი ჭიხურიები. გახსოვს, რა მითხარი, როცა მთვრალი მაწამებდი?

– მახსოვს, თქვა კარკასიამ, – ჩვენ არა მარტო ჭიხურიების, არამედ მრავალი სხვა ოჯახი გავძარცვეთ. შენი დაჭერის იდეა კი პოდპოლკოვნიკმა შეუგდო უფროსებს, რომ ჩვენგან ეჭვი აეცილებინა.

– კონკრეტულად ილაპარაკე, – წიკლაურმა მაიორს ყელზე სიგარა მიადო.

ცოცხალმკვდარმა კარკასიამ წიკლაურს უამბო, რომ პოდპოლკოვნიკ ალიოშა ქერქეტაძეს მილიციელთა ხუთკაციანი მძარცველების ბანდა ჰყავდა და სწორედ ისინი სჩადიოდნენ ამ დანაშაულს.

– ჭიხურიებთან რომ შევიჭერით, ქალმა ალიოშა იცნო, რადგან მისი გარე ბიძაშვილი იყო. იძულებულები გავხდით, ორივე დაგვეხოცა. სხვათა შორის, ამ საქმეებს თავად ქერქეტაძე იძიებდა. თუმცა, ამ სამი თვის წინ უშიშროებამ წაიღო და ალიოშა ძალიან იყო შეშფოთებული.

კარკასია მართალს ამბობდა. „კაგებეს“ გამომძიებლის, მაიორ მიხეილ დანელიას მიერ ჩატარებული ძიება წარმატებით მიმდინარეობდა. ის მალე დაადგა ღამის მოჩვენებების კვალს, რომლებსაც სასტიკ მძარცველებს უწოდებდა.

იმ დროს, როცა წიკლაური კარკასიას აწამებდა, დანელიას უკვე ოთხი ეჭვმიტანილი ჰყავდა დაპატიმრებული და კარკასიას ეძებდა. თუმცა, მას უკვე ცოცხალს ველარ მიუსწრეს და წიკლაურის ნაქირავები ბინის სარდაფში იპოვეს თავმოკვეთილი.

დააპატიმრეს მინდია წიკლაურიც, რომელიც ქერქეტაძის სახლის სადარბაზოში აიყვანეს. დაპატიმრებულმა მილიციელებმა, რომლებიც ექვსი წლის განმავლობაში დაუსჯელები თარეშობდნენ თბილისში, დანაშაული აღიარეს. ისინი გასამართლების შემდეგ დახვრიტეს.

სიკვდილი მიესაჯა წიკლაურსაც, მაგრამ ის სიკვდილმისჯილთა საკანში გარდაიცვალა.

**ნიკა ლაშაური**


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ

**ნინო ჯანელიძე**

**ტელეფონები: 252-79-57; 555-33-91-66.**


## რა მოხდა ამ დღეს

### 18 თებერვალი

1825 – იაპონიამ გამოაცხადა თვითიზოლაცია და უცხო ქვეყნების მოქალაქეებს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა.

1913 – ინგლისელმა ქიმიკოსმა ფრედერიკ სოდიმ დაამტკიცა ქიმიური ელემენტების – იზოტოპების არსებობა. მანვე შემოიღო ტერმინი „იზოტოპი“.

1930 – ამერიკელმა მეცნიერმა კლოდ ტომბომ აღმოაჩინა მზის სისტემის ბოლო პლანეტა – პლუტონი.

1979 – მოხდა უცნაური ფაქტი – საჰარის უდაბნოში თოვლი მოვიდა.

### 19 თებერვალი

1199 – რომის პაპმა ინოკენტი მესამემ დაამტკიცა ტევტონთა ორდენი.

1878 – თომას ალვა ედისონმა დააპატენტა ფონოგრაფი (პირველი ხმის ჩამწერი მოწყობილობა).

### 20 თებერვალი

1872 – ნიუ-იორკში გაიხსნა „მეტროპოლიტენ მუზეუმი.“

1932 – სტალინის ბრძანებით ლევ ტროცკის ჩამოერთვა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა.

1940 – ეკრანზე პირველად გამოვიდა მულტფილმი „ტომი და ჯერი“.

1962 – პირველი ამერიკელი ასტრონავტი გახდა ჯონ გლენი.

1988 – დაიწყო ყარაბაღის კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

### 21 თებერვალი

1431 – დაიწყო ჟანა დ’არკის სასამართლო.

1804 – რიჩარდ ტრევიტმა წარადგინა პირველი ორთქლმავალი, რომელმაც 10 კილომეტრზე გადაიტანა 10 ტონა ტვირთი.

1858 – ბოსტონელმა ედვინ ჰოლმსმა პირველად დაამონტაჟა თავის ბინაში ელექტროსიგნალიზაცია.

1940 – პოლონეთში დაიწყო საკონცენტრაციო ბანაკ ოსვენციმის მშენებლობა.

1953 – უიტსონმა და კრიკმა გაშიფრეს დნმ-ის სტრუქტურა.

### 22 თებერვალი

1630 – ინგლისელმა კოლონისტებმა ამერიკაში პირველად გასინჯეს პოპკორნი, რომელიც მათ ინდიელებმა შესთავაზეს.

1828 – ერევანი რუსეთის იმპერიას შეუერთდა.

1930 – მენსფილდში (ინგლისი) პირველად ჩატარდა საფეხბურთო მატჩი სტადიონის ელექტროგანათების ქვეშ.

1935 – თვითმფრინავებს აეკრძალათ „თეთრი სახლის“ ზემოდან გადაფრენა.

### 23 თებერვალი

1863 – ინგლისელმა მოგზაურებმა – სპიკმა და გრანტმა, აღმოაჩინეს მდინარე ნილოსის სათავე.

1874 – უოლტერ უინგფილდმა გამოიგონა სპორტის ახალი სახეობა – ტენისი.

1893 – რუდოლფ დიზელმა (გერმანია) დააპატენტა „დიზელის ძრავა“ და „დიზელის საწვავი“.

1910 – ფილადელფიაში შედგა საერთაშორისო შეჯიბრება რადისტთა შორის მორზეს ანბანის გადაცემის სისწრაფეში.

1996 – ერაყში სადამ ჰუსეინმა სიკვდილით დასაჯა თავისი „მოღალატე“ ორი სიძე.

1997 – „დაიბადა“ პირველი კლონირებული ცხვარი – „დოლი“.

### 24 თებერვალი

1525 – სავიის ბრძოლაში ესპანელებს ტყვედ ჩაუვარდა საფრანგეთის მეფე – ფრანსუა პირველი.

1848 – საფრანგეთში დაიწყო „თებერვლის რევოლუცია,“ რომელმაც დაამხო მეფე ლუი-ფილიპი.

1938 – მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს პირველი სინთეტიკური კბილის ჯაგრისები.

1964 – კასიუს კლეი (მუჰამედ ალი) პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი კრივში.

# რატომ მოკლა 60 წლის ქალმა საკუთარი და და რა ვერ გაიყვეს მათ



57 წლის ბელა კ-შვილის დასახიჩრებული გვამი სამართალდამცველებმა მის საკუთარ სახლში აღმოაჩინეს. ქალს გულ-მკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული; მას, ასევე, დაზიანებული ჰქონდა სახის არე, რაც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებდა.

სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, მაგრამ, გამოძიებას ხელჩასაჭიდი, გარდა მკვლელობის ადგილას აღმოჩენილი დანისა, ბევრი არაფერი გააჩნდა. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი დანით ქალს მძიმე დაზიანებები ჰქონდა მიყენებული. ადამიანი, ვინც გარდაცვლილის გვამი აღმოაჩინა, იმ ბინის მეზობლად ცხოვრობდა, სადაც მკვლელობა მოხდა. მოგვიანებით მან სამართალდამცველებთან განაცხადა: „ბელა კ-შვილს კარგად არ ვიცნობდი. მისი და, ლაურა კ-შვილი, ჩემ გვერდით მდებარე ბინაში საცხოვრებლად სამი წლის წინ გადმოვიდა. ჩვენ შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა. ლაურა მარტოხელა ქალი იყო, შვილი ევროპაში ჰყავდა. ის ხშირად ახსენებდა თავის ერთადერთ დას, ბელას, რომელიც იმ პერიოდში დაკავებული იყო და სასჯელს იხდიდა. თავიდან ლაურა ამბობდა, ჩემი და თაღლითების მსხვერპლი გახდაო, თუმცა, მოგვიანებით, ჩვენი საერთო ნაცნობებისგან შევიტყვე, რომ ბელა უდანაშაულოდ არ იყო დაჭერილი და ბევრი ადამიანის ცოდვა ედო. ბელა ციხიდან სამი თვის წინ გათავისუფლდა და დის ბინაში მოვიდა. ის თითქმის სულ სახლში იყო ხოლმე, გარეთ იშვიათად გადიოდა. რამდენჯერმე მე თვითონ გავხდი მომსწრე, როგორ მოადგნენ სახლში მისგან მოტყუებული ადამიანები, რომლებიც დაკარგული ფულისა და ბინების დაბრუნებას ითხოვდნენ. ერთხელ ისეთი ჩხუბი ატყდა, პოლიციაც კი გამოიძახა ლაურამ. მკვლელობამდე ორი დღით ადრე ლაურა ფოთში წავიდა, ვიცოდი, რომ ბელა სახლში მარტო დარჩა, გვიანი ღამე იყო, ჩემი შვილი რომ დაბრუნდა სახლში. კარი რომ გავუღე, ჩემი მეზობლების ბინის კარიც იმ დროს გაიღო, ბინიდან ჩემთვის უცნობი, ასაკოვანი მამაკაცი გამოვიდა და კიბეს ჩაუყვა. გამიკვირდა, ასე გვიან ვინ უნდა ყოფილიყო ჩემს მეზობლებთან. ის მამაკაცი, სანამ კიბეს ჩაუყვებოდა, მომესალმა კიდეც, თუმცა, მე ვერ ვიცანი და სახლში შევბრუნდი. ამის შემდეგ საეჭვო არაფერი გამიგია. დილით ლაურასთან მოვიდა ფოსტის წარმომადგენელი, რომელმაც ჩემთან დარეკა და მთხოვა, თქვენი მეზობლების კარზე ზარს ვრეკავ, არავინ მპასუხობს. ამიტომ, იქნებ თქვენ დაიტოვოთ ამანათი, რომელიც დებს იტალიიდან გამოუგზავნესო. დავინახე, რომ ჩემი მეზობლების ბინის კარი ოდნავ შეხსნილი იყო, შევედი ბინაში და საწოლ ოთახში ბელას ცხედარი აღმოვაჩინე. მაშინვე პოლიციაში დავრეკე, მათ სასწრაფო დახმარების სამსახური გამოიძახეს, მაგრამ, როგორც გაირკვა, ბელა კ-შვილი უკვე რამდენიმე საათის გარდაცვლილი იყო".

ოპერატიულმა სამსახურმა ბელა კ_შვილის წარსულისა და სანაცნობო წრის გადამოწმება დაიწყო. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ბელა კ-შვილი წლების წინ რაიონში ცხოვრობდა და საბავშვო ბაღის ექთნად მუშაობდა. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც შვილი არ ეყოლა და წლების შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ამის შემდეგ ბელას მეუღლე სხვა ქალზე დაქორწინდა, ბელა კი მარტოხელა დასთან გადავიდა საცხოვრებლად. დაპატიმრებამდე რამდენიმე წლით ადრე, მან იპოთეკური სესხების ოფისი გახსნა, სადაც უფროსი და – ლაურაც მასთან ერთად მუშაობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ დებს შორის უსიამოვნება მოხდა და ისინი ერთმანეთს დიდი სკანდალით დაშორდნენ, თუმცა მას შემდეგ რაც ბელა კ-შვილი თაღლითობის მუხლით მოხვდა ციხეში, უფროსი და უმცროსს იქაც პატრონობდა. რა გახდა დებს შორის დაპირისპირების მიზეზი, ეს გამოძიებისთვის უცნობი იყო, ამ ისტორიაში სიმართლის დადგენას გამოძიება მაშინაც ცდილობდა, როცა ლაურა ციხეს გადაურჩა, ბელა კი ციხეში აღმოჩნდა. ნათესავები ამბობდნენ, რომ ბელამ დის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებიც თავის თავზე აიღო, რის სანაცვლოდაც და მას ციხეში პატრონობას შეჰპირდა.

ლაურა კ-შვილი გამოძიების ინტერესის არეალში იმ დღესვე მოხვდა, როცა მისი დის გვამი აღმოაჩინეს. ამის შესახებ ქალს ტელეფონით შეატყობინეს მეზობლებმა. ლაურა კ-შვილი შემთხვევის ადგილზე რამდენიმე საათში მივიდა: რაიონში ვიყავი ჩასული და უფრო ადრე ჩამოსვლა ვერ მოვახერხეო, – განაცხადა ოჯახის ახლობლებთან, რომლებიც მას სახლში დახვდნენ. გამოძიებამ ლაურა კ-შვილი იმავე დღეს დაკითხა, თუმცა, მისმა მონათხრობმა გამოძიებას ბევრი არაფერი შეჰმატა. ამონაწერი ლაურა კ-შვილის ჩვენებიდან: „ფოთში ბინის გასაყიდად წავედი – მეზობელმა დამირეკა, კარგი კლიენტი გამოჩნდა და ჩამოდიო. ბელაც ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყო, მაგრამ, იმ დღეებში მაღალი წნევა ჰქონდა და ვუთხარი, შენ რაღა გინდა, მაგ საქმეს უშენოდაც მივხედავ-მეთქი. როდესაც ფოთში ჩავედი, დავურეკე და მოვიკითხე, მეორე დილითაც დავურეკე. თბილისში იმავე საღამოს უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ, საქმეებს ვერ მოვრჩი და მეორე დღესაც დავრჩი. მერე მეზობლებმა დამირეკეს და გამაგებინეს, რაც მოხდა." გამოძიებისთვის საინტერესო კითხვებზე ლაურა კ-შვილს პასუხები არ ჰქონდა. როგორც მან განაცხადა, მათთან ხშირად მოდიოდნენ ის ადამიანები, ვისთანაც ბელა კ-შვილი წარსულში საქმიანი ურთიერთობით იყო დაკავშირებული. ლაურა კ-შვილმა რამდენჯერმე ახსენა დის ყოფილი მეუღლეც, რომელსაც ქალი ფინანსურად ხშირად ეხმარებოდა. „გაჭირვებული კაცია და ბელას ყოველთვის ეცოდებოდა, ამიტომაც ფულს ხშირად სჩუქნიდაო", განაცხადა მან გარდაცვლილი დის ყოფილი მეუღლის შესახებ სამართალდამცველებთან. გამოძიებამ დაკითხა მოკლული ქალბატონის მეუღლე, რომელმაც თავად განაცხადა, რომ ქალს მისივე სატელეფონო ზარის შემდეგ, ღამის თორმეტ საათზე ესტუმრა. „გვიან იყო, რომ დამირეკა და მთხოვა, მაღალი წნევა მაქვს, გარეთ ვერ გავდივარ და იქნებ წამლები მომიტანოო. სახლში მომერიდა თქმა, რომ ასე გვიან უნდა გავსულიყავი სახლიდან, ამიტომ, მოვიმიზეზე, სატაქსაოდ მივდივარ-მეთქი. ღამე ბევრჯერ წავსულვარ სამუშაოდ და ჩემს ცოლ-შვილს ეს არ გაჰკვირვებია. ბელასთან რომ მივედი, საწოლში დამხვდა. წამლები დავუტოვე და მალე წამოვედი, სახლიდან რომ გამოვედი, კარის მეზობელს შევეფეთე. არ მინდოდა, რამე ცუდი ეფიქრა, მივესალმე იმ ქალს და ჩემს გზას გავუყევი. 56 წლის არჩილ მ-ია გულწრფელად წუხდა მომხდარის გამო, იმასაც კი ამბობდა, რომ მცოდნოდა, მტრები ჰყავდა და მოკვლას უპირებდნენ, სულ არ დავტოვებდი იმ ღამეს მარტოსო. გამოძიებისთვის მის ჩვენებაში საეჭვო არაფერი იყო, უფრო მეტიც, დადგინდა, რომ არჩილ მ-ია მშრომელი, პატიოსანი ადამიანი იყო და ყოფილ ცოლთან, რომელსაც დიდი ხნის წინ დაშორდა, გასაყოფი არაფერი ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ, ადამიანი, ვინც უკანასკნელად ნახა ცოცხალი ბელა კ-შვილი, მისი ყოფილი მეუღლე იყო, გამოძიებას მის მიმართ ეჭვები არ ჰქონდა. ოპერატიულ-სამძებრო სამსახურს, ალბათ, კიდევ დიდხანს მოუწევდა მოკლული ქალის წარსულის კვლევა, რომ არა ერთი გარემოება: უცნობმა მამაკაცმა, სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა, სამეზობლოში მოყვა, როგორ წაიყვანა ფოთიდან გვიან ღამით უცნობი ქალი თბილისში, რომელიც მეორე დღეს ისევ დაინახა თავის სამარშრუტო ტაქსიში, ოღონდ, ამჯერად უკვე ფოთში მიმავალი. ეს ამბავი, როგორც ხდება ხოლმე, ჯერ სამეზობლოში გახმაურდა, მერე პატარა ქალაქში, ბოლოს კი გამოძიებამდეც მივიდა. ამას ისიც დაერთო, რომ გამოძიებას ამ საქმეში ყველაზე საეჭვოდ თავად უფროსი და მიაჩნდა. გაჩნდა უამრავი კითხვა: რატომ არ წაიყვანა მან და საერთო კუთვნილებაში არსებული ბინის გასაყიდად? რა კონფლიქტი მოხდა დებს შორის წარსულში, რომელსაც ბელა კ-შვილის დაპატიმრება მოჰყვა? რატომ ცდილობდა ქალი კვალის არევას გამოძიებისთვის, როდესაც საკუთარ ადგილსამყოფელს მალავდა? რატომ დაბრუნდა ის მალულად თბილისში, რის შესახებაც მტკიცებულებად სამარშრუტო ტაქსის მძღოლის მონათხრობი იქცა? მოკლედ, კითხვები იმაზე მეტი იყო, ვიდრე ამას თავად ლაურა კ-შვილი დაუშვებდა მანამ, სანამ ის ერთადერთი დის თავიდან მოშორებას დაგეგმავდა. ლაურა კ-შვილი თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ, ბოლოს მაინც აღიარა დის მკვლელობა. როგორც აღმოჩნდა, დების დაპირისპირების საბაბი წარსულში არსებული უთანხმოება იყო: „ბელას საქმეების გამო ჩემი სახლი გავყიდე, შვილი ლამის უსახლკაროდ დავტოვე და მაინც მე მაბრალებდა, ციხეში რომ მოხვდა. მეორე სახლიც უნდა გაგეყიდა და საპროცესო გარიგებით უნდა გამოგეყვანეო – სულ ამას მსაყვედურობდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცხოვრება გამიმწარა. ბოლოს ვუთხარი: ცალკე უნდა გადახვიდე, რადგან, ჩემს შვილს უნდა ჩამოსვლა და ჩემთან ცხოვრება-მეთქი. ამის გამო ჩვენ შორის დიდი კონფლიქტი მოხდა. ბელა სანაცვლოდ 20 ათას დოლარს მთხოვდა. საიდან უნდა მიმეცა ამდენი ფული? არასდროს მყვარებია ჩემი და, მთელი ცხოვრება სულ მის ხუშტურებზე დავდიოდი, ამიტომაც გადავწყვიტე მისი თავიდან მოშორება. ვუთხარი, რომ ფოთში მივდიოდი სახლის გასაყიდად, ჩავედი კიდეც ფოთში, მაგრამ, იქიდან გვიან ღამით დავბრუნდი თბილისში. მანამდე, როცა ტელეფონით მითხრა, თავს ცუდად ვგრძნობო, მე თვითონ ვურჩიე, რომ არჩილი მიეყვანა სახლში – ამით მეც ალიბი შევიქმენი, არჩილი კი საეჭვო გარემოებებში მოვაქციე". – განაცხადა გამოძიებასთან 60 წლის ლაურა კ-შვილმა. მაგრამ, ყველაზე შემზარავი მის მიერ ჩადენილი მკვლელობის დეტალები იყო, რომელიც ბრალდებულმა სასამართლო დარბაზში კიდევ ერთხელ აღიარა: „როცა სახლში დავბრუნდი, კარი ჩემი გასაღებით გავხსენი. ბელა, რა თქმა უნდა, არ მელოდა და ჩემი სახლში მისვლა ძალიან გაუკვირდა. დაველოდე, სანამ ჩაეძინებოდა, სამზარეულოდან მოზრდილი დანა ავიღე და მძინარეს რამდენჯერმე დავარტყი მკერდში. ისე გარდაიცვალა, თვალის გახელაც კი ვერ მოასწრო. ვიფიქრე, სახეზეც მიმეყენებინა ჭრილობები, რომ უფრო სასტიკი მკვლელობის შთაბეჭდილება შემექმნა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი არჩილს დაბრალდებოდა, იმიტომაც „შემოვატყუებინე" იმ ღამეს სახლში. როცა დავრწმუნდი, რომ ბელა უკვე გარდაცვლილი იყო, გარიჟრაჟს დაველოდე და სახლი ისე დავტოვე. ისევ დავბრუნდი ფოთში და გავითამაშე, თითქოს იმ ღამეს იქურობა საერთოდ არ დამეტოვებინა. მეგონა, ყველაფერი გავთვალე, მაგრამ, დეტალები მაინც გამომრჩა".

**ისე მოვაწყვე, რომ მკვლელობამდე სახლში ჩემი დის ყოფილი ქმარი შევიტყუე**

სასამართლომ არ გაითვალისწინა ბრალდებულის ასაკი და მას სისხლის სამართლის კოდექსის განზრახ მკვლელობის მუხლით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: ღირს თუ არა წყალდიდობაში მოხვედრილი ავტომობილის ყიდვა? ამერიკიდან მაქვს შანსი, რომ იაფად შევიძინო.**

**პასუხი**: წყალდიდობაში მოხვედრილი ავტომობილის ყიდვა ერთგვარი ლატარიაა და მხოლოდ გამართლებაზეა დამოკიდებული. მნიშვნელობა აქვს ყველაფერს – როგორ ჩაიძირა, რამდენ ხანს იყო წყალში, შემდეგ რა სერვისი ჩაუტარეს და რამდენ ხანში. იმასაც კი აქვს მნიშვნელობა, ძრავა რა პოზიციაში გაჩერდა, როცა წყალში მოხვდა. გარდა ძრავასი კიდევ ბევრი სათუო საკითხია – უამრავი დეტალია ავტომობილში, რომლის გამართული მუშაობა ეჭვქვეშ დგება თუ წყალშია მოხვედრილი. მაგალითისთვის, სიჩქარეების კოლოფი, ამძრავი დეტალები, ელექტრული სენსორები, კომპიუტერები. შეიძლება წყალდიდობაში მოხვედრილი ავტომობილი ძალიან იაფად შეიძინოთ, მაგრამ მისი შეკეთება ისე, რომ გამართულად იმუშაოს, ვერასდროს მოხერხდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სალონის დეტალები სრულიად რომ გამოიცვალოს, სალონიდან შმორის სუნის გაყვანა თითქმის შეუძლებელია. ასევე, სალონში ხმის იზოლაცია ისეთი მასალისგან არის დამზადებული, რომ წყალში ყოფნა აფუჭებს. თუ ამ მასალას ამოიღებთ, ავტომობილი ხმაურიანი და არაკომფორტული ხდება. ძალიან უნდა გაგიმართლოთ, რომ წყალში მთლიანად ჩაძირული არ იყოს, მხოლოდ მსუბუქად იყოს დაზიანებული.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ბაზარზე გამოჩნდა „თრასთინგის” ფირმის სამუხრუჭე ხუნდები, საკმაოდ დაბალ ფასად, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია არავის აქვს, ვარგა თუ არა. რას მეტყოდით ამ ხუნდების შესახებ და მირჩევთ თუ არა მის შეძენას?**

**პასუხი**: ეს საკმაოდ ახალი ბრენდია ევროპულ ბაზარზეც. იტალიელებს ბაზარზე თავი რომ დაემკვიდრებინათ, მათ რაიმე სვლა უნდა გაეკეთებინათ. ამისთვის შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც ხუნდებს ძალიან კომფორტულს და პრაქტიკულს ხდის – არ წივის, ტემპერატურას კარგად უძლებს, ნაკლებად ახურებს სამუხრუჭე დისკებს იმის ხარჯზე, რომ საკუთარ თავზე იღებს ტემპერატურის ზრდას. თან, რაც ყველაზე მომხიბვლელია, სხვა ხუნდებთან შედარებით, სწორედ ამ ახალი ტექნოლოგიის ხარჯზე, უფრო იაფი ჯდება. ის კი არადა, „თრასთინგს” სხვა ბრენდებთან შედარებით საკმაოდ იაფი სპორტული ტიპის სამუხრუჭე ხუნდებიც აქვს, მათში არ გამოიყენება კერამიკული მასალა და მიუხედავად ამისა, მუშაობს იმავე კოეფიციენტით, როგორც კერამიკული.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „აუდი ა 4”, 2001 წლის, 3.0 ძრავათი, ამერიკული. მაინტერესებს, არის თუ არა შესაძლებელი, ამ მოდელის გაზზე გადაყვანა და გაზზე გადაყვანის შემთხვევაში, დააზიანებს თუ არა ეს რამეს?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, შეიძლება. დღეს ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. გაზზე გადაყვანა შეიძლება ნებისმიერი ტიპისა და კონფიგურაციის ძრავასი და ის თქვენს ავტომობილში არაფერს დააზიანებს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ბეემვე ემ 5”, 2006 წლის მოდელი. როდესაც ადგილიდან სწრაფი სტარტის აღება რამდენჯერმე მიწევს, ეგრეთ წოდებული „ლანჩის” გამოყენებით, ორი ან მაქსიმუმ სამი სტარტის შემდეგ, სტარტის აღება არასტაბილური ხდება, ხანდახან კი საერთოდ არ იძვრის. რაღაც დროის შემდეგ, ისევ ჩვეულებრივად განაგრძობს მუშაობას. ჩვეულებრივ რეჟიმში ავტომობილის მუშაობას თითქოს არანაირი პრობლემა არ აქვს. რა შეიძლება იყოს დაზიანებული და როგორ ამუშავდება ეს სისტემა?**

**პასუხი**: ეს პრობლემა ყველა თანამედროვე ავტომობილს აქვს, რომელიც „ქუიქ ლანჩ კონტროლის” სისტემითაა აღჭურვილი. ამაში საპრობლემო არაფერია, თუმცა მესმის, რომ „ემ 5-სგან“ მეტს მოელით. ის სპორტული ხასიათის ავტომობილია და „ლანჩ კონტროლის“ მექანიზმით, კარგი სტარტის აღებას მრავალჯერ უნდა ახერხებდეს. ეს არ ნიშნავს, რომ სისტემა დაზიანებულია, ის უბრალოდ, გაგრილებას საჭიროებს. ასეთი სტარტის დროს მოდების ქურო ძალიან ხურდება, რადგან ძრავას სიმძლავრე და ხახუნის ძალა დიდია. უბრალოდ, სწრაფი სტარტის აღების ყოველი შემდეგი მცდელობის წინ, გარკვეული მონაკვეთი ჩვეულებრივ რეჟიმში გაიარეთ იმისთვის, რომ მოდების სისტემამ გაგრილება მოახერხოს. არ გაგიკვირდეთ და მსგავსი პრობლემა ისეთ სპორტულ ავტომობილსაც კი აქვს, როგორიც „ფერარია”.

**კითხვა: მყავს „ბეემვე კომპაქტი”, 1995 წლის, 1.6-იანი ძრავათი. მინდა ჩავდო 3.0 ძრავა. მითხრეს, ეს შესაძლებელიაო. მაინტერესებს, შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?**

**პასუხი**: „ბეემვე” საკმაოდ იოლად ადაპტირდება ნებისმიერ გადაწყობაზე და მისი, თითქმის ყველა მოდელი „იტანს” მსგავსი ტიპის ცვლილებებს, მით უმეტეს, ოთხმოცდაათიანი წლების მოდელები. შესაბამისად, თქვენი ავტომობილის აღჭურვა 3.0 ძრავათი დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, თუ გაითვალისწინებთ, რომ მეორადებში შეგიძლიათ, ყველა საჭირო წვრილმანი დეტალი საკმაოდ იოლად და იაფად შეიძინოთ.

**კითხვა: საიმედოა თუ არა დიაგნოსტიკური აპარატის, ეგრეთ წოდებული კომპიუტერის მიერ დასმული დიაგნოზი? ავტომობილს რაღაც გაუმართაობა სჭირს, კომპიუტერმა აჩვენა კონკრეტული დაზიანება, შევცვალე და მისი მდგომარეობა არ გამოსწორდა. რა უნდა ვქნა ამ დროს?**

**პასუხი**: ამა თუ იმ დაზიანების შემთხვევაში, სწორი დიაგნოზის დადგენა მაინც ჭირს. კომპიუტერს შეუძლია ის პრობლემა „დაინახოს”, რომელიც უშუალოდ ელექტროსისტემებთანაა დაკავშირებული და მარტივად გასარკვევია. თუ ავტომობილმა აანთო ეგრეთ წოდებული „ჩეკი” – „ჩეკ ენჯინი”, წითელი ნათურა, რომელზეც ძრავა ხატია ან პირდაპირ წერია ინგლისურად – „ჩეკ”, მაშინ კომპიუტერი პრობლემას ადვილად აღმოაჩენს. თუ „ჩეკი” არ აანთო – სწორედ მაშინ რთულდება ავტომობილის სატკივარის გამოცნობა, რადგან კომპიუტერისთვის ყველაფერი მწყობრშია. პრობლემას კომპიუტერი ვერ აგვარებს, თუ მექანიკური დეტალებია დაზიანებული. მექანიკურ დეტალებს ის საერთოდ ვერ ხედავს. აზრიც არ აქვს კომპიუტერულ დიაგნოსტიკაზე მიყვანას, მაგალითად, იმ დროს, როცა ძრავა რაღაც ხმებს გამოსცემს, სავალი ნაწილი ახმაურდა და მით უმეტეს, არ ანთია „ჩეკი”. შესაძლოა ამ დროს ავტომობილმა საწვავის წვას მოუმატოს, მაგრამ ვერც მაშინ წაიკითხოს კომპიუტერმა პრობლემის აზრი. სენსორი, რომელიც კომპიუტერს ინფორმაციას აწვდის, მცდარ ინფორმაციას გადასცემს. თუმცა, მცდარია თუ არა, ამას კომპიუტერი, რა თქმა უნდა, ვერ არჩევს. ამიტომ გირჩევთ, რა ტიპის პრობლემაც არ უნდა გქონდეთ, კარგი ხელოსანი მოიძიოთ და მას მიმართოთ.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



გამ-არჯობა
არაბული ფული
ასეთი ნაწილ-იც არ-სებობს
ნიადაგი / ხევის-ბერი
პატარა ნიანგი
ღოღო-ბერიძე
ფეხსა-ცმლის მაღაზია
გალაკ-ტიონის ლექსი
აშშ-ის შტატი
ძველი სიმე-ბიანი საკრავი
ხალხი
ზური-კელას ძაღლი
ქვირ-ფასი თვალი
ორმაგი / დიპლ-ომატი
პოლი-ვუდის მიკი / ხუნტა
თავში უნდა იყოს
თუნდაც ერაყის ბინა-დარი
საფრან-გეთის ნახევა-რკუნძ.
(.....) წურ-წუმია
ჯაშუში
სიმბ-ოლო
ველო-სპორტის არენა
ცანგალ-ას პარტ-ნიორი ცეკვაში
XX ს იაპონ. მწე-რალი
რაჭვე-ლების სლოვაკი რძალი
მიმი-კის მოშლა
სიყვ-არულის ღმერთი
ტარ-ზანის მაიმუნი
მონაკ-ვეთი სამკუ-თხედში
ქალაქი ბელ-გიაში
პანტო-მიმის მსა-ხიობი
დასა-ვლური ღვინო
(........) ვირს-ალაძე
ყან-ჩელი / ათოსის მსახური
დიდი მაიმ-უნი
ჩვენი საზღვარ. თურქ-ეთთან
საბჭოთა კომპო-ზიტორი, ვანო
აშშ-ის შტატი
ნაკლი, ზადი
დაჯგ-უფება
მაუგლის გამზრ-დელი მგელი
პოლო-ნეთის ქალაქი
ამძრ-ავი ბორ-ბალი
რქოსანი არსება
აშარი, ბოროტი
ზოგი თევზის, ზოგი კაცის
„სამი ბღენ-ძის“ ავტორი
აფრი-კის უდაბნო
ედგარ (.......) პო
ჩახუ-რებული ფქვილი
ქალის რუსული სახელი
ევრო-პის სახელ-მწიფო
სესილია „ჩვენ ეზოში“
XIX ს ფრანგი მათემა-ტიკოსი
აფროდ-იტეს მიჯნ-ური
სურნე-ლოვანი მცენ-არე
ხორთ-უმიანი არსება
მომღერ პარი.. / ფრანგი მხატვარი
„უთავო მხედ-რის“ ავტორი
გერდას ძმო-ბილი
ხაზინა-ში შე-ტანილი ფული
ესპა-ნური სანახ-აობა
არჩევ-ნების მონა-წილე
მუშ-აობის წლები
ნორვე-გიის დედა-ქალაქი
„ბინჩის“ პირველი ნახევარი
დიპლომ-ატიური მიმა-რთვა
საუკ-ეთესო კოჭი
იაპო-ნური შერკი-ნება
ბალეტ „ჟიზ-ელის“ ავტორი
ლურჯი სალე-ბავი
სასწორის თეფში / შინაგა-ნი ხმა
ზაფ-ხულის ხილი
რუსე-თის ქალაქი
იაპო-ნური ტელე-ვიზორი
ძიუდოს ხალიჩა
მოსკო-ვის მდინ-არე
სითხის სადი-ნარი
კროს-ვორდის დასას-რული
მომღ-ერალი ....გულ-ედანი
არსა-კიძის მეტ-სახელი
ჯოკო-ნდას ამშვ-ენებს

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 10 | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | |
| | | | | | | 3 | | | | 15 | 2 | | | 1 | 10 | 10 | 1 | | | 4 | 1 | | | | | | | | |
| | | | | 5 | 5 | 6 | 13 | | 21 | 3 | 3 | 21 | 22 | 15 | 5 | 1 | 7 | 13 | 12 | 4 | 2 | 4 | | | | | | | |
| 1 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 9 | 20 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 4 | 5 | 12 | 12 | 6 | 2 | 3 | 6 | 7 | 8 | 2 | 4 | 4 | 2 | 8 | 7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 | 2 | 2 | 3 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 2 | 2 | 2 | 2 | 4 |
| | | | 5 | 10 |
| | | | 1 | 15 |
| | | | 2 | 14 |
| | | | | 16 |
| | | | | 16 |
| | | | | 17 |
| | | | | 16 |
| | | | 10 | 4 |
| | | 9 | 1 | 5 |
| | | 8 | 1 | 2 |
| | | | 12 | 2 |
| | | 3 | 6 | 2 |
| | | 3 | 6 | 2 |
| | | 3 | 7 | 1 |
| | 3 | 7 | 2 | 6 |
| | 3 | 2 | 4 | 8 |
| | 13 | 2 | 2 | 2 |
| | 14 | 2 | 2 | 2 |
| | | 15 | 2 | 2 |
| | 6 | 5 | 2 | 2 |
| 6 | 3 | 4 | 2 | 2 |
| 7 | 5 | 2 | 2 | 2 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 7 | | 5 | | 6 | 2 | |
| 2 | 3 | | 4 | 6 | 7 | | 1 | |
| | 4 | | 8 | 2 | 9 | | 7 | 5 |
| 3 | 1 | 9 | | 8 | 5 | | 4 | |
| | | 8 | | | 4 | 1 | 5 | 6 |
| 4 | | 6 | 2 | | 1 | 8 | 9 | |
| 1 | 7 | | 9 | 4 | | 5 | | |
| | 6 | 2 | 7 | | 8 | 4 | | 9 |
| | 8 | | 5 | 3 | | 7 | | 1 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 8 | | | | 7 | | |
| | 9 | | 4 | | 8 | | 6 | |
| | 1 | | | | 9 | | 5 | |
| | | 9 | | 1 | 2 | | | |
| 2 | | | 6 | | | | | 1 |
| 6 | | | | | | 2 | 8 | 7 |
| | | | 5 | | 3 | | 9 | 2 |
| | 2 | | | | 6 | | 7 | |
| | 5 | | 2 | | 7 | | 1 | |

# ისწავლოთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ცხემლის ფოთლით დაიწყეთ ანგელოზის ტანის ხატვა

2. ზემოდან მიახატეთ პატარა ცხემლის ფოთლით თავი

3. ქვემოდან – მარაოსავით გაშლილი კუდი

4. მოხაზეთ ფრთების შტრიხები

5. დაასრულეთ ფრთების ხატვა

6. ახლავე მიახატეთ თვალები, ნისკარტი და გამოკვეთეთ ფრთები და კუდი

7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზით მივა კატა ძაფის გორგალთან



## რამდენ საათს ხედავთ კედელზე



# ირემი და ლომი

## (იგავ-არაკი)

ირემი ადამიანებს გაურბოდა და ერთ გამოქვაბულს შეაფარა თავი. გამოქვაბულში ლომი იყო და ირემს თავს დააცხრა. მომაკვდავმა ირემმა თქვა:

– დახეთ ჩემს უბედურებას, ადამიანს გავექეც და მძვინვარე მხეცს კი ჩავუვარდი ხახაშიო.

ხშირად პატარა საფრთხეს გაურბის კაცი და დიდს კი წააწყდებაო.

# რიცხვრებუსი

,20, 20,, ,,0

| | | | |
|---|---|---|---|
| ↓ | შინაური ცხოველი | ↓ | გაზაფხულის თვე / მშობელი |
| | | | ← |
| | | | |
| → | დინგიანი ცხოველი | | პატარას საწინააღმდეგო |
| | | | ← |

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: არის შემთხვევები, როცა ადამიანს კანი ექერცლება, რასაც ხშირად ავიტამინოზს უკავშირებენ. ანალოგიური შემთხვევები თუ შეინიშნება ძაღლებში? თუ არის, როგორ გამოიხატება?**

**პასუხი:** დიახ, ასეთი რამ ძაღლებშიც ხდება, რაც ტანზე სხვადასხვანაირად გამოიხატება. ბალანი მეჩხერდება, ან, მტვრევადი ხდება; ზოგ შემთხვევაში იწყება ბუდობრივი ამოცვენა და ასე შემდეგ. როცა ძაღლი ვეტერინართან დაგყავთ, ის პასუხისმგებელია თქვენი ძაღლის ჯანმრთელობაზე. მან აუცილებლად უნდა შეგიდგინოთ ძაღლის მოვლის წლიური გეგმა, ანუ, რა პერიოდში რა სჭირდება ცხოველს. დაგეგმვა ინდივიდუალურად ხდება, გააჩნია, რომელი ჯიშის ძაღლი გყავთ და რა პრობლემები აქვს მას. ამიტომ, სხვადასხვა პრობლემის თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია, ვეტერინართან გქონდეთ კავშირი, რომელიც იზრუნებს თქვენი ცხოველის ჯანმრთელობაზე.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ცალი თვალის ფერი შეეცვალა. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი:** ეს შეიძლება ტრავმის ბრალი იყოს, ან მესამე ქუთუთოს ანთების ბრალი. ფერის შეცვლა გამაღიზიანებელი ფაქტორის ხარჯზე ხდება, რასაც მოჰყვება თვალის პათოლოგიები და ასე შემდეგ. როგორც კი ასეთ რამეს შენიშნავთ, აუცილებლად უნდა მიუყვანოთ ძაღლი ვეტერინარს, რომელიც გამოკვლევას ჩაუტარებს თუ რა მიზეზით მოხდა მისი თვალის ფერის შეცვლა, ამის შემდეგ კი ჩატარდება შესაბამისი მკურნალობა. თუ ეს ყველაფერი მექანიკურ ფონზეა გამოწვეული და გამღიზიანებელი ფაქტორი ალაგდება, ან მესამე ქუთუთოს ამოკვეთა იქნება საჭირო, თვალს ფერი ისევ დაუბრუნდება.

**კითხვა: ბავშვთან ერთად ვცხოვრობ ერთოთახიან ბინაში. ამ პირობებში რომელი ძაღლის შეძენას მირჩევთ?**

**პასუხი:** ამ შემთხვევაში უმჯობესია პატარა ტანის ძაღლი იყოლიოთ, მაგალითად, იორკშირ-ტერიერი, პეკინესი, მოპსი, ტოი-ტერიერი და სხვა. ყოველ შემთხვევაში, სპანიელსა და პუდელზე დიდი ძაღლის შეძენას არ გირჩევთ, რადგან, ნამდვილად ველარ დაეტევით მაგ ფართის ბინაში.

**კითხვა: რა ასაკიდან არის რეკომენდებული ძაღლის გაწვრთნა? იქნებ, ისიც მითხრათ, სად შეიძლება პროფესიონალი მწვრთნელის აყვანა და რა თანხას შეადგენს მომსახურების საფასური?**

**პასუხი:** ძაღლი 6 თვის ასაკიდან იწვრთნება. რაც შეეხება მწვრთნელს, გააჩნია, რა ჯიშის ძაღლი გყავთ. არის ძაღლების კატეგორია, რომლებსაც სულ სხვანაირი გაწვრთნა სჭირდებათ. ასე რომ, თუ უფრო კონკრეტულად გაინტერესებთ პასუხი, დამიკავშირდით, მითხარით რა ჯიშის ძაღლი გყავთ და დაგაკვალიანებთ. რაც შეეხება ანაზღაურებას, ესეც ინდივიდუალურია. მაგალითად, ლაბრადორის, გერმანული ნაგაზისა და სხვა სამოსამსახურეო ჯიშის ძაღლების გაწვრთნის 6-თვიანი კურსი საკმაოდ ძვირი ღირს – დაახლოებით 1 200 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

**კითხვა: საქართველოში თუ არსებობს ძაღლების სპორტის რომელიმე სახეობა?**

**პასუხი:** შეჯიბრებები ძაღლებს შორის ადრე ველოტრეკზე იმართებოდა, თუმცა, ამ ეტაპზე ასეთი რამ აღარ ხდება, ყოველ შემთხვევაში, დროებით შეჩერებულია.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორი ნიადაგი შევურჩიოთ გასამრავლებლად გლორიოზას?**

**პასუხი:** ამ მცენარის ნიადაგი უნდა შემზადდეს შემდეგნაირად: 4 წილი გადამწვარი კომპოსტი, 2 წილი ფოთლოვანი მიწა და 1 წილი სილა. სხვა მცენარეებისგან განსხვავებით, ჩასარგავი მასალა ჰორიზონტალურად უნდა დადოთ, ზემოდან, 2-3 სანტიმეტრზე, მოაყარეთ მომზადებული სუბსტრატი.

**კითხვა: როგორი პირობები შევუქმნა ფუქსიას, რომ კარგად იყვავილოს?**

**პასუხი:** ფუქსია კარგად რომ გაიზარდოს და იყვავილოს, ყველაზე კარგია ნახევრად ჩრდილიანი გარემოს შექმნა. არ დადგათ ჩრდილოეთის მხარეს ფანჯარაზე, რადგან, ასეთ ადგილას ფუქსია ხანგრძლივად ვერ იყვავილებს. გახსოვდეთ, რომ, როდესაც მცენარეს ყვავილობა დაეწყება, არც ადგილმდებარეობა შეუცვალოთ და არც შეაბრუნოთ სხვა მხარეს – ეს მის ყვავილობაზე ცუდად იმოქმედებს.

**კითხვა: როგორ მოვუარო გლორიოზას, რომ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** გლორიოზას გასამრავლებლად საჭიროა ძველი ამონაყარის გამოყენება. ყველაზე კარგი დრო მის გასამრავლებლად იანვარია. მცენარე მორწყეთ ზომიერად. მას უყვარს კაშკაშა სინათლე, ამიტომ, სასურველია, დადგათ აღმოსავლეთ ან დასავლეთ ფანჯრებზე. სექტემბერში მას დასვენების პერიოდი ეწყება. როგორც კი შეამჩნევთ მისი ღეროს გაშრობას, მაშინვე შეწყვიტეთ მორწყვა, ეს მოხდება დაახლოებით ზამთრის სეზონზე.

**კითხვა: სად ხარობს უკეთ კსიფიუმი და როგორ მოვუარო?**

**პასუხი:** ეს მცენარე კარგად იზრდება და ხარობს როგორც ღია გრუნტში, ასევე, ოთახის პირობებში. მცენარე ბოლქვებით მრავლდება. ოთახის პირობებში, სასურველია, შეურჩიოთ მოგრძო ქოთანი, სადაც შესაძლებელია რამდენიმე ბოლქვი ერთად მოთავსდეს. ამ დროს ნიადაგი უნდა იყოს კარგად დრენაჟირებული, ამიტომ, მასში სილა და ტორფი შეურიეთ. ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 17-20 გრადუსს, ნიადაგი არ უნდა გამოშრეს, მაგრამ, არც ხშირი მორწყვა სჭირდება. ქოთანი უნდა მოთავსდეს ნათელ ადგილას. ეს მცენარე დაბალ ტემპერატურასაც უძლებს. ტემპერატურის შენარჩუნებით ნოემბერში მის ამონაყარსაც მიიღებთ. როგორც ქოთანში, ისე ღია გრუნტში, მცენარეს სჭირდება ჰაერგამტარი ნიადაგი. მისთვის ძალიან კარგია ბევრი სინათლე და ტენი. ამ პირობების გათვალისწინებით, მას გაუხანგრძლივებთ ყვავილობას, თქვენ კი მშვენიერ კსიფიუმს მიიღებთ.

**კითხვა: როგორ პირობებში ვამყოფო სტრეპტოკარპუსი?**

**პასუხი:** ესაა ულამაზესი ოთახის მცენარე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ყვავის – ყვავილები მორიგეობით იშლება. მას ძალიან უყვარს სინათლე, თუმცა, არ მოსწონს მწველი მზე და მოარიდეთ ასეთ ადგილს. მისთვის საკმარისია ოთახის ნორმალური ტემპერატურა. ასეთ ტემპერატურაზე სტრეპტოკარპუსი მთელი წლის განმავლობაში ყვავის. თუ 13 გრადუსზე ქვემოთაა ტემპერატურა ის აღარ იყვავილებს. ზაფხულში უხვად მორწყეთ, ოღონდ, მორწყვიდან მორწყვამდე მიწის ზედაპირს შეშრობა აცადეთ. სიგრილეში წყალი იშვიათად დაუსხით. შეგიძლიათ, სველკენჭებიან ლანგარზე დადგათ, რათა მშრალი ჰაერის გამო ფოთლები არ გაუყავისფრდეს. 3-4 კვირაში ერთხელ დაუსხით გაზავებული, ნახშირმჟავა კალიუმის შემცველი სასუქი. თუ დამჭკნარ ყვავილებს მალევე მოაშორებთ, ამით ყვავილობის პროცესს გაუხანგრძლივებთ. ეს მცენარე დაახლოებით 25 სანტიმეტრი იზრდება. თუ ამ პირობებს გაითვალისწინებთ, სტრეპტოკარპუსს ადვილად გაზრდით.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

**„... ნუ, გეშინია, დედა, ჩემს გვერდით არის ვანიჩკა ბიძია, რომლისგანაც ვსწავლობ, თუ როგორ ვიცხოვრო ამქვეყნად...” ასე ამშვიდებს თავის რომანში სიზმრად ნახულ დედას, ნოდარ დუმბაძის პროტოტიპი – ავთანდილ ჯაყელი. თუ ვინ იყო „ვანიჩკა ბიძიას” პროტოტიპი და რა ურთიერთობა ჰქონდა მას მწერალთან რეალურ ცხოვრებაში, ამას, ჩვენი რესპონდენტი პროფესორი ნორა კოტინოვი გვიამბობს:**

# ვის საფლავზე აიტანა ნოდარ დუმბაძემ „წაგებული” ორი ბოთლი კონიაკი და რატომ დაარქვა მან თავის რომანს „ნუ გეშინია, დედა”

– მე და ნოდარი, გარდა ბიძაშვილ-მამიდაშვილობისა, უდიდესი სულიერი მეგობრებიც ვიყავით. მახსოვს, „ნუ გეშინია დედაზე” რომ დაიწყო მუშაობა, მითხრა: ნორიჩკობა – როგორც დუმბაძეები მეძახდნენ, ვანიჩკა ბიძიაზე ვწერ რომანს, რომელსაც ერქმევა „კუკუდამალობანაო”. მე მაშინვე დავუწუნე რომანის სათაური. როგორც ჩანს, ჩემი აზრი ნოდარმა ამჯერადაც გაითვალისწინა და რომანს დაარქვა „ნუ გეშინია, დედა”.

**– სინამდვილეში ვინ იყო ვანიჩკა ბიძია?**

– ვანიჩკა ბიძიას პროტოტიპი იყო მამაჩემი, ვანიჩკა კოტინოვი, რომლის გვარი რომანშიც უცვლელად გადაიტანა ავტორმა. ივანე კოტინოვი იყო ნოდარის ღვიძლი მამიდის, შუშანას მეუღლე, ძირძველი თბილისელი და საოცრად კოლორიტული პიროვნება. ნოდარს ის უზომოდ უყვარდა. ვანიჩკაც არ არჩევდა მას საკუთარი სამი ქალიშვილისგან. მან ნოდარი საკუთარ ვაჟიშვილად მიიღო. მათ ბევრი საერთო ჰქონდათ. მამაჩემმა ნოდარს ჭადრაკის თამაში ასწავლა. ვანიჩკა ყოველთვის უგებდა ხოლმე. ერთხელაც ნოდარმა მოიგო. მამაჩემი გაგიჟდა: შენ როგორ მომიგე, მე თამაში დამავიწყდაო?! შენ კი არ დაგავიწყდა ვანიჩკა ბიძია, მე ვისწავლეო, – სიცილით მიუგო ნოდარმა.

აგარაკზეც ერთად დავდიოდით ხოლმე ზაფხულობით სოფელ ძეგვში ამანათიძეების ოჯახში. ამ ოჯახიდან ორი ვაჟი გიმნაზისტობის პერიოდში მამაჩემს მოუნათლავს ძეგვის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ძეგვში ძალიან შეიყვარეს ნოდარი. მახსოვს, მდინარის პირას ჩადიოდნენ ხოლმე და იქ ტატუირებას იკეთებდნენ. ნოდარს შუა თითზე ბეჭედი მიახატეს, რომელიც, ბუნებრივია, მთელი ცხოვრება შერჩა. ძეგველებს უთქვამთ: შენ ქალაქელი ხარ და კარგი ხატვა გეცოდინებაო. ნოდარს მოკეცილ მკლავზე დაუხატავს ერთ-ერთი მათგანისთვის ქალის სახე. როდესაც ბიჭს ხელი გაუშლია, ამ ქალის სახე ისე დაგრძელებულა, მის დანახვაზე ყველა სიცილით კვდებოდა, მათ შორის ნოდარიც: ბიჭოს, რა მხატვარი მე მნახესო.

**დედას მამა ერთი ნახვით შეყვარებია. გვარის გამო, იცოდა, რომ შურას ვანიჩკაზე დაქორწინების უფლებას არ მისცემდნენ დუმბაძეები. შურა ავად გამხდარა ამის ნიადაგზე**

მამას და ნოდარს უყვარდათ ერთად სმა. ეს მომენტი რომანშიც აქვს აღწერილი ნოდარს, როდესაც ვანიჩკა ბიძია აგზავნის მას ღვინის ამოსატანად. შეზარხოშებულები მღეროდნენ ხოლმე სიმღერას: „საქართველოო ლამაზო...”

„ვანიჩკა ბიძიას ისეთი ლამაზი თვალები ჰქონდა, ის რომ მიყურებდა, მეგონა, ლამაზი ცისფერი ფარდები ირხეოდაო, – წერს ნოდარი რომანში „ნუ გეშინია, დედა”. მამა მართლაც მოხდენილი მამაკაცი იყო. გამოირჩეოდა თავისი ჯენტლმენური ხასიათით. ნოდარი, – ერთ მომენტში, როდესაც მისი გმირი პირველად ჩამოჰყავს ქალაქში ბაბუას, აფიქსირებს: ყველანი ხელით ვჭამდით, მარტო ვანიჩკა ბიძია მიირთმევდა დანა-ჩანგლითო.

**– ქალბატონო ნორა, თუ კარგად მახსოვს, ვანიჩკა კოტინოვი, რომანში სომეხად არის გამოყვანილი...**

– მარტო რომანში არა, მოთხრობაშიც „ასტვაც ინჩუ ჰამარ”, „ძია გევორქა” მამაჩემის პროტოტიპია... ეს ნოდარის ფანტაზიის ნაყოფი იყო. სინამდვილეში კოტინოვებს ევროპული წარმომავლობა გვაქვს. ძალიან საინტერესო ისტორია აქვს ამ გვარს.

**– გვიამბეთ?**

– მე ვიცოდი, რომ მამაჩემი და ბიძაჩემი ცხოვრობდნენ თბილისში. რაც შეეხება გვარის წარმომავლობას, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ შუა საუკუნეებში ეს გვარი კელტური წარმოშობის ყოფილა, ისინი ცხოვრობდნენ შოტლანდიაში და თავდაპირველი ფორმა ამ გვარისა იყო კოტინ. მოგვიანებით, ამ გვარის წარმომადგენლები რუსეთში მოხვდნენ ივანე მრისხანის კარზე. ამ პერიოდში ისინი გახდნენ კოტინოვები და იხსენიებოდნენ ერთ-ერთ წარმატებულ გვარად. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ბაბუაჩემი, სერგო კოტინოვი ჩამოსულა თბილისში და დასახლებულა გოგოლის № 63-ში. ის ამ დროს უკვე მდიდარი მეწარმე ყოფილა. გაუხსნია ორი მაღაზია ვაგზლის ქუჩაზე, დღევანდელ თამარ მეფის გამზირზე. მაღაზიები ჩაუბარებია იმერელი „პრიკაზშიკისთვის”, ასე ვთქვათ, მენეჯერისთვის. ეს ადამიანი სერგოს ბავშვებს – ვანიჩკასა და ჟორასაც მეურვეობდა ამავე დროს. ამის დამადასტურებელი ფოტოც ინახება ჩვენს ოჯახში. სერგო ძალიან შეეწყო თბილისურ ცხოვრებას და დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. იმდენად დიდი, რომ როდესაც კომუნისტები შემოვიდნენ 1917 წელს, სერგოს მაღაზიების დარბევის საშუალება არ მიუცია ხალხს, თურმე მათი ნაკადი კარს აფარებია და ასე გადაურჩენიათ იმ მომენტში. თუმცა, მოგვიანებით, ბაბუაჩემი გააკულაკეს და ამ ნიადაგზე ინფარქტით გარდაიცვალა 60 წლის ასაკში. ამ დროს მამაჩემი 14 წლის ყოფილა და ოცნებობდა ექიმობაზე. რადგან ეს სურვილი ვერ აისრულა, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ბუღალტრის საქმეს დაეუფლა და დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა „საქნავთობში“ მთავარ ბუღალტრად.

**– არადა „ვანიჩკა ბიძია” ნოდარ დუმბაძის რომანშიც და მოთხრობაშიც – „ძია გევორქა” მძღოლია...**

– ესეც ნოდარის ფანტაზიის ნაყოფია *(იცინის)*...

**– სად და როდის გაიცნო ვანიჩკა კოტინოვმა ნოდარის მამიდა?**

– ვანიჩკა ქუთაისში მსახურობდა ჯარში, შურა (იგივე შუშანა) ამ დროს, ამავე ქალაქში სავაჭრო ტექნიკუმში სწავლობდა და იქ მოხდა მათი გაცნობა. დედას მამა ერთი ნახვით შეყვარებია. გვარის გამო, იცოდა, რომ შურას ვანიჩკაზე დაქორწინების უფლებას არ მისცემდნენ დუმბაძეები. შურა ავად გამხდარა ამ ნიადაგზე. უფროს ძმას, გენერალ გაბრიელ დუმბაძეს, ის გერმანელების საავადმყოფოში დაუწვენია. ეს რომ



**დაკითხვაზე უკითხავთ: ყველა საბჭოთა ჯარისკაცს, ერთი ტყვია გულის ჯიბეში უდევს, რათა ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში თავი მოიკლას და მტერს არ ჩაბარდეს. შენ რატომ არ მოიქეცი ასე?! ნუთუ ტყვია არ გქონდაო?! როგორ არა, მაგრამ დიდი „ვინტოვკა” მქონდა და ვერ შემოვაბრუნე, რომ თავი მომეკლაო – უპასუხია ვანიჩკას. ამაზე ბევრი უცინიათ და გამოუშვიათ**

მამაჩემს შეუტყვია, შეპარულა საავადმყოფოში, შუშანა წამოუყვანია თბილისში და მალულად უქორწინიათ. გაბრიელი რომ დის მოსანახულებლად მისულა, გაცეცხლებულა, მაგრამ რაღას იზამდა. დუმბაძეებმა ქორწილი გადაუხადეს მათ. ქორწილში გაბრიელი რომ დამთვრალა ღვინით სავსე ბოთლი უსვრია პატარძლისთვის, მაგრამ ასცდა და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**– თქვენ თქვით, რომ ნოდარი ვანიჩკა ბიძიას მესაიდუმლეც ყოფილა...**

– სხვათა შორის, ნოდარის კალმით გავიგეთ, რომ იტალიაში ტყვეობის პერიოდში მამაჩემის ცხოვრებაში გამოჩენილა, იტალიელი ქალბატონი ლუჩია... ომის დამთავრების შემდეგ მამა არ დარჩა მასთან და საქართველოში დაბრუნდა. საზღვარზე დააპატიმრეს და თეთრი ზღვის არხზე გადაასახლეს. დაკითხვაზე უკითხავთ: ყველა საბჭოთა ჯარისკაცს, ერთი ტყვია გულის ჯიბეში უდევს, რათა ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, თავი მოიკლას და მტერს არ ჩაბარდეს. შენ რატომ არ მოიქეცი ასე, ნუთუ ტყვია არ გქონდაო?! როგორ არა, მაგრამ დიდი ვინტოვკა მქონდა და ვერ შემოვაბრუნე, რომ თავი მომეკლაო, – უპასუხია. ამაზე ბევრი უცინიათ და გამოუშვიათ.

ბევრი ამგვარი ამბავი წაიღო იმქვეყნად ნოდარმა...

**– როგორც ცნობილია, ილიკო და ილარიონი მოესწრო, რომ ეხილათ, როგორ გახდნენ ნოდარ დუმბაძის გმირების პროტოტიპები, „ვანიჩკა ბიძიაც” მოეწრო ამას?**

– არა, მამაჩემი ნოდარის მწერლობას მოესწრო და მისი პირველი რომანის გამოქვეყნებასაც. ის ძალიან გახარებული იყო. ნოდარმა უთხრა ერთხელ: ვანიჩკა ბიძია, პაპიროსი მომაწევინეო. ბიჭო, მწერალი გახდი და კიდევ მე მთხოვ პაპიროსსო?.. – იცინოდა. ასეთი შეხუმრებულები იყვნენ. ამ ამბის შემდეგ ნოდარს და მამაჩემს ჭადრაკი უთამაშიათ. ნოდარს ვანიჩკა ბიძიასთან 2 ბოთლი კონიაკი წაუგია. მამას გარდაცვალების შემდეგ ნოდარი ვანიჩკა ბიძიას საფლავზე ასულა და წაგებული ორი ბოთლი კონიაკიც იქ, მესაფლავეებთან ერთად შეუსვამს. მოგვიანებით, ნაწარმოებშიც წერს გაკვრით ნოდარი ამის შესახებ. ძია გევორქას საფლავზე მყოფ ნოდარის პროტოტიპს მესაფლავეები ეკითხებიან, ყველა წავიდა სასაფლაოდან და რა გემართა შენ ამ კაცის, ამდენ ხანს რომ შეყოვნდიო. „სიყვარული მემართა...” – წერს ნოდარი.

**ეკა სალაღაია**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-7(633)

ეს საუბარი რომ შედგა, საბჭოთა კავშირის დაშლაზე აშკარა ანტისაბჭოელებიც კი არ ფიქრობდნენ. შჩუკინმა ჩემი სიტყვები ბოლომდე მოისმინა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– წოდების მომატებას გილოცავ, მაიორო! თავისუფალი ხარ. წადი, დაისვენე და ქვეყნის სამსახურისთვის მოემზადე.

ქვეყნის სამსახურისთვის ყოველთვის მზად ვიყავი. ყოფილა შემთხვევები, რომ ფორმაში არ ვყოფილვარ, მაგრამ დავალების შესრულებაზე არასდროს მითქვამს უარი.

ერთ საშინელ ზამთარს მოსკოვში გამომიძახეს. მეკავშირემ მითხრა:

– დრო არ ითმენს. თქვენთვის რეაქტიული თვითმფრინავია გამზადებული ვაზიანში და მოსკოვში ჩაფრენას ერთი საათიც არ მოუნდებით.

– კეთილი. როდის უნდა გავფრინდე?

– ახლავე, – მითხრა მეკავშირემ და ორმოცდაათიოდე მეტრში მდგარი „ვოლგა“ დამანახვა – თქვენ გელოდებათ, რომ ვაზიანში მიგიყვანოთ.

მეკავშირეს პლეხანოვზე შევხვდი, ჩემი სახლიდან სულ რაღაც ორასიოდე მეტრში მდებარე სახინკლეში, რომელიც დღეს აღარ არსებობს და იქ ამჟამად რაღაც კომერციული დაწესებულებაა. სახლიდან მოულოდნელი გაუჩინარება არ მინდოდა და მეკავშირეს ვუთხარი:

– მაქსიმუმ თხუთმეტ წუთში მზად ვიქნები.

– კეთილი, გელოდებით, – მეკავშირემ საათს დახედა და დაამატა – დრო არ ითმენს.



სახლში მივირბინე და, რადგან მერიკო სამსახურში იყო, ბავშვები კი – სკოლაში, წერილი დავტოვე: „სასწრაფოდ მოსკოვში მივფრინავ,. დელეგაციას უნდა დავხვდე. სამოთხ დღეში ჩამოვალ. გკოცნით. წამლები მიმაქვს...“

გრიპი შემეყარა და წამლები იმიტომ ვახსენე წერილში. 39 გრადუსი სიცხე მქონდა, როდესაც მეკავშირემ შეხვედრაზე მიხმო... უკან რომ დავბრუნდი, მეკავშირე უკვე „ვოლგაში“ იჯდა. გვერდით რომ მივუჯექი, მითხრა:

– სამი წუთით ადრე მოხვედით.

ვაზიანში ძალიან სწრაფად მივედით და სამხედრო-რეაქტიულ თვითმფრინავში ჩავჯექი. ორმოცდახუთიოდე წუთში უკვე მოსკოვის ერთ-ერთ სამხედრო აეროდრომზე დავეშვით. იქ სხვა „ვოლგა“ მელოდა, ოცი წუთის შემდეგ კი უკვე ლუბიანკაზე ვიყავი და შჩუკინის კაბინეტში შევდიოდი.

– როგორ ხარ, კოკი, ხომ არ შეგცივდა?

თბილისში მინუს 15 გრადუსი იყო. მოსკოვში კი – მინუს 30 და შჩუკინს მივუგე:

– თბილისთან შედარებით ცოტა გრილა.

– ფორმაში ხომ ხარ?

რომელ ფორმაზე იყო ლაპარაკი, როცა ფეხზე დგომა მიჭირდა, თვალებში მიბნელდებოდა და ძვლებში მამტვრევდა. აშკარა იყო, სიცხემ კიდევ უფრო ამიწია, თუმცა, მთელი ნებისყოფა მოვიკრიბე, რომ არაფერი შემტყობოდა და მივუგე:

– დიახ. კარგ ფორმაში ვარ. რა დავალება მაქვს შესასრულებელი?

– „კაჭკაჭი“ კავშირზე გამოვიდა და შეხვედრას ითხოვს – რიოში, „ფლამენკოსთან“, დღის 2 საათზე, – მითხრა შჩუკინმა და საათს დახედა, – სულ რაღაც რვა საათი დარჩა. აი, ამიტომ ჩამოგიყვანეთ ასე სასწრაფოდ. ის მხოლოდ შენ გიცნობს და რიოში უნდა გაფრინდე.

– მოვასწრებ? – ვკითხე შჩუკინს.

– ჩვენი ულტრათანამედროვე ზებგერითი „ილი“ სამ საათში ჩაგიყვანს იქ. თუმცა, ჩამოხტომა მოგიწევს და თუ იჩქარებ, „ფლამენკოსთან“ დანიშნულ დროს მიხვალ.

„კაჭკაჭი“ ჩემ მიერ გადაბირებული „ცეერუს“ ოფიცერი იყო, რომელსაც რამდენჯერმე შევხვდი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში და მან ჩვენ საკმაოდ ფასეული ინფორმაციები მოგვაწოდა. შემდეგ ის მოულოდნელად გაქრა და ვფიქრობდით, რომ „ცეერუმ“ გაშიფრა და დააპატიმრა. თუმცა, ისევე მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც გაქრა. გამგზავრების წინ შჩუკინმა მითხრა:

– ფრთხილად, ჩემო კოკი, გამორიცხული არ არის, რომ ეს შეხვედრა „ცეერუს“ ხაფანგი იყოს. დამზღვევები, რა თქმა უნდა, გეყოლება, მაგრამ, ყველაფერი მაინც შენზეა დამოკიდებული და, აბა, შენ იცი...

რიოს თავზე თვრამეტი კილომეტრის სიმაღლეზე მივფრინავდით, როცა პილოტმა გადახტომის ნიშანი მომცა და ოკეანის თავზე სპეციალური პარაშუტით დავეშვი, რომელშიც სათადარიგო ყუთი, ყუთში კი გასაბერი საცურაო აღჭურვილობა და პატარა ნავი იყო მოთავსებული. პარაშუტი ათასი მეტრის სიმაღლეზე გავხსენი და, წყალზე რომ დავეშვი, ჯერ პარაშუტი ჩავძირე, შემდეგ სპეცმოწყობილობა მოვირგე, ნავი სპეციალური კაფსულით გავბერე და ნაპირისკენ ავიღე გეზი, რომელიც სამი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. ნაპირამდე ათასი მეტრის დაშორებით ნავიც ჩავძირე და გზა ყვინთვით განვაგრძე. ნაპირამდე ასიოდე მეტრის დაშორებით კი საყვინთავი მოწყობილობაც ჩავძირე, ჩვეულებრივ ცურვაზე გადავედი და დღის თორმეტი საათი სრულდებოდა, კოპაკაბანას პლაჟზე რომ ამოვედი და ჩრდილისკენ გავემართე, სადაც მეკავშირე მელოდა. ის მომიახლოვდა და, პაროლები რომ გავცვალეთ და მითხრა:

– აი, იმ მწვანე შეზლონგზე რომ ტანსაცმელია, ის ჩაიცვით. საფულეში 2 000 დოლარი და პაოლო სანტოსის სახელზე დამზადებული პასპორტია, რომელშიც თქვენი სურათია ჩაკრული. შეხვედრამდე ორი საათი დარჩა. ორი ჯგუფი დაგაზღვევთ, რომლებიც „ფლამენკოს“ შორიახლოს იქნებიან განლაგებულნი. ყოველი შემთხვევისთვის, „ფლამენკოდან“ ორასი მეტრის მოშორებით, სამორინე „შუაღამესთან“ თეთრი „მერსედესი“ დგას. გასაღები საბარგულშია და შეგიძლიათ, ისარგებლოთ.

მეკავშირეს დავშორდი და პლაჟის სამოსში გამოვეწყვე. შემდეგ კაფეში დავჯექი, მსუბუქი კოქტეილი შევუკვეთე და ოკეანეს გავხედე, რომელიც ხან შავი იყო, ხან თეთრი და ჩემ წინ ისე ტრიალებდა, როგორც

ტურბოპროპელერი... ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, აშკარად ვგრძნობდი, რომ სიცხემ 40 გრადუსს ზემოთ ამიწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცოტაც და ჯერ გული წამივიდოდა, შემდეგ კი სულსაც გავაცხებდი.

სულ რაღაც თორმეტი საათი იყო გასული მას მერე, რაც დათოვლილი თბილისიდან, სადაც მინუს 15 გრადუსი იყო, ჯერ მინუს ოცდაათგრადუსიან მოსკოვში ჩავფრინდი, იქიდან კი – პლუს ორმოცგრადუსიან რიო-დე-ჟანეიროში. ასეთ მკვეთრ კლიმატურ ცვლილებებს ასეთ მოკლე დროში აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანიც კი ვერ გაუძლებდა, მე კი, მაღალსიცხიანმა, გრიპიანმა, ათი ათასი კილომეტრი ვიფრინე და წამიც არ მიძინია, თან, ერთი აბი წამალიც კი არ მიმიღია.

– სენიორ, ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს? – მკითხა კაფეს მიმტანმა მულატმა გოგონამ, რომელიც დაჟინებით მიყურებდა.

– გადავიღალე და თავი მტკივა. მგონი, სიცხეც მაქვს. რამე სიცხის დამწევი საშუალება ხომ არ გექნებათ? – ვკითხე მიმტანს, რომელმაც ორი ცალი ვარდისფერი აბი მომიტანა და მითხრა:

– აი, სენიორ, ჩაყლაპეთ და სულ რაღაც ათ წუთში კარგად იქნებით.

აბები ჩავყლაპე, წყალი დავაყოლე და გოგონას ოცდოლარიანი ჩავუდე ჯიბეში, თან დავაყოლე:

– გმადლობთ, ლამაზო.

– თქვენც გმადლობთ, სენიორ. მე ანამარია მქვია. თუ კიდევ რამე დაგჭირდათ, ნებისმიერ მიმტანს უთხარით და დამიძახებს.

– კარგი, ანამარია, ნახვამდის.

– ნახვამდის, სენიორ.

დღემდე არ ვიცი, რა დამალევინა ანამარიამ, მაგრამ, ათი წუთიც არ იყო გასული, რომ შვება ვიგრძენი: ჯერ სიცხემ დამიწია, შემდეგ კი ჰალუცინაციებიც გაქრა. საათს რომ დავხედე, პირველი საათი სრულდებოდა და „კაჭკაჭთან“ შეხვედრამდე ერთი საათი რჩებოდა.

„კაჭკაჭს“ დანიშნულ დროზე შევხვდი და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს „ცეერუს“ მახე არ ყოფილა. ამდენ ხანს იმიტომ არ გამოდიოდა კავშირზე, რომ მალარია შეეყარა და დიდხანს მოუწია მკურნალობა. მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალიან ფასეული აღმოჩნდა და ეს მოსკოვში სათანადოდ დააფასეს.

დედაქალაქში რომ დავბრუნდი და შჩუკინს ვეახელი, მან თავი გადააქნია და მითხრა:

– არადა, სულ არ გეტყობოდა, რომ ავად იყავი.

– რას გულისხმობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ? – ვითომ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა გენერალი.

– რას და, შენს მაღალ სიცხეს, რომელმაც ლამის ხელიდან გამოგვაცალა შენი თავი.

– თქვენ რა იცით?

– ანამარია გახსოვს?

– ის ლამაზი მულატკა?

– სწორედაც, – დამიდასტურა შჩუკინმა, – კიდევ კარგი, დროზე მოგისწრო და აბები დაგალევინა.

– ჰო, მართალს ბრძანებთ. კიდევ კარგი, – დავუდასტურე შჩუკინს, გუნებაში კი გავიფიქრე: „კაგებე“ „კაგებეა“ და მისი ყოვლისმომცველი თვალი ყოველთვის ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს ხედავს“.



„კაგებე“ რომ უმძლავრესი ორგანიზაცია იყო, ყველამ იცის. თუმცა, ზოგიერთი შეფასება მასზე გადამეტებული იყო და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ „კაგებემ“ საბჭოთა კავშირის დაშლის აღკვეთა ვერ მოახერხა და თავისსავე წიაღში ვერ მოსპო მოღალატეთა ერთი მუჭა ჯგუფი, რომელმაც ჯერ საბჭოეთის დაშლას შეუწყო ხელი, შემდეგ კი – ამ უზარმაზარი ქვეყნის გაძარცვას. არადა, ვერც „ცეერუ,“ ვერც „მი-6“ და ვერც ზედ დამატებული სხვა ძლიერი, ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილი სპეცსამსახურები, ვერ ფლობდნენ იმხელა რესურსებსა და შესაძლებლობებს, რაც ჩვენს უწყებას გააჩნდა. მსგავსი რამ ერთხელ შჩუკინს ვუთხარი, მან კი სინანულით მომიგო:

– ჩვენ ბოლო მოგვიღო ერთმა კარგად ჩატარებულმა სპეცოპერაციამ, რომელსაც „საბჭოთა კავშირის დაშლა“ ეწოდებოდა, რომელიც ორმოც წელიწადზე მეტხანს მიმდინარეობდა და რომელიც საბოლოოდ წარმატებით დასრულდა.

– ჩვენდა სამწუხაროდ, ასეა, – დავეთანხმე შჩუკინს, მან კი მომიგო:

– ჩვენდა სასიხარულოდ კი, ასეთი არნახული მზაკვრობა უკან მიუბრუნდებათ და საბოლოოდ მაინც სამართალი იზეიმებს, სამართალი კი ჩვენს მხარეზეა და ეს ჩვენმა მტრებმაც კარგად იციან.

– იციან და, როგორ ფიქრობთ, არ ელოდებიან და საწინააღმდეგო ზომებს არ იღებენ?

– რა თქმა უნდა, იღებდნენ, მაგრამ, უკვე გვიანაა. ისინი მთელ მსოფლიოს კალიებივით მოედნენ, ყველგან ცხვირი ჩაყვეს და ყველას თავი შეაძულეს. მათ, უბრალოდ, ძალები არ ეყოფათ ყველასთან გასამკლავებლად და, რაც არ უნდა ახალი ცრუ ორგანიზაციები და ახალი გლობალური მტრის ხატები შექმნან, მათ უკვე აღარავინ არც დაუჯერებს, არც შეიცოდებს და არც რესურსი ეყოფათ ყველას მოსასყიდად და დასამარცხებლად.

ჩვენი საუბარი რომ შედგა, ბინ ლადენი ახალი ლიკვიდირებული იყო. მივხვდი, რომ გლობალურ მტრის ხატში შჩუკინი სწორედ მას გულისხმობდა, მაგრამ, მაინც ჩავკითხე:

– ბინ ლადენს გულისხმობთ?

– აბა, მეტი ვის? შენ მაინც ხომ კარგად იცი, რომ ეს ვითომდა მონსტრი თავად ამერიკამ შექმნა და შემდეგ თავადვე გაანად-


ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

გურა სწორედ მაშინ, როცა თავად დასჭირდა?! ახლა უკვე მთელი მსოფლიო იმაზე ლაპარაკობს, რომ ბინ ლადენი ან რამდენიმე წლის წინ მოკვდა ავადმყოფობით, ან, სულაც, ცოცხალია და უდარდელად ცხოვრობს ამერიკელების პატრონაჟის ქვეშ. პაკისტანის ვილაზე კი ვიღაც მსგავსი პიროვნება მოკლეს, რომლის იდენტიფიკაციაც არ ადასტურებს, რომ ის ნამდვილად ბინ ლადენი იყო. აი, ასეა, ჩემო კარგო. ამერიკელებს იაღლიში მოუვიდათ, როდესაც ლიკვიდირებულის სურათები გამოაქვეყნეს.

შჩუკინი მართალი იყო. ბინ ლადენის სიკვდილთან დაკავშირებულ ბლეფზე მრავალი კომპეტენტური ადამიანი ლაპარაკობს თვით შეერთებულ შტატებშიც კი და ამით ამ ქვეყნის მორალური ავტორიტეტი კატასტროფულად ეცემა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ევროპის ერთ-ერთ კურორტზე ძალიან ცნობილ საბჭოთა ემიგრანტს შევხვდი, რომელიც ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკაში, ბოლოს კი დიდი სკანდალით დატოვა ეს ქვეყანა და ევროპაში გადმობარგდა. მას მე ერთი მისი ძველი მეგობრის რეკომენდაციით ვეწვიე, რომელმაც დაურეკა და უთხრა:

– შენი გაცნობა და შენთვის ხელის ჩამორთმევა სურს და თუ გეცლება, მცირე ხნით მაინც მიიღე.

– ღვთის გულისათვის, მობრძანდეს, მოხარული ვიქნები, – უპასუხა თავის ძველ მეგობარს ამერიკიდან გადმობარგებულმა საბჭოთა ემიგრანტმა და შეხვედრის დროც დაასახელა.

შეხვედრაზე დათქმულ დროს მივედი, მასპინძელს მაგრად ჩამოვართვი ხელი და ვუთხარი:

– ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან სტუმრობა და თქვენთვის ხელის ჩამორთმევა. სწორედ თქვენნაირებმა შეცვალეს სამყარო და უკეთესი გახადეს ცხოვრება.

მასპინძელმა ნაღვლიანად გამიღიმა, სახლში შემიპატიჟა და, სავარძელში რომ მოვკალათდი, მითხრა:

– ამ სამიოდე ათწლეულის წინ მეც თქვენსავით ვფიქრობდი და სამშობლოდან ამიტომ გავემგზავრე. სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუოთ და გითხრათ, რომ მე და ჩემნაირებმა მართლაც რომ შევცვალეთ სამყარო, თუმცა, არა უკეთესობისკენ, არამედ – უარესობისკენ. ამერიკა და ამერიკული ოცნება წმინდა წყლის ბლეფი აღმოჩნდა. რაც შემეხება მე, ერთი მხრივ, სამშობლოს ვუღალატე და ჩირქი მოვცხე მას, მეორე მხრივ კი სატანურ გეგმას დავუჭირე მხარი და ისეთი საშინელი პროცესების თანაავტორი გავხდი, რასაც უმოწყალო, ყოვლად გაუმართლებელი ნგრევა და მილიონობით ყოვლად უდანაშაულო ადამიანების სიკვდილი მოჰყვა.

– ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ?

– ეჰ, ჩემო მეგობარო, თქვენ რომ იცოდეთ, რა არის ამერიკა, ყოველ ჩემს სიტყვას ირწმუნებდით. მე ძალიან დიდხანს ვიცხოვრე ამ ბაბილონის გოდოლში, კარგად შევისწავლე მათი ხრიკები და საკმაოდ ღრმად ჩავწვდი მათი სიცრუის მანქანის მექანიზმს.

– აბა, რა უნდა გექნათ, თქვენ ხომ გდევნიდნენ საბჭოეთში?

მასპინძელს ჩაეცინა და მომიგო:

– ვისოცკის არ დევნიდნენ? დევნიდნენ და თანაც როგორ! ერთი სული ჰქონდათ, რომ ის უცხოეთში დარჩენილიყო, რათა თავიანთი პოლიტიკა გაემართლებინათ და ამ გენიოსისთვის თავზე სულ მეტი და მეტი ლაფი დაესხათ. ვალოდია მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა და სადაც კი მოისურვებდა, ყველგან გაშლილი ხელებით მიიღებდნენ მას, მაგრამ, სამშობლოს მიტოვება ერთხელაც არ გაუვლია გულში. მას მე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან ვიცნობდი. ამერიკაში ახალი ჩასული ვიყავი, როდესაც შევიტყვე, რომ ვისოცკი და მარინა ვლადი ამერიკაში იმყოფებოდნენ. ორივე ჩემს ვილაში დავპატიჟე და მათ პატივსაცემად წვეულება გავმართე. ისინი ორი დღე დარჩნენ ჩემთან. გამგზავრების წინ ვალოდიამ მადლობა გადამიხადა და მითხრა:

– ჩვენი სამშობლო ერთადერთია დედამიწაზე და, რაც არ უნდა გვაწყენინოს მან, უფლება არ გვაქვს, ის ტალახში ამოვსვაროთ. გირჩევ, უკან დაბრუნდე და ახლა თუ არ გააკეთებ ამას, იცოდე, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო გაგიჭირდება ამის გაკეთება. ბოლოს კი, შეიძლება, ისე მოხდეს, რომ არც აქ დაგედგომებოდეს და არც იქ შეძლო დაბრუნება.



ვალოდიას სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა – ახლა მე არც აქ ვარ და აღარც რუსეთში. ასე რომ, ჩემო მეგობარო, ის ვერ იქნება დიდი ადამიანი, ვინც თავის სამშობლოს ტალახში ამოსვრის. არ გააკრიტიკებს, არამედ, ვიმეორებ, ტალახში ამოსვრის. მე და ჩემნაირებმა კი სწორედ ასეთი სამსახური გავუწიეთ მას და მეეჭვება, რომ მე რუსეთში მიმიღონ.

– თუ გსურთ მაინც სამშობლოში დაბრუნება?

– ძალიან. თითქმის ყოველღამე მესიზმრება ჩემი პატარა ქოხი, სადაც ბავშვობა გავატარე და ბავშვობაში დაბრუნების დაუოკებელი სურვილი მიპყრობს.

– გიპყრობთ და მიიღებთ კიდეც, – მივუგე მასპინძელს, – ილოცეთ, მარადისობაში უნდა გაემგზავროთ.

– ასეც ვიცოდი, – მწარედ ჩაეცინა ჩემს მასპინძელს, – ახია ჩემზე, ახია... ყველა მოღალატეს ასეთი ბედი ეწევა და ღალატს ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია.

ჩემს მასპინძელს სასიკვდილო განაჩენი ჯერ კიდევ შუა „ზასტოის“ პერიოდში გამოუტანეს დაუსწრებლად, რადგან, მისმა პროპაგანდისტულმა გამოსვლებმა და პუბლიკაციებმა დიდად შეუწყო ხელი საბჭოეთის დაქცევას. მაშინ მას ამერიკა მალავდა და ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი მსოფლიოში, რომ მისი ლიკვიდაცია იმ მომენტში უფრო მეტ ზიანს მოუტანდა საბჭოთა კავშირს. შემდეგ საბჭოეთი დაინგრა და მისთვის აღარავის ეცალა. ხოლო, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა და რუსეთმაც ძალების მოკრება დაიწყო, შჩუკინმა შეხვედრა მთხოვა. რომ მივედი, მითხრა:

– ძველი საქმეებია დასამთავრებელი და, რას იტყვი, დაგვეხმარები?

– რა თქმა უნდა, – მივუგე ვიქტორ იაკოვლევიჩს, – კუდები არასდროს მიყვარდა და, ნებისმიერი საქმე, ადრე თუ გვიან, უნდა დაასრულო.

შჩუკინმა საქმის არსი გამაცნო და, მას შემდეგ, რაც მოქმედების გეგმა შევიმუშავეთ, მე საქმეზე გავემგზავრე...

ობიექტი რომ დარწმუნდა, ვინ ვიყავი, არც თავის მართლება უცდია და არც წინააღმდეგობის გაწევა. მან თავი გააქნია და ნაღვლიანად მითხრა:

– როგორც ჩანს, ჩემი ოცნება ოცნებადვე დარჩება და რუსეთის მიწაში დასაფლავება არ მეღირსება; შეასრულეთ თქვენი მისია, მე მზად ვარ!

ასეთი ღირსეული ობიექტი არასდროს მყოლია და მის მიმართ სიბრალულმაც კი შემიპყრო. მაგრამ, საქმე საქმე იყო – ჩემი პისტოლეტიდან გასროლილმა ტყვიამ მას გული განუგმირა და საბჭოეთის დაშლის ერთ-ერთი შემოქმედი ღრმა სავარძელში უსულოდ ჩაეშვა.

ობიექტის მკვლელობამ მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია. განსაკუთრებით ევროპული მედია ბობოქრობდა. ყველას თითქმის ერთსულოვნად მიაჩნდა, რომ ის ამერიკელებმა მოკლეს და თითქმის არავის მიუტანია ეჭვი რუსეთზე. ამერიკელები, რა თქმა უნდა, მწვავედ აპროტესტებდნენ ამას, მაგრამ, ამით კიდევ უფრო მეტ ეჭვს ბადებდნენ.

შჩუკინს ამ საქმის შემდეგ რომ შევხვდი, მითხრა:

– აი, ხომ ხედავ, ამ აქციით ორი კურდღელი დავიჭირეთ: ერთი მხრივ, მოღალატე მოვსპეთ, მეორე მხრივ კი ამერიკელების კო-

მპრომეტაცია მოვახდინეთ და მთელი მსოფლიო მათ ბრალეულობაზე ლაპარაკობს.

რომ იტყვიან, მსგავსი „გაჩალიჩებები" ჩვეულებრივი პრაქტიკაა სპეცსამსახურების ურთიერთობებში და „ცეერუსა" და „კაგებეს" ურთიერთბრძოლის ისტორიაც ისეთი ოპერაციებითაა სავსე, რომლებშიც არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა.

ერთხელ, ლუბიანკაზე მიხმეს და შჩუკინის კაბინეტში რომ შევედი ფეხი, მითხრა:

– ერთი ძალიან საპასუხისმგებლო მისია უნდა დაგაკისროთ და შენი იმედი გვაქვს.

– მზად ვარ. გისმენთ.

შჩუკინმა ერთი არაბის სურათი მაჩვენა:

– აი, ეს კაცი ამერიკული შაშხანით უნდა მოკლა აღმოსავლეთ ბერლინში, სადაც ის ზეგ ჩადის. უნდა მოასწრო. ეს აუცილებელია, რადგან ზეგ ამერიკულ-არაბული მოლაპარაკებები იწყება ნავთობის წარმოების გაზრდის საკითხზე, რაც საბჭოთა კავშირს არ აწყობს და ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ის ჩაიშალოს.

– გასაგებია. გამოდის, რომ ეს მკვლელობა ამერიკელებს უნდა მოვასწროთ.

– სწორედ ასეა, – დამიდასტურა შჩუკინმა, – ობიექტი ამ არაბული ქვეყნის მმართველის უახლოესი ნათესავია. ის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში სწავლობდა და ამ სამიოდე თვის წინ მას 19 წლის გოგონა შემოაკვდა სადისტური სექსის დროს. ის გოგონა კი გავლენიანი სენატორის ქალიშვილი იყო. არაბი ამერიკიდან გაიქცა და დაჟინებული მოთხოვნების მიუხედავად, ის თავისმა ქვეყანამ ამერიკას არ გადასცა. ერთი სიტყვით, მას რომ მოკლავ, მისი ქვეყანა ამერიკის დელეგაციას აღარ მიიღებს, რადგან, მკვლელობაში ამერიკას დაადანაშაულებს და ამით მხოლოდ ჩვენ მოვიგებთ. თანაც, სადისტ მანიაკსაც დავსჯით.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გავთვალეთ: ამერიკული შაშხანიდან გასროლილმა ტყვიამ ობიექტს ნახევარი თავი წააცალა. მისმა სამშობლომ კი ამაში ამერიკული მხარე დაადანაშაულა, ამერიკული დელეგაცია აღარ მიიღო და მსხვილი ნავთობპროექტი გარკვეული დროით ჩაიშალა. ის დრო კი საბჭოეთმა გამოიყენა და თავისი სავალუტო მარაგი მნიშვნელოვნად შეავსო.

ეგრეთ წოდებული „სანავთობო ომი" ცივი ომის ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი იყო და საბჭოთა კავშირის დაშლაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. როგორც ცნობილი იყო, საბჭოთა ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ნავთობის გაყიდვიდან შემოსული თანხებით ივსებოდა, საიდანაც ლომის წილი კი სამხედრო დაფინანსებას ხმარდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ ამერიკელებმა და გადაწყვიტეს, ბოლო მოეღოთ ამისთვის, რაც ავტომატურად გამოიწვევდა საბჭოეთის ეკონომიკურ და სამხედრო ვარდნას, ეს კი საბოლოოდ დაქცევას გამოიწვევდა. ამის განსახორციელებლად, ამერიკელები საიდუმლოდ მოელაპარაკნენ ნავთობმწარმოებელ არაბულ ქვეყნებს და ნავთობის წარმოება მნიშვნელოვანწილად გააზრდევინეს, ამან კი ნავთობის გაიაფება გამოიწვია და საბჭოთა კავშირს ეგრეთ წოდებული „ნავთობდოლარები" შემოაკლდა. ხოლო, რაც ამას მოჰყვა, მთელმა მსოფლიომ კარგად დაინახა და უზარმაზარი ქვეყანა თავზე ჩამოგვემხო.



ერთი მოსკოვური შეხვედრის დროს შჩუკინმა მითხრა:

– ამერიკამ რომ ჩვენს საწინააღმდეგოდ ნავთობპროექტის განხორციელება დაიწყო და არაბულმა ქვეყნებმა ნავთობწარმოების გაზრდას მიჰყვეს ხელი, ანდროპოვს ზუსტი ანალიზი დავუდეთ მაგიდაზე, საიდანაც თვალნათლივ ჩანდა, რომ გადამჭრელი ზომების მიღება იყო საჭირო. იური ვლადიმიროვიჩთან მე და მუხინი ვიყავით შესულები და ჩვენს დასკვნას რომ გაეცნო, თქვა:

– ესე იგი, თუ ამ ქვეყნების ნავთობწარმოების პარალიზება არ მოვახდინეთ, გამოდის, რომ ჩვენი საბიუჯეტო შემოსავალი მკვეთრად დაეცემა?

ისეთ საკითხთან გვქონდა საქმე, დიპლომატიურობა არ ივარგებდა და ანდროპოვს პირდაპირ ვუთხარი:

– იური ვლადიმიროვიჩ, ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის დაქცევისკენაა მიმართული და გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ.

– რას გულისხმობთ, აქ ხომ მხოლოდ გულისხმიერი მოქმედებებია საჭირო?!

– დიახ, მაგრამ, არა ფართომასშტაბიანი ომი, არამედ, კარგად ორგანიზებული, ფართომასშტაბიანი დივერსია, რომელიც კარგა ხნით გამოიყვანს წყობიდან მათ ჭაბურღილებს...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯ | | გ | | ა | | მ | კ | ლ | ა | ვ | ჭ | ი | დ | ი |
| ა | გ | ე | ნ | ტ | ი | | ა | | ყ | | ი | | ა | |
| კ | | ს | ე | ი | | ს | ლ | ო | ვ | ა | კ | ე | თ | ი |
| ა | ნ | ტ | ი | ლ | ო | პ | ა | | ა | რ | ჭ | | ვ | |
| რ | | ა | | ა | ტ | ე | | ი | ნ | ა | ი | რ | უ | შ |
| ტ | ი | პ | ი | | ა | ქ | რ | | ა | ვ | კ | ო | რ | |
| ა | ბ | ო | ნ | ე | ნ | ტ | ი | | | ა | ი | მ | ი | ქ |
| | | | ვ | | | ა | გ | ი |  | | | | | |
| მ | ი | რ | ე | ი | | კ | ი | მ | | | | | | |
| ო | | ა | რ | უ | ა | ლ | | ა | | | | | | |
| დ | ღ | ე | ს | | ლ | ი | რ | ი | | | | | | |
| ა | | | ი | | ბ | | ო | რ | | | | | | |
| | ს | | ა | ი | ა | ზ | მ | ა | | უ | ხ | მ | ო | |
| ჩ | ა | ი | | ს | ტ | | ა | მ | ე | დ | ე | ო | | ჭ |
| | ნ | | ა | ი | რ | | ნ | | ბ | ე | ლ | გ | ი | ა |
| უ | დ | ი | პ | ლ | ო | მ | ო | | | | ო | ვ | | ღ |
| ა | რ | ე | კ | | ს | ი | ვ | | ქ | ა | ვ | ი | ლ | ი |
| ი | ო | რ | ი | | ი | ს | ი | ე | რ | | ნ | | ი | |
| ლ | | დ | | პ | | ტ | | ლ | ო | რ | ე | | ო | |
| დ | ი | ნ | გ | ო | | ე | რ | ე | მ | | ბ | ო | ნ | ი |
| ი | | ა | ი | პ | უ | რ | | პ | ი | რ | ა | ტ | ი | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 7 | 2 | 1 | 4 | 9 | 5 | 8 |
| 9 | 4 | 8 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 7 |
| 1 | 5 | 2 | 7 | 8 | 9 | 6 | 4 | 3 |
| 5 | 7 | 4 | 1 | 2 | 8 | 3 | 6 | 9 |
| 8 | 6 | 9 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 8 | 4 |
| 7 | 1 | 3 | 4 | 5 | 6 | 8 | 9 | 2 |
| 4 | 8 | 6 | 9 | 7 | 2 | 1 | 3 | 5 |
| 2 | 9 | 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 7 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 7 | 5 | 2 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 8 | 9 | 2 | 7 | 4 | 6 | 1 | 3 | 5 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 8 | 9 | 2 | 7 | 6 |
| 7 | 8 | 1 | 6 | 9 | 2 | 3 | 5 | 4 |
| 5 | 3 | 6 | 8 | 1 | 4 | 9 | 2 | 7 |
| 4 | 2 | 9 | 3 | 5 | 7 | 8 | 6 | 1 |
| 6 | 1 | 5 | 4 | 3 | 8 | 7 | 9 | 2 |
| 2 | 7 | 3 | 9 | 6 | 1 | 5 | 4 | 8 |
| 9 | 4 | 8 | 2 | 7 | 5 | 6 | 1 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. აფროდიტეს სკულპტურას. 2. „ტროას ცხენი". 3. მორფიუმის. 4. მოსამართლე – თვალებში მისი აზრი რომ არ წაეკითხათ. 5. კანაფი. 6. „წილი ნაყარია". 7. ფეხბურთის. 8. „ძაღლების ვალსი". 9. არფა. 10. გრაფი.**

# როგორი მეუღლე იყო სტალინი



იოსებ სტალინი ორჯერ იმყოფებოდა ქორწინებაში. ბელადის პირველი მეუღლე, მისივე თანამემამულე კატო სვანიძე გახლდათ, მეორე კი – ნადეჟდა ალილუევა.

სტალინისა და კატო სვანიძის დაქორწინება დიდი სიყვარულის ლოგიკური შედეგი იყო. სოსოს მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ წერილებში მკაფიოდ ჩანდა მომავალი საბჭოთა ლიდერის დიდი სიყვარული და აღტაცება სიცოცხლისადმი. კატოც იგივეთი პასუხობდა, ის აღმერთებდა სოსოს.

კატო სვანიძე – მკერავი გოგონა რაჭიდან გახლდათ. სტალინის პირველი ქორწინება ეკლესიური იყო. წყვილს ჯვარი ახლომდებარე ეკლესიაში, 1906 წლის 16 ივლისის ღამეს, ორ საათზე მამა კიტა თხინვალელმა დასწერა. მას სოსო ჯუღაშვილი სემინარიიდან იცნობდა. იოსებ სტალინისა და კატო სვანიძის მეჯვარე ცნობილი რევოლუციონერი, მიხა ცხაკაია იყო. ქორწილს ოჯახი და მეგობრები დაესწრნენ. ყველა მხიარულობდა, განსაკუთრებით კი – სიძე.

ცოლ-ქმარს ძალიან უყვარდა ერთმანეთი. მალე კატო დაორსულდა. ახალგაზრდა სტალინი, დიდ დროს ვერ ატარებდა მეუღლის გვერდით. თუმცა, ცდილობდა, როგორც შეეძლო ესიამოვნებინა და გაენებივრებინა ფეხმძიმე კატო. მალე იაკობიც დაიბადა.

ამ პერიოდში სტალინი თბილისში, სხვის სახელზე გაცემული პასპორტით ცხოვრობდა. ის გრძნობდა, უფრო სწორად, დაბეჯითებით იცოდა, რომ ჟანდარმერია უთვალთვალებდა. ამიტომ, დღისით შინ არ ჩნდებოდა. ღამე გვიან ბრუნდებოდა და გამთენიისას ისევ ტოვებდა ოჯახს. ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაში საერთოდ არ ჩნდებოდა სახლში. ყოველივე ამას სტალინის ხასიათს ვერ მივაწერთ.

დრო გადიოდა.

თბილისში ცხოვრება სულ უფრო სახიფათო ხდებოდა ჯუღაშვილისთვის, ამიტომ გადაწყვიტა, ბაქოში გადასულიყო. ბაქო თბილისთან შედარებით დიდი სამრეწველო ქალაქი იყო მუშათა დასახლებებით. თანაც, მნიშვნელოვანია, რომ ამ დასახლებებს ბაქოს ჟანდარმერია, პრაქტიკულად, ვერ აკონტროლებდა. ასე რომ, სტალინს ბაქოში შედარებით მშვიდად შეეძლო ცხოვრება.

ცხადია, სტალინი ბაქოშიც განაგრძობდა რევოლუციურ მოღვაწეობას. კატო და სტალინი მუშათა უბანში ერთ მიწურში ცხოვრობდნენ. ვინაიდან სტალინი თავს პარტიის სახსრებით ირჩენდა, უკეთესი ბინის დაქირავება მას არ შეეძლო. კატომ, შეძლებისდაგვარად, მყუდროდ მოაწყო საცხოვრებელი. მალე, ცუდმა კვებამ, საცხოვრებელმა პირობებმა და კასპიის ზღვის ნესტიანმა ჰავამ, კატო სვანიძის ჯანმრთელობა შეარყია. ცხადია, ცნობილ ექიმებთან, ან საავადმყოფოებში სტალინს მეუღლის სამკურნალოდ სახსრები არ გააჩნდა. ამიტომ, ლოგიკურია, რომ ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა.

1907 წელს იოსებ სტალინი ევროპაში გაემგზავრა, მეორე ინტერნაციონალურ კონგრესზე დასასწრებად. იქ მან თავისი ცოლისძმა, ალიოშა სვანიძე მოინახულა, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ ლაიფციგში სწავლობდა.

ევროპიდან ჯუღაშვილი ცოლ-შვილთან დაბრუნდა ბაქოში. ის დილაადრიანად გადიოდა სახლიდან და გვიან ბრუნდებოდა. კატო მთელი დღე ბავშვთან იჯდა სახლში და შიშით ელოდა ქმრის დაპატიმრებას. ნერვიულობამ, უძილობამ, ბაქოს სიცხემ და არასწორმა კვებამ თავისი კვალი დაამჩნია კატო სვანიძის ჯანმრთელობას. ის ამაოდ ემუდარებოდა საყვარელ მეუღლეს, უარი ეთქვა იდეებზე და მშვიდი და ნორმალური ცხოვრებით ეცხოვრათ.

თბილისში სვანიძეებმა რომ შეიტყვეს, კატო ძალიან სუსტად იყო, მშობლიურ სოფელში მიიპატიჟეს. თუმცა, მოსიყვარულე ცოლმა იუარა ბაქოდან წამოსვლა. მალე კატოს ჯანმრთელობა იმდენად გაუარესდა, რომ უკვე თვითონ მოითხოვა საქართველოში დაბრუნება. სტალინი მიხვდა, რომ სწრაფად უნდა ემოქმედა. მან ოქტომბერში ჩამოიყვანა კატო თბილისში და ისევ ბაქოში გაბრუნდა. 13-საათიანმა მგზავრობამ კიდევ უფრო დაასუსტა კატო. როცა იოსებ სტალინი თბილისში დაბრუნდა, ცოლი მომაკვდავი დახვდა. სტალინი ცოლს უვლიდა, შეძლებისდაგვარად, არაფერს აკლებდა, მაგრამ უკვე გვიან იყო...

**დედის დაღუპვას სვეტლანა ალილუევა შემდეგში ლავრენტი ბერიას აბრალებდა**

სიკვდილის წინ კატომ მღვდელი მოითხოვა უკანასკნელი ზიარებისთვის.

1907 წლის 22 ნოემბერს იოსებ სტალინს ცოლი ხელში ჩააკვდა. ქმარმა მისი უკანასკნელი სურვილი შესრულა და 22 წლის კატო სვანიძე მართლმადიდებლური წესით დაკრძალა.

სტალინი განადგურებული იყო. მან საკუთარი ხელით დაუხუჭა თვალები საყვარელ მეუღლეს. ამის შემდეგ, თავს ძალა დაატანა, ძალღონე მოიკრიბა, მაგრამ მერე, უცებ მოტყდა. ის იმდენად სასოწარკვეთილი იყო, რომ მეგობრებს მისთვის იარაღის დატოვება შეეშინდათ და ჩამოართვეს.

კატოს სიკვდილის შესახებ გაზეთ „წყაროში" მოათავსეს განცხადება.

კატო სვანიძის დაკრძალვის ცერემონია, სვანიძეების სახლის გვერდით, იმავე ეკლესიაში ჩატარდა, სადაც თავის დროზე სტალინმა და კატომ დაიწერეს ჯვარი. დაკრძალვის ცერემონია კუკიაზე შედგა, წმინდა ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. ჩვეულებრივ, თავდაჭერილმა იოსებ სტალინმა მეუღლის დაკრძალვაზე უჩვეულო რამ ჩაიდინა, როცა კუბო საფლავში ჩაუშვეს, სტალინიც თან ჩაჰყვა და მეგობრებმა ძლივს ამოათრიეს იქიდან.

იაკობი 8 თვის ასაკში დაობლდა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ჯუღაშვილის შესახებ აღარაფერი ისმოდა. ის ღრმა მწუხარებამ მოიცვა და თითქმის აღარსად ჩნდებოდა. მოგვიანებით, სტალინი დედასთან წავიდა გორში. კატოს გარდაცვალების შემდეგ იოსებ სტალინის სტატიები ახალი ფსევდონიმით იბეჭდებოდა: „კ. კატო" (კობა კატო). იოსებ სტალინს ძალიან უყვარდა კატო სვანიძე და მუდამ დიდი სიყვარულით იხსენიებდა მას.

ბელადის მეორე მეუღლე გახლდათ ნადეჟდა ალილუევა. ბელადი მას ბავშვობიდან იცნობდა. როცა ისინი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს, ნადია უკვე 16 წლის იყო. ეს კატოს სვანიძის სიკვდილიდან 10 წლის შემდეგ მოხდა. ნადეჟდას მამა, სერგო ალილუევი სტალინის მეგობარი გახლდათ. ნადიასა და სტალინის შეხვედრაც მაშინ მოხდა, როცა იოსები მეგობრის სახლში იმალებოდა. სოსოს, ყოველთვის ისეთი ქალიშვილები მოსწონდა, რომლებსაც დალაგებაც შეეძლოთ, სადილის მომზადებაც და მასზე ზრუნვაც, ისე როგორც კატოსა და დედამისს. ასეთი იყო ნადეჟდაც, რომელიც აღტაცებული იყო სტალინითა და მისი საქმით. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ შეუყვარდა. მალე სტალინსაც თავდავიწყებით შეუყვარდა ნადეჟდა ალილუევა, რომელიც გაცილებით უმცროსი იყო მასზე. მათ ორი შვილი შეეძინათ – ვასილი და სვეტლანა. ვასილს მამამ სტალინის გვარის ტარების უფლება მისცა, მისი ნახევარძმის, იაკობისგან განსხვავებით.

იოსებ სტალინისა და ნადეჟდა ალილუევას ოჯახი თავიდან ბედნიერი ჩანდა. ალილუევები სტალინის ბინაში გადავიდნენ და მის აგარაკზე ცხოვრობდნენ ზუბალოვოში. ამბობენ, ეს სახლი მანამდე ბაქოს ნავთობმაგნატს ეკუთვნოდა...

ქორწინების შემდეგ ნადიას არასდროს უმუშავია. პირველ წლებში ბავშვების აღზრდითა და დიასახლისის როლით კმაყოფილი ჩანდა, მაგრამ შემდეგ კარიერაზე სერიოზულად დაიწყო ოცნება. ოცნების რეალიზაციისთვის სწავლაც დაიწყო ერთ-ერთ სასწავლებელში. 1932 წლის ნოემბერში საზოგადოებამ მოულოდნელად შეიტყო ახალგაზრდა ნადეჟდა ალილუევას დაღუპვის ამბავი.

დედის დაღუპვას სვეტლანა ალილუევა შემდეგში ლავრენტი ბერიას აბრალებდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ნადეჟდა ალილუევას თავისი ლექტორი შეუყვარდა. ცხადია, ხმები სტალინამდეც მივიდოდა. ერთ-ერთი ვერსიით, ნადეჟდა სტალინმა მოაკვლევინა, ხოლო მეორე, შეუმოწმებელი ვერსიით – საკუთარი ხელით მოკლა.

რაც შეეხება ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობის შესახებ გავრცელებულ ხმებს, ეს ვერსია მაშინვე საეჭვოდ მიიჩნიეს. საზოგადოებას ეჭვები მას შემდეგ გაუძლიერდა, როცა შეიტყვეს, რომ სტალინი მეუღლის დასაფლავებას არ დაესწრო.

**მომამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## წამალაძე-წამალაიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **წამალა**. ამავე ძირისაა გვარი **წამალაიძე**.

1250-1260 წლებში შიომღვიმის სიგელში მოიხსენიება ვინმე **წამალაისძე**. ასევე, მოხსენიებულნი არიან არაიძე და **წამალაძე.**

საქართველოში 480 **წამალაძე** ცხოვრობს: თბილისში – 162, დუშეთში – 108, ყაზბეგში – 53. არიან სხვაგანაც.

## ალბუთაშვილი

გვარის წინაპრები ძველისძველი ფხოვის ერთ-ერთ იმ შტოს ეკუთვნოდნენ, ბორბალოს მთის იქით, მდინარე არღუნის უკიდურესი სამხრეთით, უკანა ფშავიდან მათურის ხევისა და ხოსარის მთის გადავლით, ივრის ხეობიდან ტბათანას გასწვრივ რომ სახლობდა.

აქაურებს „გლეხებს“ ეძახდნენ, რაც ქართულად სამხრეთელს, მზისმხარელს ნიშნავს. სარწმუნოებრივად, გლეხები, ისევე, როგორც იქ მცხოვრები ტომები – თუშები, მთიულები, ფშაველები, ხევსურები – წარმართები იყვნენ.

მათი პირველი სალოცავი წმიდა გიორგი ყოფილა; ამავე დროს, ჰქონიათ საგვარეულო კულტებიც, რაც ადასტურებს მათ კერპთაყვანისმცემლობას. ლოცულობდნენ: კარატეს, დამასტეს, იახსარსა და ხახმატს, ლაშარის ჯვარს. შემდეგ, შამილის ცნობილი ლაშქრობის დროს, ეს ადგილები თანდათანობით დაიცალა, რასაც ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ეკლესია კედელზე ამოტვიფრული ქრისტიანული ჯვრით და სამარხები. შემდგომ, პოლიტიკურ ვითარებათა ცვალებადობას მოჰყვა ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა. აშენდა ციხე-კოშკები არღუნის დაყოლებაზე; თამარ მეფის დროს ჩნდება დედაციხე. მას ქართველი მეციხოვნეები იცავდნენ. ითუმყალიდან 5 კილომეტრში დღესაც დგას თამარის ციხე.

**ალბუთაშვილების** გვარის ხალხი ჩანს დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, თელავის რაიონებში.

დადგინდა, რომ **ალბუთაშვილები** სასულიერო პირებიც იყვნენ.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში თელავში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი და მკვლევარი, შემდგომში კი სასულიერო პირი, მათე **ალბუთაშვილი** – პანკისის ხეობის მოსახლეობის ისტორიის, გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ მასალების უბადლო მცოდნე, რომელიც შემდგომ ხეობის, კერძოდ, სოფელ ჯოყოლოს წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო. მისი წყალობით აღდგა პანკისის ხეობაში ქრისტიანული წირვა-ლოცვა.

საქართველოში 280 **ალბუთაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 63, თბილისში - 62, დუშეთში – 53. არიან სხვაგანაც.

## შერგელაშვილი-შერგილაშვილი

გვარის ფუძე **შერგილ, შერგირ** ირანული წარმოშობის სახელებში გვხვდება. ის „ლომის დამჭერს" ნიშნავს. ამ სახელს ატარებდნენ როგორც ქართველები, ისე ირანელებიც.

გვარი გვხვდება ორი ფორმით: **შერგელაშვილი** და **შერგილაშვილი**.

1840-იან წლებში **შერგელაშვილები** ცხოვრობდნენ სოფელ ზოვრეთში, **შერგილაშვილები** კი – ზეციხეში, თავასაში, მიროწმიდაში, საზანოში, სანახშირეში და ასე შემდეგ.

საქართველოში 640 **შერგელაშვილი** ცხოვრობს: ზესტაფონში – 164, თბილისში – 162, ხარაგაულში – 82. არიან სხვაგანაც.

175 **შერგილაშვილი**: თბილისში – 39, დუშეთში – 5, ქუთაისში – 2. არიან სხვაგანაც.

## ქაფიანიძე-ქაფიაშვილი

გვარში ფუძეა **ქაფი**, რომლის შესახებაც სულხან-საბას „სიტყვის კონაში" უწერია: „**ქაფი** სხვათა ენაა, ქართულად პერი ჰქვიან"... „**ქაფი** იგივეა, რაც ჯავშანთ სამხარიღლიე."

**ქაფიაშვილი** და **ქაფიანიძე** ერთ და იმავე გვარადაა დაფიქსირებული მკლევარ ილია მაისურაძის წიგნში „ქართული გვარ-სახელები."

**ქაფიანიძე** რაჭული გვარია. ცხოვრობენ სოფელ სხიერსა და ძეგლევში, ასევე, ნაკიეთში.

შესაბამისი სამმართველოს ჩინოვნიკებს, როგორც ჩანს, ასო **ქ**-ს ნაცვლად, უფრო რუსულის გავლენით, ასო **კ** ჩაუწერიათ და **კაპიანიძე** გაუხდიათ. მსგავსი შეცდომები ხშირად გვხვდება ისტორიულ საბუთებში.

საქართველოში 575 **ქაფიანიძე** ცხოვრობს:




თბილისში – 283, ადიგენში – 55, ყვარელში – 47. არიან სხვაგანაც.

172 **ქაფიაშვილი**: თბილისში – 62, დუშეთში – 58, მცხეთაში – 44. არიან სხვაგანაც.

## კერესელიძე

ილია მაისურაძემ, წიგნში „ქართული გვარ-სახელები," მოგვცა ასეთი ინფორმაცია: „**კერესელიძე** ალისუბანში (თერჯოლის რაიონი), ბოყვაში (ონის რაიონი), ლანჩხუთის რაიონში და სხვაგანაცაა გავრცელებული."

გვარის წარმოშობის ფუძედ მიჩნეულია **კერა**, რომელიც საკუთარ სახელადაცაა ქცეული.

1840 წლის აღწერით, **კერესელიძეები** რაჭაში მოიხსენიებიან შემდეგ სოფლებში: ბარი, ბოყვა, გორი, კრიხი, პიპილეთი, სადბელი, ფარავნე, ქვედა შავრა, ღადიში, ბარდომეთი, წესი. ბარსა და პიპილეთში იყვნენ სახელმწიფო გლეხები; ბოყვაში, გორში, კრიხში, ღადიშსა და ბარდომეთში კი – საბატონო გლეხები. ასევე, ფარავნეში და სადბელში – საეკლესიო გლეხები.

საქართველოში 3 053 **კერესელიძე** ცხოვრობს: თბილისში – 1 501, ამბროლაურში – 237, გორში – 166. არიან სხვაგანაც.

## ხოჯაბეგიშვილი-ხოჯაბეგოვი

გვარი შედგენილ-ნაწარმოებია ორმაგი ძირით, სიტყვებით: **ხოჯა** და **ბეგი**. უცხოურობის (არაქართველობის) ელფერს სძენს ისიც, რომ სუფიქსად გამოყენებულია არა **შვილი** და **ძე**, არამედ, რუსული ფორმანტი – **ოვი.**

ქართული გვარების **ოვი**-თა და **იევ**-ით გაწყობის პრაქტიკა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ დაიწყო. მეფე ერეკლე მეორის დროს, აქედან წაღებული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია რუსულად ასეთნაირად გადაასხვაფერეს და შეცვალეს: აბაშიძე – აბაშიცე, აბაშიზე; ბაგრატიონ-დავითაშვილი – ბაგრატიონ-დავიდოვი; თუშიშვილი გახადეს დუშიევი; ხიდირბეგიშვილი (იგივე ამილახვარი) გახდა ხიდირბეგოვი ან ხიდირბეკოვი; შალბელიქიშვილი გახდა შალბელიკოვი; ასევე დაემართა ქართულ გვარს – **ხოჯაბეგიშვილს**.

ფუძით **ხოჯა** გვაქვს გვარები: **ხოჯავა**, (მეგრულად ხოჯი იგივეა, რაც ხარი); **ხოჯი** გვხვდება საკუთარ სახელადაც), **ხოჯაშვილი, ხოჯელანი, ხოჯიშვილი, ხოჯანაშვილი, ხოჯივანიშვილი** (გადმოცემით, ამ უკანასკნელის გვარეულობის წინაპარი ყოფილა მასწავლებელი, სახელად ივანე. მესხეთში თურქთა ბატონობის დროს მას „**ხოჯა** ივანას" ეძახდნენ, რაც გვარის წარმოშობას დაედო საფუძვლად).

**ხოჯაბეგოვი** მცირერიცხოვანი გვარია. ისინი წმინდა წყლის ქართველები არიან და არაფერი აქვთ საერთო სხვა ეროვნების ხალხთან.

საქართველოში სულ 20 **ხოჯაბეგაშვილი**, იგივე **ხოჯაბეგოვი** ცხოვრობს.

## ოხანაშვილი

გვარი **ოხანაშვილი** გვარების მკვლევრებს, ილია მაისურაძესა და ალექსანდრე ღლონტს, შეტანილი აქვთ ქართულ გვარ-სახელთა ჩამონათვალში.

კერძოდ, ილია მაისურაძე წერს: „**ოხანაშვილი**, სავარაუდოა, მომდინარეობს საკუთარი სახელიდან – **ოხანა**, შედარებისთვის **ოხოა; ოხონაშვილი** (ქართველური საკუთარი სახელები) – ოხანა გვარში: **ოხანაშვილი**".

გვარის ადრინდელ ფორმად ჩანს **ოჰანაშვილი**. ამ შემთხვევაში გვარის ფუძეა იოვანე, იოანე. აქედან – ოჰანეს-ოჰანეზა-ოჰანესა-ოანეზა.

გვხვდება გვარი **ოჰანეზასშვილი.**

„გიორგი **ოჰანეზასშვილი**, დამამტკიცებელი გიორგი მეფის მიერ უზბაშ ალხაზ მაჩაბლისთვის მიცემული ყმების გათარხნების წიგნისა" (1680 წელი).

**„ოჰანესაშვილი** მურადა, ბოსის სოფელს მცხოვრები, შანშიშელ პაპიას და მისი ძმის, დოლმაზას გაყრისას ერგო დოლმაზას" (1667 წელი).

საქართველოში 473 **ოხანაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 186, თბილისში – 102, კასპში – 88. არიან სხვაგანაც.

## წიტაიშვილი

ამ გურული წარმოშობის გვარზე ისტორიულ წყაროებში მწირი ინფორმაცია არსებობს.

ზოგი მკვლევარი **ციტაიშვილს წიტაიშვილებთან** აიგივებდა.

გვარის ფუძეა სიტყვა **წიტა**, რაც ახლად ამოვლებულ ჩურჩხელას ნიშნავს; **ციტა** კი საკუთარ სახელადაა დაფიქსირებული მეთორმეტე საუკუნიდან.

საქართველოში 494 **წიტაიშვილი** ცხოვრობს: ოზურგეთში – 249, თბილისში – 118, ბათუმში – 41. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# როგორი მშობელი ხარ?!

*„ოქროს შუალედის“ პოვნა შვილებთან ურთიერთობაში განსაკუთრებით რთულია. რა დოზით უნდა იყო მეგობარი და აღმზრდელი ერთდროულად, ამის დაბალანსება უკვე ოსტატობაა.*

*ფლობთ ამ ხელოვნებას?*

**1. ბავშვს სასეირნოდ წაყვანას დაჰპირდით და უცებ შეუძლოდ იგრძენით თავი. როგორ მოიქცევით?**

ა) რამე წამალს დავლევ და მაინც წავიყვან;
ბ) მეუღლეს ვთხოვ, მან წაიყვანოს;
გ) ვეტყვი ბავშვს, რომ ცუდად ვარ და მერე წავიყვან.

**2. ძალიან ცივა. თქვენი შვილი კი უარს ამბობს თბილ ქუდზე...**

ა) ძალით დავახურავ ქუდს;
ბ) უქუდოდ წავიყვან;
გ) როგორმე დავითანხმებ, დაიხუროს – რამეს დავპირდები.

**3. მაღაზიაში თქვენი შვილი ისტერიკულად ითხოვს სათამაშო უყიდოთ:**

ა) ოღონდ დაწყნარდეს და ვუყიდი;
ბ) მშვიდად დაველოდები, როდის დაწყნარდება;
გ) ძალით გამოვათრევ მაღაზიიდან.

**4. თქვენი შვილი კარადაზე აძვრა და ვეღარ ჩამოდის:**

ა) ჩამოვიყვან და ვეტყვი, რომ მეორედ არ დავეხმარები;
ბ) ჩამოვიყვან, რა პრობლემაა;
გ) ვეტყვი – როგორც აძვერი, ისე ჩამოძვერი-მეთქი.

**5. ბავშვი გეუბნებათ, რომ თქვენთან ყოფნა მისთვის უინტერესოა...**

ა) ძალიან ვინერვიულებ;
ბ) შევეცდები, გავიგო, რა არის ამისი მიზეზი;
გ) გავბრაზდები.

**6. ბავშვი ყველგან დაგყავთ?**

ა) არა. ყველგან როგორ ვატარებ?!



ბ) არა. მისგან დასვენებაც მჭირდება;
გ) რა თქმა უნდა.

**7. აძლევთ ბავშვს უფლებას, ბევრი ირბინოს და იცელქოს?**

ა) არა. არ ვაძლევ ამის უფლებას;
ბ) სახლთან ახლოს, სკვერში – რატომაც არა;
გ) ზოგჯერ კი. თუმცა, იშვიათად.

**8. რა არის მთავარი ბავშვთან ურთიერთობისას?**

ა) მუდმივი მზრუნველობა;
ბ) შეაჩვიო დამოუკიდებლობას;
გ) პარტნიორული დამოკიდებულება, თანასწორობის განცდა.

**9. ერევით თუ არა ბავშვისა და მისი მეგობრების ურთიერთობაში.**

ა) აუცილებლად. არავის დავაჩაგვრინებ;
ბ) არა. თავად მიხედოს;
გ) ზოგჯერ ვეხმარები, გაერკვეს რაღაცეებში.

**10. როცა ბავშვი არ ჭამს სასარგებლო კერძებს:**

ა) ვუმზადებ იმას, რაც უყვარს;
ბ) ვუხსნი, რომ ეს საჭიროა მისი ჯანმრთელობისთვის;
გ) ძალით ვაჭმევ.

***თუ პასუხების უმრავლესობა არის „ა“ ვარიანტი:*** *„გიჟი“ მშობელი ხართ. თქვენი პირმშო ყოველთვის სუპერმოვლილია, მაგრამ გავიწყდებათ მისი ცხოვრებისთვის მომზადება. მიეცით მეტი თავისუფლება.*

***ვარიანტი „ბ“:*** *ისეთი მშობელი ხართ, როგორიც მაუგლის მგელი მშობლები იყვნენ. იცავთ თქვენს პირმშოს, თან არაფერში ზღუდავთ. შესანიშნავი მეთოდიკაა.*

***ვარიანტი „გ“:*** *მკაცრი და შეუვალი აღმზრდელი ხართ. მაგრამ მის გვერდით ძალიან ცოტა დროს ატარებთ. ასე ვერასდროს გაიგებთ, რა დიდი ბედნიერებაა შვილთან ურთიერთობა.*

## პრეზიდენტების საიდუმლოებები

*როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, ამერიკის ყველა პრეზიდენტს თავისი პატარა „უხერხული“ საიდუმლო ჰქონდა.*

მაგალითად, მეშვიდე პრეზიდენტი – **ენდრიუ ჯეკსონი** (1767-1845) ისე გადაირია, რომ დუელში გამოიწვია ვინმე ჩარლზ დიკენსონი, რომელმაც შეურაცხმყოფელი ფრაზები წარმოთქვა პრეზიდენტის ქორწინებასთან დაკავშირებით.



ჯეკსონმა უფლება მისცა მოწინააღმდეგეს, პირველს გაესროლა. ტყვია გულთან ახლოს მოხვდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა დიკენსონი მოეკლა.

ამერიკის მეოცე პრეზიდენტი – **ჯეიმს გარფილდი** (1831-1881) პოლიგლოტი იყო. ასევე, ჰქონდა უნიკალური ნიჭი – ერთი ხელით ბერძნულად წერდა, მეორე ხელით ლათინურად, თანაც, ერთდროულად.

კიდევ ერთი ამერიკელი პრეზიდენტი – **კალვინ კულიჯი** (1872-1933) თავისი პურიტანიზმითა და მეტისმეტი თავდაჯერებულობით იყო სახელგანთქმული. ამასთან, სიტყვაძუნწიც გახლდათ და ყველა დააჩვია, რომ მასთან მოკლე, ორსიტყვიანი ფრაზებით ესაუბრა.

## ისტორია ცვლილებებში

დრო ყველაფერს ცვლის და ასხვაფერებს. ცვლის ზოგჯერ უკეთესობისკენ, ზოგჯერ უარესობისკენ; თუმცა პროგრესი აშკარად შეიმჩნევა...

მაგალითად:

2800 წლის წინ ჩვენს ერამდე წიგნებს თიხის „ფურცლებზე“ ბეჭდავდნენ. წიგნების ძირითადი „მწარმოებელი ქვეყანა“ ძველი შუმერი იყო. წიგნები მინიმუმ 3 კილოგრამს იწონიდა.



1100 წლის წინ ჩვენს ერამდე გაჩნდა პაპირუსზე დაბეჭდილი თუ ნატურალური მელნით დაწერილი წიგნები. ამჯერად „მწარმოებელი ქვეყნის“ ინიციატივა ძველმა ეგვიპტემ აიღო ხელში. წიგნის წონა – 400 გრამი.

1580 წელს პირველი ნაბეჭდი, ქაღალდის, ტყავის გარეკანში ჩასმული წიგნი ჩნდება. ის 1,5 კილოგრამს იწონიდა და 500-გვერდიანი იყო. გამოიცა გერმანიაში.

2012 წელს მინაზე დაბეჭდილი პირველი წიგნი გამოჩნდა, მაღალი ხარისხის პლასტმასის „ყდაში“ ჩასმული – წონა 200 გრამი. რაოდენობა 10 000 ცალი. გამომცემელი – იაპონია.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# როცა ხელებს შენი არ ესმით

## ბერტენ ედი

მოძღვარმა საკნის კარი შეაღო. პატიმარი საწოლზე იჯდა, ჭერზე მიშტერებული მზერით. სქლად შებინტული ხელები მუხლებზე ეწყო. კარის ჭრიალზე თავი ნელა მოატრიალა...

– კარგია, რომ მოხვედით, მამაო... მინდოდა, თქვენთან ლაპარაკი. არავის ჩემი არ ესმის. მოსამართლეს აფერისტი ვგონივარ, ადვოკატს – გიჟი. ექიმი ამბობს, რომ შესაძლოა, ვარ კიდეც შეშლილი, მაგრამ განსაკუთრებული შეშლილი... რაში გამოიხატება ჩემი შეშლილობის განსაკუთრებულობა? მას რომ ჰკითხო, თავის ვერსიას შემოგთავაზებთ, მაგრამ რეალობა სხვანაირია – მე არ მომიკლავს ჰოვარდ ბრეტნერი. ვაღიარებ, რომ მინდოდა მისი სიკვდილი. საშინლად მძულდა და მის დანახვაზე ერთიანად ვკანკალებდი... მაგრამ, არ მომიკლავს... ეს მათ გააკეთეს, ჩემმა ხელებმა... ხელისგულებმა... თითებმა... საშინელმა ობობებმა – მე ისინი დავსაჯე... თავადაც ხედავთ... მამაო, თქვენ იწერთ ჩემს საუბარს?

– პოლიციამ თქვენ, ჰოვარდ ბრეტნერის უსულო გვამის გვერდით გიპოვათ. სისხლში ამოსვრილი... უამრავი ჭრილობით. ის გაგუდული იყო და თვალებიც დათხრილი ჰქონდა. თქვენ გვერდით ბუჩქების საკრეჭი მაკრატელი ნახეს. სავარაუდოდ, ამ მაკრატლით მიაყენეთ დაზიანებები. მე ვეთანხმები ექიმს, თქვენი სულიერი მდგომარეობა განსაკუთრებულ და სასწრაფო ყურადღებას იმსახურებს. თუმცა, მოსამართლე ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი გამოიგონეთ, რათა მართლმსაჯულებას თავი აარიდოთ.

– მოსამართლე სხვას ვერაფერს იტყვის, მაგრამ ჰოვარდ ბრეტნერი მე არ მომიკლავს. მამაო, უნდა მომისმინოთ და შეეცადოთ, არ გამაწყვეტინოთ. სინდისი სუფთა მაქვს. მკვლელი არ ვარ და არც ჯოჯოხეთის მეშინია. პირველი მკვლელობა ჩემმა ხელებმა, რომლებიც მხოლოდ ჩემი სხეულის ნაწილებია და საკუთარი ნებით მოქმედებენ, ადრეულ ბავშვობაში ჩაიდინეს... დღემდე ცუდი სიზმარი მგონია. რვა ან ცხრა წლის ვიქნებოდი. მშობლებმა სახლში მარტო დამტოვეს... იადონი გვყავდა, გულზე არ მეხატებოდა, არც მას ვუყვარდი და იმიტომ. რამდენჯერმე მწარედ ჩამინისკარტა. მაგიდასთან ვიჯექი და ნახატებიან წიგნს ვფურცლავდი. ერთბაშად ჩემი ხელები უცნაურად ამოძრავდნენ, თითქოს ბრძანებებს დაემორჩილნენ. თითები ჯერ შეიკუმშნენ, მერე გაიშალნენ და მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირზე ობობის საცეცებივით ამოძრავდნენ. გაოგნებული ვუყურებდი. მინდოდა, ისევ წიგნის ფურცვლა გამეგრძელებინა, მაგრამ, ვერ შევძელი. თითები იკრუნჩხებოდნენ... იკლაკნებოდნენ და გალიისკენ მიიწევდნენ...

ღვთის მსახურმა ოფლი მოიწმინდა.

– მამაო, მისმენთ? მე არ მინდოდა იადონის მოკვლა... მეცოდებოდა კიდეც, შეძრწუნებული ვუყურებდი მათ ნამოქმედარს. ეს საშინელება იყო, ნამდვილი კოშმარი...

– რა, რა ჩაიდინეთ?

– ჩემმა თითებმა იადონს ჯერ კისერი გადაუმტვრია, მერე ნაკუწებად დაგლიჯა.

– უფალო, შეგვიწყალე... – მოძღვარმა ამოიოხრა.

– დიახ, მამაო, ერთადერთი, უფალმა უწყის ის, რაც ჩემს თავს დატრიალდა. გონზე რომ მოვედი, ის, რაც იადონისგან დარჩა, მიწაში ჩავმარხე. ყველა კვალი მოვსპე, მშობლებს კი ვუთხარი, რომ გალიის კარი დამრჩა ღია და იადონი გაფრინდა... ცოტა დრო რომ გავიდა და შოკიდან გამოვედი, ვიფიქრე, სიზმარი დამესიზმრა-მეთქი. ხელები ისევ მორჩილად ასრულებდნენ ჩემს დავალებებს... მაგრამ, შინაგანი ხმა ჩამძახოდა, რომ ერთ დღესაც ხელახლა „გაიღვიძებდა“ მასში ჩაბუდებული ბოროტი ძალა.

– და... გაიღვიძა?

– დიახ. ხუთი წლის წინ. წვეულებიდან მივდიოდი. თანამშრომლებთან ერთად ცოტა დავლიე კიდეც. ჩვეულებრივი საღამო იყო. არაფრით გამორჩეული... სახლთან თითქმის მისული ვიყავი, რომ მეზობლის გოგონა დავინახე. ცხრა წლის ლაწირაკი. ერთ-ერთი იმ მოზარდთაგანი, განსაკუთრებული ზრდილობით რომ არ გამოირჩევიან. როცა შემთხვევით, ქუჩაში მხვდებოდა, ცხვირს იბზუებდა, თითქოს ადამიანი კი არა, რომელიმე მღრღნელი დაინახაო. მაგრამ, მისი მოკვლა თავში აზრადაც არ გამივლია. როცა მივხვდი, რომ ჩემმა თითებმა გადაწყვეტილება მიიღეს და მათ ველარ დავიმორჩილებდი, ძალიან შემეშინდა..

– შვილო, ჩემო..

– არ გამაწყვეტინოთ, მამაო... თორემ გამბედაობა აღარ მეყოფა. მე კი, ყველაფერი უნდა მოვყვე. მოკლედ, ხელებმა მაჯობეს. გამიტაცეს თავისი ბოროტი განზრახვის შესასრულებლად... უძლური ვიყავი. თითებმა თავისით გაიწიეს გოგონას კისრისკენ და სალტესავით შემოეჭდნენ. უჭერდნენ და უჭერდნენ... მაგრად, კიდევ მაგრად... გოგონამ დაიხრუტუნა და არ ვიცი, ერთბაშად რა მოხდა. თითებმა ერთი წამით ადროვეს გონებას, ძალაუფლება ხელში აელო და მეც, უკვე გონების ხმას აყოლილი, რეალობას დავუბრუნდი, გავიქეცი იმ ადგილიდან, სანამ დამიჭერდნენ. საბედნიეროდ, გოგონა გადარჩა. პოლიციამ თავდამსხმელის კვალს ვერ მიაგნო.

– ექიმისთვის არ მიგიმართავთ?

– არა, მამაო... რომელი ექიმი დაიჯერებდა ჩემს ისტორიას... მაგრამ, ზომები მივიღე... ეზოში ხმელი ფოთლები და ძველმანები მოვაგროვე, ცეცხლი წავუკიდე და კოცონში ხელები ჩავყავი – სერიოზული დამწვრობა მივიღე. რამდენიმე თვე ვმკურნალობდი და მიხაროდა, რომ ბოროტი დემონი სამუდამოდ დავამარცხე. შეხედეთ, მამაო... ჩემი დემონები აქ არიან. თუმცა, რა უნდა დაინახოთ... ბინტებით მაქვს შეხვეული.

– მომიყევით, ბოლო მკვლელობა როგორ ჩაიდინეთ, – მოძღვარმა საყელო შეიხსნა. ჰაერი არ ყოფნიდა.

– მკვლელობა? ამდენი ტყუილად გელაპარაკეთ? მამაო, მე მკვლელი არ ვარ. ეს ჩემგან დამოუკიდებლად ხდება. იცით, რეალურად როგორ იყო? დილით ჰოვარდ ბრეტნერი შემხვდა და შეურაცხმყოფელი სიტყვები მომაძახა. მაშინვე არ გამოვკიდებივარ. არა, რა სისულელეა. მე ხომ მკვლელი არ ვარ. მართალია, მძულდა, მაგრამ ადამიანებს ან სძულთ, ან უყვართ და ეს სრულიად ბუნებრივია. სიძულვილი ხომ დანაშაული არ არის?! ვიცი, რასაც მეტყვით, რომ თქვენი გადმოსახედიდან ესეც დანაშაულია... მაგრამ, მკვლელი მართლა არ ვარ... ახლავე დაგიმტკიცებთ. როცა ვიგრძენი, რომ ჩემი თითები იღვიძებდნენ, მე ჰოვარდ ბრეტნერის ეზოში შევედი და იქ, ბუჩქების საკრეჭი მაკრატელი ვიპოვე. დამინახავს, როგორ კრეჭდა ხოლმე ის ამ მაკრატლით ბუჩქებს.

– და მისი მოკვლა ამ მაკრატლით გადაწყვიტეთ?

– ო, არა, არა, მე ხომ მკვლელი არ ვარ. მაკრატელი იმიტომ მინდოდა, რომ ჩემი ურჩხულები დამესაჯა. თითები მომეჭრა მისთვის... გესმით? აი, ვის მოკვლას ვაპირებდი სინამდვილეში. მეტი არაფერი მახსოვს... მამაო, მართლა არაფერი...

– ღმერთო, დიდებულო, შენ მკვდარი ჰოვარდ ბრეტნერის გვერდით გიპოვა პოლიციამ. ის დაახრჩვეს. ცოლმა გაიგონა, როგორ გააღო ჰოვარდმა კარი და ვიღაცას დაელაპარაკა. ეს ვიღაც შენ იყავი... როცა იატაკზე მძიმე ნივთის დავარდნის ხმაც გაიგონა, სავარაუდოდ, თავისი ქმრის უსულო სხეულის, პოლიციაში დარეკა... ის შენ მოკალი, საბრალო არსებავ...

– მე მკვლელი არ ვარ, არა! – პატიმარმა მთელი ხმით იბღავლა და ბედი თქვენი, მამაო, რომ ხელები შებინტული მაქვს...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7(633)

ზურაბი გვიან საღამომდე დარჩა სამმართველოში. სურდა, კიდევ ერთხელ, შედარებით მშვიდ ვითარებაში გადაეთვალიერებინა ჩვენებები და ოპერატიული მონაცემები. ის იყო, საქმეს შეუდგა, რომ ტელეფონით ვახტანგ, იგივე ვატო ნიორაძე დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა.

— ახლა არ მცალია, ძალიან დაკავებული ვარ. სხვა დროისთვის მოგვიწევს გადადება, — უპასუხა ზურაბმა.

— სერიოზული საქმე მაქვს. ჩემს უბანს ეხება. სამმართველოსთან, შენს მანქანასთან გელოდები, — თქვა ვატომ და ტელეფონი გათიშა.

„ჩემს უბანს ეხებაო... სირაძე ხომ მისი უბნელი იყო!“ — გაიფიქრა ზურაბმა. შემდეგ საქაღალდე დახურა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ზურაბსა და ვატოს უჩვეულო ურთიერთობა აკავშირებდათ. ისინი დიდი ხანია, იცნობდნენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება მხარდამხარ ჰქონდათ გატარებული. ზურაბს ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა სისხლის სამართლის სამძებროში, ვატო კი „ახალფეხადგმული“ კრიმინალი იყო. იმხანად მოდური იყო „შავობა“ და ვატოც ცხოვრების სწორედ ასეთ წესს „აწვებოდა“. პირველად ვატოს „შვებულებაში“ გასვლა ზურაბის მეშვეობით მოუწია — ზურაბმა ის ბინის ქურდობის ბრალდებით დააპატიმრა, სასამართლომ კი სამი წლით მიავლინა საპატიმროში. მათი დაპირისპირება ვატოს გათავისუფლების შემდეგაც გაგრძელდა. დაპირისპირებაში ზოგჯერ ზურაბი იმარჯვებდა, ზოგჯერ — ვატო. მაგრამ ეს მაინც უთანასწორო დაპირისპირება იყო. დამარცხების შემთხვევაში, ზურაბი შინ დაბრუნდებოდა და მომდევნო დღეს განაახლებდა ბრძოლას; ვატო კი, დამარცხების შემთხვევაში, რამდენიმე წლით კარგავდა თავისუფლებას. საკანში გატარებულმა წლებმა და ნარკოტიკისადმი მიდრეკილებამ ვატო ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა: წელში მოხრილ, საფეთქლებშეჭაღარავებულ მამაკაცში, რომელიც გაჭირვებით იოკებდა ხელებს, შეუძლებელი იყო მოუსვენარი და თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდის ამოცნობა.



ვატო სამმართველოს ავტოსადგომთან ზურაბის მანქანის სიახლოვეს იდგა.

— გაუმარჯოს! — მიესალმა ზურაბი, — მანქანაში ჩავსხდეთ, იქ ვილაპარაკოთ... — უბრალო საქმეზე არ მოხვიდოდი აქ. რამ შეგაწუხა? — განაგრძო ზურაბმა, როგორც კი ვატომ მანქანის კარი მოხურა.

— მოკლედ, შენ კარგად იცი ჩემი ხასიათი და ისიც იცი, რომ ამ საქმეზე შენ გარდა არავის დაველაპარაკები, — აუჩქარებლად წამოიწყო მან.

— არ გინდა მიკიბულ-მოკიბული, პირდაპირ მითხარი, რისი თქმა გინდა.

— იმ ბიჭზე მინდა დაგელაპარაკო, დილით ჩემს უბანში რომ მოკლეს.

— განაგრძე.

— შენთვის პროსტო საქმეა, ისეთი, რომლის მსგავსიც ბევრი გაგიხსნია, ჩემთვის კი... მოკლედ, იცი, რომ მთელი ცხოვრება ლაგერებში გავატარე, მაგრამ, კაცი არასდროს მომიკლავს. ახლა კი წიწილებივით ხოცავენ ერთმანეთს. არ მომწონს ეს ამბავი. იმ ბიჭზეც მაგრად დამწყდა გული. კაი ტიპი იყო. ქუჩას სიახლოვეს არ გაჰკარებია, მაგრამ, პატივისცემა იცოდა. არ მახსოვს, შემხვედროდეს და ათი ან ოცი ლარი არ მოეცეს...

— ვატო, ხომ გაგაფრთხილე, რომ დრო არ მაქვს. საქმეზე ილაპარაკე, — სთხოვა ზურაბმა.

— ჰო... მოკლედ, საქმე ასე იყო: შუადღეს ზაირას ბუტკასთან კუთხეში ვიდექი და პივას ვსვამდი. ამ დროს დავინახე ტიპი, რომელიც იმ ბიჭის სადარბაზოდან გამოვიდა. კი არ გამოვიდა, გამოვარდა და პირდაპირ ჩემკენ გამოიქცა. პრივიჩკაში მაქვს ასეთ რამეებზე დაკვირვება. ხალხი უმიზეზოდ არ იწყებს სირბილს. ის ტიპი კი ძალიან შეშინებული ჩანდა. ძალიან იშვიათად მინახავს ასეთი თვალები — ლამის ბუდეებიდან გადმოსცვენოდა. მგონი, ვერც ხედავდა, საით გარბოდა. ზაირას ბუტკასთან ზედ გადამაწყდა და პივის ბოთლი ხელიდან გამაგდებინა. შევაგინე: წინ იყურე, შენი დედაც-მეთქი!.. მეგონა, გაიქაჩებოდა და ხიპიში ატყდებოდა, მან კი ზედაც არ შემომხედა, ქუჩისკენ გაიქცა, მანქანაში ჩაჯდა და მოხია. მეგონა, ვინმეს გაურბოდა, მაგრამ, სადარბაზოდან არავინ გამოსულა. ასე, საათ-ნახევრის შემდეგ კი უბანში ხმა გავარდა, ანდრო დაბრიდესო. აი, ასე იყო ეს საქმე... სწორად გამიგე, ზურა, ჩამშვები არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ, ასეთმა ახვრულმა მკვლელობამ ყველაფერი დამავიწყა. კაცს ასე არ უნდა კლავდნენ, ყველაფერში არსებობს ზღვარი!..

— როგორ გამოიყურებოდა ის ტიპი? — ჰკითხა ზურაბმა.

— ასე, ოცდაათი წლისა იქნებოდა. მამაკაცური სახე ჰქონდა, ენერგიული. მაღალი, თაფლისფერი თვალებით. სპორტული ტიპი იყო. ღია ფერის თმები ჰქონდა, მაგრამ, ქერაც არ ეთქმოდა. სპორტულ სტილში ეცვა. შავი ტყავის კურტკა, შავი ჯინსი, შავი ბოტასები....

— ამაში მაინც გამოგადგა ცხოვრებისეული გამოცდილება, — თქვა აღწერილობით კმაყოფილმა ზურაბმა.

— დამცინი? — იწყინა ვატომ.

— არა, სრულიად სერიოზულად გეუბნები. რა მანქანით წავიდა?

— შავი „ბეემვე” იყო.

— ნომერი?

— არ ვიცი... გვერდულად იდგა.

— მანქანაში ვინმე ხომ არ ელოდა? — განაგრძო ზურაბმა.

— არა... საჭესთან თვითონ დაჯდა.

— იარაღი ხომ არ შეგიმჩნევია? — ჰკითხა ზურაბმა.

— არა, იარაღი არ მინახავს. ხელში არაფერი ეჭირა. ქურთუკიც შეკრული ჰქონდა, ქამარში რომ ჰქონოდა გარჭობილი, მაინც ვერ დავინახავდი.

— შავი „ბეემვე”, შავი ქურთუკი, შავი შარვალი, შავი ბოტასები... რას იტყვი, თვითონაც „შავი” ხომ არ არის?

— გამორიცხულია. ასეთ ნაბიჭვრებს მხოლოდ გული აქვთ შავი, — თავი გაიქნია ვატომ.

— რატომ დაუკავშირე ის ტიპი სირაძის მკვლელობას? — განაგრძო ზურაბმა, — ეზოში სირბილი ვინმეს მკვლელობას არ ნიშნავს.

— იცი, რას გეტყვი? მე და შენ მთელი ცხოვრება ვილაცის გრეხებს ვამტკიცებდით: შენ შენი მეთოდებით, მე — ჩემით. გქონია ისეთი შემთხვევა, როცა ვერ ამტკიცებდი, მაგრამ ფაიზალი გრძნობდი, რომ კაცს მიქარული ჰქონდა?

— რამდენიც გინდა, — უპასუხა ზურაბმა.

— მეც ბევრჯერ მქონია. ჰოდა, ახლაც იგივე ვარიანტია. წეღან მეწყინა, ახლა კი მე თვითონ გეტყვი: ამაში მაინც გამომადგა ჩემი გამოცდილება. დამიჯერე, არ შევმცდარვარ. იმ ტიპს სიკვდილის სუნი ასდიოდა! — რწმენით უპასუხა ვატომ.

— როცა იმ ტიპს ავიყვან, ამოცნობაში მიიღებ მონაწილეობას? — ჰკითხა ზურაბმა.

— არა! — შეუვალი სახით თქვა ვატომ.

— არც ოფიციალურ ჩვენებას მომცემ?

— არა...

— კარგი, ძალას არ დაგატან. ყოველივე ამას, უბრალოდ, ოპერატიულ ინფორმაციას დავარქმევ... მოსულა? — თქვა ზურაბმა.

— მოსულა, — დაეთანხმა ვატო.

– გმადლობთ. დანარჩენი ჩემზე იყოს... ახლა არ გეწყინოს, სახლში ვერ გაგიყვან, ბევრი სამუშაო მაქვს. შენ ტაქსით წადი, – ამ სიტყვებთან ერთად ზურაბმა ორმოცდაათლარიანი კუპიურა გაუწოდა.

– ეეე... დრო როგორ ცვლის ადამიანებს. ახალგაზრდა უფრო კაი ტიპი იყავი, – ირონიით ჩაილაპარაკა ვატომ, მერე მანქანიდან გადავიდა და მძიმე ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

* * *

სათათბირო მაგიდის გარშემო კრიმინალური პოლიციის ათამდე თანამშრომელი იჯდა. მათ შორის იმყოფებოდნენ საქმის ძირითადი გამომძიებელი რეზო ფიფია და კრიმინალისტური ჯგუფის ხელმძღვანელი გურამ ბრეგვაძე. თათბირს ზურაბი უძღვებოდა.

– საქმის ვითარება ყოველი თქვენგანისთვისაა ცნობილი, მაგრამ, ძირითად დეტალებს მაინც შევაჯერებთ... ზურაბმა საქაღალდეს ჩახედა და ლაპარაკი განაგრძო – ჩვენ უკვე გვაქვს ექსპერტიზის პირველადი მონაცემები. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა გარდაცვლილის სხეულიდან რუსული წარმოების პისტოლეტ „მაკაროვის" ცხრამილიმეტრიანი ტყვია ამოიღო. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ იარაღი მაყუჩითაა აღჭურვილი. გასროლის ხმა არც ერთ მეზობელს არ გაუგია. ძიების ამ ეტაპზე არსებული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ გარდაცვლილი კარგად იცნობდა მკვლელს – სირაძემ თავად მოიწვია ის ბინაში. მკვლელმა იცოდა, რომ იმ დროს მისი მეუღლე შინ არ იქნებოდა. ის წინასწარ მოემზადა მკვლელობისთვის. მივიდა შეხვედრაზე, მოკლა სირაძე და იქაურობას გაეცალა. ამ მასალებით ვიწყებთ მუშაობას... ახლა გეტყვით, რა უნდა გაკეთდეს უპირველესად. დაკითხვები ისევ გაგრძელდება. დასაკითხთა სიას მიემატება ბარათაშვილის სამეგობროც. შეიძლება, მისი ნაცნობების დახმარებით გავარკვიოთ, ვის მისცა ბარათაშვილმა ტელეფონის სიმბარათი ავსტრიაში გამგზავრებამდე... – ამას პროკურატურა მიხედავს, – ფიფიას გახედა ზურაბმა, – არ შეგეშინდეს, ჩვენს ხალხს დაგახმარებ, მეც აქ ვარ...

ფიფიამ თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი.

– დაკითხვისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შავსამოსიან, ოცდაათიოდე წლის მამაკაცზე, რომელიც შავი „ბეემვეთი" მოძრაობს. მისი აღწერილობა აქაა, – ამ სიტყვებთან ერთად ზურაბმა ფიფიას ფურცელი მიაწოდა, რომელზეც იყო აღწერილი ვატოს მიერ ნანახი მამაკაცი.

ფიფიამ სწრაფად გადახედა აღწერილობას და გაოცებულმა ჰკითხა ზურაბს:

– საიდან გაჩნდა ეს მონაცემები? მსგავს პიროვნებაზე არც ერთ მოწმეს არ უსაუბრია.

– ოპერატიული მონაცემებია, – უპასუხა ზურაბმა.

ზურაბის მოადგილემ ფიფიას აღწერილობა ჩამოართვა და ხმამაღლა შეუდგა კითხვას:

– შავი ტყავის ქურთუკი, შავი შარვალი, შავი ბოტასები, შავი „ბეემვე"... ეს ვინაა, ზორო?

სათათბირო ოთახში სიცილი გაისმა.

– არა... ზორო ყოველთვის შავში იყო გამოწყობილი, ეს პიროვნება კი დროდადრო იცვლის ტანსაცმელს, – მშვიდად თქვა ზურაბმა, – მაგრამ, როდესაც სირაძის სადარბაზოდან გამოდიოდა, ასე გამოიყურებოდა.

– სირაძის სადარბაზოდან?! – გაუკვირდათ პოლიციელებს, – ჩვენ თითქმის ყველა მეზობელი დავკითხეთ და მსგავსი პიროვნება არავის უხსენებია.



– ჩანს, ის არ დაკითხეთ, ვინც ნახა, – განაგრძო ზურაბმა, – სირაძე დაახლოებით ორი საათისთვის მოკლეს და ეს პიროვნებაც ზუსტად ამ დროს დაინახეს სადარბაზოდან გამოსული. თანაც, უბრალოდ გამოსული კი არა, ის შეშინებული გარბოდა. ასე რომ, ვეძებთ ამ ზოროს!.. გარდა ამისა, დღეს სირაძის ყველა ობიექტი უნდა მოვინახულოთ, – ზურაბმა თანამშრომლებს მოავლო მზერა და ორი მათგანი დაასახელა, – ზაზა და რამაზ, – ამ საქმეს თქვენ მიხედავთ. გამოკითხეთ თანამშრომლები, ვის და რა ვითარებაში ხვდებოდა სირაძე. მოკლედ, არ გესწავლებათ... გია, – ზურაბმა მესამე თანამშრომელზე შეაჩერა მზერა, – შენ ყველაზე მსუბუქი დავალება გერგო: გაარკვიე ყველა იმ ნომრის მფლობელების ზუსტი კოორდინატები, რომლებიც სირაძის მობილურ ტელეფონშია – ეს განსაკუთრებით მჭირდება...

– ვიცი, ვიცი... – არ დაამთავრებინა გიამ, – იმ ხალხის ვინაობა, რომლებსაც ბარათაშვილის ნომრიდან უკავშირდებოდნენ.

– ჯიგარი ხარ. გუშინ ბარათაშვილმა გადაგვაგდო. ვნახოთ, იქნებ დღეს გაგვიმართლოს იმედი. როდესაც მორჩები, შედეგები კაბინეტში შემომიტანე, შემდეგ კი პროკურატურის განკარგულებაში გადაინაცვლებ... ყველაფერი გასაგებია?

– გასაგებია, – უპასუხეს თანამშრომლებმა.

– მაშინ, საქმეს მიხედეთ, – თქვა ზურაბმა და წასასვლელად ადგა.

* * *

შუადღეზე გიამ კაბინეტში მობილური ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია შეუტანა. ერთ გვერდზე იყო იმ ნომრებთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც სირაძის მობილურიდან ამოიღეს, მეორეზე კი – ბარათაშვილის ნომერთან დაკავშირებული მონაცემები. საქმის მასალების კითხვით გართულმა ზურაბმა ზერელედ გადახედა ჩამოწერილ გრძელ სიებს, რომლებშიც მითითებული იყო ნომრები, მფლობელების ვინაობები და მისამართები და ფურცლები გვერდზე გადადო, მაგრამ უცებ დენდარტყმულივით შეხტა, სწრაფად გადასწვდა მონაცემებს, სიას თითო ჩამოაყოლა და ერთ-ერთ ნომერზე შეჩერდა. მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, ზურაბი არნახულმა მღელვარებამ შეიპყრო. ასეთი რამის ნახვას მართლაც არ მოელოდა.

– რა მოხდა? – ჰკითხა გიამ, – რომელსაც არ გამოჰპარვია მისი მღელვარება.

– განცხადება დაწერე და შენი სურვილით წადი სამსახურიდან! – ბრაზით თქვა ზურაბმა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აქ არაფერი გესაქმება! ერთხელ არ უნდა გადაგეხედა სიისთვის?!

– ვჩქარობდი. შენ არ მითხარი, როგორც კი თავს მოუყრი მონაცემებს, კაბინეტში შემომიტანეო?! – თავი იმართლა გიამ.

– მეორედ ასეთ დაუდევრობას არ გაპატიებ. ფიფიას დაუძახე! – უბრძანა ზურაბმა.

– ხალხი ჰყავს დაკითხვაზე.

– არ მაინტერესებს. შენ შეცვალე. უთხარი, რომ სასწრაფოდ მჭირდება!

გიას აღარაფერი უთქვამს, შებრუნდა და ტყვიასავით გავარდა კაბინეტიდან.

ორიოდ წუთში ოთახში ფიფია შემოვიდა:

– რა მოხდა?

– ამას შეხედე, – სიაზე მიანიშნა ზურაბმა.

ფიფიამ სწრაფად მოძებნა მითითებული ნომერი, შემდეგ კი დაბნეული მზერა ზურაბზე გადაიტანა.

– მესმის, – უპასუხა მან, – მეც იმავე მდგომარეობაში ვარ.

– ცოტა რთული იქნება დღეს მისი დაკითხვა, – ჩაილაპარაკა ფიფიამ.

– საქმე ველოსიპედის მოპარვას რომ ეხებოდეს, მართლაც რთული იქნებოდა, ჩვენ კი სრულიად სხვა კატეგორიის დანაშაულს ვიძიებთ. ახლა, ამ წუთებში, ქუჩაში თავისუფლად დაიარება მკვლელი, რომლის შეჩერება მე და შენ დაგვავალეს! – ცივად თქვა ზურაბმა.

– აქ მაინც ვერ მოვიყვანთ.

– არც არის საჭირო. შინ ვესტუმრებით!

– არა... რაღაც არ გამოდის, – შეყოყმანდა ფიფია.

– მერამდენე მკვლელობას იძიებ?! – მოულოდნელად ჰკითხა ზურაბმა.

– პირველს...

– მე კი აღარც კი მახსოვს, მერამდენეს, სათვალავი ძალიან დიდი ხნის წინ ამერია. ასე რომ, დაკითხვა ჩემს ხალხს გადააბარე და გამომყევი! – ამ სიტყვებთან ერთად ზუ-

რაბმა საქმის მასალები სეიფში შეინახა და კარს მიაშურა.

სირაძე უკვე მოესვენებინათ სახლში და ახლა მისი ბინის წინ ათამდე მამაკაცი იდგა. კიბის უჯრედზე ამოსული ზურაბის დანახვაზე ისინი აქეთ-იქით გადგნენ და გზა დაუთმეს. ფიფიამ, რომელსაც მიაჩნდა, რომ აქ მოსვლა, სულ მცირე, წინდაუხედავი საქციელი იყო, გაჭირვებით მოთოკა თავი და უკან მიჰყვა ზურაბს.

სირაძის ბინის სასტუმრო ოთახი ძნელი საცნობი იყო: ოთახიდან საერთოდ გაეტანათ ავეჯი – იქ აღარ იდგა დივანი, სავარძლები, ჟურნალის მაგიდა და მათ ადგილს ტახტი იკავებდა, რომელზეც სირაძის ზეწარგადაფარებული ცხედარი ესვენა. კედლის გასწვრივ სკამები ჩაემწკრივებინათ, რომლებზეც ქალები ისხდნენ. მათ შორის იმყოფებოდა ნანა სირაძეც.

ზურაბი დაწინაურდა, სკამებზე მსხდომ ქალებს მოკლე სამძიმარი უთხრა. შემდეგ ნანასკენ დაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

– გახსოვართ?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა მან, – სამძიმრისთვის მადლობას გიცხადებთ.

– მე აქ მხოლოდ ამისთვის არ მოვსულვარ, – უპასუხა ზურაბმა.

– მაშ, რისთვის ხართ მოსული? – აშკარად დაიბნა ნანა.

– თქვენ უნდა გაგესაუბროთ...

სკამებზე მსხდომ ქალებს უკმაყოფილების, გაოცებისა და აღშფოთების ჩურჩულმა გადაუარბინა. ფიფიამ არ იცოდა, სად გაექცეოდა მათ მზერას. ცოტაც და, შებრუნდებოდა და სირბილით გაეცლებოდა იქაურობას.

– ახლა?! – გაოგნებულმა ნანამ წყენით ახედა ზურაბს.

– ახლა, – შეუვალი სახით უპასუხა მან, – მგონი, მიხვდებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი რომ არ იყოს, ასე არ შეგაწუხებდით.

– კი მაგრამ, სად? – ნანამ ირგვლივ მიმოიხედა.

– ნებისმიერ ადგილას, სადაც მარტონი ვიქნებით.

ნანა წამით შეყოყმანდა, შემდეგ კი მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება.

– კარგით... წამობრძანდით, – უთხრა ზურაბს, ადგა და სასტუმრო ოთახის ერთ-ერთ კარს მიაშურა.

საშუალო ზომის დერეფნის გავლის შემდეგ ისინი მცირე ზომის ოთახში აღმოჩნდნენ, რომელშიც მხოლოდ ერთი საწოლი იდგა.

– სამწუხაროდ, სკამს ვერ შემოგთავაზებთ, – ზურას მიუბრუნდა ნანა.

– თქვენ დაბრძანდით... დაღლილი იქნებით, – უპასუხა მან.

ნანამ უხმოდ დაუქნია თავი, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ზურაბს მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო.

– ქალბატონო ნანა, სიმართლე გითხრათ, ერთობ საჩოთირო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. იქნებ, თქვენ დაგვეხმაროთ ვითარების გარკვევაში? – თქვა მან.

– რას გულისხმობთ?

– დაღუპვის დღეს თქვენმა მეუღლემ ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ პიროვნებას მესიჯი მისწერა და აქ მოსვლა სთხოვა. ჩვენი ვარაუდით, სწორედ ის უნდა იყოს მკვლელი.

– გასაგებია, მაგრამ, მე რატომ მეუბნებით ამის შესახებ?

– იმიტომ, რომ იმავე პიროვნებასთან თქვენც გქონდათ სატელეფონო საუბარი და მე არ ვიცი, რა როლს ასრულებთ ამ ისტორიაში, მსხვერპლი ხართ თუ მისი მოკავშირე? – თქვა ზურაბმა.

– რაა?! – თვალები გაუფართოვდა ნანას, – თქვენ გგონიათ, რომ მე...

– მე პოლიციელი ვარ, ქალბატონო ნანა!.. მიპასუხეთ, ვინ სარგებლობს ამ ნომრით? – და ზურაბმა ბარათაშვილის სახელზე ფიქსირებული ნომერი დაუსახელა.

ნანა უეცრად მოეშვა, თავი ჩაქინდრა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

– და, ამ პიროვნებას ანდრო დაღუპვის დღეს ესაუბრა?

– სავარაუდოდ... ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ თქვენმა მეუღლემ ის აქ, თქვენს ბინაში მოიწვია, – უპასუხა ზურაბმა.

– არა... ეს შეუძლებელია... – გაჭირვებით წარმოთქვა ნანამ, – ანდრო ამას არასდროს გააკეთებდა და არც ის დაუშვებდა რამეს ანდროს!

– სამწუხაროდ, ფაქტი სახეზეა! – ზურაბმა სასტუმრო ოთახის მიმართულებით გაიშვირა ხელი.

ნანას კანკალი მოერია, სახე ხელებში ჩარგო და აქვითინდა.

– შეწყვიტე! – ფიფია მხარში სწვდა ზურაბს, – ხომ ხედავ, ცუდადაა!

ზურაბი გაშმაგებული მიუბრუნდა და ცივად გამოცრა:

– ამის ატანა თუ არ შეგიძლია, პროფესია გამოიცვალე. ეს ფილმი არაა, ეს რეალობაა!

მისი მზერით დაზაფრულმა ფიფიამ უნებლიეთ დაიხია უკან, ზურაბი კი ისევ ნანას მიუბრუნდა, მისკენ დაიხარა და თითქმის ჩურჩულით უთხრა.

– თქვენ გეშინოდათ, საფრთხეს გრძნობდით... რატომ არ გვითხარით დაკითხვისას, რომ ვიღაც მაინც იმყოფებოდა კონფლიქტში თქვენს მეუღლესთან?

ნანამ ხელები ჩამოუშვა სახიდან და თავის აუწევლად უპასუხა:

– დიახ... მე მეშინოდა, მაგრამ, სრულიად სხვა რამის – მე ყოველივე ამის გახმაურება მაშინებდა. მან და ანდრომ კი მართლაც იჩხუბეს ერთხელ, მაგრამ, ეს მამაკაცური დავა იყო, რომელიც არასდროს გადაიზრდებოდა სისხლისღვრაში. ამაზე არც ანდრო წავიდოდა და არც ის...

– ვინ? – ჩაეძია ზურაბი, – ვინ?..

– არ შემიძლია, – თავი გაიქნია ნანამ, – თქვენ ის მკვლელი გგონიათ... რომ იცნობდეთ, თქვენც არ დაიჯერებდით, რომ მას ამის ჩადენა შეუძლია!

– მაშინ, დამარწმუნეთ... მომეცით მისი გაცნობის საშუალება! – არ მოეშვა ზურაბი, – გინდათ, მე გითხრათ?.. მას შავი ფერი იზიდავს!.. ატარებს შავ სამოსს!.. დადის შავი „ბეემვეთი!..“

ნანამ შიშით ახედა.

– ისაა!.. – ცივი ღიმილი მოერია ზურაბს, – და ის აქ იყო, თქვენს ბინაში. მისი წასვლის შემდეგ კი თქვენი მეუღლე მოკლული აღმოაჩინეს!.. თქვენ ვერ ერკვევით დამნაშავეთა ფსიქოლოგიაში... იცით, რაზე მიანიშნებს შავი ფერის სიყვარული?

ნანამ უხმოდ გაიქნია თავი.

– მიდრეკილებას ფარული ძალადობისადმი. როგორც წესი, ასეთი ადამიანები ერთი შეხედვით მშვიდები და გაწონასწორებულები არიან, იოლად შემოდიან კონტაქტში. მათი სიახლოვე სასიამოვნოა, მაგრამ... – ზურაბი მხრებში სწვდა ნანას, თვალებში ჩახედა და განაგრძო – მაგრამ, გარკვეულ ვითარებაში ისინი განსაკუთრებით სასტიკები ხდებიან!

– ვაჟა... ვაჟა ვერულიძე... – ამოიკვნესა ნანამ.

– სად ცხოვრობს?

– ვაკეში... ტაბიძეზე... სხვას ვერაფერს გეტყვით. მე მის სახლში არასდროს ვყოფილვარ, – ჩაილაპარაკა ნანამ და თვალები დახუჭა.

– გმადლობთ... შეიძლება, ახლა თქვენ ვინმეს სიცოცხლე გადაარჩინეთ, – თქვა ზურაბმა, მერე ფიფიას ანიშნა გამომყევიო და დერეფანში გავიდა.

* * *

ვაჟა ვერულიძე, 35 წლის, მხატვარი, ფლობს ინგლისურ და იაპონურ ენებს, დაუქორწინებელი, სამართალში მიცემული არ ყოფილა, კრიმინალურ სამყაროსთან კავშირი უცნობია – ასეთი იყო ის მწირი მონაცემები, რომლის მოპოვებაც ზურაბმა მოკლე ხანში შეძლო.

საღამოს რვა საათისთვის კრიმინალური პოლიციის ოპერატიული ჯგუფი ვაკეში, ტაბიძის ქუჩაზე მდებარე ვერულიძის სახლთან განლაგდა.

სახლს წინა მხრიდან მცირე ბაღი ჰქონ-



და. ბაღს აღმოსავლური, უფრო სწორად, იაპონური იერი დაჰკრავდა. აგურის ღობის გასწვრივ მცირე აუზი იყო მოწყობილი. წყლის ზედაპირზე ლოტოსს გაეშალა მწვანე ფოთლები. მათ შორის რამდენიმე ნაზი ვარდისფერი ყვავილიც მოჩანდა. ბაღიდან სახლის კარისკენ წვრილი ხრეშით მოფენილი ბილიკი მიემართებოდა. მის გასწვრივ რამდენიმე უჩვეული სკულპტურა იდგა. ხის ხარიხაზე საშუალო ზომის ბამბუკის ნაჭრები ეკიდა, რომლებიც ნიავზე რხევისას ერთმანეთს ეხლებოდა და უჩვეულო ხმებს გამოსცემდა. თუმცა ზურაბს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მისთვის მთავარი შავი „ბეემვე" იყო, რომელიც ჭიშკარს მიღმა, ეზოში იდგა.

ზურაბმა აუჩქარებლად მოათვალიერა ქუჩა და უკანა სავარძელზე მჯდარ გიას კუთხეში მდგომ რამდენიმე ახალგაზრდაზე მიანიშნა – მიდი, გაესაუბრეო.

ახალგაზრდებისგან მნიშვნელოვანი ვერაფერი შეიტყვეს. ისინი ვაკელები იყვნენ და იქვე ცხოვრობდნენ. იცნობდნენ ვერულიძესაც, მაგრამ, ახლო ურთიერთობა არ ჰქონდათ. სად იყო ამჟამად, მათ არ იცოდნენ. დღის განმავლობაში ახალგაზრდებს მისთვის თვალი არ მოუკრავთ, მაგრამ, რადგან მანქანა ეზოში იდგა, მათი აზრით, ისიც შინ უნდა ყოფილიყო.

ზურაბმა ყურადღებით მოუსმინა გიას, შემდეგ სხვა მანქანებში მყოფ თანამშრომლებს რადიოსადგურით მისცა განკარგულება – ვიწყებთო და მანქანიდან გადავიდა...

სახლში არც ერთ ფანჯარაში არ ენთო შუქი, მაგრამ მანქანა ეზოში იდგა. ჭიშკარს დატანებული საშუალო ზომის კარი კი შიგნიდან რაზით იყო ჩაკეტილი, რაც მხოლოდ ერთზე მიანიშნებდა – ვერულიძე შინ იმყოფებოდა. ჩაბნელებული ფანჯრები კი იმაზე მეტყველებდა, რომ მას ეძინა.

ოპერატიული ჯგუფი უხმაუროდ განლაგდა ეზოში. ზურაბის ნიშანზე გიამ კიბე აიარა და სახლის კარის საკეტი მოსინჯა. კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა.

– ფანჯრები შეამოწმეთ! – ხმადაბლა გასცა განკარგულება ზურაბმა.

ოპერატიული ჯგუფის წევრები სახლის მარჯვნივ და მარცხნივ გაიშალნენ და ფანჯრების თვალიერებას შეუდგნენ.

– მარცხენა მხარეს სამზარეულოს ფანჯარაა ღია. შესვლაში მხოლოდ მწერების საწინააღმდეგო ბადე შეგვიშლის ხელს, – ორიოდ წუთში მოახსენა გიამ.

– შედი!.. – ზურაბმა უმალ მიიღო გადაწყვეტილება, – ოღონდ, ბოდიალი არ დაიწყო. შესასვლელი კარი გააღე!

გია ერთ-ერთ თანამშრომელს მხრებზე შეადგა, დანით გაჭრა მწერებისგან დასაცავი ბადე და კატასავით უხმაუროდ გადაძვრა სამზარეულოში. ზურაბმა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ფანჯარასთან დატოვა, დანარჩენებთან ერთად კი სახლის კარისკენ გადაინაცვლა. ორიოდ წუთში სახლიდან ფრთხილი ფაჩუნი გაისმა. შემდეგ საკეტმა გაიჩხაკუნა და კარი გაიღო. ზურაბმა პისტოლეტი შემართა და პირველმა შეაბიჯა სახლში. იმავ წამს იგრძნო უსიამოვნო, მწკლარტე სუნი. მრავალწლიანმა გამოცდილებამ მაშინვე უკარნახა, რაც უნდა ყოფილიყო ეს – ასეთი სუნი მხოლოდ დამწვარი დენთისა და შედედებული სისხლის ნაზავს ჰქონდა.

ჯგუფის წევრები ფრთხილად ჩხრეკდნენ სახლს. სამზარეულოში, სააბაზანოში, საძინებლებში არავინ აღმოჩნდა, სასტუმრო ოთახში კი...



ზურაბი მოღუშული შედგა სასტუმრო ოთახის შესასვლელში. სურათი ძალიან ჰგავდა წინა დღეს ნანახს – პრაქტიკულად იგივე ვითარება: სასტუმრო ოთახი, რბილი ავეჯი, დივანი, სავარძლები, ჟურნალის მაგიდა. მაგიდაზე საფერფლე და მობილური ტელეფონი, დივანზე კი – ახალგაზრდა კაცის ცხედარი...

იყო განსხვავებაც – გარდაცვლილს საფეთქელთან ჰქონდა ნატყვიარი, მის წინ კი, იატაკზე, მაყუჩიანი პისტოლეტი ეგდო.

– ოჯახის წევრებს დაუკავშირდით და ექსპერტ-კრიმინალისტები გამოიძახეთ, – ერთ-ერთ თანამშრომელს გადაულაპარაკა ზურაბმა და ოთახიდან გავიდა.

* * *

რეზო ფიფია და ზურაბი ოთახის შესასვლელიდან ადევნებდნენ თვალს კრიმინალისტების მუშაობას. ჯგუფის ხელმძღვანელმა ფრთხილად აიღო იატაკიდან პისტოლეტი, მჭიდი მოხსნა, დაათვალიერა, შემდეგ ორივე ცელოფნის პარკში მოათავსა და კარს მიუბრუნდა.

– რას იტყვი? – ჰკითხა ზურაბმა.

– არ მომწონს ეს ყველაფერი, თითქოს ოთხმოცდაათიან წლებში დავბრუნდი. კარგა ხანია, ორი ახალგაზრდა კაცის ასეთი სიკვდილი არ მინახავს, – გურამმა ფიფიას გახედა, – ხედავ, რა ყოფილა საგამოძიებო მუშაობა?! პირველ მკვლელობაზე დაიწყე მუშაობა და ერთ დღეში მეორეც მიემატა. ღმერთმა ქნას, ეს რიცხვი არ გაიზარდოს!

– თავად საქმის ვითარებაზე რას იტყვი? – განაგრძო ზურაბმა.

– პირველადი ნიშნებით თუ ვიმსჯელებთ, საქმე თვითმკვლელობას ჰგავს: სახლი შიგნიდან იყო ჩაკეტილი. ყველა ფანჯარა ჩარაზულია. იმის კვალი, რომ სახლში სხვა პიროვნება ან პიროვნებები იმყოფებოდნენ, ვერ აღმოვაჩინეთ... გარდაცვლილის წინ, მაგიდაზე, ერთი ბოთლი ვისკი და ერთი ჭიქა დგას. მასთან ვინმე რომ ყოფილიყო, არა მგონია, სახლში მეორე ჭიქა ვერ მოეძებნათ... რაც შეეხება პისტოლეტს, ექსპერტიზა ყველაფერს დაასკვნის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს იგივე იარაღია, რომლითაც სირაძე მოკლეს. იგივე მოდელი, „მაკაროვი" მაყუჩით. თანაც, მჭიდს ზუსტად ორი ტყვია აკლია.

– გარდაცვალების დროზე რას იტყვი?

– სისხლის შედედება და გვამის მდგომარეობა იმას მიუთითებს, რომ ოცდაოთხი საათის წინ დაიღუპა.

– ანუ, გუშინ საღამოს, – ჩაილაპარაკა ზურაბმა.

– პრინციპში, ყველაფერი გასაგებია, – ჩაურთო ფიფიამ.

– რაა გასაგები? – გახედა ზურაბმა.

– ვერულიძემ მოკლა სირაძე, შემდეგ დაბრუნდა სახლში და სულიერი აღელვების ჩახშობა ვისკით სცადა. საბოლოოდ კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მძიმე დანაშაული ჩაიდინა და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ტყვია იკრა შუბლში.

– ლოგიკურად ჟღერს, – ჩაილაპარაკა ზურაბმა.

– რა თქმა უნდა, – სწრაფად თქვა ფიფიამ, – ახლა მხოლოდ სირაძის მკვლელობის მიზეზი დარჩა გასარკვევი. ამ კითხვაზე კი ნანა სირაძე გაგვცემს პასუხს.

– ჩქარობ...

– ვჩქარობ?! – გაოცებით შეხედა ფიფიამ, – რაში ვჩქარობ?

– რჩევად მიიღე: მყარი სამხილების გარეშე ადამიანის სიკვდილი არასდროს მიიღო თვითმკვლელობად. მგონი, იურიდიულ ფაკულტეტზე გასწავლეს, რომ ძალიან ბევრი მკვლელი დანაშაულის თვითმკვლელობად ან უბედურ შემთხვევად შენიღბვას ცდილობს!

– მასწავლეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში მყარ ფაქტებთან გვაქვს საქმე! – შენიშნა ფიფიამ.

– მე კი უამრავ გარემოებას დაგისახელებ მაგ შენი უტყუარი ფაქტების გასაბათილებლად, – თქვა ზურაბმა, – ჯერ ერთი, კარი გასაღებითაა დაკეტილი, საკეტები კი ერთი გასაღებით არ მზადდება. თუ ვერ შენიშნე, გეტყვი: დერეფანში, საკიდზე, გასაღებების ერთი კომპლექტი კიდია. კომპლექტშია გარაჟის, ჭიშკრის, ჭიშკარს დატანებული კარის გასაღებები. მეორე ასეთი კომპლექტი ვერულიძის წინ მაგიდაზე დევს, მაგრამ, მათ შორის ერთი განსხვავებაა: კომპლექტს, რომელიც საკიდზეა, ბინის გასაღები აკლია!.. რას იტყვი ამაზე?

ფიფიამ დუმილით უპასუხა.

– მკვლელს, ასევე, მშვიდად შეეძლო იმ ჭიქის თან წაღება, რომელზეც მისი ანაბეჭდები იქნებოდა აღბეჭდილი, – განაგრძო ზურაბმა.

– კარგი, გეთანხმები... მაგრამ რას იტყვი ტანსაცმელზე, მანქანაზე? – ჰკითხა ფიფიამ.

– არაფერს... – უპასუხა ზურაბმა, – უბრალოდ მოვიქცევი ისე, როგორც ასეთ ვითარებაში კარგი გამომძიებელი იქცევა: გარემოებებიდან გამომდინარე, საქმეს თვითმკვლელობის მუხლით აღვძრავ, მაგრამ, მკვლელობის ვერსიაზეც ვიმუშავებ!...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მომღერალი ქეთა თოფურია ქართველმა მსმენელმა 9 წლის ასაკში გაიცნო. მისი კარიერის წინსვლაში და, საერთოდ, ქეთას წარმატებაში, უდიდესი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ნატას, რომელსაც შრომა ორმაგად დაუფასდა და დღეს ის ვარსკვლავის დედაა. ჩვენი რესპონდენტი სწორედ ნატა თოფურიაა, რომელიც შვილზე დღემდე ზრუნავს, თუმცა, მისი ნახვა, „ა სტუდიოს" გადატვირთული გრაფიკის გამო, იშვიათად უწევს.**

# ვინ ატკინა გული ქეთა თოფურიას და რატომ არასდროს არ იქნება ის საქართველოს მოღალატე



**მართალია, ცხოვრება ისეთია, ხვალ რა იქნება, კაცმა არ იცის, მაგრამ, დღეის ჩათვლით, ჩემი სიძით კმაყოფილი ვარ და არ გამჭირვებია ქეთას გათხოვება**

**– უკვე მეცხრე წელი დაიწყო, რაც მოსკოვში ცხოვრობთ ქეთასთან ერთად. ყოველთვის აქტიური დედა იყავით, რაშიც ყველა დამეთანხმება, ვინც გიცნობთ. ქეთას ყველა კონცერტს ესწრებოდით და მუდამ მის გვერდით იყავით, მაგრამ, ეს ყველაფერი საქართველოში ხდებოდა. რა ხდება რუსეთში?**

– საქართველოში მარტო გვერდით კი არ ვედექი ქეთას, არამედ, უხეშად რომ ვთქვა, ვაფინანსებდი კიდეც. მე დავყვებოდი ყველგან, მე ვიხდიდი გადაღების ფულს, ისევე, როგორც სიდის ჩაწერის ფულს. ვსაზღვრავდი, რა ემღერა, რაშიც ძალიან მეხმარებოდა ოთარ ტატიშვილი. კონცერტებზე ყოველთვის დავყვებოდი, ჩემთან ერთად იყო მამუკა კაკოიშვილიც, რომელიც ქეთას მენეჯერი იყო და მოგვიანებით მას გადავაბარე ხმის ჩამწერ სტუდიებთან ურთიერთობა და ასე შემდეგ. აი, რაც შეეხება რუსეთში ქეთას შემოქმედებას, მხარში მხოლოდ მორალურად ვუდგავარ. „ა სტუდიოს" თავისი შემოქმედებითი ჯგუფი ჰყავს, იქნება ეს მენეჯერი, მუსიკალური პროდიუსერი, ფიარ-აგენტი, დირექტორი თუ სხვა. აქედან გამომდინარე, მე ქეთას შემოქმედებაში ნამდვილად არ ვერევი. ქეთას მართლა იშვიათად ვხედავ და, როცა ვხედავ, მხოლოდ რამდენიმე საათით, რადგან, თუ გასტროლი არ აქვთ და მოსკოვში არიან, მაშინ, ძირითადად, გადაღებებზე და ინტერვიუებზეა წასული.

**– საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებას თუ გეგმავთ?**

– თბილისში ბინას ვარემონტებთ, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება, თითქოს სასახლე იყოს, არადა, სამოთახიანი ბინაა. რაც შეეხება საფუძვლიანად საქართველოში გადმოსვლას, გადაჭრით ვერ გეტყვით. ქეთა დედისერთაა, მის გარდა არავინ მყავს და, აქედან გამომდინარე, სადაც ჩემი შვილი იქნება, მეც იქ უნდა ვიყო – ქეთას ხომ ვერ დავტოვებ. თბილისში ხშირად ჩამოვდივარ და თუ მექნება იმის ბედნიერება, რომ ჩემი შვილი გამახარებს და შვილიშვილი მეყოლება, უფრო ხშირად ჩამოვალ მასთან ერთად.

**– ქეთამ როგორც მითხრა, ძალიან უნდა დედობა და უკვე მზად არის ამისთვის.**

– მეც ასე მეუბნება, მაგრამ, ჯერ შედეგები არ გვაქვს. ახლა გამომიცხადა, ერთი წელი მაცალეო. თავისი გადასაწყვეტია. პატარა გოგო აღარ ვარ და, მთავარია, მე მქონდეს იმის ძალა და ენერგია, რომ ბავშვის გაზრდაში დავეხმარო. მიმაჩნია, რომ ბებიის გაზრდილი ბავშვი გაცილებით კარგი გამოდის, ვიდრე ძიძის.

**– დედისერთების დედებს ძალიან უჭირთ შვილის გათხოვება. თქვენს შემთხვევაში როგორ არის?**

– ჩემს შემთხვევაში ასე არ მომხდარა, რადგან, ლოვას უკვე მესამე წელია, ვიცნობ. ოჯახის წევრი იყო ის უკვე ჩვენთვის, მით უმეტეს, იცი, რომ ანდრო ***(ქალბატონი ნატას მეუღლე, – ავტორი)*** გარდაიცვალა ორი წლის წინ. მატერიალური უზრუნველყოფა ნამდვილად არ გვჭირდებოდა, რადგან, ქეთა რაც შეუძლია, თვითონ ეხმარება თავის ახლობლებს. მართალია, ანდროს თავისი ადგილი ჰქონდა ჩვენს ოჯახში და მას ვერავინ შეგვიცვლის, მაგრამ, ვიგრძენი, რომ ლოვას სახით მამაკაცი გვედგა გვერდით. ანდროს ხსოვნასაც დიდ პატივს სცემს და ის არის პიროვნება, რომელსაც შემიძლია, დავეყრდნო. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ძალიან კარგი ბიჭია. საკმაოდ გახსნილი ურთიერთობა გვაქვს და არ არსებობს ის მომენტი, რომ რაღაც ვერ ვუთხრა ან ვერ მითხრას. პატარა ბიჭი არ არის, 37 წლის კაცია. მოსკოვში დაბადებული და გაზრდილია, ყველანაირი პერიოდი გამოვლილი აქვს, ძალიან შეგნებული, უშუალო და უბრალო ბიჭია, რომელიც შვილივით და მეგობარივით მივიღე. დღეში ათჯერ მაინც მირეკავს, ყველაფერი იცის, სად წავედი და წამოვედი – ამ მხრივ კონტროლის ქვეშ ვარ. თუ გვიანობამდე მეგობრებთან ერთად ვარ სადმე, მომაკითხავს და წამომიყვანს, ძალიან ყურადღებიანია. მართალია, ცხოვრება ისეთია, ხვალ რა იქნება, კაცმა არ იცის, მაგრამ, დღეის ჩათვლით, ამ ბიჭით კმაყოფილი ვარ და არ გამჭირვებია ქეთას გათხოვება.

**– მართალია, ქეთა შორიდან ყველას ძალიან ენერგიული, მხიარული და უდარდელი ადამიანი ჰგონია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი რამ გულთან ახლოს მიაქვს. ხშირად ატეხილა მის გარშემო სკანდალი, მაგალითად, რატომ იმღერა ამა თუ იმ კონცერტზე და ასე შემდეგ. თუმცა, ქეთა „ა სტუდიოს" წევრია და ის დამოუკიდებლად არასდროს გეგმავს კონცერტში მონაწილეობას.**

– ძალიან ბევრი ქართველი მომღერალი მოღვაწეობს რუსეთში. არ მეგულება არც ერთი მომღერალი, რომელმაც აქ რომელიმე კონცერტზე გამოსვლაზე უარი თქვას. აქ არ არის ეს სფერო პოლიტიზებული. სად იმღერებს და სად არა, ასეთ საკითხებს ქეთა კი არა ჯგუფი წყვეტს. თან, ქეთა რუსეთის მოქალაქეა, მოღვაწეობს რუსეთში, ცხოვრობს რუსეთში და უმღერის რუს მსმენელს. რაც შეეხება მის გულისტკივილს: ქეთას უზომოდ უყვარს საქართველო და თბილისი. დღემდე, როგორც კი ერთი-ორი თავისუფალი დღე გამოუჩნდება, მაშინვე თბილისში მორბის. უკმაყოფილოა „ა სტუდიო," მაგრამ, მაინც გამორბის. როგორ შეიძლება, ადამიანი, რომელიც თბილისში დაიბადა და გაიზარდა, რომელსაც იქ უამრავი მეგობარი და ნათესავი ჰყავს, საქართველოს მტერი იყოს? სასაცილოა ეს ყველაფერი. რაც მანდ ხდებოდა ქეთას მიმართ, შეიძლება, ჩემი შვილი არ იმჩნევდა, მაგრამ, მკვდარი იყო. პირველად ტკივილი ქეთას მაგათ მიაყენეს და მეორედ – ანდროს სიკვდილმა, მეტი ტკივილი მას არ განუცდია და ღმერთმა არ განაცდევინოს. არ შეიძლება, ასეთი აბსურდი ილაპარაკო და გაუთავებლად იძახო – მოღალატე, მოღალატეო. რა, ქეთას გარდა სხვას არ უმღერია იქ, სადაც პრეზიდენტი მიდის? მიმაჩნია, რომ ეს შურის ფაქტორია და კონკრეტული ხალხის მიერ შეგნებულად გაკეთებული. ამ ყველაფერს პოლიტიკურად არ მივიჩნევ, რადგან, სასაცილოა ქეთას სიმღერიდან გააკეთო პოლიტიკური აქტი. ასე მხოლოდ იმის გამო მოიქცნენ, რომ გული ეტკინათ მისთვის, მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, გული მართლა ძალიან ატკინეს. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ, ყველა ტელევიზიაში, რომელიც ამას აშუქებდა და საშინელებებს ამბობდნენ, ქეთას ინტერვიუ ყოველთვის დაჭრილი იყო. „იმედზე" და „რუსთავი 2-ზე", ყველა საინფორმაციო ქეთას სიუჟეტით იწყებოდა, თითქოს დიდი პოლიტიკური მოღვაწე ჰყავთ ქეთა თოფურია. ამ დროს, პოლიტიკის ბაიბურში არ არის, გვარებიც კი არ იცის პოლიტიკოსების. თან, ისე ჭრიდნენ ინტერვიუს, ხალხი რომ ისმენდა მის კომენტარებს, ფიქრობდნენ, რომ ეს გოგო დებილიაო. ამ დროს, დებილი ნამდვილად არ არის, ლაპარაკიც იცის და ყველაფერიც. დებილები იმას ვერ აღწევენ, რასაც ქეთამ მიაღწია. ის რატომ არავის აინტერესებს, რამდენი სოლო კონცერტი ჩაატარა, რამდენი დისკი გამოუშვა, რამდენი ჯილდო მიიღო? ერთადერთი შალვა რამიშვილი იყო, რომელმაც ქეთას ინტერვიუ თავიდან ბოლომდე გაუშვა ეთერში და ხალხს მისცა საშუალება, მისი დალაგებული აზრი მოესმინა, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი შალვას.

**– ქეთა 9 წლის ასაკიდან მღერის. თუ წარმოგედგინათ, რომ ასეთი წარმატებული მომღერალი გახდებოდა?**

– სიმართლე გითხრა, ამ საკითხზე არ მიფიქრია. „ა სტუდიოში" ქეთას მოღვაწეობის ინიციატორი ნატო დუმბაძე იყო, რომელიც, ჩემი მეგობარი კია, მაგრამ, ამ ამბავს პროფესიონალური თვალით შეხედა. მე არ ვარ ის დედა, ჩემი შვილი რომ ვაქო და ვადიდო. მიმაჩნია, რომ კრიტიკოსი უფრო ვარ მისთვის. ამიტომ, არასდროს დავმჯდარვარ და არ მიფიქრია, გახდებოდა თუ არა ის პოპულარული მომღერალი საზღვრებს გარეთ. დღეს ბედნიერი ვარ და ძალიან მიხარია, რომ ასეთ წარმატებას მიაღწია და ხალხმა ძალიან კარგად და თბილად მიიღო. თუ მსმენელმა არ მიგიღო, იყავი და იმღერე შენთვის. ქეთა ისეთ კოლექტივში მოხვდა, რომელსაც თავისი ნიშა აქვს შოუ-ბიზნესში. ჯგუფის წევრები ჩამოყალიბებული, ზრდასრული პიროვნებები არიან და მათ ქეთა როგორც შვილი, ისე მიიღეს. ძალიან ბევრი ასწავლეს და, ქეთამ „ა სტუდიოს" სახით ძალიან დიდი სკოლა გაიარა, როგორც ხელოვნების, ასევე, ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით. „ა სტუდიო" რუსეთში ერთ-ერთ ლეგენდალურ ჯგუფად ითვლება.

**მართალია, ანდროს თავისი ადგილი ჰქონდა ჩვენს ოჯახში და მას ვერავინ შეგვიცვლის, მაგრამ, ვიგრძენი, რომ ლოვას სახით მამაკაცი გვედგა გვერდით**

**– მოკლედ, საქართველოში რამდენი ღამისთევა და შრომაც ჩადეთ ქეთაში, ყველაფერი ორმაგად დაგიფასდათ.**

– კი, კი, ნამდვილად დამიფასდა, თუმცა, ღამისთევა აქაც ხშირად მიწევს – ეს რეჟიმი უკვე გამომუშავდა წლების განმავლობაში, ადრე ველარ ვიძინებ.

**– ადრე თუ ქეთა თოფურიას დედა იყავით, დღეს უკვე ვარსკვლავი ქეთა თოფურიას დედა ხართ. როგორი შეგრძნებაა?**

– რა თქმა უნდა, ძალიან კარგი და სასიამოვნო, ეს ყველა დედას გაუხარდებოდა. უფრო ზუსტად, ვიტყოდი, რომ დღესდღეობით მე წარმატებული მომღერლის დედა ვარ.

**მარიკა ხიდურელი**

**მომღერალი აგნესა დიდი ხანია, სამარაში ცხოვრობს და საქმიანობს. თუმცა, წელიწადში ორჯერ, რამდენიმე კვირით, ყოველთვის ახერხებს თბილისში ჩამოსვლას და დასვენებას. ამჟამად აგნესას პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა – თბილისში ის საქმროსთან, არტიომა ტონიანთან ერთად ჩამოვიდა, რომელიც საქართველოთი, ქართული კულტურითა და სტუმართმოყვარეობით ძალიან მოიხიბლა.**

# რა სიურპრიზი მოუწყო დილის 6 საათზე მოსკოვში აგნესას საქმრომ და ვინ აყრიდა თავზე მას ვარდის ფურცლებს

**აგნესა**: ახალ წელს ერევანში შევხვდი. ძალიან კარგი დრო გავატარეთ. იქ, პროექტიდან გამომდინარე, რომელშიც ადრე ვმონაწილეობდი, საკმაოდ ბევრი მომღერალი მეგობარი მყავს. თითქმის ყველანი იმ ღამეს ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში მუშაობდნენ. ძალიან მხიარული ხალხია და კარგად გავერთეთ. 1 იანვარს უკვე თბილისში ვიყავი. ერთი თვეა, ვისვენებ, თან აქედან სტავროპოლში მივდივართ ***(უკვე გაემგზავრა – ავტორი)***, ჩემმა მომავალმა მეუღლემ ბავშვი უნდა მონათლოს. შემდეგ დავბრუნდებით სამარაში და გავაგრძელებ მუშაობას. ერთი კორპორატიული საღამო უკვე მელოდება. ზაფხულში ისევ თბილისში ჩამოვალ და გელა გნოლიძე ახალ სიმღერას დამიწერს. რუსეთში ყოველთვის მაქვს ურთიერთობა კოტე ნონიკოვთან, შეიძლება დამიწეროს სიმღერა და მოსკოვში ჩავწეროთ კიდეც. ერევანშიც და მერეც, როცა საზღვარს გამოვცდი, თბილისში ხალხმა მიცნო, ემოციებით შემხვდნენ. შენი სიმღერები ისე მოგვწონდაო, მითხრეს, ამან დიდი სტიმული მომცა. თბილისში ერთ-ერთ ბარში ვიყავი მეგობრებთან ერთად, იქვე ახალგაზრდა გოგონები ისხდნენ და ერთმა თქვა: აგნესაო და უცებ ყველამ აიტაცა – ერთხმად დაიწყეს „ბედისწერის" სიმღერა. შენ ჩვენი ნოსტალგია ხარ – გვახსენდება შუქი რომ არ იყო, „კერასინკის" გარშემო ვისხედით და შენს სიმღერებს ვუსმენდით, კიდევ იმღერეო. ძალიან გამიხარდა და ამან უფრო მეტად წამახალისა.

**– როგორც გავიგე, შენს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა.**

– კი, უკვე საცოლე და საქმრო ვართ. მე და არტიომი დავინიშნეთ. ზაფხულში, როცა თბილისიდან მოსკოვში წავედი, რამდენიმე დღე მეგობრებთან ვაპირებდი დარჩენას, მან კი ვერ მოითმინა და სამარადან მოსკოვში ჩამომაკითხა. დილის 6 საათზე იყო რეისი. მკითხა: რომელ სასტუმროში ხარო, ვუთხარი, მაგრამ არც მიფიქრია, რომ ასე ადრე ჩამოვიდოდა. მოკლედ, ჩამოვიდა ჩემხელა ვარდებით და ქუჩაში, სადარბაზოს წინ მომცა ბეჭედთან ერთად. შოკი მივიღე, რადგან როგორც შეყვარებულებს ჯერ ახლო ურთიერთობა არ გვქონდა. გაოცებული ვუყურებდი, ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. ბოლოს მითხრა: ცოლად გამომყევიო. სიმართლე გითხრა, მაშინვე არ მითქვამს პასუხი. ახლა ისეთ ასაკში ვარ, არც მიქრის და რაც მთავარია, ასეთი საკითხებს უფრო სერიოზულად, სიფრთხილით ვუყურებ. დიდი ხნია, ვიცნობ, მაგრამ ისეთი ურთიერთობა არ გვქონია, რომ ამაზე მეფიქრა. თვითონ მითხრა: უკვე აღარ შემიძლია, დიდი ხანია, გიყურებ, მინდა, ჩვენი ურთიერთობა სხვა ეტაპზე გადავიდეს და ამით გიმტკიცებ, რომ შენ მიმართ სერიოზული ზრახვები მაქვსო. დილის 8 საათზე ერთი კაფე იყო გახსნილი, იქ ვისხედით მე და ის: დიდი ვარდებით, შამპანურით, ბეჭდით ხელში. კლასიკური მუსიკა ჩაგვირთეს და ბოლოს დავთანხმდი.

**– რას საქმიანობს შენი საქმრო?**

– ბიზნესმენია. ოჯახურ ბიზნესშია ჩართული: ავეჯის ქარხანა აქვთ. გარდა ამისა, სხვა საქმეებითაც არის დაკავებული, ხან სტავროპოლშია, ხან – სამარაში.

**– როგორ გაიცანით ერთმანეთი – ეს იყო სიყვარული ერთი ნახვით?**

**არტიომა**: კი. რომ დავინახე, ერთ ადგილას გავჩერდი, არ შემეძლო გადაადგილება, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ვფიქრობდი: რომ მივიდე, რა ვუთხრა-მეთქი. მაგრამ ისე წავიდა, გაცნობა ვერ მოვახერხე. 2-3 კვირის შემდეგ დაბადების დღეზე მივედი და იქ არ დავინახე?! სუფრასთან იჯდა. ვთქვი: ახლა შანსს ნამდვილად არ გავუშვებ ხელიდან-მეთქი და გავიცანი.

**აგნესა**: საერთო მეგობრები აღმოგვაჩნდა და სალაპარაკოც გაგვიჩნდა. რა თქმა უნდა, მეც მაშინვე მომეწონა.

**არტიომა**: მერე წავედით სავახშმოდ, დაახლოებით 4 საათი ვიყავით ერთად და ყველაფერი გასაგები გახდა: ეს ადამიანი იყო „ჩემი".

**აგნესა**: ყველანაირ თემაზე ვისაუბრეთ. სერიოზული, საქმიანი ადამიანია, ნამდვილი მამაკაცი. როცა რაღაც თემაზე ვესაუბრებოდი, ვფიქრობდი: ნეტავ, ასე თქვას, ასე მოიქცეს-მეთქი და ზუსტად ისე ამბობდა, იქცეოდა – თითქოს მისმენდა და იმას აკეთებდა, რისი დანახვაც მინდოდა მასში. ყველაფერს ძალიან ლამაზად აკეთებს.

**– რა გააკეთე იმისთვის, რომ დღეს აგნესა შენ გვერდით არის?**



**არტიომა: „მერე წავედით სავახშმოდ. დაახლოებით 4 საათი ვიყავით ერთად და ყველაფერი გასაგები გახდა: ეს ადამიანი იყო „ჩემი"**

**არტიომა**: არაფერი ისეთი, უბრალოდ, გახსნილად, გულწრფელად ვიქცეოდი და იმას ვაკეთებდი, რაც შემეძლო. თან ღიად, პატიოსნად.

**აგნესა**: ჩვენ თავიდანვე არ დაგვიწყია შეხვედრა, ნელ-ნელა, ეტაპობრივად განვითარდა ყველაფერი. გაიგო, როგორი ადამიანი ვარ, როგორ უნდა მომქცეოდა. ძალიან უყვარს სიურპრიზები. მაგალითად, როცა სადმე წავიდოდი, მომიტანდა ყვავილების თაიგულს, ოღონდ ჩვეულებრივს კი არა – ეს იყო ყვავილებისგან გაკეთებული დათუნია, ან სხვა რამე. თან, იცის, რომ

**აგნესა: „არ მინდა ქორწილი – არც საქართველოში გვინდა, არც სამარაში. წავალთ უცხოეთში, სადმე ზღვაზე, გავაკეთებთ პატარა დადგმას ჩვენს მეჯვარეებთან ერთად. მეგობრებსაც დავპატიჟებთ და ვინც შეძლებს, ჩამოვა"**

ძალიან მიყვარს სიურპრიზები, ოღონდ კი არ მეუბნება, რა გიყიდოო. დროთა განმავლობაში ხომ ვამბობ ხოლმე: ეს მომეწონა, ის მომწონს... იმახსოვრებს და მერე მჩუქნის. სულ ვეუბნები: ყოჩაღ, გადამიჯოკრე-მეთქი, რადგან მე სიურპრიზების კეთება არ შემიძლია. დაბადების დღეზეც ჯერ დედაჩემს დაურეკა: რომელ საათზე დაიბადაო. თავიდან პატარა საჩუქარი მაჩუქა: ვარდები იყიდა, სახლიდან რომ გავედი ზევით კაცი იდგა და ვარდის ფურცლებს თავზე მაყრიდა. შოკი დამემართა. 9 საათზე ვარ დაბადებული და როგორც კი 9 საათი გახდა, მაშინვე ულამაზესი საათი მაჩუქა. იცის, რომ მიყვარს. მეც მიყვარს სიურპრიზების გაკეთება, მაგრამ ამისგან უფრო ვსწავლობ. დაბადების დღე რომ ჰქონდა, მეც მინდოდა, რაიმე ისეთი გამეკეთებინა... მაგრამ ბოლოს ის ვაჩუქე, რაც მე მინდოდა.

**– როდის და სად აპირებთ ქორწილის გადახდას?**

– არ მინდა დიდი ქორწილი. მინდა, მეც ვისიამოვნო. დიდ ქორწილებში მხოლოდ სხვები იღებენ სიამოვნებას და შენ დაძაბული ხარ. არც საქართველოში გვინდა, არც სამარაში, რადგან ბევრი ხალხი შეგროვდება. ამიტომ, უცხოეთში წავალთ, სადმე ზღვაზე. გავაკეთებთ პატარა დადგმას ჩვენს მეჯვარეებთან ერთად, მეგობრებსაც დავპატიჟებთ და ვინც შეძლებს, ჩამოვა. ეს მოხდება დაახლოებით მარტში ან აპრილში. გელა გნოლიძემ მითხრა, ქორწილისთვის სიმღერას გაჩუქებო, ოღონდ, ერთად უნდა გამღეროთო. არტიომა არ მღერის, უთხრა: მე ისეთ რაღაცას არ ვაკეთებ, რაც არ ვიციო. არა, შენ ილაპარაკე, აგნესა კი იმღერებსო – მოკლედ, ბევრი ვიხალისეთ.

**– მოგწონს აგნესას ნამღერი?**

**არტიომა**: კი, ყველა სიმღერა მომწონს, განსაკუთრებით „ბედისწერა". როდესაც სიმღერა ჰიტია, შეიძლება, ენა არ გესმოდეს, მაგრამ მელოდიას რომ ისმენ, ეს უკვე ახდენს შენზე შთაბეჭდილებას. მოკლედ, ყველა მისი სიმღერა მომწონს. რაც მთავარია, ამის კეთება მისთვის სასიამოვნოა – გაფანატებული არ აქვს და როგორც კი კარგი სიმღერა იქნება, მაშინვე კარგი კლიპიც კეთდება.

**– როგორია აგნესა, როგორც მეგობარი, როგორც ქალი?**

– კეთილი, თბილი, ჭკვიანი, სამართლიანია, არასდროს ამბობს ზედმეტს. ყველგან იქცევა ისე, როგორც იმ დროს არის საჭირო. ყველაზე კარგი ადამიანია, საუკეთესო.

**– როგორ მოგეწონა საქართველო, ქართველი ხალხი?**

– პირველი შთაბეჭდილება ის იყო, რომ აქ სახლის ყიდვა მომინდა. ხალხი ძალიან სასიამოვნო, მეგობრულია. ყველგან თავს ისე გრძნობ, როგორც სახლში. დისკომფორტი არსად მიგრძნია, არანაირ გარემოში. ქვეყანა ძალიან მომეწონა, ხალხი, მენტალიტეტი განსაკუთრებულია. რუსეთში ასეთი რამ არ არის. თქვენთან როგორც მეგობრობენ, ასეთ რამეს ვერ ნახავ რუსეთში. მოკლედ, აქ ბევრი სასიამოვნო რამ არის, რაც გაოცებას იწვევს. რაც შეეხება ცხოვრებას: ვიმუშავებთ რუსეთში და ვიგულავებთ საქართველოში.

**აგნესა**: საერთოდ, ევროპაში მინდა ცხოვრება. მინდა, რომ ჩვენმა შვილებმა ევროპაში მიიღონ განათლება, ისწავლონ ინგლისური, ფრანგული.

**არტიომა**: ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე, ყველაფერს ის გვიჩვენებს.

**აგნესა**: ახლა ბავშვი გვყავს გეგმაში. მას უნდა მინიმუმ სამი, მე ვეუბნები: რამდენსაც ღმერთი მოგვცემს-მეთქი.

**არტიომა**: 2 ბიჭი და ერთი გოგონა, მაგრამ ვნახოთ, ღმერთი რამდენს მოგვცემს.

***P.S. 14 თებერვალს, ვალენტინობას აგნესამ და არტიომამ სამარაში ხელი მოაწერეს. გადაწყვეტილება ორ დღეში მიიღეს. „თბილისელები" ვულოცავთ მშვენიერ წყვილს და დიდ ბედნიერებას ვუსურვებთ!***

**ნათია უტიაშვილი**

# რა უნდა ვიცოდეთ წინასწარ, რომ თავი ავარიდოთ სკანდალებს, განქორწინებებს, გაუგებრობებსა და სიძულვილს საკუთარი შვილებისა და ახლობელი, საყვარელი ადამიანების მხრიდან



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ზოდიაქოს ნიშნებს ოთხი სტიქია მართავს: ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ყველა სტიქია არ ეწყობა ერთმანეთს. სხვათა შორის, ამას მოწმობს ადამიანების ხასიათსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე ვარსკვლავების ზემოქმედების შესწავლის ორიათასწლიანი გამოცდილება. ასევე, აუცილებელია, თითოეულმა ჩვენგანმა მომავალი შვილების ჯანმრთელობაზე, ნიჭსა და თვით სილამაზეზეც კი, ქორწინებამდე ვიზრუნოთ.

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: რა უნდა ვიცოდეთ წინასწარ, რომ თავი ავარიდოთ სკანდალებს, განქორწინებებს, ურთიერთგაუგებრობებსა და სიძულვილს საკუთარი შვილებისა და ახლობელი, საყვარელი ადამიანების მხრიდან? უპირველესად, არსებობს ჰარმონიისა და შეთავსებადობის საკმაოდ მარტივი ასტროლოგიური კანონები, მაგალითად: ცეცხლის ნიშნები ყველაზე კარგად ეგუებიან ჰაერის სტიქიის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს; წყლის ნიშნები – მიწის ნიშნებით დაბადებულებს. ამის მიხედვით, შეგიძლიათ, ნახოთ, თუ როგორ აისახება ყოველივე ეს ოჯახური თანაცხოვრებაზე.

დავუშვათ, თქვენ ხართ ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი, ანუ ცეცხლის სტიქია გმართავთ, თქვენი მეუღლე კი კუროა, ანუ მას მიწის სტიქია მართავს. თქვენი შვილი მორიელის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშაა დაბადებული, ანუ, წყლის სტიქიაა მისი მფარველი. ასეთ შემთხვევაში მშობლებს შორის ურთიერთობა სულ დაძაბული და კონფლიქტურია, შვილს კი დედასთან უფრო კარგი და ჰარმონიული დამოკიდებულება აქვს, ვიდრე მამასთან. ეს იმიტომ, რომ მშობლებმა წინასწარ არ გაითვალეს ან არ იცოდნენ სტიქიათა ჰარმონიის შესახებ, სანამ დაქორწინდებოდნენ და შვილის გაჩენას გადაწყვეტდნენ.

საკმარისია, ჩაიხედოთ ნებისმიერ ასტროლოგიურ წიგნში, რომ, გაიგებთ, როგორ უნდა მოიქცეთ უთანხმოების მინიმუმამდე დასაყვანად და მომავალი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად.

თუ შვილი ერთ მშობელს ძნელად ეგუება, მეორესთან კი, პირიქით – კარგად არის, ასეთ შემთხვევაში, გამოსავალი ისევ ვარსკვლავებს უნდა დაეკითხოთ. მალე გააჩინეთ მეორე ბავშვი, რადგან, რაც მეტი წევრია ოჯახში, ჰარმონიის მიღწევის მით მეტი შანსი არსებობს.

ყველას სურს, ჰქონდეს მშვიდი და მყუდრო ურთიერთობა ოჯახის წევრებთან. ვიმედოვნებთ, მივაღწიოთ ურთიერთგაგებას, რათა ჩვენი შვილები ჯანმრთელები, ჭკვიანები, ლამაზები, ლაღები და მზრუნველები იყვნენ დედმამიშვილების, მშობლების, ბებია-ბაბუის, ნათესავებისა და ახლობლების მიმართ. ამის მიღწევაში კი დაგეხმარებათ ადამიანზე მთვარის გავლენის ცოდნა, რადგან, ღამის მნათობი ძლიერ ზეგავლენას ახდენს დედამიწის ყოველ არსებაზე და, ბუნებრივია, ჩვენს შვილებზეც.

ასტროლოგიურად, ბავშვის ჩასახვისთვის ხელსაყრელია მთვარის 30-ე დღე. ასევე, ეცადეთ, შვილის ჩასახვა არ დაემთხვას ახალმთვარეობიდან მე-3, მე-5, მე-9, მე-12, მე-13, მე-15, მე-17, მე-18, მე-20, 23-ე, 25-ე, 27-ე და 29-ე დღეებს. განსაკუთრებით საშიშია 23-ე დღე. ამ დღეს ჩასახული ბავშვები მშობლებისა და, საერთოდ, წინაპრების გენეტიკიდან, მხოლოდ უარყოფითს იღებენ მემკვიდრეობით. ამიტომ, აუცილებელია, სწორად დაგეგმოთ მომავალი შვილის ჩასახვის დღე და, შესაბამისად, მისი დაბადება. იფიქრეთ იმაზე, ვინ იქნება ის: კურო, თევზები, კირჩხიბი, ლომი, მერწყული თუ სხვა.

ასევე, თუ ვერააწყობთ ურთიერთობას ახლობელ ადამიანებთან, აიღეთ ასტროლოგიური წიგნი და ყურადღებით გადაიკითხეთ. გაარკვიეთ, ვინ რომელი ნიშნის ქვეშაა დაბადებული, რა ხასიათი აქვს, რომელი სტიქია ბატონობს მასზე, ზოდიაქოს ნიშნის რა დადებითი ან უარყოფითი თვისებები აქვს. ამის შემდეგ, მასთან ურთიერთობა გაცილებით გაგიადვილდებათ, ანუ, მიხვდებით, ვის რა კუთხით მიუდგეთ. ასე კომპრომისების მიღწევაც გაგიადვილდებათ მათთან და საერთო ენის გამონახვაც.

## შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1999 წლის 16 ივლისს, საღამოს საათებში. რომელი პროფესიებია ჩემთვის წარმატებების მომტანი სამომავლოდ?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანი პროფესიებია: პედიატრია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე, კომერცია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 4 მაისს. უცხოეთის რომელ ქვეყანაში გამიმართლებს?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, თუმცა, არც ცუდია. ქვეყნებიდან კი შედარებით მისაღებია: უკრაინა, პოლონეთი, ირლანდია, კვიპროსი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, მოლდოვა, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ბულგარეთი, ისრაელი, კუნძული შრი-ლანკა, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, სამხრეთ კორეა, კუნძული მალტა.

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 2005 წლის 22 ივნისს, დილის 6 საათზე. რა არის მისი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესიები აირჩიოს სამომავლოდ წარმატებების მისაღწევად?**

**პასუხი:** მის კოსმიურ მისიაში შედის უცხოეთთან კონტაქტი, ამიტომ, აუცილებელია, ადრეული ასაკიდან დაიწყებინოთ უცხო ენების შესწავლა. თუ იცხოვრებს სამშობლოში, აუცილებლად უნდა იმუშაოს უცხოურ ფირმაში და ჰქონდეს ურთიერთობა უცხოელებთან. თუ შანსი მიეცემა და დროებით უცხოეთში იცხოვრებს, იქ დაგროვილი ცოდნით, კაპიტალითა და გამოცდილებით, სამშობლოში დაბრუნებისას ადვილად შეძლებს წარმატების მიღწევას. ასევე, უნდა იყოს მებრძოლი, უშიშარი, შეუპოვარი, დაეყრდნოს საკუთარ ინტუიციასა და ცოდნის ბაზას. ასევე, იყოს კომუნიკაბელური და ერთგული. რაც შეეხება წარმატებების მომტან პროფესიებს, ასეთებია: პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებსა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ბიზნესი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმე, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სასტუმროების ბიზნესი და დასასვენებელი ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 29 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატებები?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატებების მომტანი პროფესიებია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო ფართო სპექტრი, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, ხელოვნების ფართო სპექტრი, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, დეკორატიული მებაღეობა, მშენებლობა, სოციოლოგია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკა, ავიაციის ბიზნესი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ვიდეო და მობილური სისტემები, საინჟინრო საქმე, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, ქორეოგრაფია.

**კითხვა: დავიბადე 1976 წლის 26 მარტს. მინდა უცხოეთში წასვლა. ასტროლოგიურად რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კოსმიური მისიაა. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრალია, სერბეთი, სლოვენია, ბრაზილია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, კუნძული მალტა.

**კითხვა: დავიბადე 1991 წლის 11 მაისს. სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი შემეფერება?**

**პასუხი:** სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის თქვენთვის მისაღებია: კირჩხიბის, ვერძის, ქალწულის ან თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი.

## ვერძი

ახალი იდეები მიზანმიმართულ მუშაობაში შეგიშლით ხელს. აპატიეთ მეგობრებს წვრილმანი შეცდომები. შესაძლოა დიპლომატის როლის შესრულება მოგიხდეთ. ხშირად დაისვენეთ და შეიმუშავეთ საქმეებისა და ბიზნესის დარეგულირების უმოკლესი გზები. კარგია მოგზაურობა და უცხოელებთან კონტაქტი.

## კურო

თავს ენერგიულად იგრძნობთ და, შესაძლოა, ახალ საქმიან ურთიერთობას ჩაუყაროთ საფუძველი. ნუ გაართულებთ სასიყვარულო ურთიერთობას თქვენი ქცევებითა და სულსწრაფი გადაწყვეტილებებით. კარგია ახალი ნაცნობობა. ჯანმრთელობისა და გუნება-განწყობის გაუმჯობესება კი ხელს შეუწყობს ახალი გეგმების დასახვასა და მათ რეალიზებას.

## ტყუპები

სახლში მოსალოდნელია ხშირი კამათი, რაც თქვენს ნერვულ სისტემაზე უარყოფითად აისახება. სასიკეთოდ განვითარდება რომანტიკულ-სასიყვარულო ურთიერთობები, რაც ახალ ემოციებს მოგიტანთ. თუ იგრძნობთ ენერგიის ნაკლებობას, ეცადეთ, იზრუნოთ ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე. ხშირად დაისვენეთ.

## კირჩხიბი

არახელსაყრელი დროა კრედიტებისა და ვალების ასაღებად. ასევე, ჯობია, თავი შეიკავოთ ახალი საქმის დაწყებისგან. გაგიადვილდებათ მეგობრული და ახალი კავშირების დამყარება. ამ პერიოდში მიღებული შემოთავაზება შრომატევადი, მაგრამ, ნაყოფიერი აღმოჩნდება. არ არის გამორიცხული, დაფიქრდეთ ცხოვრების შეცვლაზე. სასიყვარულო ურთიერთობებში გაუგებრობები კი დამღლელი და მოსაბეზრებელი მოგეჩვენებათ.

## ლომი

გაზრდილი მომხიბვლელობის წყალობით ადვილად შეძლებთ საპირისპირო სქესის მოხიბვლას და ახალ თაყვანისმცემლებსაც შეიძენთ. საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება ხელმძღვანელი პირებისგან დაფასდება და მოწონებას დაიმსახურებს. მოგზაურობა სასიკეთოდ იმოქმედებს თქვენს მდგომარეობასა და პირად ცხოვრებაზე. ზედმეტად ნუ გადაიღლებით.

## ქალწული

მოიმატებს თქვენი ენერგიულობა და ქმედითუნარიანობა. მოერიდეთ ავანტიურებს და ეცადეთ არ დაარღვიოთ კანონი. ნუ იკამათებთ ოჯახის წევრებთან. ამ პერიოდში დამყარებული რომანტიკული კავშირი თქვენს იმედებს მომავალში ვერ გაამართლებს. კარგია ახალი ნაცნობობა და მოგზაურობა.

## სასწორი

ბევრ დროს წაგართმევთ ადრე დაწყებული საქმეები. შესაძლოა, ჩიხში შევიდეს სასიყვარულო ურთიერთობა, რაც თქვენზე უარყოფითად აისახება. მეგობრებთან ყოფნა და ახალი ინფორმაცია გაგახალისებთ და გაგახარებთ. მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას.

## ღრიანკალი

გაუმჯობესდება როგორც თქვენი ენერგეტიკული მდგომარეობა, ასევე, სამუშაო პირობებიც. ყველა ძველი პრობლემა მოგვარდება. ნუ დახარჯავთ ფულს უყაირათოდ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ნუ იქნებით პრინციპული, ეჭვიანი და კონფლიქტური. ნუ გარისკავთ.

## მშვილდოსანი

კარგია დამატებითი ცოდნის მიღება და კვალიფიკაციის ამაღლება – ეს თქვენს ფინანსურ მდგომარეობასა და კარიერაზე დადებითად აისახება. ბევრმა შეხვედრამ, შესაძლოა, გადაგღალოთ. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა კიდევ უფრო დაგაფიქრებთ პირად ცხოვრებაზე. კარგია მოგზაურობა.

## თხის რქა

სამსახურებრივი საქმეები პირად ცხოვრებაში შეგიშლით ხელს. ნუ ისარგებლებთ სხვისი ფინანსებით. ნუ აყვებით ინტრიგებსა და ჭორებს. უარი თქვით ფარულ შემოსავლებზე. მოერიდეთ ახლობლებთან კამათს. ოჯახის წევრებთან გატარებული დრო თქვენზე სასიკეთოდ აისახება.

## მერწყული

იმოქმედეთ დამოუკიდებლად და მიიღებთ სწრაფ მოგებას. ნათესაური კავშირები დაგეხმარებათ სასურველი საქმეების ადვილად შესრულებასა და ფინანსური მოგების მიღებაში. ნუ აჰყვებით ავანტიურებსა და პროვოკაციებს, რათა ამან უარყოფითად არ იმოქმედოს თქვენს ჯანმრთელობაზე. სასიყვარულო ურთიერთობაში გაუგებრობა მოაგვარეთ მშვიდად და კონსტრუქციული მიდგომით.

## თევზები

კარიერაში ზრდისა და პოპულარობისთვის კარგი დროა. თამამად განახორციელეთ ძველი ჩანაფიქრები. გაგიადვილდებათ საქმეში წარმატებების მიღწევა. საყვარელი ადამიანის მიმართ იყავით მეტად ტაქტიანი – ასე უფრო მეტად მიაღწევთ საწადელს და თავიდან აიცილებთ დაძაბულობას ურთიერთობაში. კარგია მოგზაურობა.

**ახალმთვარეობა – 11 მარტი, 19 სთ: 52 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს ინტუიცია, ემოციურობა და რომანტიკულობა. მაღალია მოტყუების, ღალატისა და ცდუნებების ალბათობა. აკონტროლეთ სიტყვები და ქმედებები. ატარეთ ყვითელი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, კრემისფერი, ცისფერი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ნეფრიტი, იაგუნდი ან აკვამარინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

## სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მაღალია მოტყუებისა და ცდუნებების ალბათობა. მოერიდეთ მნიშვნელოვან საბუთებზე ხელის მოწერას. აკონტროლეთ აზრები და სიტყვები. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ბეჟი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ქარვა, ლაზურიტი, საფირონი ან წითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია ახალი კონტაქტები, ინფორმაციის გაცვლა, სავაჭრო გარიგებები, სწავლა, ახალი პროფესიის ათვისება, საბანკო ოპერაციები, სამეცნიერო კვლევა, მშენებლობა. სუსტდება ნერვული სისტემა, ფილტვები, მხრები, ბრონქები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

## ოთხშაბათი

ადვილად არის შესაძლებელი ფინანსური საკითხების გადაწყვეტა. ურთიერთობისას დაეყრდენით ინტუიციასა და დიპლომატიას. ბოლომდე მიიყვანეთ დღეს დაწყებული საქმე. ატარეთ ნაცრისფერი, ოქროსფერი, ცისფერი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი, იისფერი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ზურმუხტი, აქატი, მალაქიტი, ჟადეიტი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია ახალი კონტაქტები, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები, მშენებლობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება სასუნთქი სისტემა, მკერდი, კუჭი, დიაფრაგმა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

## ხუთშაბათი

უცნაური მოვლენებისა და მისტიკური დამთხვევების დღეა. კარგია შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ მწვანე, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი ზურმუხტი, მთვარის ქვა, ამეთვისტო, ყვითელი იასპი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება. ნუ გასცემთ დაპირებებს. გადაამოწმეთ საბუთები, სანამ მათ ხელს მოაწერთ. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. კარგია ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება მკერდი, კუჭი, ლიმფური სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს ილუზიების ალბათობა. ნუ ეცდებით რაიმეს დამტკიცებას. მოერიდეთ წყენასა და ეჭვიანობას. აკონტროლეთ ემოციები. გაუფრთხილდით თქვენს რეპუტაციას. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. ატარეთ თეთრი, ნაცრისფერი, იისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, მწვანე იასპი, ოპალი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სახლის მშენებლობის დაწყება, ფულის ვალად აღება. კარგია ვაჭრობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ლიმფური სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

## შაბათი

გართულდება ინფორმაციის მიღება. შესაძლებელია ახალი საქმის დაწყება, ფიზიკური შრომა. ნუ აიღებთ ვალს. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ოქროსფერი, ბეჟი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას. კარგია გართობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

## კვირა
### გეომაგნიტური დღეა

მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას და აღიდგინეთ დახარჯული ენერგია. გადაწყვიტეთ საკითხები დამოუკიდებლად. მოიწესრიგეთ გარეგნობა. ნუ მისცემთ რჩევებს სხვებს. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ბეჟი, ოქროსფერი, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, მთის ბროლი ან სარდიონი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, სასიყვარულო კავშირებს. კარგია მეგობრებთან ურთიერთობა, გართობა, მშენებლობის დაწყება, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**წლევანდელი 14 თებერვალი დიზაინერ ლიკა ყაზბეგისთვის განსაკუთრებული იყო – სიყვარულის დღეს ლიკა საკუთარ „ვალენტინს“ შეხვდა. პირველი პაემანი ქორწილის დღედ იქცა, რომლისთვისაც პატარძლის მეგობარმა იზრუნა. მართალია, ქორწილი ერთობ არაორდინარულ გარემოში – რუსთავის ციხეში, დირექტორის კაბინეტში შედგა, მაგრამ, მას არც ხელისმომკიდეები დაჰკლებია, არც საქორწილო ტორტი და არც თაიგული, რომელიც ბოლოს ციხის გარეთ, ტელევიზიაში მოხვდა...**

# როგორ დაიწყო ლიკა ყაზბეგის სიყვარულის ისტორია რუსთავის ციხის პატიმართან და ვინ შეაპარა მან თავის ქორწილში



გიორგიმ ხელი ტელეფონით მთხოვა

**– ლიკა, ვინაა შენი რჩეული და როგორ დაიწყო თქვენი სიყვარულის ისტორია?**

– ჩემი რჩეული არის გიორგი ჯელაძე, რომელიც, უკვე ხუთი წელია, სასჯელს იხდის. ჩვენ ერთმანეთი წლების წინ, საერთო ახლობლის მეშვეობით გავიცანით, თითქოს ფლირტიც იყო ჩვენ შორის, მაგრამ, ამ ურთიერთობას გაგრძელება არ მოჰყოლია – ჩვენ მალე „დავიშალეთ" და ჩვენს გზებს გავუყევით. წლების განმავლობაში მის შესახებ თითქმის არაფერი გამიგია, თუ არ ჩავთვლით ერთ მშვენიერ დღეს, როცა გიორგი ციხიდან ტელეფონით დამიკავშირდა. ამ სატელეფონო ზარამდე ცოტა ხნის წინ ჩემმა მეგობარმა, ლალი მოროშკინამ მითხრა, რომ გიორგი მას ჩემი ტელეფონის ნომერს სთხოვდა და ლალის უნდოდა, რომ ჩემგან ნებართვა აეღო. რამდენიმე თვეა, მასშტაბურ პროექტზე მიწევს მუშაობა და გათხოვებაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი, მაგრამ, გიორგის ზარებმა ისე ამიფორიაქა ცხოვრება, საქმეს გულს ველარ ვუდებდი. დაიწყო ჩვენი გაუთავებელი სატელეფონო საუბრები: გიორგი მირეკავდა დღისით, ღამით... სულ ტელეფონზე ვიყავით ჩამოკიდებული. ერთ დღესაც, მითხრა: შენ ჩემი ცოლი გახდებიო, მე არაფერი მითქვამს. პრინციპში, ხელი ტელეფონით მთხოვა *(იცინის).*

**– როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება მამაკაცზე, რომელსაც არ იცნობდით?**

– მე ძალიან ბევრს არ ვფიქრობ გადაწყვეტილებების მიღებისას. რამდენიმე ადამიანი კი მეუბნებოდა, დაფიქრდი, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამო, მაგრამ, მე ჩემი გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და არ შევცვლიდი. ვაღიარებ, რომ ჩემი ოჯახის წევრებმა და ახლო მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, რას ვაპირებდი. თუმცა, ან რა უნდა სცოდნოდათ – ორ კვირაში დაიწყო და ქორწინებით დასრულდა ყველაფერი. სიმართლე გითხრათ, ჯერ ბოლომდე არც კი გამიცნობიერებია, რა გავაკეთე. ხანდახან საკუთარი თავი რომანის ან ფილმის პერსონაჟი მგონია. ცხოვრებაში ბევრი არაორდინარული პროექტი მაქვს გაკეთებული, მაგრამ, უკვე ვხვდები, რომ ეს ჩემი ცხოვრების განსაკუთრებული პროექტია *(იცინის).*

**– გიორგი მალე გათავისუფლდება ციხიდან?**



– გიორგის საქმეს სტრასბურგის სასამართლო განიხილავს და, იმედი მაქვს, რომ ის ამ წელს გათავისუფლდება. მისი ნებართვის გარეშე საქმის დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, ის ციხეში მხოლოდ იმის გამო ზის, რომ მასზე ამ ქვეყნის ერთ-ერთი გავლენიანი ადამიანი იყო გადაკიდებული. გიორგის პირველი ქორწინებიდან ჰყავს 8 წლის შვილი, ულამაზესი ანა-მარია, რომელსაც აუცილებლად დავაყენებ საბავშვო პოდიუმზე.



**– ქორწილის ამბავი მომიყევით, როგორ შედგა ქორწილი ციხეში?**

– ქორწილი გვქონდა ციხის დირექტორის, ბატონი გელას კაბინეტში, რომელიც გიორგის მეჯვარეა. ციხეში მოვიდნენ რეესტრის სამსახურის წარმომადგენლები, ხელის მოწერას ესწრებოდა ორი სასულიერო პირი. გიორგის ჰყავდა სამი მეჯვარე – ციხის დირექტორი და ორი პატიმარი. ჩემი მეჯვარეები იყვნენ ლალი მოროშკინა და ჟურნალისტი გოგა ბერიძე. ლალის წინა ღამეს უზრუნია ყველაფერზე – საქორწილო ტორტზე, თაიგულზე, დირექტორის კაბინეტიც კი მორთული დამხვდა.

**– როგორც ჩანს, ლალი მოროშკინას კარგად „უხანუმია."**

– კი, მისი წვლილი ჩვენს დაქორწინებაში ძალიან დიდია. რომ არა ლალი, ჩვენ შორის, ალბათ, არაფერი არ მოხდებოდა. სანამ ციხეში წავიდოდი, კონსულტაცია გავიარე პატიმრის ცოლთან, რომელმაც მითხრა, რომ პატიმრის ცოლობა ერთგვარი რომანტიკაც კი იყო და ეს მართლაც ასეა – ქორწინება ციხეში ჩემთვის ძალიან ეგზოტიკური აღმოჩნდა. იმასაც თუ დავამატებთ, როგორი მორთული დამხვდა ის ოთახები, სადაც მე და გიორგის ორი დღის გატარების უფლება მოგვცეს, შთაბეჭდილებებისგან დაბნეული ვიყავი – პატიმრებს გულებითა და ბუშტებით ჰქონდათ მორთული იქაურობა. იმ გარემოში თითქოს დავმუნჯდი, გიორგისაც კი ვერ ველაპარაკებოდი; შეხვედრის დროსაც ისე გადავკოცნე, როგორც ნაცნობს აკოცებ. ბევრი რამ ბუნდოვნად მახსოვს.

**– როგორ მოაგვარეთ ტექნიკური საკითხები, რაც ციხეში ქორწილის გადახდას უკავშირდებოდა?**

– მე შევხვდი მინისტრს, სოზარ სუბარს და ვთხოვე, გაეწია დახმარება. თვითონაც გაუხარდა ეს ამბავი – ეს იყო ნათელი წერტილი იმ მძიმე ამბების შემდეგ, რაც ციხეებთან არის დაკავშირებული. მე ციხეში ერთხელაც არ ვიყავი ნამყოფი და იქაურმა გარემომ ცოტა დამაბნია. ციხეში ორი ჩემოდნით მივედი – ხომ იცით ქალების ამბავი... იმის მიუხედავად, რომ ბევრი რამ გაითვალისწინეს და ძალიან დამიდგნენ გვერდში, ჩემი ორი ჩემოდანი მაინც „შეათხელეს" *(იცინის).*

**– ქორწილი ვალენტინობას განგებ დაამთხვიეთ?**

– არა, პირიქით, ვალენტინობამ დაგვამთხვია ჩვენ. როდესაც შევუკვეთეთ საქორწინო ბეჭდები, იუველირმა გვითხრა, რომ ბეჭდები მზად იქნებოდა სამ დღეში და ეს სამი დღე ზუსტად დაემთხვა ვალენტინობას. გიორგიც ძალიან მაჩქარებდა, მაგრამ, ახლა ვფიქრობ, მას რომ არ ეაქტიურა, ალბათ, ეს ასე მალე არ გადაწყდებოდა. ბევრი არაორდინარული რამ მოხდა იმ დღეს, მაგრამ ქორწილი მართლაც რომ ძალიან ორიგინალური გამოვიდა. გვქონდა ულამაზესი ტორტი, რომლის გაჭრაც გიორგიმ ძალიან გააპროტესტა: პატიმარს დანის აღების უფლება არ აქვს და „სროკი" არ დამიმატონო, – ხუმრობდა. მე მეცვა „მარიონელას" ძალიან ლამაზი საქორწილო კაბა, რომელზეც ჩემმა მეგობრებმა და პარტნიორებმა იზრუნეს. გიორგიმ არ იცოდა, საქორწილო კაბით რომ მივიდოდი. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ორივეს ჩვეულებრივ უნდა გვცმოდა, მაგრამ, ეს კაბა მაინც გავიყოლე თან. ალბათ ორმოცდაათჯერ მაინც მცმია საქორწილო კაბა ფოტოსესიების დროს, მაგრამ, ციხეში შესულს, ძალიან მომინდა იმ კაბის ჩაცმა საკუთარ ქორწილში. გიორგი ჩემმა სიურპრიზმა ცოტა არ იყოს დააბნია. საქორწინო ცერემონიალის შემდ-



გიორგი ტორტს არ ჭრიდა – დანის ხელში აღებისთვის „სროკს" დამიმატებენო

# რამდენმილიონიან ქონებას ფლობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და რა აკავშირებს მას მეფეებთან - ივანე მრისხანესთან და რიჩარდ ლომგულთან

***2013 წლის 1 თებერვალს ამერიკელმა სენატორმა, დემოკრატიული პარტიის წევრმა და ვიეტნამის ომის ვეტერანმა, 2004 წლის ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილე კანდიდატმა, 69 წლის ჯონ კერიმ, სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჰილარი კლინტონი შეცვალა და სათავეში ჩაუდგა ამერიკის საგარეო საქმეთა უწყებას.***

* ჯონ ფორბს კერი დაიბადა 1943 წლის 11 დეკემბერს, კოლორადოს შტატის ქალაქ ორორაში. დედა – როზმარი, ფორბსების გავლენიანი და მდიდარი ოჯახიდან იყო და მედდად მუშაობდა მეორე მსოფლიო ომის დროს ფიცსიმონსის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც გაიცნო კიდეც მფრინავი რიჩარდ კერი, რომელიც დაჭრის შემდგომ რეაბილიტაციის კურსს გადიოდა ჰოსპიტალში. ჯონ კერი ბებიის, მარგარეტ უინტროპის მხრიდან, ამერიკის ოთხ პრეზიდენტს ენათესავება, მათ შორის ჯორჯ ბუშუმცროსს; ასევე, მისი შორეული ნათესავები არიან ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სათავადაზნაურო და სამეფო ოჯახების წევრები. ჯონის დედა პროტესტანტი იყო, ხოლო მამის მხრიდან ნათესავები – კათოლიკეები და ამის გამო ოჯახში ხშირად იქმნებოდა კონფლიქტური სიტუაციები. თავად ჯონი მდიდარი დეიდის დახმარებით ევროპისა და ამერიკის პრესტიჟულ სკოლებში სწავლობდა, ზაფხულს კი ფორბსების სასახლეში ატარებდა საფრანგეთში. ჯონ კერის ჰყავს ორი და დიანა და მარგარეტი და ძმა კემერონი, რომელმაც დაქორწინების შემდეგ იუდაიზმი მიიღო და ამჟამად პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩევლად მუშაობს ვაჭრობის საკითხებში.

* სპეციალისტმა გენეალოგიის საკითხებში ფელიქს ჰანდეკერმა 2003 წელს ჯონ კერის გენეალოგიური ხე შეადგინა და გამოიკვლია, რომ მისი წინაპრები: ბაბუა და ბებია – ფრიც კოხი და იდა ლევე, ბუდაპეშტში, ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში ცხოვრობდნენ და 1900 წელს გვარი შეიცვალეს – გახდნენ ფრედერიკ კერი და იდა კერი. მათ, ასევე, შეიცვალეს სარწმუნოებაც: იუდაიზმი უარყვეს და კათოლიკობა მიიღეს. გვარი „კერი" კი, ლეგენდის თანახმად, მათ შემთხვევით შეარჩიეს: ფრიცმა და ოჯახის სხვა წევრებმა გაშალეს მსოფლიო ატლასი და თვალებახვეულებმა რუკაზე საწერი კალამი დაადეს. კალამი ირლანდიაში, კერის საგრაფოზე გაჩერდა და ასე შეირჩა გვარი „კერი". 1905 წელს ჯონ კერის წინაპრები შეერთებულ შტატებში ემიგრირდნენ. ჯონ კერის თქმით, მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ მისი წინაპრები ებრაელები იყვნენ, თუმცა, იცოდა, რომ წარმოშობით უნგრეთიდან იყო. ცნობისთვის, ჯონ კერის წინაპრების ნაწილი, რომლებიც სამშობლოში დარჩნენ, სიცოცხლე ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკებში, არაოფიციალური ვერსიის თანახმად, სისასტიკით განთქმულ „დაჰაუსა" და „ზაქსენჰაუსში" დაასრულეს.

* გენეალოგიის საკითხების სპეციალისტებმა ბრიტანული „ბურკს პერიჯიდან" დაადგინეს, რომ ჯონ კერის წინაპრები ევროპის სამეფო ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ, კერძოდ, საუბარია კერის ნათესაურ კავშირზე რუსეთის მეფეებთან – ივანე მრისხანესთან და იაროსლავ ბრძენთან, ასევე, მთავრებთან – დოლგორუკისთან და ობოლენსკისთან. გარდა ამისა, დადგინდა, რომ სახელმწიფო მდივანს არა მარტო მოსკოვისა და კიევის მთავრებთან აქვს სისხლით ნათესაური კავშირი. მისი წინაპრები იყვნენ: ინგლისის მეფეები ჰენრიხ მეორე და რიჩარდ მესამე ლომგული, ანგლო-საქსების უკანასკნელი მეფე ჰაროლდი, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე და საფრანგეთის მეფეები: ფრანცისკ პირველი და ლუდოვიკოები – მე-14, მე-15 და მე-16.



* ახალგაზრდობაში ჯონ კერი გატაცებული იყო ჰოკეითა და ლაკროსით – ამერიკელი ინდიელების ერთგვარი თამაშით. ლაკროსში მისი თანაგუნდელი იყო ამერიკული ფედერალური გამოძიების ბიუროს ამჟამინდელი ხელმძღვანელი რობერტ მიულერი. იმავე პერიოდში კერი კენედების ოჯახს დაუახლოვდა და პირადად გაიცნო ჯონ კენედი. იელის უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ჯონი ფარიკაობის სექციაში იყო ჩაწერილი და ასევე მფრინავის კურსებზეც დადიოდა. გარდა ამისა, ჯონ კერი მუსიკითაც იყო გატაცებული და ჰყავდა საკუთარი როკ-ჯგუფი – „ელექტრასი," რომელშიც ბას-გიტარაზე უკრავდა. ჯგუფმა 1961 წელს 500 ცალი ასლის ოდენობით გამოსცა ერთადერთი ალბომი და უკანასკნელი ფირფიტა „იბეის" ინტერნეტ-აუქციონზე 1 500 დოლარად გაიყიდა.

* 1966-1970 წლებში ჯონ კერი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა და მონაწილეობას იღებდა ვიეტნამის ომში. ჯონ კერი საპატრულო კატერის მეთაური იყო და საომარი მოქმედებების დროს სამჯერ დაიჭრა. მას მიღებული აქვს რამდენიმე სამხედრო ჯილდო, მათ შორის უმაღლესი ხარისხის ჯილდოები: ვერცხლის ვარსკვლავი, ბრინჯაოს ვარსკვლავი და მეწამული გული. საომარი მოქმედებების დროს ჯონ კერის პირადად ჰყავს მოკლული ვიეტნამის არმიის ჯარისკაცი, რომელმაც მანამდე იგი ფეხში დაჭრა. ვიეტნამის ომმა ჯონ კერის ხუთი მეგობრის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის იყო მისი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი, რობერტ პერშინგი, რომელიც 1968 წელს ბრძოლაში დაიღუპა.

* ვიეტნამის ომიდან ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ჯონ კერი შეუერთდა ორგანიზაციას „ვიეტნამის ვეტერანები ომის წინააღმდეგ," რომელიც 20 ათასამდე ყოფილ სამხედროს აერთიანებდა. კერი ღიად გამოდიოდა ანტისაომარი მოქმედებების წინააღმდეგ, აკრიტიკებდა სახელმწიფოს და მოითხოვდა ჯარების გამოყვანას. ის დემონსტრაციებში იღებდა მონაწილეობას და ერთ-ერთი აქციის დროს დააპატიმრეს კიდეც, თუმცა, გირაოს სახით სიმბოლური თანხის, 5 დოლარის გადახდის შემდგომ გაათავისუფლეს.

* 1988 წელს ჯონ კერიმ, მასაჩუსეტსის შტატის სენატორის რანგში ლინში ბიზნესმენებთან შეხვედრაზე ახლად არჩეული პრეზიდენტის – ჯორჯ-ბუშ უფროსის მიმართ გაიხუმრა: „თუკი ბუშს მოკლავენ, საიდუმლო სამსახურს უფლება აქვს, დენ კუეილი მოკლას". დენ კუეილი ბუშის ადმინისტრაციაში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე მსახურობდა. მეორე დღეს ჯონ კერის საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუწია.

* ჯონ კერის სიმაღლე 193 სანტიმეტრია. ის გატაცებულია ნადირობით, ვინდსერფინგით. 2004 წელს ჟურნალ „როლინგ სთოუნზისთვის" მიცემულ ინტერვიუში კერიმ განაცხადა, რომ უსმენს „ბითლზს", „როლინგ სთოუნზს", ჯიმი ჰენდრიქსსა და ჯიმი ბაფეტს; არ უსმენს მძიმე მეტალს. კერი ველოსიპედის დიდი მოყვარულია და საპრეზიდენტო კამპანიის დროსაც კი ახერხებდა ველოსიპედით გადაადგილებას. 2003 წელს კერის პროსტატის კიბო დაუდგინეს, თუმცა დროული ოპერაციისა და რეაბილიტაციის შემდგომ იგი სრულად განიკურნა.

* 1970 წელს ჯონ კერი ჯულია ტორნზე დაქორწინდა. მათ ეყოლათ ორი ქალიშვილი – ალექსანდრა და ვანესა. 1982 წელს ჯულია და ჯონი გაშორდნენ, 1995 წელს კი ჯონ კერი პენსილვანიის შტატის ყოფილი სენატორის, ჯონ ჰეინცის ქვრივზე, ტერეზა სიმოე-ფერეირაზე დაქორწინდა, რომელიც მასზე ხუთი წლით უფროსია. საგულისხმოა, რომ კერის პირველი ცოლი, ჯულია, აქტიურად იღებდა მონაწილეობას ექსმეუღლის საპრეზიდენტო კამპანიაში. ჯულია ტორნი 2006 წელს კიბოთი გარდაიცვალა.

* ჟურნალ „ფორბსის" ცნობით, ჯონ კერის მეუღლის, ტერეზას ქონება 750 მილიონ დოლარად არის შეფასებული. კალიფორნიული გაზეთის, „ლოს-ანჯელეს თაიმსის" ვერსიით კი კერის ქონება 3,2 მილიარდამდე დოლარს შეადგენს. ის ითვლებოდა ყველაზე მდიდარ სენატორად და, ამერიკის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, გახდებოდა სიმდიდრით მესამე პრეზიდენტი ისტორიაში. ჯონ კერის საკუთრებაშია ფორბსების ოჯახის საწარმოები, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო. ოფიციალური დეკლარაციის თანახმად, ჯონ კერის ქონება 300-600 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

**უშანგი რუხაძე**

---

ეგ გავაკეთეთ პატარა სუფრა, 10-15 სტუმარი გვყავდა და მათი უმეტესობა პატიმრები იყვნენ; ერთადერთი, ვინც შევაპარე ჩემს ქორწილში, ჩემი ჟურნალისტი მეჯვარე იყო.

**– სიძისთვის ბეჭდის შერჩევაში ვინ გეხმარებოდათ?**

– ჩემი დედამთილი. გიორგის თითის ზომა აუღო იუველირმა პატიმარმა, მაგრამ, ვერ ყოფილა მაღალი დონის იუველირი – ბეჭედი მარცხენა ხელზე გავუკეთე, რადგან, მარჯვენა ხელის თითზე არ ჩაეტია, ახლა მეუბნება, როგორც კი გარეთ გახვალ, ბეჭედი გამიდიდეო. დღეს ცოტა ხნით გამოვედი გარეთ და ვერ მოვახერხე მისი სურვილის შესრულება, წუთები მაქვს დათვლილი.

**– თაფლობის თვეც უცნაური გაქვთ.**

– დიახ, მაგრამ, ჩემნაირი ადამიანისთვის ეს არის ეგზოტიკა, შვილებისთვის მოსაყოლი მექნება, მინდა, მადლობა გადავუხადო სასჯელაღსრულების მინისტრს თანადგომისთვის. გიორგის გათავისუფლებამდე, როგორც კანონი და წესი მოითხოვს, ოფიციალურ პაემნებზე ვივლი, გათავისუფლების შემდეგ კი ჩვენი ცხოვრება მთლიანად შეიცვლება. ოჯახის შექმნა მაინც ლატარიაა. მე მგონია, რომ გიორგის სახით „ჯეკპოტი" მოვიგე, ასე ფიქრობს, გიორგიც.

**– საქორწინო თაიგული ისროლეთ?**

– რა აზრი ჰქონდა? ირგვლივ მხოლოდ პატიმარი ბიჭები იყვნენ. ამიტომ, საქორწინო თაიგული გარეთ გამოვიტანე და "მაესტროზე" სტუმრობისას ნანიკო ხაზარაძეს ვაჩუქე...

**თამუნა ნიჟარაძე**

# ბრძნული აზრები

**ეჟი ლეცი:** არავის სჯერა საოცრების, მაგრამ, ყველა მას ელოდება.

**ჰუმორი:** მთავარი ის კი არ არის, რომ ვილაცას გამსგავსებენ, მთავარი ისაა, ვის გამსგავსებენ.

**ბუასტი:** განათლება საგანძურია, შრომა კი – მისი გასაღები.

**ბოგატი:** ხალხის გასამართლება საჭიროა აბსოლუტურად ზნეობრივი ნორმებით ან დროის ნორმებით, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. მაგრამ, არა იმ დროის ნორმებით, როცა ჩვენ ვცხოვრობთ.

**ბელინსკი:** ადამიანური ურთიერთობები თავისი ბუნებით ვერ იტანს გაუცხოებასა და მარტოობას, ისწრაფვის თავის მსგავსთა ნდობისა და თანაგრძნობისკენ.

**ანტონ დიდი:** რაც უფრო ზომიერ და თავშეკავებულ ცხოვრებას ეწევა ადამიანი, მით უფრო მშვიდია იგი, რადგან, მრავალზე არ ზრუნავს – არც მონებზე და არც პირუტყვზე, არც ქონების მოპოვებაზე თუ მოპოვებულის შენარჩუნებაზე.

**რუსო:** ყველაზე სულელი ადამიანია ის, ვინც ყველაზე მეტად იკეტება საკუთარ თავში და ყველა გულისხმიერი აზრი მიმართული აქვს საკუთარი თავისადმი.

**ბიჰელი:** არაერთგული მეგობრები მერცხლებს ჰგვანან, რომლებსაც მხოლოდ გაზაფხულზე ხვდები, ან მზის საათს ჰგვანან, რომლისგანაც სარგებელი მხოლოდ მაშინაა, როცა მზე ანათებს.

**ლაო ძი:** იმისთვის, რომ მართო სახელმწიფო, რომელსაც ათასი საბრძოლო რგოლი აქვს, უნდა იყო წინდახედული, სამართლიანი, ზომიერი მოთხოვნილებებში; გიყვარდეს ხალხი, იცოდე დრო, როდის უნდა მიიზიდო ხალხი მორჩილების შესასრულებლად.

**ტოლსტოი:** ახალგაზრდობაში მთელი ძალები მომავლისკენაა მიმართული და ეს მომავალი, იმედის ზეგავლენით, მრავალსახეობასა და მომხიბვლელ ფორმებს იღებს; ის ემყარება არა წარსულის გამოცდილებას, არამედ, ბედნიერების წარმოსახვით შესაძლებლობას.

**მამარდაშვილი:** თურმე, შეიძლება, ჩვენი საკუთარი თავის ციხე თავადვე ვიყოთ; მგონია, რომ ციხე სხვისი აშენებულია და ჩვენ მხოლოდ ჩაგვსვეს ამ ციხეში, სინამდვილეში კი ყველა ციხე ჩვენ აგვიშენებია და საკუთარი თავის მონები ვყოფილვართ. მაშასადამე, მონა შეიძლება იყოს სხვა ადამიანისა ან საკუთარი თავისა, როგორც ადამიანისა.

**ლეონარდო და ვინჩი:** როგორც რბილი ტანსაცმელი გაციებისგან, ასევე თავშეკავება გიცავს წყენისგან. გაიმრავლე მოთმინება და სულის სიმშვიდე და, რაც უნდა მწარე იყოს წყენა, შენ არ შეგეხება.

**მელიხანი:** ქალი ორ შემთხვევაში ბრაზობს მამაკაცზე: როცა მასში მხოლოდ ქალს ხედავენ და როცა მასში ქალს ვერ ხედავენ.

**მადამ დე სტალი:** რაც უფრო უკეთესად ვიცნობ მამაკაცებს, მით უფრო მომწონს ძაღლები.

# თუ გაგვიგიათ... (თუ გაგიგიათ)

1. ძველ ბერძნებს სულაც არ მიაჩნდათ, რომ ყველაზე ლამაზი ფიგურა 90-60-90-ია, თანაც, 175-ზე მაღალი. ისინი სილამაზის ეტალონად აღიარებდნენ იმას, რომლის სიმაღლე იყო 164 სანტიმეტრი, მკერდის გარშემოწერილობა – 85 სანტიმეტრი, წელი – 69, თეძო – 94. **ვის ფიგურას ჰქონდა ასეთი მონაცემები?**

2. კომპიუტერულ დანაშაულთა შორის ერთ-ერთს ენეის ცნობილი სკულპტურის სახელი დაარქვეს. ჰაკერს სხვის პროგრამაში საიდუმლოდ შეჰყავს ბრძანებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მას, შეასრულოს მფლობელის მიერ დაუგეგმავი ფუნქციები, თუმცა, კომპიუტერი ინარჩუნებს ყველა ადრე დაინსტალირებულ ფუნქციას. **დაასახელეთ, რა ჰქვია ასეთ დანაშაულს?**

3. „ნარკოტიკი" ბერძნულად ნიშნავს „გაშეშების მომტანს". **რომელი ბერძენი ღმერთის პატივსაცემად გამართული რიტუალის დროს იყო აუცილებელი ოპიუმის მიღება?**

4. ცნობილია, რომ პირველად შავი სათვალეები ჩინეთში გამოიყენეს. დამუქებულმინიან სათვალეებს მაშინ ჯერ კიდევ ვერ ამზადებდნენ. ამიტომ, მათ ნაცვლად, ჩარჩოში სვამდნენ გამჭვირვალე კვარცის დისკებს. **ვინ ატარებდა ასეთ სათვალეს?**

5. ამ მცენარეს მეტად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ამერიკის ისტორიაში. ოდესღაც ის მოჰყავდა პრეზიდენტ ვაშინგტონს. მისგან დამზადებულ ქაღალდზე დაიწერა დამოუკიდებლობის დეკლარაციის პირველი პროექტი, მისი ბოჭკოსგან მოიქსოვა ამერიკის პირველი დროშა. ზოგადად კი, არა მარტო ჩვენთვის, ის ნარკოტიკთან ასოცირდება. **რომელი მცენარე?**

6. **რა ცნობილი სიტყვები წარმოთქვა გაიუს იულიუს კეისარმა,** როდესაც გადალახა გალიისა და იტალიის რეგიონების გამყოფი მდინარე – რუბიკონი და ამით, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი დაიწყო?

7. ძალიან ცოტამ იცის, რომ ძველ ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე-მეოთხე საუკუნეებში გავრცელებული თამაში „ცუ-ცუ" გახდა საწყისი თანამედროვე თამაშისა, რომელსაც ახლა მარტო ბავშვები კი არ თამაშობენ, არამედ პროფესიონალური გუნდები. პირველი კლუბი კი 1857 წელს ჩამოყალიბდა და მას „შეფილდ იუნაითედი" ერქვა. **დაასახელეთ, რომელი თამაშის წინაპარი იყო „ცუ-ცუ"?**

8. კომპოზიტორ ნიკოლაი ტიტოვს ეკუთვნის საფორტეპიანო ციკლი „რომანი ვალსებში", რომელშიც უჩვეულო რომანის სიუჟეტი შემდეგნაირად ვითარდება: „მეჯლისი", „ღიმილი", „ოხვრა", „სიყვარულის ტანჯვა", „ახსნა", „პასუხი", „მშვიდობით", „მოგონებები", „წარსული ბედნიერება"... – სულ თორმეტი მუსიკალური პიესით ჩვენ თვალწინ მთელი ცხოვრება ჩაივლის. თუმცა, ჩვენ ამ კომპოზიტორის ერთ უბრალო ნაწარმოებს ვიცნობთ, რომელიც ალბათ, ყოველ ჩვენგანს დაუკრავს. **დაასახელეთ, რომელი.**

9. ამ მუსიკალურ ინსტრუმენტს ჯერ კიდევ ეგვიპტეში იყენებდნენ. ირლანდიაში მათზე შემსრულებლებს „ბარდებს" ეძახიან, ინსტრუმენტს კი იმდენად სცემენ პატივს, რომ ქვეყნის გერბზეც კი გამოსახეს. **რომელი ინსტრუმენტი?**

10. ასე უწოდებდნენ ფრანკთა სახელმწიფოში და ადრეულ ინგლისში სამეფო ჩინოვნიკს – მოსამართლეს. ფეოდალიზმის განვითარების შემდეგ – მსხვილ ფეოდალს; რუსეთში კი ეს ტიტული პეტრე პირველმა შემოიტანა. **რომელი?**

***პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* „სახელდარი სიმბოლოა შრომისმოყვარეობის, უპრეტენზიობისა და უბრალოების. მისი დახმარებით ღმერთმა ადამიანები დაიცვა მომხვეჭელობისა და ხალხის საწინააღმდეგო ქმედებებისგან"... – ასეთი პატივისცემით თავიანთ სიტყვებში ვირს უსამართლო ბრალდებისგან იცავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები – ჯექსონი და ვან ბურენი.

* რუსული ეკლესია 17 ივლისს აღნიშნავს ღირსი ანდრეის – მხატვარ ანდრეი რუბლიოვის ხსოვნის დღეს.

* ნერვული სისტემის სიგნალები ყველა ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გადაიცემა საათში 288 კილომეტრის სიჩქარით, თუმცა, წლების განმავლობაში მათი გავრცელების სიჩქარე 15 პროცენტით მცირდება.

* ფსიქიატრებმა ერთადერთხელ დასვეს დიაგნოზი „ნოსტალგიური ლუნატიზმი". დაავადებულიც მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი იყო – ამერიკის საჰაერო ძალების პოლკოვნიკი, ასტრონავტი ნილ ამსტრონგი.

* სიტყვა „სტიპენდია" ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „ფულადი კმაყოფა".

* როგორც ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა, ამერიკელ მესამე-მეოთხე კლასის მოსწავლეთა 90 პროცენტი წლის განმავლობაში წიგნს ხელს არ ჰკიდებს.

* 1842 წელს, მოგზაურობის დროს ალექსანდრე დიუმამ ზღვაში კუნძული შენიშნა და იკითხა – რა ჰქვიაო. მისი სახელი – „მონტე კრისტო" – ისე მოეწონა, რომ, მაშინვე გადაწყვიტა თავისი მომავალი რომანისთვის დაერქმია.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh1-h7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



როგორ ემზადება ქალი ზღვის სეზონისთვის: საცურაო კოსტიუმი – ყოველ წელს ახალი მოდაა; სარაფანი, ქუდი, „შლოპანცები", ათასნაირი კრემი – „ზაგარისთვის", დამწვრობისა და კოღოს საწინააღმდეგო...

როგორ ემზადება მამაკაცი: ფეხებზე ფრჩხილებს იჭრის.

***

ქურდი სახლში შევიდა. აყვირდა გალიაში თუთიყუში:




– ჯერი ყველაფერს ხედავს... ჯერი ყველაფერს ხედავს...

ქურდმა გალიას პირსახოცი გადააფარა.

– ჯერი თუთიყუში არ არის, ჯერი ბულდოგია... ჯერი თუთიყუში არ არის, ჯერი ბულდოგია...

***

– ზურა, ზურიკო, ჩემო საყვარელო, დღეს ჩვენი ქორწინების 10 წლის იუბილეა, მოდი, რესტორანში წავიდეთ, რა...

– ფული რომ არ გვაქვს?

– ათი წელია, ვაგროვებ... მინდა, მაგარი საღამო გავატაროთ...

– შენ რას ჩაიცვამ, საღამოს კაბა ხომ გინდა?!

– მაქვს... ამ დღისთვის ჩემმა დაქალმა, ბელამ შემიკერა... ძალიან მიხდება...

მივიდნენ რესტორანში.

– პრივეტ, ზურა! – შემოეგება შვეიცარი.

– სსს... ცოლთან ერთად ვარ.

დასხდნენ. მაგიდასთან ოფიციანტი მივიდა.

– როგორც ყოველთვის, არა, ზურა?

– სსს... ცოლთან ერთად ვარ.

ნახევარი საათის შემდეგ:

– აბა, ვინ არის ყველაზე გამბედავი, ვინ გაქაჩავს ჩემი ბიკინის ზონარს?

– ზურა! ზურა! – ერთხმად წამოიყვირა დარბაზმა.

ცოლი წამოხტა, სილა გააწნა ქმარს, გავარდა, ტაქსი დაიჭირა.... ქმარიც გაედევნა, ძლივს მიუსწრო და დაძრულ მანქანაში ჩახტა...

ცოლმა დაიწყო:

– მე შენ ასე გენდობოდი, შენ კი, მატყუარა... – ლანძღავს და ლანძღავს.

მობრუნდა ტაქსისტი და ეუბნება:

– ზურა, დღეს რა სწერვა აგიყვანია...

***

წვანან წითელქუდა და მგელი საწოლში. წითელქუდა სიგარეტს აბოლებს...

– შეიძლება, კბილები კი დიდი




გაქვს, მაგრამ....

***

ბანკებს ძალიან არ უყვართ ურჩი გადამხდელები, დამგვიანებლები... მაგრამ, ყველაზე მეტად იმათ ვერ იტანენ, ვინც მათთან კრედიტებს არ იღებენ...

***

– დარეკვას არ ვაპირებდი, მაგრამ, ჩემი ტრუსიკი რომ შენს ცოლს ენახა მანქანაში, უარესი იქნებოდა... შენ ხომ არ ნახე?

– კი, გუშინვე...

– მერე, რატომ არ დამირეკე?

– შენი რომ არ ყოფილიყო?!

***

– ცოლი მოგიყვანია?

– კი.

– აბა, როგორ ხარ?

– მოწევა არ შეიძლება, დალევა არ შეიძლება...

– ხომ არ ნანობ?

– სინანულიც არ შეიძლება....

***

ქალური ლოგიკა: ელოდება პრინცს და მერე, როცა სავარძელში ჩასვენებულ ქმარს უყურებს, უკვირს, მუშასავით ან გლეხივით რატომ არ მუშაობს...

***

შედის კაცი ზოომაღაზიაში – კატისთვის თეთრი თაგვების საყიდლად. შესასვლელთან, გალიაში ჭრელი თუთიყუში ზის. შეჩერდა კაცი და უყურებს...

– შარვალი გახსნილი გაქვს! – ეუბნება თუთიყუში.

კაცი გაწითლდა და შარვლის შესაკრავზე წაიღო ხელი.

– გაგხევია კიდეც!

ახლა უკან მოიკიდა ხელი და კიდევ უფრო გაწითლდა.

– ზონარი დაგთრევს!

დაიხარა კაცი და...

– ჰაერს რატომ აფუჭებ?

ჭარხალივით გაწითლებული კაცი გარეთ გავარდა.

თეთრი თაგვების გალიიდან მხიარული შეძახილები გაისმა:

– მარჩო! ჩვენზე იყოს, ძმა!

***

მინდა, დილით სამსახურში წავიდე, საღამოს კი შინ დავბრუნდე, მაგრამ, არც ერთი არ მაქვს.

***

– გადავწყვიტე, გავთხოვდე. როგორ ქმარს მირჩევ?

– დაანებე ამ სხვის ქმრებს თავი და ვინმე უცოლო მოძებნე...

***

მიხო და მიტუა საფრანგეთში წავიდნენ სამოგზაუროდ. ერთხელაც, გადაწყვიტეს, რესტორანში შესულიყვნენ. დახედეს, მენიუ ფრანგულადაა. მიხო ოფიციანტს ეუბნება:

– ლა ქათამი, ლა სალათა, ლა ღვინო...

ოფიციანტმა ყველაფერი მოუტანა.

– მიტო, მე რომ არ ვყოფილიყავი, რა გეშველებოდა, როგორ გააგებინებდი ამ ფრანგსა...

– ეგ კი არა, ორივე რას შეჭამდით, ჯიმა, მე რომ არ ჩამოვსულიყავი აქ! – უთხრა ოფიციანტმა.

***

ექსკურსია რეზინის ნაკეთობების ფაბრიკაში.

ისმის: შშშ-ბახ! შშშ-ბახ! შშშ-ბახ!

ექსკურსანტი: ეს რა არის?

გიდი: აქ რძის საწოვარებს აკეთებენ, შშშშ – ეს რეზინა იბერება, ბახ – ნახვრეტია რძისთვის.

მეორე ოთახში:

შშშ-შშშ-შშშ-შშშ-შშშ-ბახ!

გიდი: ეს პრეზერვატივების ცეხია.

ექსკურსანტი: ნუთუ ყოველი მეექვსე წუნია?

გიდი: წუნი არა, მაგრამ, ხომ უნდა დაიბადოს ვინმე, რომ საწოვრები გასაღდეს?!

***

ცირკში რეკავს მოლაპარაკე ცხენი:

– გამარჯობა. სამსახურის დაწყება მინდოდა...

– რა შეგიძლიათ?




– ჟონგლიორობა ვისწავლე...

***

პროფესორმა სახლში უნიტაზის შესაკეთებლად სანტექნიკოსი გამოიძახა. ნახევარ საათში გააკეთა თავისი საქმე სანტექნიკოსმა და – 50 ლარიო, – უთხრა პროფესორს.

პროფესორი აღშფოთდა:

– პროფესორი ვარ, წევრ-კორესპონდენტი, უამრავი ნაშრომის ავტორი, ლექციებს ვკითხულობ და მაგდენს მე არ მიხდიან.

– მართალია, პროფესორი რომ ვიყავი, მეც დაბალი ანაზღაურება მქონდა...

# როგორ გამოკეტეს მაცივარში რაჭველი ბეჟიკო მთელი ღამით

რაჭველმა ბეჟიკო სხირტლაძემ სკოლა დაამთავრა, სამხედრო სამსახურიც მოილია, მაგრამ, უმაღლესში ვერ მოეწყო. თბილისში ბიძამისმა, რაჟიკო სხირტლაძემ, ხორცკომბინატში მოაწყო მუშად – პურის ფული გექნებაო.

ბეჟიკოს მოვალეობაში შედიოდა მაცივრიდან ხორცის გამოტანა და სამომხმარებლო მანქანებში ჩატვირთვა.

ჯანმაგარ ბიჭს საქმე არ გასჭირვებია. ის ალალად და გულმოდგინედ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, უფროსებიც კმაყოფილებას ვერ მალავდნენ და არც თვითონ უჩიოდა ბედს, რომ არა ერთი ავბედითი შემთხვევა.




ერთ საღამოს, ბეჟიკო, ჩვეულებრივ, გულმოდგინედ და პატიოსნად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ფუსფუსებდა მაცივარში, მაგრამ, ცვლის უფროსმა ვერ შეამჩნია, კარი გარედან ჩაკეტა და სახლში წავიდა...

გვარითა და ჯიშით ნამდვილმა რაჭველმა გვიან დახედა საათს და – ჩემი სახლში წასვლის დროც ქვე მოსულა, შე კაცოო, – ჩაუბურდღუნა თავის თავს, მაგრამ, ნურას უკაცრავად – მაცივრის კარი ჩაკეტილი დახვდა. ეჯაჯგურა, ეჯაჯგურა და, რომ ვერ გააღო, დაჯდა და ჩაფიქრდა – ქვე, რაღა ვქნა ახლაო.

რაჭველი იყო და კარგა ხანს ფიქრობდა. ყინვამ შემოუჭირა. ნელ-ნელა, თუმცა, საფუძვლიანად აკანკალდა... გვიან, მაგრამ, მაინც მიხვდა, რომ დილამდე საშველი არ იქნებოდა და თავში ბრწყინვალე აზრი მოუვიდა: სტაცა ერთ გატყავებულ საქონელს ხელი და მეორე ძელზე დამაგრებულ ჩანგალზე გადაიტანა; ახლა იქიდან მოხსნა მეორე ძროხა და აქეთ გადმოიტანა, გათავისუფლებულ ჩანგალზე; მერე ისევ აქედან იქით, იქიდან – აქეთ და... გახურდა. ნახევარ საათში ოფლიც მოუვიდა და გასაგრილებლად ჩამოჯდა, თან, ცოტა დაისვენა.

რული რომ მოერია, ისევ წამოხტა და დაეძგერა საქმეს – გადააქვს და გადმოაქვს...

როგორც იქნა, გათენდა.

გარეთ გათენდა თუ არა, ამან რა იცის...

კარზე ჩხარუნის ხმა გაისმა.

ცვლის უფროსმა როინამ ამ გაყინულ საქონელში ბეჟიკო რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა და შუბლში ხელი იტკიცა:

– კაცო, ბეჟიკო, აქ იყავი, კაცო, შენ, მთელი ღამე?!

– აპა, ქვე სად უნდა წავსულიყავი, ბოშო? – გაუკვირდა ამ საწყალს.

– უიმე, ცოცხალი ხარ, მერე, კაცო?

– ჯერ ქე ვარ ცოცხალი... თუ კაცი ხარ, დახურე ერთი მაგ კარი, გაოფლილი ვარ და არ შემომკრას, თუარა, ფილტვების ანთებას ევიკიდებ!

როინა უფროსმა სასწრაფოდ მიხურა კარი...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11




ISSN 1987-569X
9 771987 569002